საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.ge

№25 (212)

10 – 16 ივლისი, 2013

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

gazeti@inbox.ru

## «საქართველო და მსოფლიოს» რომელმა კითხვამ აღაშფოთა თავდაცვის მინისტრი და რა ახალი მისია იგეგმება ავღანეთში

ირაკლი ალასანია:

## მე არ ვთვლი «ნაციონალურ მოძრაობას» მტრად და მისი დამარცხება და განადგურება არ მიმაჩნია ჩემს მთავარ ამოცანად



4

## კბილაშვილი ივანიშვილის წინააღმდეგ

### მთავარი პროკურორის სკანდალური განცხადება

5




2

12 «ბიძინა ივანიშვილს გარემოცვა არ უვარგა»

6 საგარეო-პოლიტიკური ვექტორი უნდა შეიცვალოს

უშიშროების ორი გენერალი ნატოს გენმდივნის წინააღმდეგ

8 აგრარული ფსიქიატრია, ანუ გეორგია, ზურაბ, გე-ორ-გია!

მამათმავლობის 10 პროპაგანდა საქართველოშიც ოფიციალურად უნდა აიკრძალოს

რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას ხელს ვერაფერი 11 შეუშლის

15 რატომ არ უნდა შაშკინის ჩადენილი დარღვევის გამოსწორება მარგველაშვილს

16 ვინ ჩადო ბომბი აფხაზეთის მთავრობაში?!

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვინ არის დავით ბაქრაძე? უმაღლესი ქურუმი? შამანი? საიდან გამომდინარეობს მისი განსაკუთრებული სტატუსი? აშკარაა, რომ ამ ეპიზოდში ხელისუფლებამ საკუთარი ხელით მისცა ბაქრაძეს საბაბი, რაღაც გამორჩეულ „ძირითად ოპოზიციურ ძალაზე“ ესაუბრა.**

# სამნი ურეკში და ერთიანი ნაციონალური ოცნება

**ბიძინა ივანიშვილის, დავით უსუფაშვილისა და დავით ბაქრაძის 6 ივლისის შეხვედრამ ურეკში, განხილული საკითხების ლოკალური მნიშვნელობის მიუხედავად, შეიძლება კიდევ ერთხელ დაგვაფიქროს „ნაციონალური მოძრაობის“ მომავალსა და ახალი ხელისუფლების დამოკიდებულებაზე მის მიმართ, რომელიც სულ უფრო აღიზიანებს იმ ადამიანებს, რომლებმაც 2012 წლის ოქტომბერში ხმა ივანიშვილის კოალიციას მისცეს. მათი ცალსახად ნეგატიური დამოკიდებულება ფიქსირდება მედიისთვის გაკეთებულ კომენტარებსა და სოციალურ ქსელებში; აშკარაა, რომ პრობლემა არსებობს და მის მიჩქმალვას აზრი აღარ აქვს. ალბათ, ივანიშვილს მალე არჩევანის გაკეთება მოუწევს: ან კოაბიტაცია „ნაციონალებთან“, ან ურთიერთგაგება „ქართული ოცნების“ ამომრჩევლებთან; ორივე ერთად, როგორც ჩანს, არ გამოვა.**




## ეს ყმაწვილი შორს წავა

ვიდრე ურეკის შეხვედრაზე განხილულ საკითხებზე ვისაუბრებთ, ორიოდე სიტყვა მის ფორმატზეც უნდა ვთქვათ. დავით ბაქრაძე საპარლამენტო უმცირესობის თავმჯდომარეა, მისი სტატუსის შესაბამისი ფიგურა ახალი ხელისუფლების მხრიდან საპარლამენტო უმრავლესობის თავმჯდომარე დავით საგანელიძეა და არა პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი.

„ურეკის ფორმატი“ ბაქრაძეს უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე სინამდვილეში აქვს. **ამასთანავე, კნინდება დავით უსუფაშვილის სტატუსი, იმის ნაცვლად, რომ მოლაპარაკების წარმოსახვით მაგიდასთან პოლემიკაში შესულ ბაქრაძესა და საგანელიძეს შორის იჯდეს, როგორც არბიტრი და, უხეშად რომ ვთქვათ, „ყველა პარლამენტარის თავმჯდომარე“, ის „ურეკის ფორმატში“ მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთი მხარის წარმომადგენლად მოგვევლინა. შეიძლება ვინმემ ჩათვალოს, რომ ეს ნიუანსი უმნიშვნელოა, მაგრამ ყურადღება მივაქციოთ იმას, როგორ ჩაებღაუჭა „ურეკის ფორმატს“ დავით ბაქრაძე.** მან თქვა, რომ „მიღწეულია შეთანხმება, რომ ამგვარი კომუნიკაცია შენარჩუნდეს და საჭიროების შემთხვევაში გაგრძელდეს მოლაპარაკებები ამ ფორმატში — პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარისა და „ნაციონალური მოძრაობის“ საპარლამენტო უმცირესობის ლიდერის მონაწილეობით. ბაქრაძის თქმით, ეს არ იქნება რეგულარული ფორმატი, თუმცა იმედი გამოთქვა, რომ, როდესაც რომელიმე მხარე საჭიროდ ჩათვლის ან როდესაც ამას ქვეყანაში არსებული სიტუაცია მოითხოვს, ეს ფორმატი განაგრძობს მუშაობას“ (სივილ.ჯე). პოლიტიკაში მნიშვნელობა ნებისმიერ ნიუანსს აქვს — ფორმატს, ეპიკურ ამბიციებს, რომელიც ჩაქსოვილია სიტყვებში „როდესაც რომელიმე მხარე საჭიროდ ჩათვლის“ და ხელისუფლების უცნაურ გადაწყვეტილებებსაც.

**არსებობს მოსაზრება („მიზანი ამართლებს საშუალებას“ სერიიდან), რომ ყოფილი მმართველი პარტიის ტრანსფორმაციის ამ ეტაპზე საჭიროა იმ ლიდერების წახალისება, რომელთაც „ნაცმოძრაობა“ იმ როლისკენ მიჰყავს, რომელსაც 2008-12 წლებში „ქრისტიან-დემოკრატები“ ასრულებდნენ.** დავით ბაქრაძემ ახალ ხელისუფლებასთან ურთიერთობაში (თუნდაც იგივე გიგი უგულავასგან განსხვავებით) შედარებით კონსტრუქციული რიტორიკა აირჩია და საქმით დაადასტურა, რომ მზადაა კომპრომისებისთვის. მაგალითად, ურეკის შეხვედრის შემდეგ მან რეკომენდაცია მისცა თანაპარტიელებს, რომ საპარლამენტო მუშაობას დაუბრუნდნენ, რითაც, ფაქტობრივად, პროტესტის ისეთი მძლავრი საშუალების დევალვირება მოახდინა, როგორიცაა ბოიკოტი. **შესაძლოა, ხელისუფლებაში მიიჩნევენ, რომ ბაქრაძე საუკეთესო კანდიდატურაა იმისთვის, რომ „ნაციონალებს“ გაუძღვეს უფკრულისკენ მიმავალ გზაზე შემდეგი მარშრუტით: „ერთადერთი ოპოციციური ძალა (ორპარტიული მოდელის ფარგლებში)-**

**ბაქრაძის კომენტარმა შეიძლება სწორედ ამ დასკვნისკენ გვიბიძგოს და გაამყაროს იმ ადამიანების არგუმენტაცია, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მათ მიერ არჩეული ხელისუფლება «ნაციონალებს» საეჭვოდ ფარულად გაურიგდა**

**მთავარი ოპოზიციური ძალა-ერთ-ერთი ოპოზიციური ძალა-მარგინალური ჯგუფი-ისტორიის კუთვნილება“, თუმცა „ნაციონალების“ რადიკალურ მოწინააღმდეგეებს ამ მარშრუტის ბოლო პუნქტების დანახვა არ სურთ (ან არ შეუძლიათ) და ფრიად ალარმისტულად საუბრობენ იმაზე, რომ ხელისუფლებას სურს, მიიყვანოს „ნაცმოძრაობა“ „ქრისტიან-დემოკრატიულ„ კონდიციამდე და დატოვოს, როგორც საკმაოდ კომფორტული ოპოზიცია, რომელიც საფრთხეს აპრიორი ვერ შექმნის. ამ ადამიანებს არ შეუძლიათ ცერემონიები ბაქრაძესთან აღიქვან, როგორც ტაქტიკური მანევრი, ისინი საუბრობენ იმედგაცრუებაზე, პოულობენ თანამოაზრეებს და ნელ-ნელა ივანიშვილის თანმიმდევრულ ოპონენტებად ყალიბდებიან. საპრეზიდენტო არჩევნებზე ისინი ხელისუფლებას, სავარაუდოდ, ყვითელ ბარათს უჩვენებენ.**

რაც ყველაზე საინტერესოა, ხელისუფლება მათ მწვავე რეაქციისთვის სულ უფრო მეტ საბაბს აძლევს და ამის საილუსტრაციოდ შეიძლება გამოგვადგეს კიდევ ორი ეპიზოდი ურეკის შეხვედრიდან. „შევთანხმდით, რომ უახლოეს მომავალში შეიქმნება სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია. მასში წარმოდგენილი იქნება „ნაციონალური მოძრაობაც“, როგორც ძირითადი ოპოზიციური ძალა, ასევე სხვა პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ექსპერტები“, — განაცხადა დავით ბაქრაძემ. **ბევრ „ძირძველ ოპოზიციონერს“, ალბათ, გააღიზიანებს „ძირითად ოპოზიციური ძალის“ ხსენება, რადგან ისინი არ განიხილავენ სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენლებს, როგორც ლეგიტიმურ პოლიტიკურ ჯგუფს, არც როგორც ძირითადს, არც როგორც სათადარიგოს. თუმცა ბაქრაძეს სრული უფლება აქვს, თავისი პარტია ისე აღწეროს, როგორც მოეხასიათება — თუ უნდა, „ეროვნული გმირების კოჰორტა“ უწოდოს, თუ უნდა, — „ობოლი ბაბუინების კლუბი“; ჩვენთან (იდეაში) სიტყვის თავისუფლებაა.** პრობლემა სულ სხვა ასპექტს უკავშირდება: რატომ არ განიხილავს ხელისუფლება ამ გადაწყვეტილებას ყველა იმ პარტიის (მათ შორის „ნაცმოძრაობის“) წარმომადგენელთან და ექსპერტთან შეხვედრაზე, რომლებიც ამ კომისიის შემადგენლობაში უნდა შევიდნენ (დემოკრატიული ვარიანტი) და არც ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას იღებს (ავტორიტარული ვარიანტი), არამედ უთანხმდება დავით ბაქრაძეს „ურეკის სამკუთხედის“ უცნაურ ფორმატში. **ვინ არის დავით ბაქრაძე? უმაღლესი ქურუმი? შამანი? საიდან გამომდინარეობს მისი განსაკუთრებული სტატუსი? აშკარაა, რომ ამ ეპიზოდში ხელისუფლებამ საკუთარი ხელით მისცა ბაქრაძეს საბაბი, რაღაც გამორჩეულ „ძირითად ოპოზიციურ ძალაზე“ ესაუბრა.**

„მეორე საკითხი, რაც ჩემ მიერ იქნა დაყენებული, უკავშირდება „ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო დაფინანსების საკითხს. საუბარია შარშანდელი არჩევნების პერიოდზე. იცით, რომ დეკემბერში ქვეყანამ მიიღო ამნისტიის აქტი წინასაარჩევნო შემოწირულობასა და იქ არსებულ დარღვევებთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, რამდენიმე ასეული ადამიანი დაკითხვაზე იყო დაბარებული და მათ მიმართ მიმდინარეობს სამართლებრივი დევნა. მე დავაყენე ეს საკითხი და მოხარული ვარ, რომ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა. პრემიერისა და პარლამენტის თავმჯდომარის პირობა ისაა, რომ დევნა შეწყდება და პარტიის ფინანსურ შემომწირველთა მიმართ აღარ გატარდება შესაბამისი სამართლებრივი ზომები“, — განაცხადა დავით ბაქრაძემ (ინტერპრესნიუსი). **ზოგადად, სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენელთა კომენტარებში, როგორც წესი, შეუძლებელია ზღვარის გავლება დაკითხვასა და დევნას შორის და გაუგებარია, რას გულისხმობენ ისინი კონკრეტულ ეპიზოდთან დაკავშირებით, თუმცა ეს მეორეხარისხოვანია, რადგან ბაქრაძის განცხადების უკან გამოძიების მუშაობაში პოლიტიკოსების უხეში ჩარევის კონტურები იკვეთება.** დავუშვათ (ამ შემთხვევაში თეორიულად ვმსჯელობთ; კონკრეტულ ფაქტებს ეს არ ეხება), დაკითხვების დროს დაადგინდა, რომ „ნაციონალები“ კანონის დარღვევით ატერორებდნენ შემომწირველებს და მუშაობა ამ მიმართულებით გააგრძელდა, ან მოხდა სხვა რამ, რაც ბაქრაძის მიერ ნახსენები ამნისტიის აქტის ჩარჩოს სცდება. და რა მოხდება ახლა? ივანიშვილი და უსუფაშვილი ყველა წარმოსადგენი ნორმის დარღვევით ჩაერევიან და გამოძიებას გააჩერებენ? **ბაქრაძის კომენტარმა შეიძლება სწორედ ამ დასკვნისკენ გვიბიძგოს და გაამყაროს იმ ადამიანების არგუმენტაცია, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მათ მიერ არჩეული ხელისუფლება „ნაციონალებს“ საეჭვოდ ფარულად გაურიგდა.**

▶

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბაქრაძეს სრული უფლება აქვს, თავისი პარტია ისე აღწეროს, როგორც მოეხასიათება — თუ უნდა, „ეროვნული გმირების კოჰორტა“ უწოდოს, თუ უნდა, — „ობოლი ბაბუინების კლუბი“

## მოთმინების ფიალა ივსება

დანაშაულებრივი რეჟიმის დანგრევა და სამართლიანობის აღდგენა ბიძინა ივანიშვილისა და მისი ამომრჩევლების დაუწერელი შეთანხმების განუყოფელი ნაწილია. მაგრამ ეს საკითხები არ შეიძლება განიხილებოდეს ცალკე, მათ უკავშირდება არაერთი პოლიტიკური თუ ეთიკური შეზღუდვა, რომელიც ასევე დაუწერელია, თუმცა საკმაოდ აქტუალური. ნებისმიერ თანამშრომლობას სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენლებთან, მათთვის ხელის ჩამორთმევასაც კი, ამომრჩევლების ნაწილი განიხილავს, როგორც „ოქტომბრის იდეალების ღალატს“ და გაუმართლებელ ზნეობრივ კომპრომისს. **ხელისუფლებას კი, თავის მხრივ, საზოგადოებასთან ურთიერთობის მექანიზმები არ უვარგა, მას არ შეუძლია გასაგებად აუხსნას ელექტორატს, რა დგას ამა თუ იმ პოლიტიკური მანევრის (მაგალითად, ურეკის შეხვედრის) უკან და დაარწმუნოს ის, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესს არაფერი ემუქრება. თუ ასე გაგრძელდა, ეს, სხვა ფაქტორებთან ერთად (რთული სიტუაცია ეკონომიკაში და ა.შ.), მმართველ კოალიციას რეიტინგის გარდაუვალ ვარდნას მოუტანს.**

შეცდომა იქნება ამ ნეგატიური განწყობების დაკავშირება „ნაცმოძრაობის“ საპარლამენტო წარმომადგენლობასთან; პრობლემა კომპლექსურია. ძველი კადრები სამართალდამცავ სტრუქტურებში, რომლებიც სულ უფრო ხშირად იყენებენ ძველ, აკრძალულ მეთოდებს, ძველებური ნეპოტიზმი, გნებავთ, კრონიზმი და ფავორიტიზმი, მიხეილ სააკაშვილის რეალობისგან მოწყვეტილი მონოლოგები, პერვერსიული ტელეპროპაგანდა, ისევ გაჭირვება და საკმაოდ ხშირი უსამართლობა — ყოველივე ამით გამოწვეული დაღლილობა და გაღიზიანება გროვდება, ხოლო კითხვა „რატომ არ დასრულდა ყოველივე ეს?“ პასუხგაუცემელი რჩება. აგრესიის ამოფრქვევა შეიძლება ნებისმიერმა უმნიშვნელო ეპიზოდმა გამოიწვიოს, თუნდაც ისეთმა, შედარებით უწყინარმა, როგორიც ურეკის შეხვედრა იყო. ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ ვადამდელი არჩევნები არ ჩატარდება და „ნაციონალური მოძრაობა“ (ან ის, რაც მის ნანგრევებზე შეიქმნება) შეინარჩუნებს იმ მანდატებს, რომელთა უმეტესობა ამომრჩევლებზე უპრეცედენტო ზეწოლის შედეგად მოიპოვა, ივანიშვილის ხელისუფლებას მასთან თანაარსებობისა და კომუნიკაციის გარკვეული ფორმების გამონახვა მოუწევს, რადგან საპარლამენტო უმცირესობის მოქცევა იზოლაციაში, მისი წარსულის მიუხედავად, ნებისმიერ შემთხვევაში, დაუშვებელი და არადემოკრატიულია. თუმცა **ხელისუფლებამ, ალბათ, ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ ნებისმიერ ნაბიჯს ამ გზაზე მისი მხარდამჭერების გაღიზიანება და მისგან ეტაპობრივი დისტანცირება მოჰყვება და პრობლემა აქ დავით ბაქრაძეში და რამდენიმე შეშინებულ პარლამენტარში როდია, არამედ იმ მოწამლულ ნაყოფში, რომელიც კოაბიტაციის ნიადაგზე აღმოცენდა.**

„ქართული ოცნების“ არაერთი ამომრჩევლისთვის მთავარი ბიძინა ივანიშვილის სოციალური დაპირებები იყო. ის ვერ მოიპოვებდა გამარჯვებას, რომ არა ისინი, ვისთვისაც მთავარი, თუ არა ერთადერთი მოტივი სააკაშვილის რეჟიმის დასამარება, სამართლიანობის აღდგენა და უკეთესი საქართველოს შექმნა იყო. სწორედ ეს ადამიანები, რომელთა ყიდვა და დაშინება სააკაშვილის რეჟიმმა ვერ მოახერხა, წარმოადგენდნენ წინააღმდეგობის ღერძს, რომლის გარეშე 1 ოქტომბრის გამარჯვება, უბრალოდ, არ მოხდებოდა. დღეს ივანიშვილი ძლიერია არა იმიტომ, რომ მას მხარს უჭერენ სოციალური ბონუსების მომლოდინე მასა ან ის პოლიტიკური კლოუნები, რომელთა ლოიალურობა შეიძლება იყიდო (ან გაყიდო), არამედ იმიტომ, რომ მის გვერდით ჯერ კიდევ დგანან ადამიანები, რომელთათვის პრინციპები (ისევე, როგორც თავისუფლება) ცარიელი სიტყვა არ არის. **კოაბიტაციამ და გარდამავალი პერიოდის ზემოჩამოთვლილმა რეალიებმა მათსა და ბიძინა ივანიშვილს შორის არაერთი ბზარი გააჩინა. თუ ივანიშვილი დაკარგავს ამ ადამიანებს, ის, როგორც არაერთი მმართველი კაცობრიობის ისტორიაში, ადრე თუ გვიან, ყველაფერს დაკარგავს.**

## ტაჰრირის აჩრდილი თავისუფლების მოედანზე

**ახლახან ეგვიპტეში პრეზიდენტი მოჰამედ მურსი ჩამოაგდეს. ის ძალზე უნიათო პოლიტიკოსი იყო და თავის თანამოაზრეებთან ერთად ფრიად არასიმპათიური რეჟიმის ჩამოყალიბებას ცდილობდა. ასე რომ, ცნობას მის გადაყენების შესახებ მსოფლიოში ცუდად შენიღბული მოწონებით შეხვდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ის კანონიერად არჩეული პრეზიდენტია.**

პარალელების გავლება ეგვიპტესა და საქართველოს, მურსის, სააკაშვილსა და ივანიშვილს შორის ნამდვილად არ გამოგვივა, რადგან საუბარი სრულიად განსხვავებულ კონტექსტს, იდეებსა და პოლიტიკოსებს შეეხება. მაგრამ არის ერთი ნიუანსი, რომელზეც ყურადღების გამახვილება, ალბათ, მაინც ღირს. მოჰამედ მურსის მოსვლა ხელისუფლებაში უკავშირდებოდა მთელ რიგ შეთანხმებებს თამაშის წესებზე შეიარაღებულ ძალებთან, პოლიტიკურ ელიტასთან და მძლავრ უცხო სახელწიფოებთან. ისინი შეიცავდნენ ერთგვარ „იძულებას კოაბიტაციისადმი“ გარკვეულ ჯგუფებთან და, რაც მთავარია, მთელ რიგ შეზღუდვებს, რომლებიც შეუძლებელს ხდიდა მუბარაქის ჩამოგდების დღეებში ტაჰრირის მოედანზე დასახული მიზნების მიღწევას და, ზოგადად, შედეგიანი პოლიტიკის გატარებას. ზოგმა შეიძლება თქვას, რომ მურსი იმდენად უნიჭო იყო და ისეთ იდეოლოგიურ პლატფორმაზე იდგა, რომ ამას ნებისმიერ შემთხვევაში ვერ მოახერხებდა, თუმცა ამ შემზღუდავი (ნაწილობრივ ფარული) გარიგებების პირობებში ამას, სავარაუდოდ, ვერც ანვარ სადათი, ვერც გამალ აბდელ ნასერი და ვერც რამზეს II შეძლებდნენ. პრეზიდენტობის პერიოდში მოჰამედ მურსი მოაგონებდა ბუზს, რომელიც ობობას ქსელში გაება.

დაახლოებით ახალი წლიდან „ქართული ოცნების“ ამომრჩეველთა ნაწილს ერთ კონსპიროლოგიურ თეორიაზე დაფუძნებული ეჭვები ტანჯავს, რომელსაც მაშინ მიმართავს, როდესაც პრობლემების პირველწყაროს მოძებნას ცდილობს. ამ თეორიის ფარგლებში, ხელისუფლებაში მოსვლის პერიოდში ბიძინა ივანიშვილი იძულებული გახდა, საკუთარ თავზე აეღო გარკვეული ვალდებულებები, მაგალითად, მიხეილ სააკაშვილისა და ზოგიერთი სხვა ჩინოვნიკის ფაქტობრივი იმუნიტეტის უზრუნველყოფა, „ნაცმოძრაობის“ გადაქცევა „ძირითად ოპოზიციურ ძალად“, უცხოელი პარტნიორების აზრისთვის პრიორიტეტული მნიშვნელობის მინიჭება ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით და ა.შ. ეს, ცხადია, კონსპიროლოგიაა, რომელიც კონკრეტული ფაქტებით არ დასტურდება, თუმცა ამ თეორიის გაჩენა და ფართოდ გავრცელება ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ მისი მიმდევრები გრძნობენ შეფერხებებს, რომელთათვის ლოგიკურ ახსნას ვერ პოულობენ. **მათ სჭირდებათ ძალიან მკაფიო პასუხი კითხვაზე, თუ რატომ ფერხდება იმ მიზნების მიღწევა, რომელთა გამო ისინი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ, თუ არა ყველაზე საშინელ, რეჟიმს დაუპირისპირდნენ და ამით საკუთარი თავი და ოჯახის წევრები სერიოზულ საფრთხეში ჩააგდეს.**

სხვათა შორის, მსგავსი თეორიების გაჩენა შეიძლება განვიხილოთ, როგორც სიგნალი იმისა, რომ იმედგაცრუებისკენ მიმავალ მოლიპულ გზაზე პირველი ნაბიჯები გადაიდგა. **იმედგაცრუებული მასა კი შეიძლება იქცეს ძალიან სერიოზულ არგუმენტად მანიპულატორების ხელში, რაც გასულ კვირას ეგვიპტეში, ტაჰრირის მოედანზე კიდევ ერთხელ დადასტურდა. მისი გამოყვანა გარეთ ტექნიკის საკითხია (ცხადია, მარგინალიზებული „ნაციონალები“ პროცესს სათავეში ვერ ჩაუდგებიან, მაგრამ ხელს სიამოვნებით შეუწყობენ).**

შესაძლოა, სწორედ დღეს ძლიერების მწვერვალზე მყოფმა ბიძინა ივანიშვილმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმ სუსტ, დღესდღეობით თითქმის შეუმჩნეველ სიგნალებს, რომლებიც შეიძლება ისეთ საფრთხეებზე მიანიშნებდეს, რომლებიც ამ ეტაპზე აქტუალურად არ აღიქმება. შემდეგ შეიძლება გვიანი იყოს, როდესაც, ერთი შეხედვით, სრულიად მოულოდნელად და ალოგიკურად განრისხებული მასა ხელისუფლებას დაუპირისპირდება.

**დიმიტრი მონიავა**

# მიბაძეთო ვლადიმერ პუტინს, უთხრეს ბარაკ ობამას და დევიდ კემერონს



**ვლადიმერ პუტინს დასავლეთში თანამედროვე სახელმწიფო მოღვაწის ლამის ნიმუშად მიიჩნევენ. შოტლანდიის მთავარ გაზეთ „სკოტსმენის“ წამყვანმა მიმომხილველმა ჟერალდ უორნერმა გამოაქვეყნა სტატია სათაურით „პუტინის ახალი აღქმა“.**

იგი არასტანდარტულად იწყებს თავის წერილის ინგლისურენოვანი „ფეისბუქიდან“ ამოკრეფილი ციტატებით: **„არ მეგონა, ოდესმე თუ ვიტყოდი, რომ უფრო დავეთანხმებოდი ვლადიმერ პუტინს, ვიდრე რომელიმე დასავლელ ლიდერს“.**

სტატიის ავტორი აღიარებს, რომ ჩანაწერები სოციალურ ქსელებში, რომელთა რაოდენობა სულ უფრო მატულობს, ასახავს ხალხის მზარდ უკმაყოფილებას აშშ-ისა და ევროპის ხელმძღვანელობისადმი, ამასთან, არ მალავს პატივისცემას რუსეთის ძლიერი პრეზიდენტის მიმართ. **დღეს,** ამტკიცებს უორნერი, **ჩვენ ევრო-ამერიკულ პოლიტიკურ კლასში გულგატეხილობის ისეთ დონეს მივაღწიეთ, რომ დროა, ვაღიაროთ მისი უვარგისობა.** კემერონსა და ობამას ხელისუფლების სათავეში მხოლოდ ადამიანების აპათიურობა აჩერებს. მაგრამ მოახლოებული ეკონომიკური ცუნამი ალგვის პირისაგან მიწისა საპარლამენტო ფსევდოდემოკრატიის დისკრედიტირებულ მოდელს, რომელიც ზედმეტად დიდხანს იტანდა ხელისუფლებაში მყოფ არამზადებსა და ბრიყვებს.

საშინაო პოლიტიკის მიმოხილვისას შოტლანდიელი აღნიშნავს, რომ რუსეთის პრეზიდენტი რაციონალურად მოქმედებს. **„სანამ დასავლეთელი ლიდერები ერთსქესიანთა ქორწინებებს აკანონებენ, ვლადიმერ პუტინი, მართლმადიდებლური ეკლესიის თხოვნით, რუსეთის მთელ ტერიტორიაზე აკანონებს ანტიგეურ კანონებს“,** — აღნიშნავს ავტორი და ასკვნის, რომ **„დედალი“ დასავლეთისგან რუსეთი უაზრო ლიბერალიზმის, კულტურული მაზოხიზმის, ძირძველი მოსახლეობის ამოწყვეტის, ოჯახური ცხოვრებისადმი ზიზღისა და პირადი პასუხისმგებლობის ნაცვლად გედონიზმის მიუღებლობით გამოირჩევა**. რუსები **„ვაჟკაცური ერია, მას მართავს ძლიერი ნება, რომელიც ეროვნულ ინტერესებს იცავს“.**

# დამნაშავე პრეზიდენტი კვლავ ქვეყანას მართავდეს?

## საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით უსუფაშვილს

ვინაიდან თქვენი გუნდის წევრებიც არ კადრულობენ წერილებზე პასუხის გაცემას, ამიტომ მოგმართავთ თქვენ გაზეთის მეშვეობით.

სად არის სამართალი?

როგორც ცნობილია, შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარეობს გამოძიება აღმოჩენილი „გადამალული“ იარაღის, ნარკოტიკებისა და მრავალი ათასი უკანონო ჩანაწერის გამო.

**გამოძიების ვარაუდით, უკანონო ჩანაწერებს სისტემური ხასიათი ჰქონდა და არსებობს ეჭვი, რომ ამ დანაშაულებრივი ვერტიკალის სათავეში იდგა ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი და ამის შესახებ შესაძლებელია ინფორმირებული იყო თვით პრეზიდენტიც.**

**თუ გამოძიებამ დაადასტურა ეს ვარაუდი, მაშინ სავსებით შესაძლებელია, რომ პარლამენტშიც წამოიჭრას იმპიჩმენტის წესით საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი, რომლის უფლებაც აქვს საკანონმდებლო ორგანოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს.**

საკითხი დასკვნისთვის გადაეცემა უზენაეს სასამართლოს ან საკონსტიტუციო სასამართლოს.

დავუშვათ, რომ უზენაესმა სასამართლომ თავისი დასკვნით დაადასტურა პრეზიდენტის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობა და დასკვნის განხილვის შემდეგ პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ კენჭისყრაზე დაისვას იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან პრეზიდენტის გადაყენების საკითხი.

დავუშვათ, რომ პარლამენტმა ვერ მოაგროვა დეპუტატთა სრული შემადგენლობის ორი მესამედი ხმებისა და პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან არ გადააყენა, მაშინ გამოდის, რომ დამნაშავე პრეზიდენტი რჩება სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე?

**ეს არის კანონის წინაშე თანასწორობა? (მ. 14)**

**სად არის სამართალი?**

მოვლენათა განვითარების ასეთი ვარიანტი დღეს ხომ სავსებით შესაძლებელია და არ არის გამორიცხული, რომ მომავალშიც ისევ განმეორდეს.

**საქართველოს სამი პრეზიდენტიდან ბოლო ორი ვითომ ვერ ამჩნევს, თუ როგორ შეარცხვინეს ერი და რა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენეს ქვეყანა თავიანთი დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად. მათ ხომ ფიცც არ დაუდვიათ და ქვეყნის მართვაზე პასუხისმგებლობა არ აუღიათ.**

ცნობისათვის: **აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი აღარ დაელოდა მის წინააღმდეგ იმპიჩმენტის დაწყებას და გადადგა. რისთვის? — უკანონო მოსმენების ხელშეწყობისთვის.**

**ბატონო დავით!**

სერიოზულ ქვეყნებში იარაღზე, საიდუმლო საბუთებსა და ფულად სახსრებზე, მათ შენახვასა და მოვლა-პატრონობაზე დაწესებულია მკაცრი კონტროლი და პერსონალური ყოველდღიური (მუდმივი) პასუხისმგებლობა.

მათი დაცვა, მიღება-ჩაბარება ხორციელდება სათანადო ჟურნალებში ხელმოწერით.

**როგორ შეიძლება სახელმწიფოს კუთვნილი იარაღი უკონტროლოდ დარჩენილიყო?**

ვინც ტერმინს „გადამალული იარაღი“ რაიმე საბაბით ამართლებს, ის დანაშაულის ხელშემწყობია, თუნდაც სამხედრო საქმეში სრულიად ჩაუხედავი იყოს.

**ვის ატყუებენ?**

**პატივისცემით,**

**ალექსანდრე ტოლსტოი**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «საქართველო და მსოფლიოს» რომელმა კითხვამ აღაშფოთა თავდაცვის მინისტრი და რა ახალი მისია იგეგმება ავღანეთში

# «პრაქტიკულად, ჩვენი ჯარი უკვე ნატოშია»

**„საქართველოს დღეს უკეთესი ჯარი ჰყავს, ვიდრე 15 წლის წინ“, — აცხადებენ ექსპერტები. „ჩვენი მისია ავღანეთში სულაც არ არის ბილეთი ნატოში“, — გვესმის ნატოსა თუ ჩვენი მთავრობის უმაღლესი ეშელონებიდან, მაშინ, როცა 2008 წლის ინციდენტის დროს ქართულმა ჯარმა თავი მთლად კარგად ვერ აჩვენა, ხოლო ქართველი მამლუქები ავღანეთში სულ უფრო მძიმე პირობებში იბრძვიან. მიიღებს თუ არა ნატო თავის რიგებში ისეთ ქვეყანას, რომელსაც ტერიტორიული პრობლემები აქვს მოსაგვარებელი და რომელშიც რუსეთის ორი ბაზა უკვე დგას? — ეს არის მთავარი კითხვა, რომელიც ამჟამად აწუხებს საზოგადოებას და რომელზე პასუხის მისაღებადაც „საქართველო და მსოფლიომ“ თავდაცვის მინისტრს — ირაკლი ალასანიას მიმართა.**

## ირაკლი ალასანია: მე არ ვთვლი «ნაციონალურ მოძრაობას» მტრად და მისი დამარცხება და განადგურება არ მიმაჩნია ჩემს მთავარ ამოცანად



**— ბატონო ირაკლი, ნატოში საქართველოს შესაძლო მიღებასთან დაკავშირებით გვაინტერესებს, რამდენად შესაძლებელია, რომ საქართველოში ნატოს სამხედრო ბაზა განლაგდეს, მაშინ, როდესაც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უკვე არის რუსეთის სამხედრო ბაზები? ანუ შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა, რომ ერთ ქვეყანაში ერთდროულად იყოს ნატოსა და რუსეთის სამხედრო ბაზები?**

— ეს კითხვა ვის მოუვიდა თავში? არასდროს არსად გამიგონია ასეთი შეკითხვა.

**— ჩვენ გაგვიჩნდა ეს კითხვა და გვაინტერესებს თქვენი პასუხი....**

— თქვენ გაინტერესებთ? კი, ბატონო... საუბარს ნატოსთან ჩვენი ინტეგრაციის ტემპებით დავიწყებ, სადაც დინამიკა არის არნახულად დიდი. ახლახან ევროატლანტიკური საბჭოს წარმომადგენლები, ნატოს გენერალური მდივანი ჩამოვიდნენ, მათ შეაფასეს თავდაცვის რეფორმა და ჩვენი ჯარების სამშვიდობო მისიაში მონაწილეობა, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო, **მე თამამად შემიძლია გავიმეორო, რაც რასმუსენთან ერთად ვუთხარი ჩვენი შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს – პრაქტიკულად, ჩვენი ჯარი უკვე ნატოშია. რატომ? იმიტომ, რომ მათ ისე ენდობიან ამერიკელები, ბრიტანელები და ჩვენი მოკავშირეები, როგორც საკუთარი ორგანიზაციის, ნატოს წევრებს და ურჩევნიათ კიდეც, რომ მათთან ერთად იყვნენ ბრძოლაში.** აი, ეს არის დიდი მიღწევა ჩვენი ჯარის.

აქედან გამომდინარე, მე ვისურვებდი, რომ პოლიტიკოსებმაც, როგორც საქართველოში, ასევე ნატოს ქვეყნებში, ვცადოთ და დავეწიოთ ჯარს ამ ინტეგრაციაში. **რაც შეეხება სამხედრო ბაზას, საქართველოში არ იგეგმება არანაირი უცხო ქვეყნის ჯარის განლაგება, ეს არის ჩვენი სუვერენული უფლება. მე მგონია, უფრო სწორად, ზუსტად ვიცი, რომ ამაზე საუბარი არ არის.** ჩვენ ევროატლანტიკური საბჭოს წარმომადგენლებს კიდევ ერთხელ დავანახეთ, რომ არა მხოლოდ თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში, არამედ იუსტიციისა და ზოგადად პოლიტიკური სისტემის სტაბილურობის სფეროშიც გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი პროგრესი და, როდესაც წავიდა ჩრდილოატლანტიკური საბჭო, ორივე მხარეს დაგვრჩა ისეთი განცდა, რომ ნატოს მომავალი სამიტისთვის საქართველოს საკითხი იქნება ერთ-ერთი, რომელიც ჩვენი გადმოსახედიდან პოზიტიურად იქნება გადაწყვეტილი, ანუ კიდევ ერთი სოლიდური ნაბიჯი იქნება დაფიქსირებული უკვე ნატოს მიერ საქართველოს ნატოში სრულფასოვანი ინტეგრაციის გზაზე.

**— როგორც ცნობილია, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა ნატოში გაწევრიანებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება. თუ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის კონტექსტში ვისაუბრებთ, რამდენად შესაძლებელია, უფრო ზუსტად, ურთიერთგამომრიცხავი ხომ არ არის აფხაზეთისა და ოსეთის მოსახლეობის ანტინატოური პოზიციის იგნორირება და პარალელურად მათთან შერიგებაზე, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ფიქრი?**

— კვლევები გაქვთ ჩატარებული?

**— ჩვენ არა, მაგრამ ეს რომ ასეა, ამას მოწმობს ის პოლიტიკური პროცესები და მოცემულობა, რომელიც დღეს სოხუმთან და ცხინვალთან დაკავშირებით გვაქვს...**

— მე მაინტერესებდა რაიმე კვლევა ხომ არ არის ჩატარებული? არა, ხომ?.. ჯერ ერთი, მე არ მგონია, ასე ცალსახად იყოს საქმე, ანუ აფხაზეთსა და ცხინვალში მცხოვრები მოსახლეობა ასე ერთმნიშვნელოვნად ნატოს წინააღმდეგი იყოს ან ნატოს მხარდამჭერი, იმიტომ, რომ ეს საკითხი ასე აქტუალურად იქაურ საზოგადოებაში განხილული არ არის. მე ეს ვიცი. მეორეც – ჩვენ დავიწყეთ პრაგმატული ურთიერთობები რუსეთის ფედერაციასთან, რაც ემთხვევა იმ პოლიტიკას, რომელიც საქართველოს აქვს უფრო მყარი ინტეგრაციის გზაზე ნატოსკენ, ნატოს პარტნიორებსაც მეტი სიმშვიდისთვის სჭირდებათ, რომ საქართველო იყოს პოლიტიკურად მოწიფული და არ ეგებოდეს პროვოკაციებზე. აქედან გამომდინარე, სწორედ ეს ახალი პოლიტიკა რუსეთის მიმართ მხარს უჭერს გრძელვადიან საქართველოს ინტეგრაციას ევროპაში. რუსეთთან ჩვენ დავიწყეთ ისეთი საკითხებით ურთიერთობა, რომლებიც, ჩვენი გადმოსახედიდან, დღეს შესაძლებელია, რომ წარმატებულად განხორციელდეს. ეს არის ვაჭრობა, ეკონომიკა. ამასთან ერთად, ეს მოგვცემს საშუალებას, მეტი სივრცე გვქონდეს აფხაზებთან და ცხინვალის რეგიონის ჩვენს მოსახლეობასთან ურთიერთობისთვის. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მეტი შესაძლებლობა გვექნება, უკეთ გავაცნოთ ახლიდან თავი აფხაზებსა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას. დარწმუნებული ვარ, რომ წლების განმავლობაში (არავინ იცის, ერთ თუ ხუთ წელიწადში) ეს პოლიტიკა, ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარება ნდობას აღადგენს ჩვენ შორის და იმ კონდენციამდე მივა, რომ აფხაზური და ოსური საზოგადოება უფრო დადებითად იქნება განწყობილი ქართველებთან ერთად ევროპის საერთო ოჯახში ყოფნის მიმართ, ვიდრე რუსეთის ოკუპაციის ქვეშ დარჩენაზე.

**«ჩვენი შეიარაღებული ძალები ავღანეთს 2014 წლის ბოლომდე დატოვებს. შემდეგ უკვე ჩვენ განვაცხადეთ პოლიტიკური ნება — ახალ მისიაში მივიღოთ მონაწილეობა, რომელიც იქნება არასაბრძოლო და იქნება დახმარება, გამოცდილების გაზიარება ავღანური შეიარაღებული ძალებისთვის»**

**— და თუ არ შეიცვალა მათი განწყობები? მაშინ ნათელია, რომ ამ დისპოზიციით ნატოში შესვლის ერთადერთი პერსპექტივა და გზა გადის ამ ალიანსში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე გაწევრიანებაზე, მიიღებს კი ამას ქართველი ხალხი და დათანხმდება კი ასეთ გაწევრიანებას თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია?**

— ეს საკითხი არ დგას და არ დადგება ჩვენგან, არც ჩვენი ნატოელი პარტნიორების მხრიდან. ეს არის განწყობები, რომლებიც შეგნებულად შემოაქვთ მარგინალური პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებს ან ანტიევროპული და ანტინატოს განწყობების წამხალისებლებს საქართველოში. **დიახ, ეს მიზანმიმართული კამპანიაა, უნდათ საზოგადოებაში გააჩინონ ისეთი ეჭვები, რომ ჩვენ ნატოში გაწევრიანების შანსი არ გვაქვს თუ არ დავთმეთ აფხაზეთი და ცხინვალი. ეს არის ტყუილი, ვიმეორებ, ეს მიზანმიმართული კამპანიაა და რეალობასთან ამას არაფერი საერთო არ აქვს.** დღეს საქართველო არის ნატოს საიმედო პარტნიორი და ეს 15 წელიწადში მოხდა. თქვენ წარმოიდგინეთ, მომავალ 15 წელიწადში რა ქვეყანად გადაიქცევა საქართველო. საქართველო გადაიქცევა ქვეყანად, რომელსაც შეეძლება რეგიონული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რომელიც იქნება ლიდერი კავკასიაში, როგორც დემოკრატიული განვითარების, ასევე სამხედრო შესაძლებლობების. აქედან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მომავალი არის ევროპულ ოჯახსა და ევროატლანტიკურ სივრცეში.

**— თუმცა საზოგადოების ზოგიერთი ცნობილი წარმომადგენლის განწყობა ნატოს მიმართ შეცვლილია... ავღანეთში ჩვენი ჯარების ყოფნისა და გარდაცვლილი ბიჭების გამოც უნდა გკითხოთ... როგორც ერაყში, ისე ავღანეთში ჩვენი სამხედროების ყოფნას წინა ხელისუფლება ხსნიდა იმით, რომ ეს აუცილებელია ნატოში გაწევრიანებისთვის. ამასწინათ თბილისში ჩამოსულმა რასმუსენმა კი გარკვევით გვითხრა, რომ ჰელმანდის პროვინციაში გაღებული მსხვერპლი და ავღანეთში ჩვენი კონტიგენტის ყოფნა არ არის ჩვენი ბილეთი ნატოში... და თუკი ამ მიზანს არ ემსახურებოდა და მხოლოდ თავის გამოსაჩენად იყო საჭირო ჩვენი ავღანეთში ყოფნა, ამის გაკეთება ხომ ერთი ასეულითაც შეიძლებოდა?**

— აბსოლუტურად არასწორი შეფასება ჰქონდა წინა ხელისუფლებას, ეს იყო სპეკულაციური შეფასება. ავღანეთში ჩვენ იმიტომ ვართ, რომ გვჯერა იმ ღირებულებების, რომლებიც აერთიანებს დემოკრატიულ საზოგადოებას. **მე მჯერა იმის, რომ იქ ქართველი ბიჭები იცავენ საქართველოს უსაფრთხოებას, იმიტომ, რომ იქ თუ დაბრუნდნენ ტერორისტები, იქ თუ „ალქაიდამ“ ისევ აღადგინა საკუთარი სტრუქტურები, მაშინ მოგვიწევს ტერორისტებთან ბრძოლა საკუთარ სახლში, აქ, თბილისში და ევროპის ქვეყნებში. ამიტომ არის ეს არასწორი გაგება და წინა ხელისუფლება თუ კი ასეთ რამეს ავრცელებდა, იყო არასწორი. არავითარი საფასური ეს არ არის, ეს არის ის, რომ ჩვენ, ქართულმა საზოგადოებამ, წვლილი უნდა შევიტანოთ საერთო უსაფრთხოებაში. გარდა ამისა, ასევე მცდარია და შეგნებულად ავრცელებენ აზრს, რომ, თუ კი რუსეთთან ვერ მოვილაპარაკეთ, ნატოში არავინ შეგვიშვებს. ნატოში ჩვენი გაწევრიანება არ არის დამოკიდებული რუსეთზე, მეორეს მხრივ, ჩვენი პრაგმატული ურთიერთობა რუსეთთან გვაძლევს იმის საფუძველს ვივარაუდოთ, რომ მომავალში რუსეთი დაინახავს რეალურად როგორ სჭირდება ძლიერი მეზობელი სამხრეთში, როგორიც არის საქართველო და დარწმუნებული ვარ, რუსეთშიც, ადრე თუ გვიან, მოხდება სასიკეთო ცვლილებები, რუსეთშიც ის განწყობები დაისადგურებს, რაც დაემთხვა რუსეთის, საქართველოსა და ევროპის თანაცხოვრების აბსოლუტურად სამართლიან ფორმებს.**

**— ფიქრობთ, ნატოსკენ სწრაფვა რომ გავაგრძელოთ, რუსეთთან თანამშრომლობას შევძლებთ? ეს ურთიერთგამომრიცხავი არ არის?**

— ეს არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, დიახ, ასე ვთვლი. იცით, სხვანაირმა გეგმამ აქ არ იმუშავა აქამდე. აქედან გამომდინარე, ჩვენი გეგმაა პრაგმატული ურთიერთობა რუსეთთან, ოღონდ არა საქართველოს ეროვნული ინტერესების დათმობის ხარჯზე.

**— კვლავ ავღანეთის თემას დავუბრუნდეთ, 2014 წლამდე ჩვენი კონტიგენტის შემცირება არ შეიძლებოდა?**

— ჩვენ ვასრულებთ მისიას 2014 წელს, ეს ვალდებულება აღებული აქვს საქართველოს და ჩვენი სახელმწიფო თავის ვალდებულებას ასრულებს, ამიტომ ამას ბოლომდე მივიყვანთ. ჩვენ ველოდებით ოქტომბერში ნატოს სარდლობის ოპერატიულ გეგმებს, რომელთა მიხედვითაც დაიწყება ეტაპობრივად ჩვენი ჯარის შემცირება და შემდეგ სრული გამოყვანა. ჩვენი შეიარაღებული ძალები ავღანეთს 2014 წლის ბოლომდე დატოვებს. შემდეგ უკვე ჩვენ განვაცხადეთ პოლიტიკური ნება — ახალ მისიაში მივიღოთ მონაწილეობა, რომელიც იქნება არასაბრძოლო და იქნება დახმარება, გამოცდილების გაზიარება ავღანური შეიარაღებული ძალებისთვის. ჩვენ, ამერიკელები, ავღანელები, ბრიტანელები და ა.შ. ერთობლივად ვგეგმავთ ასეთი დახმარების ტიპის მისიის გაგრძელებას 2014 წლის შემდეგ. რატომ მივიღეთ ეს გადაწყვეტილება? **პირველი – ბოლომდე რომ მივიყვანოთ ჩვენი საქმე და ავღანურ საზოგადოებას მივცეთ შესაძლებლობა განვითარებისთვის. ეს უნდა იყოს წარმატებული პროექტი და ჩვენი უსაფრთხოების გეგმებში შედის, რომ ავღანეთიც არ იყოს ტერორისტებისთვის ნავსაყუდელი. როგორც გითხარით, დაწყებული საქმე უნდა გავაგრძელოთ,** ▶

**„პრემიერის კითხვაზე, ბედუკაძემ ხომ დანაშაული ჩაიდინა და ის ასე თავისუფლად დადის, მე მაქვს პასუხი, რომ უამრავი დამნაშავე დადის დღეს თავისუფალი და მათ უფრო მაღალი თანამდებობები უკავიათ.“**

სკანდალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რომ ავღანელებს ჰქონდეთ განვითარების საშუალება. ვიმეორებ, ეს იყო ჩვენი ვალდებულება, რომელიც ავიღეთ და უნდა შევასრულოთ ბოლომდე, ესეც რომ არა, როდესაც თავს დაგესხმება მტერი, შენ კი არ უნდა გაიქცე, უნდა გამაგრდე და გააგრძელო ბრძოლა. როგორც კი ჩვენ ამ ტრაგედიის გამო შევცვლიდით ჩვენს პოლიტიკას, გაასმაგდებოდა თავდასხმები. „ალქაიდა“ დაინახავდა, რომ მათმა ტაქტიკამ გაჭრა. ეს არის მიუღებელი ჩემთვის.**

**— საქართველოს მოსახლეობის განწყობაც ყოველთვის არ არის ერთგვაროვანი, ცოტა ხნის წინ ითვლებოდა, რომ სამეგრელოში თქვენს ავტორიტეტს ალტერნატივა არ ჰყავდა... მერე ითქვა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ზუგდიდი დათმო, გარიგება დადო ახალაიების კლანთანო... რამ გამოიწვია თქვენი დამარცხება და პარლამენტის დასტური ამაზე?**

— ეს აბსურდია, ამიტომ არც გაგცემთ პასუხს, უსუსური აზრი დაებადა ვიღაცას, თქვენ არ გაყენებთ შეურაცხყოფას. მე მადლიერი ვარ იმ ვაჟკაცი ადამიანების, რომლებმაც ხმა მოგვცეს. პრაქტიკულად, ზუგდიდში ჩვენ მოვიგეთ არჩევნები, მაგრამ ჩვენ ვაშენებთ სამართლებრივ სახელმწიფოს და რა გადაწყვეტილებაც მიიღო საარჩევნო კომისიამ, ჩვენ, როგორც კანონმორჩილი მოქალაქეები, უნდა დავემორჩილოთ. რა თქმა უნდა, უსამართლობის განცდა გვაქვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ განცდას გადავაყოლოთ სახელმწიფო ინტერესები. ბუნებრივია, სამეგრელოში მცხოვრები ადამიანები ამით უკმაყოფილონი არიან, მაგრამ ეს არის რეალობა. დარწმუნებული ვარ, ეს რეალობა თვისობრივად შეიცვლება მთელ ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, რომელიც ჩაივლის უმაღლესი ევროპული სტანდარტებით.

**— და „ქართული ოცნების“ კანდიდატს ვერავინ გაუწევს კონკურენციას?**

— მე დიდი იმედი მაქვს და შინაგანი რწმენა, რომ ჩვენი კანდიდატი, გიორგი მარგველაშვილი, გაიმარჯვებს ამ არჩევნებში.

**— სხვათა შორის, არჩევნების წინ თქვენ ითვლებოდით პრეზიდენტობის რეალურ კანდიდატად, თუმცა არც პრეზიდენტობის კანდიდატად დაგასახელეს და ვიცეპრემიერის პოსტიდანაც კი მოხდა თქვენი ჩამოშორება, კლანური დაპირისპირების მსხვერპლი ხართ თუ ვიცეპრემიერობა პრეზიდენტის კანდიდატობას ნიშნავდა თავისთავად?**

— **ზოგადად, პოლიტიკას მე სულ ვადარებ ჯაზს, რომელიც მუდმივ იმპროვიზაციებს ითხოვს და ქართული პოლიტიკაც ძალიან მრავალფეროვანი და მოულოდნელობებით აღსავსეა.** ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ მე წილად მხვდა პატივი, ვუხელმძღვანელო ქართულ არმიას და ის გეგმები, რომლებიც აქ დავაწყვეთ (არის მხარდაჭერილი პრემიერისა და მთავრობის მხრიდან), მინდა, რომ ბოლომდე მივიყვანო. რაც შეეხება მარგველაშვილს, ის არის ღირსეული კანდიდატი. მე ამ გადაწყვეტილებას (როგორც კი გამაცნო პრემიერმა) მივესალმე და თავიდანვე დავეთანხმე.

**— აქვე გკითხავთ, უმცირესობის ლიდერსა და პრეზიდენტობის შესაძლო კანდიდატ დავით ბაქრაძეს რატომ იწვევენ მოსალაპარაკებლად პარლამენტის თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი მაშინ, როცა რანგის მიხედვით მასთან საგანელიძეს ან ნებისმიერ სხვა დეპუტატს უნდა გაემართა კონსულტაციები? რა ხდება, მაზანდას უწევენ? თქვენ სამხედრო ბრძანდებით და იცით, რომ მოწინააღმდეგე ბანაკის ზემდეგს მოსალაპარაკებლად გენერალი არ დაუჯდება...**

— მე მგონია, რომ ეს შეხვედრა იყო საქმიანი და კარგი. მე არ ვიზიარებ მაგ მოსაზრებას, რაც თქვენ ბრძანეთ, მაზანდის აწევას ვგულისხმობ. მე გამიხარდა ისიც, რომ შედგა შეთანხმება იმაზე, რომ პოლიტიკა დაბრუნდეს პარლამენტში და პარლამენტარებმა პარლამენტში განაგრძონ მუშაობა.

**— კი მაგრამ, „ნაცმოძრაობას“ ხომ მეტ ყურადღებას არ უთმობენ, ვიდრე მათ ეს დაიმსახურეს, „ქართული ოცნება“ ცდილობს ხელოვნურად გააცოცხლოს ისინი?**

— რაც საზოგადოებამ გააკეთა, ოქტომბრის არჩევნებით დაადასტურა, რომ პოლიტიკური კულტურა და სიმწიფე საზოგადოებაში მაღალ დონეზეა. შემდეგი ეტაპი პოლიტიკური კულტურის დამკვიდრების არის ის, რომ, რაც უნდა დაპირისპირებულნი ყოფილიყვნენ, პოლიტიკური ძალები მოძებნიდნენ თუ არა საკუთარ თავში ძალას, რომ გარკვეულ კონკრეტულ საკითხებზე შეთანხმდნენ. ამიტომაც თანაარსებობა პოლიტიკური ძალებისა და შეთანხმება საგარეო პოლიტიკასა და ქვეყნის უსაფრთხოებაზე თუ ხდება, ე. ი. დემოკრატიული პროცესები საზოგადოებაში გაჯანსაღდა და ამაზე შეთანხმებას მივაღწიეთ. ჩვენ შურისძიება არ უნდა გადავიტანოთ პოლიტიკურ ძალაზე, სისტემურ დანაშაულს ვინც სჩადიოდა, ყველა უნდა დაისაჯოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ პოლიტიკური პროცესი გავაჩეროთ. აქედან გამომდინარე, თანაარსებობა პოლიტიკური ძალებისა და შეთანხმება ქვეყნის წინსვლისთვის აუცილებელია.

**— თუმცა სამხედრო აქსიომაა – როცა უკვე დამარცხებული მტერი არ ნებდება მას ანადგურებენ... რა ხდება ჩვენთან?**

— მე აბსოლუტურად სხვა განწყობა მაქვს. მე არ ვთვლი „ნაციონალურ მოძრაობას“ მტრად. მათი დამარცხება და განადგურება არ მიმაჩნია ჩემს მთავარ ამოცანად. რაც შეეხება იმ შედარებას, რომ ბრძოლაში დამარცხებული ბოლომდე უნდა გაანადგურო, ჯერ ერთი, საქართველო პატარა ქვეყანაა და ჩვენ იმის ფუფუნება არ გვაქვს, რომ ერთმანეთს ასე გავუსწორდეთ; მეორე, ვინც არის დამნაშავე, იმან კანონის წინაშე უნდა აგოს პასუხი და არა ის, რომ პიროვნული სასამართლოები მოვაწყოთ. ყველამ კანონის წინაშე უნდა აგოს პასუხი — დაწყებული პრეზიდენტით, დამთავრებული რიგითი მოქალაქით.

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

# კბილაშვილი ივანიშვილის წინააღმდეგ?!

# მთავარი პროკურორის სკანდალური განცხადება



**დიდია ალბათობა, რომ საქართველოს მთავარი პროკურორის თანამდებობა ვაკანტური გახდეს. თუ ეს მოსაზრება რამდენიმე დღის წინ ჯერ კიდევ საეჭვო იყო, პროკურატურაში 9 ივლისს გამართულმა ტრადიციულმა ბრიფინგმა ამ ეჭვს საკმაოდ მყარი საფუძველი გაუჩინა. საუბარია ბიძინა ივანიშვილის განცხადებაზე, რომელმაც საქართველოს პროკურატურას სუსტი უწოდა, ხოლო მთავარ პროკურორ არჩილ კბილაშვილს ურჩია, გადაეხედა ვლადიმერ ბედუკაძისთვის განსაკურებით შეღავათიან რეჟიმში გაფორმებული საპროცესო შეთანხმებისთვის, იმიტომ, რომ „წამებაში მონაწილე პირი უნდა დაისაჯოს“.**

ამიტომაც არავის გაჰკვირვებია, როდესაც კბილაშვიოლმა არც აცია, არც აცხელა და ბრიფინგი პირდაპირ ბიძინა ივანიშვილისთვის განკუთვნილი პასუხით დაიწყო, თან ისე, რომ შეკითხვებს ჟურნალისტების მხრიდან არც კი დალოდებია.

**„პრემიერის კითხვაზე, ბედუკაძემ ხომ დანაშაული ჩაიდინა და ის ასე თავისუფლად დადის, მე მაქვს პასუხი, რომ უამრავი დამნაშავე დადის დღეს თავისუფალი და მათ უფრო მაღალი თანამდებობები უკავიათ.** ლადო ბედუკაძის მიერ გადმოცემული კადრების შემდეგ ბევრ რამეს მოეფინა ნათელი. ჩვენ ამ მასალების საფუძველზე დავიწყეთ სისტემური გამოძიება საქართველოში არსებულ ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულების. 18 დაწესებულებიდან ჩვენ მიერ დაკითხულ იქნა 2300 პატიმარი. ეს უზარმაზარი ციფრია. მე მაქვს ხელთ პატარა ამონარიდი, ე. წ. ანალიტიკური დასკვნა იმ ჩვენებების ანალიზის საფუძველზე გაკეთებული, რომელიც ამ 2300 პატიმრის ჩვენებების საფუძველზე იქნა მიღებული. ჩამოგითვლით მეთოდებს, რომელი მეთოდებითაც პატიმართა მიმართ ხდებოდა მოპყრობა საქართველოში:

**ცემა-წამება, არაჰუმანური მოპყრობა ჯგუფურად, შეუჩერებლად, მრავალჯერ, უმიზეზოდ, სასტიკად, რეზინის ხელკეტით, კრივის ხელთათმანით, სავარჯიშო ბალიშით, ერთი მეტრის სიგრძის წყლის პლასმასის მილით, პლასმასის ორლიტრიანი წყლით სავსე ბოთლით, წამება ელექტროშოკით, წყლით სავსე ჭურჭელში თავის ჩაყოფით, ხილის ჭამით ბორკილდადებული პატიმრების ცემით, ზურგსუკან შეკრული ხელებით, რომელსაც აბამდნენ ტრენაჟორებზე, ხელ-ფეხ შეკრულს საათობით ჰკიდებდნენ სავარჯიშო ძელზე, ახდენდნენ აღნიშნული კადრების ვიდეოგადაღებას. ცემა-წამება როგორც საკნებში, ასევე ღია ტერიტორიაზე. პატიმრებს საათობით ამყოფინებდნენ წვიმასა და თოვლში ღია ცის ქვეშ. სასჯელ აღსრულებით დაწესებულებაში მიყვანისთანავე თვითმხილველთა თანდასწრებით საიდუმლო თანამშრომლობაზე უარის თქმის შემთხვევაში — ხმამაღალი სიცილის, ლაპარაკის, რაიმე პრეტენზიის, პროტესტის გამოთქმის შემთხვევაში, გასეირნების ან წყლის მოთხოვნის შემთხვევაში ხდებოდა პატიმართა მასობრივი დასჯა. პატიმრების მხირდან სამედიცინო დახმარების, ექიმის, წამლის მოთხოვნის გამო, მიუხედავად იმისა პატიმარი იყო ნაოპერაციები თუ ავადმყოფი, ხდებოდა მათი სასტიკად ცემა, რითაც მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმდებოდა. ადგილი ჰქონდა კბილების ჩამტვრევის, ნეკნების დაზიანების არაერთ შემთხვევას. წამლის მოთხოვნის გამო ისჯებოდა მთელი საკანი, რაც ზოგ შემთხვევაში საკნის ერთ თვემდე გამოკეტვით ხორციელდებოდა. იკეტებოდა საკნის ფანჯრები. რამდენიმე დღე იკეტებოდა წყალი, რის გამოც დგებოდა ანტი-სანიტარიული პირობები. ბანაობის დროს სისტემატურად უწყვეტდნენ წყალს და პატიმრები რჩებოდნენ საპნიანები. ხშირი იყო შემთხვევა, რომ აბანოში უშვებდნენ მხოლოდ ცივ ან ცხელ წყალს. პატიმრებს აიძულებდნენ ცხელი კერძები ეჭამათ რამდენიმე წუთში. ვინც ვერ ასწრებდა, აღვრევინებდნენ დარჩენილ საჭმელს და რჩეოდნენ მშიერი. დასჯის მიზნით მშიერ პატიმარს აყენებდნენ კუთხეში და აცქერინებდნენ სხვების ჭამას. დანარჩენებს კი აიძულებდნენ ეჭამათ. იყო გაუპატიურების და გაუპატიურების მუქარის ფაქტები. პატიმრებს აიძულებდნენ ზეპირად სცოდნოდათ ციხის დაუწერელი კანონები. ფსიქოლოგიური ზეწოლის თვალსაზრისით, უძილობა, საკნებში ხმამაღლა საუბრის, ჩურჩულის აკრძალვა. კარანტინის დაშლის დროს არაჰუმანური მოპყრობა. ადგილი ჰქონდა ე.წ. წითელ პარასკევს, როდესაც ყველა პატიმარი გამოჰყავდათ კამერიდან და ათავსებდნენ ერთ დიდ ოთახში. შემდეგ სათითაოდ იძახებდნენ დერეფანში და უმოწყალოდ სცემდნენ რამდენიმე წუთის განმავლობაში. პატიმართა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მიყვანის დღეს არსებობდა გარკვეული წესი — მათ ატარებდნენ ხელკეტებითა და პლასმასის მილებით შეიარაღებული სპეცრაზმელებისგან შემდგარ ე.წ. კორიდორში. რა დროსაც ხდებოდა მათი სასტიკად ცემა. შემდეგ პატიმარი გადიოდა „სად“-ის თანამშრომლებისგან შემდგარ ე.წ. კორიდორს. აღნიშნულის შემდგომ მას აშიშვლებდნენ, აკეთებინებდნენ ბუქნებს, რის შემდეგაც ათავსებდნენ კარანტინში. კარანტინიდან გამოყვანისას მსჯავრდებულებს კვლავ სცემდნენ განსაკუთრებული სისასტიკით და ანაწილებდნენ საკნებში. პატიმრებს პარსავდნენ თავს. უარეს შემთხვევაში, ძალის გამოყენებით აჩოქებდნენ, აძინებდნენ, აფურთხებდნენ, სცემდნენ და ისე პარსავდნენ. დამცირების მიზნით ნახევრად პარსავდნენ. ასევე წვერსაც ნახევრად პარსავდნენ. შემდგომ ყველანი, რამდენიმე ათეული ერთად შეჰყავდათ აბანოში, სადაც აჩერებდნენ 3-5 დღე. გაჰყავდათ მხოლოდ საჭმელად. აბანოში არ იყო არანაირი საყოფაცხოვრებო პირობები, იდგა რამდენიმე გრძელი სკამი, პატიმრებს ეძინათ ბეტონის იატაკზე მორიგეობით. ზოგ შემთვევაში სპეციალურად უშვებდნენ ცხელ წყალს საათობით, არ აძლევდნენ ფანჯრის გაღების საშუალებას, ონკანები არ იკეტებოდა, არც ცივი წყალი მოდიოდა. იდგა აუტანელი სიცხე. ყოველივე ამას ჰქონდა სისტემატური ხასიათი. სასტიკად ნაცემ და ნაწამებ პატიმრებს სვამდნენ კარცერში 10-20 დღით ჭრილობებისა და დაზიანების მორჩენამდე. საკანში აკეცილი და კედელზე ბოქლომით მიბმული იყო საწოლი, არ ჰქონდათ ლოგინი და იყო მხოლოდ გადასაფარებელი. ეძინათ ბეტონის იატაკზე. ნაცემი პატიმრების ასივე პროცენტი გადაჰყავდათ კარცერში ან იშვიათ შემთხვევაში დასასჯელად მოწყობილ სპეციალურ საკანში, სადაც არ იყო ფანჯარა, წყალი, საწოლი და პირადი მოხმარების საგნები, ვენტილაცია განზრახ იყო დახშული.**

(ამ ნუსხის წაკითხვის შემდეგ კბილაშვილმა შეისვენა და შემდეგ განაგრძო)

მე მესმის საზოგადოების მხრიდან, ზოგჯერ სამართლიანი კრიტიკაც, — კი მაგრამ, ის ფაქტები ხომ სახეზეა, ის ხომ მონაწილეობდა ამის ჩადენაშიო. კი, ბატონო, ეს ასეა, სწორედ ამიტომ იყო მნიშვნელოვანი განსჯის საგანი ყოველივე. მაგრამ მსჯელობის დროს გაჩნდა ეს არგუმენტები, თუ რატომ უნდა გამოგვეყენებინა შეღავათიანი რეჟიმი მის მიმართ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 218 მუხლის I ნაწილით გვენიჭება უფლებამოსილება, რომ დანაშაულზე გამოყენებულ იქნას განსაკუთრებული უფლებამოსილება და პირი გაათავისუფლოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან ან მიიღოს სხვადასხვაგვარი გადაწყვეტილება სასჯელის გადახედვის თაობაზე. ეს გადაწყვეტილება მოცემულ შემთხვევაში განხორციელდა ბედუკაძესთან მიმართებაში. ეს არის ფორმალური მხარე. ამის იქით უკვე მნიშვნელოვანია შინაარსობრივი ასპექტი — რა გარემოებები გახდა საფუძვლი იმისა, რომ მე მიმეღო გადაწყვეტილება ამ უფლებით სარგებლობაზე. ბრალდების მხარეს დადგენილად მიაჩნია ბედუკაძის მხრიდან კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა, მაგრამ მის მიერ გავრცელებული კადრების შემდეგ საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შეწყდა პატიმართა ცემა, წამება, არაადამიანური მოპყრობა და ათასობით პატიმარი გადარჩა საშინელი ბედის გაზიარებას. ეს ყველაზე დიდი დამსახურებაა, რაც ამ ვიდეომასალებმა წარმოშვეს. ასევე მინდა აღვნიშნო შემდეგი: ვლადიმერ ბედუკაძემ ეს ვიდეომასალა გადასცა გასავრცელებლად 2011 წლის სექტემბერში. ივანიშვილმა კი საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე განცხადება 2012 წლის ოქტომბერში გააკეთა, ანუ როდესაც მან ამ ვიდეოკადრების გადაცემის თაობაზე მიიღო გადაწყვეტილება, მას არ შეიძლება ჰქონოდა მათზე რაიმე პოლიტიკურ გათვლა. შვიდივე ეპიზოდი, რომლებშიც ჩვენ მას ბრალი დავდეთ, არის მის მიერ წარმოდგენილი ვიდეომასალა. თავად განსაჯეთ, ადამიანმა, რომელმაც წარმოადგინა და გაასაჯაროა ეს ვიდეომასალა, ხარაკირი გაიკეთა. ამ დროს შვიდივე ეპიზოდი 9-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ყველას კარგად გვახსოვს, რომ უახლოეს დრომდე მუშაობდა შეკრებითობის პრინციპი სისხლის სამართალში და ყველაზე მინიმალური სასჯელით ბედუკაძეს 60 წელი ემუქრებოდა. დიდი ალბათობაა, რომ მას იმავე მეთოდებით გაუსწორდებოდნენ, რაც არის ვიდეოფირზე აღწერილი. მაგრამ იგი მოიქცა არაანგარებითობიდან გამომდინარე. ეს ძალიან მნიშვნელოვანია! ამ ადამიანს არ უვაჭრია ამ ვიდეომასალით და ფული არ გაუკეთებია. ასე რომ, როდესაც ივანიშვილმა გააკეთა განცხადება ბედუკაძესთან დაკავშირებით, ის არ იყო საქმის კურსში იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც ჩვენ მივიღეთ. რაც შეეხება პრემიერის კრიტიკას, **მე მქონდა 2-3 დღის წინ პრემიერთან საუბარი. რასაკვირველია, მის ამ აზრს პატივს ვცემ, ჩემი დამოკიდებულება პრემიერის და სხვათა მიმართ პატივისცემის გამომხატველია, როგორც ყველაზე მაღალი მორალისა და სტანდარტების მქონე პოზიციის მქონე, მაგრამ მე ჩავთვალე, რომ ამ შემთხვევაში ძალიან მაღალი მორალური სტანდარტის გამოყენება არ უნდა მომხდარიყო, ვინაიდან მაშინ სამართლიანი ნაკლებად იქნებოდა. რომც მქონდეს აზრი შეცვლილი და სურვილი, რომ რაიმე შევცვალო, ამის შესაძლებლობა არ არსებობს. ასე რომ, გადაწყვეტილება ვლადიმერ ბედუკაძესთან დაკავშირებით დარჩება ისე, როგორც ეს არის მიღებული.“**

ასე რომ, საქართველოს მთავარი პროკურორი ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ წავიდა. თან ეს მან გააკეთა მრავალრიცხოვანი ჟურნალისტების თვალწინ. გახდება თუ არა ხსენებული ბრიფინგი მისთვის საბედისწერო, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს.

**თამარ ნაზღაიძე**

«საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცი»
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რასმუსენის ლოგიკით, თურმე მთელი საქართველო რომ გაწყდეს ავღანეთის ომში, ვერ შევალთ ნატოში, არ მოგვცემენ ამის უფლებას. ავღანეთში ომი, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში კოალიციის მხარში დგომა, თავის გაწირვა თურმე არაფერს ნიშნავს, ხოლო გადამწყვეტი მნიშვნელობისა ყოფილა ქართველი კაცისთვის აბსოლუტურად მიუღებელი ჰომოსექსუალების უფლებების დაცვა.“**

# უშიშროების ორი გენერალი ნატოს გენმდივნის წინააღმდეგ

**საქართველოში ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ჩამოსვლას, რომელსაც ნატოს გენერალური მდივანი რასმუსენი ედგა სათავეში, რადიკალურად განსხვავებული შეფასებები მოჰყვა: ერთის მხრივ, სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე აღვლენილი მხარდაჭერა ნატოსკენ სწრაფვის, მეორე, — წლების განმავლობაში დაპირებებით ნაკვები უქმი სვლა, რომლის გამოც წმინდა წიგნისეული შეგონება „დააკაკუნე და გაგეღება“ ჩვენს სინამდვილეში არ გამართლდა. საქართველო კვლავ დაკეტილი კარის წინაშე დააყუდეს. ეს მეორე შეფასება უფრო ყრუდ ისმის, მაგრამ ისე ჩანს, რომ თანდათან დომინანტის ადგილს იკავებს საზოგადოებრივ აზროვნებაში აშკარა უკმაყოფილების სახით.**

**„საქართველო და მსოფლიოს“ დღევანდელი ნომრის რუბრიკაში „საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცი“ ამ თემაზე სასაუბროდ მოვიწვიეთ სახელმწიფო უშიშროების დამსახურებული ხელმძღვანელები — უშიშროების გენერალ-მაიორი ანზორ მაისურაძე და უშიშროების გენერალ-ლეიტერანტი ვალერი ჩხეიძე.**






## ვალერი ჩხეიძე: საგარეოპოლიტიკური ვექტორი უნდა შეიცვალოს

— ჩვენი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის ვექტორი კვლავ ჩრდილოატლანტიკური კავშირისკენაა მიმართული. ბატონმა რასმუსენმა არა მარტო საქართველოში ყოფნისას მოგვიწოდა ამ მიმართულების ერთგულებისკენ, არამედ ორიოდ დღის წინათ კვლავ და კვლავ გაიმეორა, რომ ამჟამად დიდი შესაძლებლობების დროა და ამიტომ ქვეყნების (მათ შორის, ჩვენი ქვეყნის) მეთაურებმა უნდა გააგრძელონ ნატოსკენ მიმავალი ბილიკით სიარული:

დიდი შესაძლებლობის დროს ვიწრო ბილიკით სიარული ცოტა გაუგებარი მეტაფორაა და ეგებ თქვენ განუმარტოთ ჩვენს მკითხველებს, ეს რას უნდა ნიშნავდეს.

**ანზორ მაისურაძე:**

— გასაშიფრი არაფერია, პასუხი ხელის გულზე დევს: ალოგიკურია ეს მოწოდება, ისეთივე უსაფუძვლო, როგორიც იყო და არის დაპირება ნატოში ჩვენი მიღების.

მინდა გითხრათ, რომ საქართველოში ჩამოსულმა ბატონმა რასმუსენმა შეურაცხყოფა მიაყენა ქართველ ხალხს: **მან შვიდი ქართველი მეომრის ავღანეთში გმირულად დაღუპვა არად ჩააგდო, დაგვდო პატივი და განგვიმარტა, რომ აღმოსავლეთის იმ ცხელ წერტილში ქართველების ომი არ არის ნატოში ჩვენი უპირობო შესვლის გარანტია. სამაგიეროდ 17 მაისს დემოკრატიულად რომ არ მოექეცით ჰომოსექსუალებს, ეს ძალიან შეგიშლით ხელსო.**

**— პედერასტების უფლებები რომ დაარღვიეთ, იმიტომო?**

— დავარღვიეთ კი?! მისი ლოგიკით, თურმე მთელი საქართველო რომ გაწყდეს ავღანეთის ომში, ვერ შევალთ ნატოში, არ მოგვცემენ ამის უფლებას. ავღანეთში ომი, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში კოალიციის მხარში დგომა, თავის გაწირვა თურმე არაფერს ნიშნავს, ხოლო გადამწყვეტი მნიშვნელობისა ყოფილა ქართველი კაცისთვის აბსოლუტურად მიუღებელი ჰომოსექსუალების უფლებების დაცვა.

ამის შემდეგ, ალბათ, არ გაგიკვირდებათ, თუ ბატონ რასმუსენს ვეტყვი — წადი რა, შენი გზით იარე!

**— ბატონო ვალერი, თქვენც ასე კატეგორიულად ხართ განწყობილი?**

**ვალერი ჩხეიძე:**

— რასმუსენი ისეთი რა ფიგურაა, რომ მისი ნათქვამი გულის ფიცარზე დავიწეროთ?! მაგას ვინ ეკითხება ნატოში საქართველოს მიღება-არმიღებას?! იგი ჩვეულებრივი, დაქირავებული ჩინოვნიკია, რომელმაც უნდა გაიმეოროს ის, რასაც ეუბნებიან. საკუთარი აზრის გამოხატვა მის მოვალეობაში არ შედის. იგი ჩვეულებრივი მარიონეტია იმ საერთაშორისო გლობალური პროცესების წარმმართველი ძალის, რომელიც ამჟამად, ვითარებათა მრავალთა გამო, ცდილობს, თავისი შეხედულებებისამებრ განახორციელოს საერთაშორისო პოლიტიკა.

ვეთანხმები ბატონ ანზორს — **რასმუსენმა მართლაც მოგვაყენა შეურაცხყოფა. კარგი, ის გადამთიელია და ჩვენი ეროვნული სულისკვეთების ცოტა რამ თუ ესმის, ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის გაგებაში კი ნამდვილად არ არის. სხვაგვარად როგორ უნდა შევაფასოთ მისი განცხადება, რომ სააკაშვილი ისტორიაში შევა, როგორც დემოკრატიის მშენებელი?!**

ეს რა, შეურაცხყოფა არ არის ჩვენი ხალხის მას შემდეგ, რაც ამ ვაიპრეზიდენტმა და მისმა ბანდამ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ჩაიდინეს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ? რა უპასუხეს ჩვენმა პოლიტიკოსებმა ამ განცხადებას?

უპასუხეს, რომ ჩვენ განვაგრძობთ ნატოსკენ მისწრაფების კურსს, რადგან ასეთია ქართველი ხალხის ნება და არჩევანი.

მაპატიეთ, ბატონო პოლიტიკოსებო, სად დაფიქსირდა ქართველი ხალხის ეს ნება და არჩევანი?

**— დაფიქსირდა რეფერენდუმით, რომელიც საქართველოში გაიმართა.**

— ჯერ ერთი, ეს რეფერენდუმი, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, აშკარა ფალსიფიკაცია იყო. მეორე, ახლა ჩავატაროთ რეფერენდუმი, დემოკრატიულად, ადმინისტრაციული ზემოქმედების გარეშე და ვნახოთ, რა შედეგსაც მივიღებთ.

**ნატოში შესვლის იდეა გაკოტრებულია.**

**პირდაპირ ვუთხრათ ხალხს, რომ ეს არის სტრუქტურა, რომელიც ყველა საერთაშორისო ნორმას არღვევს.**

ჩვენი ვაიპოლიტიკოსები გვაშინებენ იმით, რომ, თუ ავღანეთიდან გამოვალთ, ევროკავშირი საქართველოსთან ურთიერთობას შეწყვეტსო (!). ეს რა, შანტაჟი არ არის?! ქართველი ხალხის პოლიტიკური შანტაჟია ასეთი განცხადება!

ამიტომ ვსვამ შეკითხვას: **რა ესაქმება საქართველოს საერთოდ ავღანეთში? საქართველოს მოსახლეობამ უნდა გასცეს პასუხი ამ შეკითხვას და თუ, ვალერის თქმისა არ იყოს, ეს გარკვეული პოლიტიკური დაჯგუფების აზრია, რომელიც თავს გვახვევს საკუთარ პოზიციას: თითქოს საქართველოს უსაფრთხოება გარანტირებული იქნება მხოლოდ ნატოში ჩვენი მიღების შედეგად.**

**— ე. ი. თქვენ რეფერენდუმის ჩატარების მომხრე ხართ?**

— რა თქმა უნდა! მაგრამ არა მიხდომით, არამედ ნატოს რაობის შესახებ მოსახლეობის მაქსიმალური ინფორმირების შემდეგ. **ხალხმა თავისი არჩევანი შეგნებულად უნდა გააკეთოს და არა ვინმეს სურვილის მიხედვით, თუნდაც რომელიმე პოლიტიკური დაჯგუფების გავლენით, რომელიც თავისი რწმენისა და მრწამსის მიხედვით კი არ მოქმედებს, არამედ ასრულებს დავალებას გარკვეულ საფასურად.**

**— ბატონო ანზორ, პოლიტიკური მიმომხილველების, ექსპერტების ერთი ნაწილი დაბეჯითებით გვარწმუნებს, რომ რუსეთს მინიჭებული აქვს არაოფიციალური ვეტოს უფლება მისი მეზობელი ქვეყნების ნატოში მიღება-მიუღებლობაზე.**

**ანზორ მაისურაძე:**

— ერთ რამეში ვარ დარწმუნებული: აშშ და რუსეთი ერთმანეთთან შეუთანხმებლად ასეთ საკითხს არ გადაწყვეტენ. საქართველოს ნატოში შესვლა-არშესვლის შესახებ ნატოს წევრი ქვეყნები აცხადებენ, რომ ნებისმიერი ქვეყნის ჩრდილოატლანტიკურ პაქტში მიღება მათი საქმეა და არავის არაფერს ეკითხებიან.

ასე აცხადებენ, მაგრამ, ფაქტობრივად, სხვა მდგომარეობაა. **რუსეთს ნატოში საქართველოს გაწევრებაზე ძალიან უარყოფითი დამოკიდებულება აქვს. ეს ცნობილია. ამას ამერიკა, ნატოს მთავარი მოთამაშე, ითვალისწინებს. ამერიკასა და რუსეთს შორის არსებობს როგორც ჯენტლმენური, ასევე საიდუმლო შეთანხმებები.**

**— და თქვენ ფიქრობთ, რომ პოზიცია, რომელზეც ვმსჯელობთ, ასეთი შეთანხმების შემადგენელი ნაწილია?**

— დიახ, ასე ვფიქრობ. რუსებმა ამერიკელებს დაუთმეს ულიანოვსკი, სადაც აშშ-ის უზარმაზარი სამხედრო ბაზა განთავსდა, საიდანაც სამხედრო საჭურველი გადააქვთ ავღანეთში. ცოტა ხნის წინათ წარმოვიდგენდით, რომ ასეთი რამ შესაძლებელი იქნებოდა? მაგრამ — შეიქმნა. ამ ბაზის წყალობით ამერიკელებმა 130 მილიარდი დოლარის ეკონომია გასწიეს.

როცა სასწორის ერთ პინაზე ასეთი საკითხი დევს, მეორეზე — საქართველოს გაწევრიანება, ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ პირველი გადასწონის. ამიტომ გვეუბნებიან, ჯერ მოიცადეთ, ჯერ თქვენი დრო არ დამდგარა, მაგრამ ადრე თუ გვიან დადგებაო.

ჩვენც იძულებული ვართ, გავჩერდეთ, ხმა არ ამოვიღოთ.

აქედან დასკვნა: ამერიკელებს რუსები ძალიან სჭირდებათ.

**ვალერი ჩხეიძე:**

— ისევე, როგორც ამერიკელები — რუსებს. ▶



**ანზორ მაისურაძე: ამერიკელებიც, ევროპელებიც და თავის დროზე საბჭოთა კავშირიც, ყველაფერს აკეთებდნენ, რათა არც ეგვიპტის, არც რომელიმე სხვა არაბული ქვეყნის სათავეში არ მოსულიყვნენ «ძმები მუსლიმები». ისინი გაცილებით მეტი რადიკალები არიან, ვიდრე რელიგიურ საფუძველზე წარმოქმნილი სხვა გაერთიანებები**

**„რასმუსენმა მართლაც მოგვაყენა შეურაცხყოფა. კარგი, ის გადამთიელია და ჩვენი ეროვნული სულისკვეთების ცოტა რამ თუ გაეგება, ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის გაგებაში კი ნამდვილად არ არის. სხვაგვარად როგორ უნდა შევაფასოთ მისი განცხადება, რომ სააკაშვილი ისტორიაში შევა, როგორც დემოკრატიის მშენებელი?! ეს რა, შეურაცხყოფა არ არის ჩვენი ხალხის მას შემდეგ, რაც ამ ვაიპრეზიდენტმა და მისმა ბანდამ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ჩაიდინეს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ?“**

«საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცი»
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ანზორ მაისურაძე:**
— აგერ სულ ახალი ფაქტი, როცა რუსეთის მხარემ განაცხადა, თუ ედვარდ სნოუდენი შეწყვეტს აშშ-ის საწინააღმდეგო ცნობების გავრცელებას, იმ შემთხვევაში გავითვალისწინებთ მის თხოვნასო.

**— თქვენ ეთანხმებით, ბატონო ვალერი?**

**ვალერი ჩხეიძე:**
— რა თქმა უნდა, ვეთანხმები. რუსეთი და აშშ მსოფლიოს ორი წამყვანი ქვეყანაა, ბირთვული იარაღის უზარმაზარი არსენალია მათ ხელში, მუშაობენ ახალი ტექნოლოგიების ათვისებაზე, პოტენციალი ძალიან დიდი აქვთ ერთსაც და მეორესაც. ამის გაუთვალისწინებლობა და **ჩვენი მხრიდან ჯიუტად იმის ძახილი, რომ რუსებს ვინ ეკითხება, ჩვენ ნატოში მაინც შევალთო, თავის მოტყუებაა და უვიცობის, არაპროფესიული მიდგომის დემონსტრაცია, ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის ორგანიზების საკითხში ჩვენი დილეტანტიზმის დადასტურებაა.**

**— თქვენი ნათქვამიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ რუსეთთან ურთიერთობის დალაგება ნატოში ჩვენი შესვლის ერთ-ერთი წინაპირობაა?**

**უცნაური შეკითხვაა, მაგრამ მაინც გთხოვთ, მიპასუხოთ.**

**ვალერი ჩხეიძე:**
— რუსეთთან ურთიერთობის დალაგება, უპირველეს ყოვლისა, წაადგება საქართველოს უსაფრთხოებას, სტაბილურობას და რუსეთისთვისაც იქნება ხელსაყრელი, განსაკუთრებით, ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში ვითარების მოსაწესრიგებლად, რადგან ტრადიციულად, ისტორიულად კავკასიის გასაღები ყოველთვის თბილისში იდო, ისევე, როგორც საქართველოს პრობლემების გასაღები — მოსკოვში.

**— დოკუ უმაროვის გააქტიურება, მისი ტელეხილვები და მოწოდებები სოჭის ოლიმპიადის წინააღმდეგ ხომ არ არის ჩვენი გაფრთხილება რუსეთისკენ ნაბიჯების გადადგმისგან თავშეკავების ქვეტექსტით?**

**ვალერი ჩხეიძე:**
— საქართველომ განაცხადა, რომ მიიღებს მონაწილეობას ოლიმპიურ თამაშებში და ოლიმპიადის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. საქართველოს ხელისუფლების ეს პოზიცია დროული და პოზიტიურია... ხოლო უმაროვის საკითხი ადრე თუ გვიან დამთავრდება.

**— ბატონო ანზორ, თქვენ ახსენეთ ედვარდ სნოუდენი, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ექსთანამშრომელი, რომელმაც გაავრცელა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ აშშ-ის სპეცსამსახურები ახორციელებდნენ ევროკავშირის, სხვა საერთაშორისო ევროპული ორგანიზაციების თანამშრომელთა და ა.შ. სატელეფონო საუბრების უკანონო მოსმენებს.**

**ორიოდ დღის წინათ ბოლივიის პრეზიდენტის — მორალესის თვითმფრინავი, რომლითაც ამ ქვეყნის მეთაური მოსკოვიდან შინ ბრუნდებოდა, 13 საათის განმავლობაში გააჩერეს ვენაში, გაჩხრიკეს იმ მოტივით, რომ მის ბორტზე შეიძლება ყოფილიყო აშშ-ის სახელმწიფო საიდუმლოების გამცემი ედვარდ სნოუდენი.**

**თქვენი კომენტარი.**

**ანზორ მაისურაძე:**
— სნოუდენის მეშვეობით გაჟონილ ინფორმაციას ისეთი უარყოფითი შედეგი შეიძლება მოჰყვეს შეერთებული შტატებისთვის, იმდენად საზიანოა, რომ ამერიკელები ყველაფერზე მიდიან ამ კაცის ხელში ჩასაგდებად.

**ვალერი ჩხეიძე:**
— სწორსაც აკეთებენ.

**— ვენის კონვენციის დარღვევასაც არ მოერიდნენ.**

**ანზორ მაისურაძე:**
— ამის გაკეთება დიპლომატიაში დამკვიდრებული წესების უხეში დარღვევაა, მაგრამ, ოპერატიული თვალსაზრისით, სწორად მოიქცნენ. დამნაშავე, ქვეყნის მოღალატე, რომელმაც საიდუმლოება გასცა, უნდა დააპატიმრო, აბა, რა უნდა გააკეთო?

ესეც მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა. აქ ადამიანის უფლებათა დარღვევაზე ვერ ილაპარაკებ.

**ვალერი ჩხეიძე:**
— პროფესიული კუთხით სავსებით გასაგებია ამერიკის სპეცსამსახურების მისწრაფება — დააპატიმროს თავისი თანამშრომელი, რომელმაც ამ დონის დანაშაული ჩაიდინა, უღალატა თავისი პროფესიის ფუძემდებლურ პრინციპებს. ასეთი ღალატი სპეცსამსახურების მიერ დაუსჯელი არ რჩება. აქაც მოძებნიან საშუალებას, ხელთ იგდებენ დამნაშავეს და აღსრულდება განაჩენი.

რაც შეეხება მორალესის თვითმფრინავის „დაპატიმრებას“, ამას გამართლება არ აქვს და მსოფლიო პრაქტიკაში გამონაკლის ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს.

სამარცხვინო ქმედებაა, განსაკუთრებით, ავსტრიის ხელისუფლების მხრიდან, რომელიც „მკვეთრი მოძრაობებით“ გამორჩეული არასოდეს ყოფილა არც უწინ, არც უახლეს ისტორიულ პერიოდში.

**ვალერი ჩხეიძე:**
**რაც შეეხება მორალესის თვითმფრინავის „დაპატიმრებას“, ამას გამართლება არ აქვს და მსოფლიო პრაქტიკაში გამონაკლის ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს. სამარცხვინო ქმედებაა, განსაკუთრებით, ავსტრიის ხელისუფლების მხრიდან...**



**ანზორ მაისურაძე:**
**სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში ასეთი რამ კვალიფიცირდება, როგორც დანაშაული. ვენა ასეთ ნაბიჯს ვერ გადადგამდა აშშ-ის სპეცსამსახურების (იქნებ ქვეყნის ხელმძღვანელობისაც?) თხოვნისა თუ მითითების გარეშე**

**ანზორ მაისურაძე:**
— სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში ასეთი რამ კვალიფიცირდება როგორც დანაშაული. ვენა ასეთ ნაბიჯს ვერ გადადგამდა აშშ-ის სპეცსამსახურების (იქნებ ქვეყნის ხელმძღვანელობისაც?) თხოვნისა თუ მითითების გარეშე.

**— კარგი, ვთქვათ, დაიჭირეს ეს კაცი, გაფრენილ სიტყვას ეშველება რამე? გავრცელებულ ინფორმაციას უკან ხომ ვერ დააბრუნებ?**

**ანზორ მაისურაძე:**
— არაფერი ეშველება, მაგრამ გამორიცხავთ, სნოუდენის აღიარებას — აფექტის ან სხვა რამ მიზეზის, მაგალითად, იძულების გამო? ტყუილი ვთქვი და ჩემი ქვეყნის სპეცსამსახურებს დაუმსახურებლად მოვცხე ჩირქიო? ვერ გამორიცხავთ. არსებობს სხვა მრავალი მეთოდი და საშუალება ამ ჩიხიდან გამოსვლის, მაგალითად ისეთი, როგორსაც საბჭოთა პროპაგანდა იყენებდა, როცა ყველაფერი ნეგატიური მსოფლიო იმპერიალიზმის ხრიკებს ბრალდებოდა.

**— მაგრამ სნოუდენმა გაამჟღავნა ის რეალობა, რომელიც არსებობს.**

**ანზორ მაისურაძე:**
— კი არ გაამჟღავნა, დაადასტურა, რადგან, მე თუ მკითხავთ, ამ რეალობის არსებობა ყველამ იცოდა, ახალი არაფერი უთქვამს. ვიცოდით და არაფერს ვამბობდით. ახლა გასაჯაროვდა და საერთაშორისო სკანდალი გამოიწვია. ცხადია, რომ შესანიშნავად იცოდნენ ევროპის სახელმწიფოთა ლიდერებმა, მათ შორის, დევიდ კემერონმა და ანგელა მერკელმა, რომლებმაც დაავალეს თავიანთ საგარეო საქმეთა მინისტრებს, გაარკვიონ ეს სკანდალი თავიანთ ამერიკელ კოლეგასთან — ჯონ კერისთან. ახლა მიეცათ ხმის ამოღების საშუალება.

**ვალერი ჩხეიძე:**
— დოკუმენტურად არ იყო დაფიქსირებული, ახლა კი, როგორც იტყვიან, ყველა კარტი მათ ხელში აღმოჩნდა. აღარც მიფუჩეჩება გამოდიოდა.

**— ხომ არ მომრავლდა სახელმწიფო საიდუმლოებათა საჯაროდ გამოტანის ფაქტები? ცოტა ხნის წინათ — ასანჟი, ახლა — სნოუდენი. და ორივე შემთხვევაში აშშ-ის გრიფით „საიდუმლოდ“ დაშიფრული ფაქტების მზის სინათლეზე გამოტანა. სისტემამ „ბზარი მისცა“?**

**ანზორ მაისურაძე:**
— თავისთავად არაფერი ხდება. ისევე, როგორც საბჭოთა სახელმწიფო უშიშროების სისტემიდან ღალატისა და გამცემლობის ფაქტები არ ხდებოდა ამერიკის სპეცსამსახურების ჩარევის გარეშე, მე, ანზორ მაისურაძეს, მიმაჩნია, რომ **არც ჯულიან ასანჟი, არც ედვარდ სნოუდენი „მარტოხელა გმირები“ არ არიან და ის, რაც მათ გააკეთეს, ზოგიერთი სახელმწიფოს სპეცსამსახურებთან არის დაკავშირებული, შეიძლება მათ მიერ ორგანიზებულიც კი.**

**— თქვენ ახსენეთ ინგლისის პრემიერ-მინისტრი დევიდ კემერონი. ამ უმაღლესი რანგის სახელმწიფო მოღვაწემ განაცხადა, რომ ეგვიპტის პრეზიდენტის — მურსის დაპატიმრება ხელისუფლების მშვიდობიანი გადაბარების ნიმუშიაო.**

**ანზორ მაისურაძე** *(ღიმება)*:
— განსაკუთრებით ვანო მერაბიშვილის დაპატიმრების ფონზე, რაც დემოკრატიის უხეშ დარღვევად მიიჩნიეს ევროპის გარკვეული ძალების წარმომადგენლებმა.

**ამერიკელებიც, ევროპელებიც და თავის დროზე საბჭოთა კავშირიც, ყველაფერს აკეთებდნენ, რათა არც ეგვიპტის, არც რომელიმე სხვა არაბული ქვეყნის სათავეში არ მოსულიყვნენ „ძმები მუსლიმები“. ისინი გაცილებით მეტი რადიკალები არიან, ვიდრე რელიგიურ საფუძველზე წარმოქმნილი სხვა გაერთიანებები.**

არაბულ სამყაროში 8 წელიწადს ვიმუშავე და მინდა ვთქვა, რომ სიტუაცია იქ არ შეცვლილა: მთავარ როლს იქ თამაშობს ისრაელის სახელმწიფო, რომლის უშიშროების დაცვა ამერიკელებისა და ევროპის მთავარი საზრუნავია. ამ ქვეყნის უსაფრთხოება ვერ იქნებოდა დაცული, თუ გაძლიერდებოდნენ ერაყი, ეგვიპტე, ლიბია და სირია.

**გაიხსენეთ, რა დაემართა ამ სახელმწიფოთა მეთაურებს — სადამ ჰუსეინს, ჰოსნი მუბარაქს, მუამარ კადაფის და რა დღეშია ბაშარ ასადი!**

**ეს მოხდა იმიტომ, რომ გარანტირებულად ყოფილიყო დაცული ისრაელის უსაფრთხოება და უშიშროება.**

თქვენთან ინტერვიუშიც მაქვს ნათქვამი, რომ, როგორც კი გართულდებოდა სიტუაცია ახლო აღმოსავლეთში და, მაგალითად, ერაყის არმია საომრად გაემართებოდა ისრაელისკენ, იმ წუთას ერაყის ჩრდილოეთში აჯანყდებოდნენ ქურთები. ერაყი იძულებული გახდებოდა, თავისი სამხედრო ძალები ქვეყნის შიგნით წესრიგის აღსადგენად მიემართა.

ვინ იყო აჯანყების ორგანიზატორი?

ისრაელისა და ამერიკის დაზვერვა, რომლებსაც მოსყიდული ჰყავდა ქურთისტანის ლიდერები. **ის, რაც ამჟამად ახლო აღმოსავლეთში ხდება, ჩემი ღრმა რწმენით, ისრაელის სახელმწიფოს გაძლიერებისა და უსაფრთხოებისკენ არის მიმართული.**

**— თავი დავანებოთ ისრაელს, ჩვენს ქვეყანას მივხედოთ. ნატოს წევრობა არის საქართველოს უსაფრთხოების გარანტია?**

**ვალერი ჩხეიძე:**
— არ არის გარანტია. ჩვენ ისეთ გეოპოლიტიკურ სივრცეში ვიმყოფებით, რომ რუსეთის და სხვა ქვეყნების, რომლებიც ჩვენს სამეზობლოშია, ინტერესების გაუთვალისწინებლობა ამის შესაძლებლობას არ იძლევა.

გარანტია რომ იყოს, ჩვენ მთლიანად უნდა ვიყოთ ჩამჯდარი ნატოს სისტემაში, მაგრამ არ ვართ. ხოლო თუ მიგვიღებენ, მაინც ვერაფერი გამოვა, რადგან იგი ვერა და ვერ ესადაგება რუსეთის ინტერესთა სისტემას.

პრინციპულადაა შეუთავსებელი.

**— მაშ, განწირულები ვართ?**

**ანზორ მაისურაძე:**
— ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ნატოს წევრი ქვეყანა ვართ, მის საფარქვეშ ვიმყოფებით. ნატოს წევრობა ითვალისწინებს, რომ, თუ რომელიმე სახელმწიფო გამოგიცხადებს ომს, შენთან ერთად, შენს მხარეზე ბრძოლაში 28 ქვეყანა ჩაებმება. **ვერ წარმომიდგენია, ნატოს 28 ქვეყანა დაუპირისპირდეს რუსეთს ან რომელიმე სხვა ქვეყანას ჩვენს გამო. თუ ნატო მხოლოდ საფრთხობელაა, მაშინ ჩვენ ბოსტანში ვყოფილვართ და საფრთხობლებით ვიგერიებთ ჭილყვავებს...**

**ვალერი ჩხეიძე:**
— ჩემი აზრით, **საგარეო პოლიტიკის ვექტორი უნდა შეიცვალოს. გამოსავალი ნეიტრალიტეტშია. ეს არის გარანტია უსაფრთხოების.** მაშინ მოიხსნება ის საფრთხე, რომელიც ყოველთვის არსებობს რომელიმე სამხედრო-პოლიტიკის წევრი ქვეყნის მიმართ სხვა ამგვარი გაერთიანების მხრიდან.

**ანზორ მაისურაძე:**
— როგორც ვიცი, ნეიტრალიტეტი შეიძლება გამოაცხადოს იმ ქვეყანამ, რომელსაც შეუძლია საკუთარი თავის შენახვა. ჩვენ შეგვიძლია ჩვენი თავის შენახვა?

არა.

ამიტომ ნეიტრალიტეტი ძალიან კარგია, მაგრამ მაშინ მთელ რიგ მოთხოვნებს უნდა ვაკმაყოფილებდეთ, რომელთა განხორციელება დღეს არ შეგვიძლია.

**ვალერი ჩხეიძე:**
— აი, პოსტსაბჭოთა სივრცეში თურქმენეთი არის ნეიტრალური ქვეყანა.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. თურქმენეთობა რომ სანატრელი გაგვიხდება!**



**«არც ჯულიან ასანჟი, არც ედვარდ სნოუდენი «მარტოხელა გმირები» არ არიან და ის, რაც მათ გააკეთეს, ზოგიერთი სახელმწიფოს სპეცსამსახურებთან არის დაკავშირებული, შეიძლება მათ მიერ ორგანიზებულიც კი»**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იქნებ მივცეთ „ნაციონალებს“ შესაძლებლობა, ააშენონ ის შიზარიუმი, უკაცრავად, ქალაქი ლაზიკა, რათა შიგნით ჩაიკეტონ და „აიფონების“ აწყობა დაიწყონ?**



# აგრარული ფსიქიატრია, ანუ გეორგია, ზურაბ, გე-ორ-გია!

**ბოლო 10 წლის განმავლობაში არაერთი მოქალაქე დაფიქრებულა იმაზე, თუ სად არჩევს პარტიულ კადრებს „ნაციონალური მოძრაობა“ — უშუალოდ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში თუ, ზრდილობისთვის, ოდნავ მოშორებით? ყოფილი მმართველი პარტიის გამორჩენილი წარმომადგენლის, მეტიც, პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის — ზურაბ ჯაფარიძის 7 ივლისის განცხადება მათ, დიდი ალბათობით, პასუხის პირველი ვარიანტისკენ უბიძგებს: „საქართველო არანაირი აგრარული ქვეყანა არ არის. საქართველო აგრარულ ქვეყნად რუსეთის იმპერიამ აქცია. იმის გამო, რომ ვიყავით იმპერიის ნაწილი, ჩვენ განვითარების გარეშე დაგვტოვეს. საქართველოს აიძულებდნენ, რომ სასოფლო-სამეურნეო ქვეყანა ყოფილიყო. ჩვენ რომ ვყოფილიყავით თავისუფალი სამყაროს ნაწილი, დღეს შეიძლება განვითარებული გვქონოდა ეკონომიკის აბსოლუტურად განსხვავებული სფეროები. საქართველოს მომავალი, გვინდა ეს თუ არ გვინდა, არის ურბანიზაცია. ჩვენთან მოხდება ქალაქების გამსხვილება“ (ინტერპრესნიუსი).**



ო, ეს რუსები... მოვიდნენ 1801-ში აყვავებულ ინდუსტრიულ ქვეყანაში, რომელსაც განვითარების ტემპებით კონკურენციას დიდი ბრიტანეთი თუ გაუწევდა (ისიც თეორიულად), დაშალეს ფაბრიკა-ქარხნები და ურალის მთებში წაიღეს, ლიანდაგები აყარეს, ხოლო ატომური ელექტროსადგური ადგილზევე, სავარაუდოდ, ზურაბ ჯაფარიძის მშობლიურ სოფელში, ააფეთქეს. ამოქმედდა საქართველოს აგრარულ ქვეყნად გადაქცევის გეგმა; ალბათ, იგულისხმება, რომ ეს იდეა ჯერ კიდევ ივანე მრისხანეს არ ასვენებდა და ბოლოს გააგიჟა კიდეც, პეტრე I-ზე ხომ საუბარი ზედმეტია, მაგრამ ორივეს არ დასცალდა. გრაფი ბენკენდორფი იხსენებდა (ეს გვერდი მემუარებიდან ცენზურამ ამოუხია), რომ, როდესაც ალექსანდრე I-მა 1814-ში პარიზი აიღო და ბედაურს ელისეს მინდვრებზე მიაჭენებდა, აცრემლებული ჩურჩულებდა: „ოღონდაც მოვასწრო და საქართველო აგრარულ ქვეყანად გადავაქციო, თორემ პარიზი... რაა პარიზი?!“.

ზურაბ ჯაფარიძის თეორიის დადასტურება კონკრეტული ციფრებით წარმოუდგენლად რთულია. რუსეთის იმპერიის 1866 წლის სტატისტიკური კრებულზე დაყრდნობით (ეს ციფრები მოყვანილია „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მეხუთე ტომში), ჩვენ შეგვიძლია დავყოთ იმპერიის ევროპული ნაწილის 49 გუბერნია სამ ჯგუფად. 13 მათგანში ერთ სულ მოსახლეზე 1 მანეთამდე სამრეწველო პროდუქცია მოდიოდა, 18 გუბერნიაში — 1-დან 2 მანეთამდე, ხოლო 15 გუბერნიაში — 2 მანეთიდან 6-7 მანეთამდე. **თბილისის გუბერნიის მაჩვენებელი — 1 მანეთი და 20 კაპიკი (1863 წლის მონაცემებით) და, ალბათ, აქვე აუცილებლად უნდა დავაფიქსიროთ, თუ სად მდებარეობდა სასტარტო წერტილი, რა ხდებოდა ჩვენთან XVIII საუკუნეში, „მეორე ჯგუფის“ სხვა ტერიტორიებისგან განსხვავებით. XIX საუკუნის, განსაკუთრებით კი მისი მეორე ნახევრის, სტატისტიკურ მონაცემებში არ შეინიშნება დრამატული სხვაობა მრეწველობის განვითარების ტემპებში საქართველოსა და იმპერიის სხვა ნაწილებს შორის და მისი საგანგებო „აგრარიზაციის“ მზაკვრული გეგმის კვალი არსად იკვეთება. ხოლო თუ ზურაბ ჯაფარიძე მიიჩნევს, რომ ჩვენს წინაპრებს უნდოდათ სოფლის მეურნეობისთვის მყისიერად თავი დაენებებინათ და ცარიელ ადგილზე ორთქმავლების აწყობა დაეწყოთ, ხოლო მეფის სატრაპები ამის უფლებას არ აძლევდნენ, ეს, ალბათ, მისი პრობლემაა.**

„თავისუფალი სამყარო“ XIX საუკუნეში ფრიად ფარდობითი ცნებაა, ეს კოლონიური იმპერიების ხანაა. ალტერნატიული საქართველო მასში, თუ ერთმანეთს რიგი პოზიტიური ფაქტორები დაემთხვეოდა, სავარაუდოდ, მაქსიმუმ რომელიმე ბალკანური ქვეყნის შედეგებს მიაღწევდა (სწორედ რომ აგრარული ქვეყნებია). თუმცა აქ სულ სხვა, დღევანდელი პრობლემაა მნიშვნელოვანი: **1989 წლის მონაცემებთან შედარებით, საქართველოში დამუშავებული სახნავ-სათესი მიწის ფართობი შემცირდა 3,1-ჯერ, კარტოფილის და ხილის წარმოება — 2-ჯერ, ბოსტნეულის — 3-ჯერ, ყურძნის — 3,5-ჯერ, მარცვლეულის — 9-ჯერ, ჩაის — 60-ჯერ, თამბაქოს — 120-ჯერ; ფრინველის სულადობამ 2,5-ჯერ, ცხვრისა და თხის 3-ჯერ, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ღორის კი 10-ჯერ იკლო. დგას ახლა იმ პარტიის წარმომადგენელი, რომელსაც ამაში უდიდესი წვლილი მიუძღვის, და საუბრობს ალტერნატიულ რეალობაზე, რომელშიც ყოველივე ეს პრობლემას საერთოდ არ წარმოადგენს. ურბანიზაციაო... რას შეჭამენ? ასფალტს?**

როდესაც საბჭოთა საქართველოს ისტორიას ვეცნობით, ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ ერთგვარი პირამიდა, რომლის ფუნდამენტს სოფლის მეურნეობა წარმოადგენს, მას XX საუკუნის 30-იანებში წლიდან წლამდე სულ უფრო მეტი შემოსავალი მოაქვს, შემდეგ ვითარდება კვების მრეწველობა და მსუბუქი მრეწველობა, მანქანათმშენებლობა და მხოლოდ ამ პირამიდის მწვერვალზე XX საუკუნის მეორე ნახევარში ჩვენ ვხედავთ საწარმოებს, რომელთაც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ანალოგი არ ჰქონდა, ზოგს კი დღესაც არ აქვს. აგრარული ფუნდამენტისა და ფეხზე მყარად მდგომი გლეხის გარეშე, საქართველო ვერ მიაღწევდა ცხოვრების მაღალ, ბევრი ქვეყნისთვის სანატრელ დონეს, რაოდენ დიდიც არ უნდა ყოფილიყო დოტაციები ცენტრიდან ახალი ქარხნების აშენების მკაცრი დირექტივებით. **ამავე წლებში საქართველო, რომელშიც XIX საუკუნის ბოლოს წერა-კითხვის მცოდნეთა ხვედრითი წილი 30%-ს არ აღემატებოდა, ამ მაჩვენებლით ევროპაში ერთ-ერთ პირველ ადგილზე გავიდა, ხოლო ათას სულ მოსახლეზე სტუდენტების რაოდენობით დიდების ზენიტში მყოფ ორ მაშინდელ ზესახელმწიფოს, დიდ ბრიტანეთსა და გერმანიას, გაუსწრო. მაგრამ ყველაფერი ეს დაიწყო სოფლის მეურნეობით, იმ პროდუქციის წარმოებით, რომლის წარმოება საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებს არ შეეძლოთ.**

ის ეპოქა წარსულს ჩაბარდა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შეუძლიათ ეს პროდუქცია, ხშირად უკეთესი ხარისხის და უფრო დაბალ ფასში სხვაგან იყიდონ. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ საქართველოს მატიანიდან უნდა ამოიშალოს ის დადებითი როლი, რომელიც თავის დროზე აგრარულმა სექტორმა შეასრულა და მისი წარმოჩენა ჩარმოჩენილობის ან არასწორი ისტორიული არჩევანის სიმბოლოდ, ალბათ, ძალიან დიდი შეცდომაა.

**გასაგებია, რომ რუსოფობია „ნაციონალების“ იდეოლოგიური პლატფორმის ქვაკუთხედს წარმოადგენს, მაგრამ ბოლო დროს ის აშკარად ბოდვითი კონსპიროლოგიის სახეს იძენს. ეს, პრინციპში, ხელს აძლევს მოსკოვს, რადგან საზოგადოების ძირითადი ნაწილისგან კეთროვანივით იზოლირებული „ნაცმოძრაობა“ ახდენს ნებისმიერი ლოზუნგის დისკრედიტაციას, რომელსაც ხელს ჰკიდებს, იქნება ის ანტირუსული თუ პროდასავლური**. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ტრანსპარანტებზე ათ მცნებას ჩამოწერენ, გვერდით მაინც არც ერთი „არანაციონალი“ არ დაუდგებათ და ბოლო თვეებში ეს ძალიან კარგად გამოჩნდა. ასე რომ, ნებისმიერი მათი ანტირუსული პასაჟი დღეს უკურეაქციას იწვევს და რეალურად რუსეთის სასარგებლოდ მუშაობს. ეს, პრინციპში, მათი, აგრეთვე, მათი პოლიტტექნოლოგებისა და მკურნალი ექიმების პრობლემაა, მაგრამ ეკონომიკის ამბავში რაღა ვქნათ, ბატონი ზურაბის ეპოქალური გამოსვლიდან გამომდინარე? **იქნებ მივცეთ „ნაციონალებს“ შესაძლებლობა, ააშენონ ის შიზარიუმი, უკაცრავად, ქალაქი ლაზიკა, რათა შიგნით ჩაიკეტონ და „აიფონების“ აწყობა დაიწყონ? დაე, იმოქმედონ თავმჯდომარე მაოს დანაბარების შესაბამისად: „ჩვენს მუშაკებში საშიში ტენდენცია შეინიშნება — მათ არ სურთ, ხალხთან ერთად იყვნენ ჭირსა და ლხინში, პირადი კეთილდღეობისკენ და დიდებისკენ მიილტვიან. ეს ძალიან ცუდია. ამ საშიში ტენდენციების დაძლევის ერთ-ერთი მეთოდი იმაში მდგომარეობს, რომ წარმოებისა და ეკონომიკის ზრდაზე მიმართული მოძრაობის ფარგლებში, შევამციროთ აპარატი, გავაგზავნოთ მუშაკები ქვედა რგოლებში და მათი დიდი ნაწილი წარმოებაში დავაბრუნოთ“.** კაცმა რომ თქვას, კარგი იქნება, თუ ამ ციტატას პირდაპირ საამქროში ჩამოვუკიდებთ, თან იმუშავებენ, თან იეროგლიფებს ისწავლიან.

ზოგს ეს გადაწყვეტილება შეიძლება სადისტურად მოეჩვენოს, არადა, სინამდვილეში ის ჰუმანურია. საქმე ისაა, რომ ნოლიდან აშენებული ლაზიკა, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ასე თუ ისე, ისტორიისგან თავისუფალი სივრცე იქნება. არავისთვის საიდუმლო არაა, რომ „ნაციონალების“ ლიდერებს საქართველოს ისტორია მთელ რიგ ეპიზოდებში უკიდურესად აღიზიანებს, ხშირ შემთხვევაში კი, უბრალოდ, ტანჯავს. აგერ ერთი ამბობს, რომ ერი არასწორად შრომობდა აგრარულ სექტორში, მეორე კი მიანიშნებს, რომ მეორე მსოფლიო ომშიც არასწორად ომობდა. გასაგებია, რომ ამა თუ იმ ისტორიულ ეპიზოდს შეიძლება სხვადასხვა, მათ შორის ნეგატიური შეფასება მისცე, მაგრამ არ შეიძლება კონკრეტული ადამიანების, მთელი თაობების (და საბოლოოდ — ერის) ისტორია წარმოაჩინო, როგორც დაუსრულებელი კოშმარი და შეეცადო, მათ ღირსებას, მთელ განვლილ ცხოვრებას ხაზი გადაუსვა.

თავის დროზე ერთმა იაპონურმა სიუჟეტმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. როგორც ცნობილია, მეორე მსოფლიო ომის ბოლოს არაერთმა იაპონელმა კამიკაძემ საბრძოლო გაფრენის განხორციელება ვერ მოასწრო და სიკვდილს გადაურჩა. იმ ფირზე ასახული იყო „ღია კარის დღე“ 80-იანი ან 90-იანი წლების იაპონიის სამხედრო მფრინავების სასწავლებელში, სადაც სკოლის მოსწავლეებთან და კურსანტების ნათესავებთან ერთად, ყოფილი კამიკაძეების ჯგუფიც მივიდა. ისინი მილიტარისტული იაპონიის მეომრები იყვნენ, რომელიც მეზობლების წინააღმდეგ სასტიკ და უსამართლო ომს აწარმოებდა; თანამედროვე დემოკრატიული იაპონია სრულიად განსხვავებული სახელმწიფოა. მაგრამ ერთ-ერთ დარბაზში მოხუცი კამიკაძეები და ახალგაზრდა კურსანტები ერთმანეთს შეხვდნენ, ერთმანეთის პირისპირ დადგნენ, ერთმანეთს თავი დაუხარეს და ასე საკმაოდ დიდხანს იდგნენ. ალბათ, სწორად ასე უნდა მოუხაროს ქედი ერმა უფროსი თაობის წარმომადგენლებს, ჯარისკაცი იქნება თუ თუნდაც უბრალო მიწათმოქმედი. **არანაირი ალტერნატიული რეალობა არ არსებობს; ერის ისტორია, რომელიც კონკრეტული ადამიანებისა და თაობების ისტორიისგან შედგება, იყო ისეთი, როგორიც იყო. საააკაშვილს საქართველოს ტერიტორიაზე ყველა მემორიალი რომ აეფეთქებინა, ამას მაინც ვერ შეცვლიდა.**

თუმცა დავუბრუნდეთ ზურაბ ჯაფარიძის იდეებს და შევეცადოთ, დავადგინოთ, თუ რა მიზნის მიღწევა სურდათ ძველ ბერძნებს, როდესაც პროვოკაციულად გეორგია, ანუ მიწათმოქმედთა ქვეყანა გვიწოდეს. ალბათ, უკვე მაშინ ძირს უთხრიდნენ ჩვენს კოსმოსურ პროგრამას და ნანოტექნოლოგიურ გარღვევას, რადგან ჩვენი ყოველთვის შურდათ; ეს, სხვათა შორის, ევრიპიდეს შემოქმედებიდანაც ჩანს. არგონავტებმა მოიპარეს ჩვენი ნახაზები და, თუ ამ წინადადების პირველ სიტყვაში მეორე და მესამე ასოს ადგილს შევუცვლით, ვნახავთ, რომ მათ საიდუმლო მისიას ქართველების აგრარულ სექტორზე მიბმა წარმოადგენდა. შემდეგ ამ საბრალო ბარბაროსებმა მოიპარეს ტოტალური ურბანიზაციის ძველქართული იდეა მის ადრეულ რედაქციაში და არისტოტელეს ალექსანდრე მაკედონელის გახურებულ თავში ჩაადებინეს; სადაც მიყრუებულ ადგილს ნახავდა, იქვე ახალ ალექსანდრიას აარსებდა. ო, რა სიღრმისეული ანალიზის შესაძლებლობას იძლევა ბატონი ზურაბის თეორია!

**როდესაც ისინი ააშენებენ ლაზიკას (ცხადია, ეტაპობრივად; პირველ ეტაპზე საკმარისი იქნება რამდენიმე ბარაკი, სასადილო და აბანო, მეტის საშუალება რესპუბლიკას ჯერჯერობით არ აქვს), იქ აუცილებლად, ერთმანეთის გვერდიგვერდ უნდა გაიხსნას „მძიმე აგრარული წარსულის მუზეუმი“ და ზურაბ ჯაფარიძის სახელობის კოსმოდრომი. მერე რა, რომ რაკეტები არ გვაქვს? ფრენა ნებისმიერ შემთხვევაში შეეძლებათ, თუ როგორ, ბელადი ასწავლით.**

„პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხი მხოლოდ ჩვენს საქმეზე კი არა, მე მგონი, საერთოდ ქართველი ერის წინაშე ჩადენილი ქმედებებისთვის უნდა დადგეს. რაც მან ქართველ ერს გაუკეთა, ასეთი რამ არავის გაუკეთებია. მგონი, ქართველი ერის სრული დეგრადირება და გადაგვარება უნდოდა. ამიტომ ვამბობ მასზე, რომ უჯიშო პიროვნებაა, ეროვნებაც კი არ აქვს ამ ადამიანს. რომ ჰკითხო, სადაური ხარო, ვერ გიპასუხებს.“



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გამოძიების რა ახალ დეტალებს გვიმხელს სანდრო გირგვლიანის მამა და რას უპასუხებს ჩერგოლეიშვილს?

**პირველი გახმაურებული ფაქტი, რომელმაც ,,ნაციონალური მოძრაობის“ ნამდვილი სახე აჩვენა ქართულ საზოგადოებას, სანდრო გირგვლიანის მკვლელობა იყო. ეს საქმე ისეთივე საბედისწერო აღმოჩნდა პრეზიდენტისა და მისი გუნდისთვის, როგორ ბედისწერადაც ციხის კადრები იქცა მოგვიანებით. ამ ორ საქმეს შორის კიდევ ის მსგავსებაა, რომ არც ერთი ბოლომდე გამოძიებული არ არის. რამ განაპირობა ის, რომ ამ საქმის გამოძიება ნიურნბერგის პროცესივით წლობით გაიწელა? მერაბიშვილი და შსს-ს სხვა მაღალჩინოსნები ერთმანეთისკენ იშვერენ ხელს, პრეზიდენტი წყლიდან მშრალად ამოსვლას ცდილობს, შეძლებს კი ივანიშვილის მიერ სუსტად წოდებული კბილაშვილის პროკურატურა, ნათელი მოჰფინოს ამ საქმეს?**
**გამოძიების მსვლელობის შესახებ „საქართველო და მსოფლიოს“ სანდრო გირგვლიანის მამა, გურამ გირგვლიანი, ესაუბრა.**

**— ბატონო გურამ, სტრასბურგის სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება თქვენი შვილის საქმეზე, თუმცა ძალიან ბევრი დეტალი დარჩა შეუსწავლელი. ამდენი წლის გასვლის შემდეგ რამდენად არის შესაძლებელი საქმის საფუძვლიანად შესწავლა და რამდენად სწორ გზას ადგას გამოძიება?**

— გამოძიება, როგორც უნდა მიდიოდეს, ისე მიდის, ყოველ შემთხვევაში, პრეტენზიები არ მაქვს. თავიდანვე ისე გვქონდა დაგეგმილი, რომ მიმართულება სწორად იქნა არჩეული, საჩქარო არაფერია, პირიქით, რაიმე დეტალი რომ არ გამორჩენოდათ და ყველა ადამიანი დაეკითხათ, ასე სჯობდა. **ნელ-ნელა იკვეთება ისეთი რაღაცები, რაც ადრე საქმეში საერთოდ არ იყო. ძალიან ბევრი ახალი დეტალი გამოჩნდა და, ალბათ, კიდევ გამოჩნდება.** მე ამ ეტაპზე კმაყოფილი ვარ.

**— ანუ არის საკმარისი მტკიცებულებები, რომ თაკო სალაყაიასა და ვანო მერაბიშვილის დაკვეთით მოხდა ეს ტრაგედია, გაიზიარებს თუ არა სასამართლო ამას?**

— დღეს უკვე დადგინდა, რომ პირადად დათა ახალაიას დავალებით მოხდა ეს. შეიძლება აქ ორივე შეთანხმებული თამაშობდა რაღაცას კვალის ასარევად, ანუ ახალაიამ ჩაიდინა ბოროტმოქმედება და მერაბიშვილმა სცადა ამის დამალვა. ის, რომ ყველაფერი გააკეთა, რათა გამოძიება სწორი მიმართულებით არ წასულიყო, ამას მარტო მე კი არა, თავად სტრასბურგი ამბობს. იქ პირდაპირ არის მითითებული, რომ **დაბალი რგოლიდან უმაღლეს ეშელონამდე ყველა დამნაშავეა, ანუ ყველა ცდილობდა, რომ გამოძიება წასულიყო არასწორი მიმართულებით, ყველანაირად ხელს უშლიდნენ ამ საქმეს. დიახ, ყველა — პრეზიდენტის ჩათვლით.** ყველამ ძალიან კარგად ვიცით, რაც გააკეთა პრეზიდენტმა — ჯერ გაუნახევრა სასჯელი, შემდეგ კი საერთოდ გამოუშვა მკვლელები ციხიდან. მერაბიშვილის როლი აქ გამოკვეთილია და ბრალიც წაუყენეს; სალაყაიაზე ჯერ ვერაფერს გეტყვით, ასე პირდაპირ რაიმეს თქმა ძალიან ძნელია. თუ ისევ სუფრის წევრებისგან არ ითქვა რაიმე თაკო სალაყაიას შესახებ გამოძიების პროცესში, მე ძალიან გამიჭირდება რაიმე ინფორმაციის მოწოდება თქვენთვის. ვნახოთ, რა გამოჩნდება ძიების პროცესში.

**— მერაბიშვილის მიმართ ბრალდება სუსტი ხომ არ არის? მარტო მერაბიშვილი, ალბათ, ამდენი ხალხის მობილიზაციას ვერ შეძლებდა, ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ აქ სააკაშვილიც იყო ჩართული, ციხეშიც მიხედეს მკვლელებს, ყველანაირად დიდ პატივში ჰყავდათ....**

— მერაბიშვილმა გამოიყენა თავისი უფლებამოსილება იმისთვის, რომ პროცესი წასულიყო არასწორად და შეცდომით, მან ხელი დააფარა სუფრის წევრებს. **კარგად მოგეხსენებათ, ციხეში რა კარგ პირობებში იყვნენ მკვლელები. ბუნებრივია, პრეზიდენტი ყველაფრის საქმის კურსში იყო, ტყუილია, რომ მან არაფერი იცოდა.**

**— პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხი არ უნდა დადგეს? ეს დანაშაულის დაფარვაა, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული, მერე რა, რომ სააკაშვილს ახლა იმუნიტეტი იცავს...**

— **პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხი მხოლოდ ჩვენს საქმეზე კი არა, მე მგონი, საერთოდ ქართველი ერის წინაშე ჩადენილი ქმედებებისთვის უნდა დადგეს. რაც მან ქართველ ერს გაუკეთა, ასეთი რამ არავის გაუკეთებია. მგონი, ქართველი ერის სრული დეგრადირება და გადაგვარება უნდოდა. ამიტომ ვამბობ მასზე, რომ უჯიშო პიროვნებაა, ეროვნებაც კი არ აქვს ამ ადამიანს. რომ ჰკითხო, სადაური ხარო, ვერ გიპასუხებს.** ამიტომ მისი პასუხისმგებლობის საკითხი აუცილებლად დადგება. ამას მე ვითხოვ და ვფიქრობ, უკვე არჩევნების შემდეგ შედეგსაც მივიღებთ, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია. ვიმეორებ, აუცილებლად მოვა ამის დრო, რა თქმა უნდა, ევროპამ და ამერიკამ ისევ თუ არ დააფარა ხელი.

**სანდროს საქმეში დიდი უარყოფითი როლი ითამაშა მაშინდელმა ქალაქის პროკურორმა ღვინიაშვილმა. ამოცნობის დროს მან ყველაფერი გააკეთა, რომ ბუხაიძეს არ დაედო ხელი პირადად მელნიკოვისთვის.** და გახსოვთ, რამდენი წვალება და ბრძოლა დასჭირდა ბუხაიძეს, რომ ბოლოს და ბოლოს, ანუ უკვე სასამართლო პროცესის დროს პირდაპირ ეთქვა: დარწმუნებული ვარ, რომ ეს პიროვნება მელნიკოვი იყოო. ბუხაიძე ახლაც დაიკითხა, მარტო ის არა, ყველა იკითხება, ვინც ამ საქმეში მონაწილეობდა და ყველა დაიკითხება მომავალშიც. მე ყველაფრის თქმა ჯერ არ შემიძლია, ბევრი რამ არც შეიძლება ვიცოდე, ხომ ხვდებით, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, რაც ვიცი, ისიც ბოლომდე არ შეიძლება ითქვას, მაგრამ **დაკითხულია ძალიან ბევრი ადამიანი, ახალი სახეები, პიროვნებები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ, რომლებიც ინახავდნენ იმ ხალხს, გნებავთ, ის ფაქტი, რომ ციხეში კარგ პირობებში იყვნენ, ციხის უფროსით დაწყებული ბადრაგით დამთავრებული ყველა დაიკითხა.**

ეს დაკითხვები გრძელდება და რამდენი ახალი დეტალი და ადამიანი გამოჩნდება, მით უფრო სრული სურათი შეიქმნება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: გამოძიება მიდის სწორად, თუმცა არ ვიცი, შემდეგ რა იქნება, სასამართლოზე, ხომ ხვდებით, არა? როგორ წავა ეს ყველაფერი, ყველა მხარე იბრძვის იმისთვის, რომ მართალი იყოს. ჩვენი მიზანია, რომ მოვიძიოთ ყველა ფაქტი, რომელიც გამოძიებას წაადგება. ის ხალხი, რომელიც ამ საქმეში მონაწილეობდა, დავსაჯოთ, მაგრამ მეორე მხარე ეცდება, რომ თავის თავი უდანაშაულოდ წარმოაჩინოს, თუმცა ჩვენ ხომ ვიცით სინამდვილეში, რომ ეს ასე არ არის, თავის გულში რომ ჩაიხედონ, იციან რამხელა დანაშაული აქვთ ჩადენილი.

**— მახსოვს თქვენი განცხადება, ზოგიერთი ადამიანი, რომელიც გამოძიებას აყალბებდა, დღესაც მუშაობს პროკურატურაშიო, როგორ ფიქრობთ, ხელს არ შეუშლიან ობიექტურ გამოძიებას?**

— ახლაც ძალიან ბევრი მუშაობს, თვითონ პრეზიდენტმა ბრძანა (ჩხატარაშვილი რომ ახსენა, ხომ გახსოვთ). **ჩხატარაშვილი მაშინ ვინ იყო, იცით? ჯერ ზოდელავას მოადგილე იყო, შემდეგ მერაბიშვილისა და მისი კანტორის მარჯვენა ხელი. ახლა კი იძახიან, აღარ მუშაობსო, მაგრამ დადის ხმები, რომ, როგორც მრჩეველს, დიდი წონა აქვს პროკურატურაში. ყველამ კარგად იცის, რომ პროკურატურაში არიან სხვებიც, საქმის გაყალბებით დაინტერესებულნი.** გამოჩნდება ყველაფერი, თან ისე, რომ ხალხი დაინახავს კიდეც. ეს ადამიანები ჩვენი საქმის გამოძიებაში ნამდვილად არ იღებენ მონაწილეობას, ამ საქმეში არ არიან ჩართულნი. ამაზე ერთი ადამიანი მუშაობს კონკრეტულად.

**— დაბოლოს, თქვენ განაცხადეთ, გიგა ბოკერია და მისი მეუღლე სანდრო გირგვლიანის საქმის ძიების დროს სტრასბურგში ჩავიდნენ და ცდილობდნენ, ზეწოლა მოეხდინათ თქვენი ოჯახის ადვოკატ დავით ჯანდიერზე. ამის შემდეგ ჩერგოლეიშვილმა ასე გიპასუხათ: „სულ მაინტერესებს, ასეთი ტრაგედიის შემდეგ სისულელეების ბჟუტური და ცილისწამება ტკივილს უმსუბუქებს ადამიანებს? რა ჯანდიერი, რა ზეწოლა...“**

— ეს იყო მინიშნება. თუ დაფიქრდება, მიხვდება... მე მაშინ სტრასბურგში ვიყავი და ქალბატონი ჩერგოლეიშვილიც იქ იმყოფებოდა ქმართან ერთად. მშვენივრად იცის, რა როგორ იყო, მის ნამუსზე იყოს, გინდ თქვას, გინდ არა. მე ეს პიროვნება საერთოდ არ მაინტერსებს. თვითონ თუ არ უნდა, რომ თქვას სიმართლე, რას ვიზამთ. ისე, ეს ქალბატონი ვინც არის და რაც არის, ყველამ კარგად იცის. უსირცხვილო ადამიანია (ქალბატონია და სხვას ვერ ვკადრებ) და მეტი არაფერი!

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**





**სანდროს საქმეში დიდი უარყოფითი როლი ითამაშა მაშინდელმა ქალაქის პროკურორმა ღვინიაშვილმა. ამოცნობის დროს მან ყველაფერი გააკეთა, რომ ბუხაიძეს არ დაედო ხელი პირადად მელნიკოვისთვის**

---

მთავარი

## ევროკავშირი ეგვიპტეს «დემოკრატიულ რელსებზე» დაბრუნებისკენ მოუწოდებს



**განცხადება ეგვიპტეში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ქეთრინ ეშტონმა გაავრცელა.**

„მოვუწოდებ მხარეებს, სასწრაფოდ დაუბრუნდნენ დემოკრატიულ პროცესებს, თავისუფალი და სამართლიანი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარების და კონსტიტუციის მიღების ჩათვლით. პროცესი სრულად ინკლუზიურად უნდა წარიმართოს, რათა ქვეყანას ჰქონდეს შესაძლებლობა, განაახლოს და დაასრულოს ხელისუფლების დემოკრატიული გადაცემა“, — ნათქვამია ქეთრინ ეშტონის განცხადებაში. **აშშ-მა კი ეგვიპტიდან დიპლომატიური პერსონალი და მათი ოჯახის წევრები უკვე გაიწვია.**



საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ლგბტ საზოგადოების ცხოვრების პროპაგანდა შეფასებული უნდა იქნეს, როგორც ფსიქოლოგიური ძალადობა ადამიანის თავისუფალ ნებაზე და ამავე დროს არასრულწლოვნებზე უკიდურესად მავნე ზეგავლენის მატარებელი, და გარკვეული ფორმით უნდა ისჯებოდეს!“**

# მამათმავლობის პროპაგანდა საქართველოშიც ოფიციალურად უნდა აიკრძალოს



**17 მაისს პარლამენტის წინ ლგბტ-ს წარმომადგენლების მიერ გამართულ აქციას ქართულ საზოგადოებაში მძლავრი პროტესტი მოჰყვა. ხალხის უდიდესმა მღელვარებამ რუსთაველის გამზირზე 10 ათასზე მეტი ადამიანი გამოიყვანა. თავიანთი სულიერი შვილების გვერდით იყვნენ სასულიერო პირებიც, რომელთა აქტიურობამაც ევროპულ-ლიბერალურ შეხედულებათა მქონე მოქალაქეთა და უფლებადამცველთა მხრიდან უდიდესი აღშფოთება გამოიწვია. ისინი ამ დღეს, უბრალოდ, მშვიდობიან აქციად ნათლავენ და დემოკრატია თავიანთი პოზიციის გასამყარებლად ხელში კოზირად უჭირავთ, მაშინ, როდესაც საზოგადოების უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ეს იყო დაგეგმილი პროვოკაცია, რომლის უმთავრეს სამიზნეს საზოგადოების თვალში ეკლესიის დაკნინება წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ მოსახლეობაში უკვე მიმდინარეობს ხელმოწერების შეგროვება, რელიგიური დაწესებულებების გვერდით სექსუალური უმცირესობების მიერ აღლუმების გამართვისა და სხვა მსგავსი ტიპის შეკრებების წინააღმდეგ. მოახერხა თუ არა მავანმა თავისი მიზნის განხორციელება, როგორ უნდა მოიქცეს საზოგადოება ასეთ მძიმე რეალობაში, უნდა იკრძალებოდეს თუ არა კანონით პროპაგანდა, ამგვარად განვითარებული მოვლენები არჩეული პოლიტიკური კურსის ბრალია თუ გლობალიზაციის ლოგიკური შედეგი?! — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ „თავისუფალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე, პოეტი ერეკლე საღლიანი და ქაშუეთის ეკლესიის დეკანოზი, მამა ღვთისო შალიკაშვილი ესაუბრნენ.**



**დიმიტრი ლორთქიფანიძე:**

— 2009 წელს საპარლამენტო ტრიბუნიდან, სწორედ საზოგადოებრივი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, მომიწია განცხადების გაკეთება ე. წ. ლგბტ საზოგადოების ინტერესთა სფეროსა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისოდ აღიარებული, სამართლებრივი აქტებით გამყარებული ისეთი უფლებების ერთმანეთისგან გამიჯვნის თაობაზე, როგორიცაა სამოქალაქო-პოლიტიკური უფებების პაქტით აღიარებული გარანტირებული უფლება ყველა მშობლისა, აღზარდოს შვილი იმ ღირებულებათა სისტემაში და იმ ზნეობრივ გარემოში, როგორშიც მიიჩნევს მას დაცულად, მათ შორის ბავშვის თავისუფალ ნებაზე ფსიქოლოგიური ხასიათის ძალადობისგანაც, რომლის ფარგლებშიც ე.წ. გეიაღლუმები თუ ფლეშმობები პირდაპირ ატარებს პროპაგანდის ხასიათს! დღესაც ვაცხადებ ხმამაღლა, როგორც 4 წლის წინ, რომ **ლგბტ საზოგადოების ცხოვრების პროპაგანდა შეფასებული უნდა იქნეს, როგორც ფსიქოლოგიური ძალადობა ადამიანის თავისუფალ ნებაზე და ამავე დროს არასრულწლოვნებზე უკიდურესად მავნე ზეგავლენის მატარებელი, და გარკვეული ფორმით უნდა ისჯებოდეს!** სამწუხაროა, რომ ჩემი ამგვარი დამოკიდებულება საკითხისადმი დამაბრკოლებელი გარემოება აღმოჩნდა ჩემთვის სახალხო დამცველის პოსტზე არჩევნების პროცესშიც!

**— როგორც ცნობილია, უკვე გროვდება ხელმოწერები, რომ უნდა აიკრძალოს რელიგიური დაწესებულებების გვერდით სექსუალური უმცირესობების მიერ აღლუმების გამართვა. აქამდე რატომ არ დაიწყო ამ ყველაფერზე ფიქრი, მითუმეტეს მაშინ, როდესაც საპატრიარქომ 2010 წლის 15 მაისს საგანგებო განცხადებაში მოუწოდა ხელისუფალთ, სასწრაფოდ მიეღოთ კანონი, რომელიც დაიცავდა მოსახლეობის რელიგიურ გრძნობებს და დაიცავდა მათ უხამსობისგან?**

— 2013 წლის 17 მაისი ისტორიაში შევა, როგორც ქართველი ხალხის ნების მტკიცე გამოვლინება, ყველა იმ ეგზისტენციალურ საკითხთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება 17-საუკუნოვანი ქართული ქრისტიანული კულტურისა და ტრადიციული ღირებულებების ერთგულებასა და დაცვას! რა თქმა უნდა, ძალადობას ყველა საღად მოაზროვნე მოქალაქე უნდა გავემიჯნოთ და არა მგონია, კითხვები არსებობდეს! **პოზიტიურად ვაფასებ სამოქალაქო აქტივობას ხელმოწერების შეგროვებასთან დაკავშირებით, რომლის ძალითაც საპარლამენტო უმრავლესობამ უნდა იმსჯელოს გეიპროპაგანდის აღკვეთის სამართლებრივ საფუძვლებზე, რაზეც ჯერ კიდევ 2010 წელს საქართველოს საპატრიარქომ დააფიქსირა საკუთარი პოზიცია.**

**— სავარაუდოდ, როდის მიიღებენ შესაბამის კანონს?**

— იმედს ვიტოვებ, რომ სამოქალაქო აქტივობისა და პოლიტიკურ ძალთა კონსენსუსით საკითხი საშემოდგომო სესიაზე დადებითად გადაწყდება!



**ერეკლე საღლიანი:**

**— რას ფიქრობთ 17 მაისთან დაკავშირებით და რამდენად მტკიცედ გამოხატა ქართველმა ხალხმა თავისი პოზიცია?**

— ჩემი აზრით, ეს არ იყო არანაირი უფლებებისთვის წარმოებული ბრძოლა, ეს იყო შეგნებული პროვოკაცია, რომელიც დაიგეგმა „ნაციონალური მოძრაობის“ შტაბ-ბინაში და გამიზნული იყო იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ გაეშავებინათ საქართველო მსოფლიოს წინაშე. ქართველმა ხალხმა აქ გამოავლინა დიდი სიბრძნე თავისი ქმედებებით. როგორც კულუარებიდანაა ცნობილი, **უკმაყოფილონიც კი იყვნენ ამის დამგეგმავნი, რომ უმსხვერპლოდ დასრულდა ყველაფერი, ანუ მათ სურდათ, რომ ყველაფერი დასრულებულიყო მსხვერპლით და გამოეწვია დიდი სკანდალი, დიდი ხმაური, რაც, საბედნიეროდ, არ მოხდა.** მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამოსვლებისას ყველაფერს ანგრევენ და ამავე დროს იქმნება უმართავი პოზიცია. ამ თვალსაზრისით, მე აღტაცებული ვარ ქართველი ხალხის სიბრძნით.

**— მაგრამ ეს არის დემოკრატიის შემადგენელი ნაწილი და, როდესაც ჩვენ გვინდა დემოკრატია, მაშინ ეს ტერმინი თავის მხრივ ლიბერალობას, ტოლერანტობას, ყველას უფლებების დაცვას ითვალისწინებს და, თუ ეს ასეა, მაშინ წინააღმდეგობა არ უნდა გაგვეწია მათთვის. სწორედ ეს კოზირიც უჭირავთ ლგბტ-ს წარმომადგენლებს და მათ მომხრეებს: კონსტიტუციაც იცავთ, აშშ-ც და ევროპაც. როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ რეალობაში, რაში ხედავთ გამოსავალს?**

— სხვაა სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება და სხვაა ცხოვრების უკუღმართი წესი. აი, ამაშია განსხვავება. ამ შემთხვევაში ვინ უფრო დიდი მოძალადეა: ის, ვინც თავის პოზიციას გამოხატავს, თუ ის, ვინც გამოდის ქუჩაში მოთხოვნით, რომ ეს იქცეს ნორმად?! — ეს არის ძალიან დიდი პროპაგანდა და არა მარტო პროპაგანდა.

ჩვენი უბედურება, იცით, რა არის? — ყოველთვის მიზეზს ვეძებთ გარეთ და არა საკუთარ თავში. ამერიკამ, ევროპამ, მათმა მხარდამჭერმა ორგანიზაციებმა გამოყვეს თანხები მათ დასაფინანსებლად, მაგრამ საქმე ისაა, რომ თვითონ ქვეყანაში უნდა გვქონდეს ყველაფერი იმ დონეზე, რომ ეს გამოყოფილი დოლარები ამხელა მღელვარებას არ იწვევდეს. სულიერი მდგომარეობა და ატმოსფერო უნდა იყოს ჯანსაღი, თორემ დარწმუნებული ვარ, კიდევ მივიღებთ ასეთ შედეგს.

**— უნდა იკრძალებოდეს თუ არა პროპაგანდა ოფიციალურად?**

— აუცილებლად. **ყველა ერმა უნდა დაიცვას თავისი სიწმინდეები და მითუმეტეს, რელიგიურ დაწესებულებებთან ახლოს არ უნდა ხდებოდეს მსგავსი სამარცხვინო შეკრებები. ჩვენ იმ ქვეყნის ბედნიერი ერი ვართ, რომელსაც 100 ათასი მოწამე ჰყავს, 17 მაისი კი სამარცხვინოა. ეს დღე ეწინააღმდეგება ქართულ მენტალიტეტს და არ ნიშნავს იმას, რომ ქართველები ტოლერანტები არ ვართ, პირიქით, ჩვენ ფსევდოტოლერანტები არ ვართ.** მაგალითად, ქართველი არასოდეს მისცემს საკუთარ თავს იმის უფლებას, რომ ინდოეთში, ინდოელებისთვის წმინდა ადგილას ტაძარი ააშენოს. მსგავსი ტიპის შეკრებები წინააღმდეგობაში მოდის მოსახლეობის რელიგიურ გრძნობებთან და ამიტომ ის ოფიციალურად უნდა აიკრძალოს ისევე, როგორც პროპაგანდა, რომელიც მრავალ განვითარებულ ქვეყანაში კანონითაა აკრძალული.

**— სასულიერო პირების ქმედებას როგორ შეაფასებთ?**

— სასულიერო პირებს, მე რაც ვნახე, დადებითი როლის მეტი არაფერი შეუსრულებიათ. ეს ყველაფერი მავანის მიერ იყო ჩადებული. აქციაზე იყო ერთი მოძღვარი, რომელიც ეხვეწებოდა ხალხს, შვილებო, მე დამინდეთო. **სამიზნე არის ჩვენი ეკლესია. მართლმადიდებლური რწმენის წინააღმდეგ არის საშინელი ბრძოლა. სასულიერო და საერო პირთა ერთობამ განაპირობა ის, რომ მსხვერპლი ავიცილეთ თავიდან.** გავრცელდა კადრები სასულიერო პირთა ბილწსიტყვაობის, რაც მე სატელევიზიო მონტაჟი მგონია, მაგრამ, თუ ეს სინამდვილე იყო, მაშინ რა უნდა მომხდარიყო ისეთი, რომ ისინი ამ ზომამდე მიეყვანათ?! ეს ნამდვილად ღირს დაფიქრებად და საზოგადოება ნუ აუვლის გვერდს ამას გულგრილად.

ხომ ხედავთ, საქართველოში იყვნენ უცხო ქვეყნების ელჩები და ზოგიერთმა თითიც კი დაგვიქნია, მაგრამ სკანდალში ვერ გახვიეს ჩვენი ქვეყანა, ეს ვერ შეძლეს, თუმცა ნაწილობრივ თავისი გაიტანეს.

ეს ყველასთვის იყო გაკვეთილი. იცით, რაშია საქმე?! – **დემოკრატია, პირველ რიგში, უნდა ემყარებოდეს ხალხის უფლებებს და, როდესაც შენ უკვე ამ ხალხს მახინჯ ფასეულობებს აწვდი და მას დემოკრატიად ნათლავ, ამას არანაირი კავშირი არ აქვს დემოკრატიასთან.**

იმ დღეს ვინც ამ ჰომოსექსუალების დამცველებად გამოვიდნენ, ისე გამაღიზიანებლად იქცეოდნენ, რომ ხალხი სწორედ მათ მიიყვანეს უკიდურეს მდგომარეობამდე, შემდეგ კი თვითონ სასულიერო პირებსაც კი გაუჭირდათ აღელვებული მასის შეჩერება.



**ქაშუეთის ეკლესიის დეკანოზი, მამა ღვთისო (შალიკაშვილი):**

**— თქვენი აზრით, რამ გამოიწვია ლგბტ-ს წარმომადგენლების სიმრავლე საქართველოში?**

— ჩვენი ხელისუფლების დაინტერესებამ. მე მგონია, რომ ეს ზოგიერთების შემოსავლის წყარო გახდა. 17 მაისი იყო პროპაგანდა და არა აქცია. როდესაც ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე გინდა აღლუმი გამართო, ამას აქცია არ ჰქვია, ეს უკვე პროპაგანდაა, რაც არც ერთ ქვეყანაში არაა დაშვებული. ძალიან ბევრი ადამიანი გამოვიდა მათ წინააღმდეგ და ეს ისევ და ისევ მიუთითებს იმაზე, რომ მათ მომხრეები საქართველოში არ ჰყავთ. ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის იყვნენ ჰომოსექსუალები, მაგრამ ისე ცხოვრობდნენ, რომ არავის აწუხებდნენ.

**— რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მათი რიგები კიდევ არ გაიზარდოს?**

— ამისთვის მამათმავლობის პროპაგანდა საქართველოშიც ოფიციალურად უნდა აიკრძალოს და ასევე უნდა იქნას მიღებული კანონი რელიგიური დაწესებულებების გვერდით სექსუალური უმცირესობების მიერ აღლუმების გამართვის წინააღმდეგ. თუ ვინმე არის არატრადიციული ორიენტაციის, თავისთვის იყოს. ეს ერის სირცხვილია. **ვფიქრობ, რომ ჰომოსექსუალები ქცევის მიმბაძველობით გახდნენ ასეთები და შემდეგში უკვე დაავადდნენ ამ საშინელი სენით. მათ სწორედ მიმბაძველობით შეუძლიათ ძალიან ბევრი ადამიანის ჩათრევა ამ საქმეში.**

**— აქციაში მამაოების მონაწილეობაზე რას იტყვით?**

— მამაოები ჩვეულებრივი ადამიანები, ქართველები და ამ ქვეყნის შვილები არიან. მათაც გული შესტკივათ, ამიტომაც გამოვიდნენ და თავიანთ ქვეყანას დაუდგნენ გვერდით. მამაოების შესახებ გავრცელებულ კადრებს რაც შეეხება, ვფიქრობ, რომ ბევრი რამ გაზვიადებული იყო. მაცხოვარმა, როდესაც ეკლესიაში უწესრიგობა დაინახა, შოლტი აიღო, ყველა უღირსი გაშოლტა და ისე გამოყარა იქიდან. ყველაზე ცუდი, რაც კი საქართველოში ბოლო პერიოდში გაკეთებულა, სწორედ ამ აქციის ჩატარება იყო. მე შორს ვარ პოლიტიკური განცხადებების გაკეთებისგან, მაგრამ ბოლო პერიოდში გავრცელებული ციხის კადრებიდან გამომდინარე, **შეიძლება დავასკვნათ, რომ წინა ხელისუფლებისთვის მსგავსი სისაძაგლე ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა და ლგბტ-ს პროპაგანდაც ამ გადმოსახედიდან მათთვის სახამუშო არაა. უნდა მოვიდეს ისეთი ხელისუფლება, რომლის დროსაც არც საპატიმროებში და არც გარეთ არ იქნება ასეთი საშინელი რეალობა.**

შექსპირმა ძალიან კარგად თქვა: „ბოროტი საქმე დღის სინათლეს ვერსად წაუვა, გინდ დასამალად დედამიწა ჩამოეფაროს“. სწორედ ეს ვერ გაითვალისწინა ჩვენმა წინა ახალგაზრდა ხელისუფლებამ.

ესაუბრა
**შორენა ღვაჩლიანი**

**„ახალმა ხელისუფლებამ, თუ მას არ უნდა, რომ წინამორბედივით მოსწყდეს საზოგადოებას, მოსახლეობა უფრო მეტად უნდა ჩართოს გადაწყვეტილებების მიღებაში. ეს შეეხება იგივე საგარეო პოლიტიკური ორიენტირების განსაზღვრასაც, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერისთვის, და რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების საკითხსაც.“**

პოზიცია

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მერაბ შათირიშვილი: რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას ხელს ვერაფერი შეუშლის

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება მწერალი მერაბ შათირიშვილი.**

**— ბატონო მერაბ, რაც უფრო ახლოვდება საპრეზიდენტო არჩევნები და მიმდინარე სამართლებრივი პროცესი აქტიურ ფაზაში შედის, ჩვენი დასავლელი პარტნიორები სულ უფრო მეტს საუბრობენ პოლიტიკურ დევნაზე. წინა კვირას ეუთომაც მიიღო რეზოლუცია, რომელშიც შეშფოთება გამოთქვა ყოფილი პრემიერის, ვანო მერაბიშვილის, დაკავების გამო. ეს ყველაფერი, ალბათ, სამართლიანად გვაფიქრებინებს, რომ ევროპა და ამერიკა ცალსახად მხარს უჭერს სააკაშვილს. როგორ ფიქრობთ, საბოლოოდ ამას ხომ არ მივყავართ იქით, რომ „ნაცმოძრაობის“ უმაღლესი ეშელონები ხელშეუხებელი დარჩეს და მართლმსაჯულების ჯოხი მხოლოდ შემსრულებლებზე გადატყდეს? არის საუბარი მერაბიშვილის შესაძლო გამოშვებაზეც.**

— ამგვარი შიში საზოგადოებაში სრულიად სამართლიანად ჩნდება. ნატოს გენერალური მდივნის ვიზიტიც რომ ავიღოთ, მის განცხადებებში მე ბევრი რამ არ მომეწონა. ადრეც მითქვამს და კიდევ ვიმეორებ, **თუ ჩვენს კეთილის მოსურნეებს, ამერიკელებს და ევროპელებს, უნდათ, რომ საქართველო მართონ მათი სურვილისამებრ, ეს ნამდვილად არ გამოუვათ. კანონი ყველგან უნდა კანონობდეს და სამართლის უზენაესობა ყველამ უნდა დაიცვას.** აქ არის ერთი ფაქტორიც: თქვენ თუ დააკვირდებით, ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ დასავლეთის რიტორიკა, ჩვენსა და რუსეთს შორის საერთო ენის გამონახვასთან დაკავშირებით, ძალიან შეიცვალა, ანუ, ადრე თუ გვესმოდა საუბარი ურთიერთობის მოგვარების აუცილებლობაზე, დღეს უკვე პირიქითაა — ოცდაოთხი საათი გვამუნათებენ, დასავლურ კურსს არ უნდა გადაუხვიოთ და პრორუსულები არ უნდა გახდეთო. ახლა რა გამოდის? მთელი მათი მაშინდელი მითითება და მოწოდებები, რომ პრობლემები მშვიდობიანად უნდა მოგვარდეს, მხოლოდ ფასადური პოლიტიკა იყო. სინამდვილეში კი ძირს გვითხრიდნენ ჩვენც და რუსებსაც...

**— კი მაგრამ, რატომ იყვნენ დარწმუნებული, რომ ეს მოწოდებები და ფასადური პოლიტიკა ჩვენი მხრიდან რეალურ ქმედებებში არ გადაიზრდებოდა?**

— მათი ეს რწმენა დაფუძნებული იყო იმაზე, რომ ზუსტად იცოდნენ, სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ ვერასოდეს მოაგვარებდნენ რუსეთთან ურთიერთობას. ამას თვითონ რუსეთის ხელისუფლებაც ღიად აცხადებდა, მაგრამ, როგორც კი მოვიდა ახალი ძალა, რომელმაც სულ სხვა პერსპექტივები გააჩინა, ვითარება კარდინალურად შეიცვალა. **დღეს კრემლის მესვეურები არ ამბობენ, რომ საქართველოს არ დაელაპარაკებიან, პირიქით, ისინი მზადყოფნას გამოთქვამენ. აი, ესაა დასავლეთისთვის ყველაზე დიდი მოულოდნელობა და ყველაზე დიდი თავსატეხი.**

**— კონკრეტულად რაში გამოიხატება ეს?**

— იმ განცხადებებში, რომლებსაც დასავლელი დიპლომატები აკეთებენ — თითქოს საქართველომ პროდასავლურ კურსს გადაუხვია. რას ნიშნავს ეს პროდასავლური კურსი, მე უკვე, სიმართლე გითხრათ, აღარც მესმის; თუ იმას ნიშნავს, რომ საერთოდ არ ვახსენოთ რუსეთი, ბოდიში, მაგრამ ასე არ გამოვა, ჩვენ მუდმივად ზეწოლის ქვეშ ვერ ვიქნებით. **ბავშვიც კი ხვდება დღეს, რომ ამხელა სახელმწიფოსთან ჭიდაობა და ძიძგილი ჩვენთვის სიკეთის მომტანი არ არის. თავის დროზე ევროპაც მიხვდა ამას და მთელი მსოფლიოც. ასე რომ, ყველამ უნდა გაიგოს ერთი რამ: საქართველო საჯილდაო ქვა ვერ იქნება, საქართველომ განვითარების საკუთარი გზა უნდა მოძებნოს...**

**— ამგვარი პოლიტიკით ევროატლანტიკურ სტრუქტურას დავშორდებით. ამაზე ისინი ღიად და დაუფარავად მიანიშნებენ.**

— ჯერ ერთი, ვინ გილებს ამ სტრუქტურაში და მეორეც, თუ ჩვენ გვინდა, ევროპულ ოჯახში შევიდეთ, როგორც სრულუფლებიანი ქვეყანა, მაშინ ერთიანი სახელმწიფოებრიობა უნდა გაგაჩნდეს. მე ვფიქრობ, რომ დღეს ქართული სახელმწიფოებრიობა არ არსებობს. ასე რომ, რომელ ევროკავშირზეა საუბარი ან ნატოზე?! სააკაშვილი ასრულებდა კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფის კონკრეტულ დავალებას, რომელსაც თავისი მიზანი ჰქონდა. იმის მეტი მათ აქ არაფერი აინტერესებდათ. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ არც ერთხელ დასავლეთიდან მისთვის არ მიუთითებიათ კატეგორიულად, დემოკრატიული გზებით დაარეგულირე ურთიერთობა რუსეთთანო. დარწმუნებული ვარ, მას რომ ეს მითითება ჰქონოდა, ცხრა ტყავში გაძვრებოდა და შეძლებდა, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ყველაფერი პირიქით იყო, ამ კაცს არწმუნებდნენ, რომ



სწორად იქცეოდა, სწორ ნაბიჯებს დგამდა და უკან არ უნდა დაეხია.

**— პრინციპში, ივანიშვილსაც იმავეს ეუბნებიან, ამასწინათ რიჩარდ ნორლანდმა განაცხადა, ამერიკა თქვენთან არისო.**

— გასაგებია, მაგრამ ბიძინა ივანიშვილი ამ ყველაფერს სხვა პრიზმაში ატარებს, მისთვის ამგვარ განცხადებებს არ აქვს წაქეზებისა და წახალისების ეფექტი. ამას უკვე ხედავენ დასავლეთში და, როგორც ჩანს, ნერვები ეშლებათ. ამიტომაა, რომ ახლა ჩვენს შიდა პროცესებზე აკეთებენ აქცენტს; ანუ ისინი იმ პოლიტიკას და კანონმდებლობას ეხებიან, რომელიც თვითონ ქვეყნის გადასაწყვეტია, მის სუვერენულ ჩარჩოებშია. იმავე **ამერიკის ელჩი რომ ახსენეთ, ფაქტობრივად, ყველგან ფიგურირებს, ყველაფერში მონაწილეობს, თითქოს ის არის ცენტრალური ფიგურა. ეს თავისთავად კითხვებს აჩენს, ბოლოს და ბოლოს ვინ ვართ ჩვენ — სახელმწიფო თუ კოლონია?!**

**— თქვენი აზრით, ის პოლიტიკა, რომელსაც დასავლეთი ატარებს დღეს ჩვენთან დაკავშირებით, რეალურად რა გავლენას მოახდენს საქართველოზე?**

— თუ ჩვენ აქ კანონიერად ვიქცევით, მათი შეფასებები, ყველა შემთხვევაში, დარჩება შეფასებებად. უბრალოდ, ეს გარკვეულწილად ხელს შეუშლის ჩვენი ევროპული პოლიტიკის წინსვლას, რაც თავისთავად სირთულეებთან იქნება დაკავშირებული. რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას, ვერავინ და ვერაფერი ამას წინ ვერ აღუდგება, იმიტომ, რომ ესაა ჩვენი, რუსი ხალხის, აფხაზებისა და ოსების ნება; ზოგადად, საერთო სამეზობლო ფორმატია ეს, რაც დიდი უგუნურება იყო, რომ დაირღვა და მტრობა გაჩნდა.

**— ნატოზეც გკითხავთ. თქვენი აზრით, უნდა ჩატარდეს თუ არა ხელახალი საყოველთაო გამოკითხვა იმის თაობაზე, გვინდა თუ არა ალიანსში შესვლა?**

— ერთი ასეთი გამოკითხვა სააკაშვილმა ჩაატარა 2008 წელს და მაშინ, გახსოვთ, მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ შეკითხვას დადებითი პასუხი გასცა. იმ დროს ყველა ამბობდა, რომ არჩევნები გაყალბდა, მაგრამ არავის დაუყენებია საკითხი, ის რეფერენდუმი რამდენად ობიექტური იყო. ჩემი აზრით, სრულიად ლეგიტიმური უფლება გვქონდა, დავეჭვებულიყავით. რაც შეეხება ხელახალ გამოკითხვას, მიმაჩნია, რომ ის უნდა ჩატარდეს არა მარტო ამ ერთ კონკრეტულ საკითხზე, არამედ ბევრად უფრო ფართო და მრავლისმომცველ კონტექსტში. კერძოდ, რას ვგულისხმობ, წლების მანძილზე ხალხი არ მონაწილეობდა ქვეყნის მართვაში, ამიტომ **ახალმა ხელისუფლებამ, თუ მას არ უნდა, რომ წინამორბედივით მოსწყდეს საზოგადოებას, მოსახლეობა უფრო მეტად უნდა ჩართოს გადაწყვეტილებების მიღებაში. ეს შეეხება იგივე საგარეო პოლიტიკური ორიენტირების განსაზღვრასაც, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერისთვის, და რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების საკითხსაც.**

ჩვენ 9 წლის განმავლობაში გვესმოდა, რომ ევროპულ ოჯახს ვეკუთვნით, მაგრამ წარმოდგენა არ გვქონდა, რა არის ეს ოჯახი. მერე, საქმე საქმეზე რომ მიდგა, აღმოჩნდა, რომ თურმე მთლად ჩვენი სახლიც არ ყოფილა ეს ევროპა. მეტიც, ზოგი რამ ისეთებიც აღმოვაჩინეთ მასში, რაც ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია. აი, ზუსტად იმავე გაუგებრობაში რომ არ აღმოვჩნდეთ ახლაც, ბიძინა ივანიშვილმა ყველაფერი უნდა გააკეთოს მოსახლეობის ინფორმირებისთვის. ხალხმა უნდა იცოდეს, რას ვირჩევთ და საით მივდივართ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ დაბნეულობიდან ვერასოდეს გავხდებით სტაბილური ქვეყანა.

**— საპრეზიდენტო არჩევნებამდე ოთხ თვეზე ნაკლები რჩება. პოლიტიკური დაძაბულობა დღითიდღე მატულობს. იმის მიუხედავად, რომ „ნაცმოძრაობა“, ფაქტობრივად, არანაირ ძალაუფლებას არ ფლობს, საზოგადოების გარკვეულ ნაწილში მაინც არის შიში, რომ სააკაშვილმა ბოლოს შეიძლება სიტუაცია არიოს. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია ეს საფრთხე? რას უნდა ველოდოთ?**

— ბუნებრივია, ასეთი შიში იარსებებს. 9 წელი რომ მუდმივი ტერორის ქვეშ იქნები, მერე იქიდან გამოსვლა ძნელია, მაგრამ ძალიან დიდ პატივს ვცემ თქვენს გაზეთს და მინდა, თქვენი მკითხველი დავამშვიდო, — ეს არის უსაფუძვლო შიში. „ნაციონალურ მოძრაობაზე“ აქ ლაპარაკი აღარაა, სააკაშვილის რეჟიმი დასრულდა 1 ოქტომბერს. რა თქმა უნდა, გველეშაპი ბოლომდე ჯერ არ განგმირულა, მაგრამ მისი კუდის მოქნევა უკვე ვერავის ზიანს ვერ მიაყენებს. ეს თვითონაც კარგად იციან. ასე რომ, მთავარი საფრთხე ქართველმა ერმა უკვე გადაიტანა; „ნაცმოძრაობა“ პრაქტიკულად დამთავრებულია.

**— არჩევნების თარიღის დასახელება სააკაშვილმა ერთგვარად გაართულა. ჯერ 27 ოქტომბერი გამოცხადდა, შემდეგ — 31, შემდეგ ისევ — 27. თქვენი აზრით, რას ნიშნავდა ეს?**

— ამათ ქმედებებსა და გადაწყვეტილებებში ლოგიკის დანახვას ტყუილად არ უნდა შეეცადო. ჩვენ ვერასოდეს გავიგებთ, რაში სჭირდებოდა სააკაშვილს არჩევნების თარიღის ერთ დღეში სამჯერ შეცვლა. თუ ამით ვადის გახანგრძლივება სურდა, მაშინ თავიდანვე 31 ოქტომბერი უნდა დაესახელებინა, თუმცა არა მგონია, ოთხი დღე რამეს ნიშნავდეს. საერთოდ, **სააკაშვილს ჭკუა რომ ჰქონდეს, ვადას კი არ უნდა იხანგრძლივებდეს, პირიქით, უნდა იმოკლებდეს; ვინაიდან ის ახლა რეალურად თავისი პარტიის განადგურებას და მოსპობას ახანგრძლივებს. სააკაშვილი საბოლოოდ აცამტვერებს „ნაცმოძრაობას“, შანსს არ უტოვებს მას. ასევე არ უტოვებს შანსს მისი პარტიის წევრებსაც, რომლებსაც მთლად იმდენი დანაშაულიც არ აქვთ ჩადენილი, რომ ხალხმა ვერასოდეს აპატიოს.** მან იცის საკუთარი შეცდომები, იცის, რომ მისთვის ყველაფერი დამთავრდა პოლიტიკაში. ამიტომ სხვებიც უნდა, ჩაიყოლიოს და გემს ძირავს. ჩაძირული გემიდან ვინც გარბის, კარგად იცით თქვენ...

**— ვირთხები. ისე, არის საუბარი იმაზეც, რომ მათი ნაწილი, შესაძლოა, „ქართულ ოცნებაში“ შევიდეს.**

— მეც გავიგე ეს და, სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რა ვიფიქრო. გინდა, არ გინდა, შენია და ამ ვირთხებს კარი უნდა გაუღო, მაგრამ მერე იმის შიშში უნდა იყო მუდმივად, რომ არ გამოგხრან...

**— დღესდღეობით უკვე ძალიან ბევრი ყოფილი „ნაციონალია“ „ქართულ ოცნებაში“, რას ფიქრობთ ამაზე?**

— ვფიქრობ, რომ ძალიან დიდი საფრთხეა ეს კოალიციიოსთვის, მაგრამ იმედი მაქვს, არჩევნები ყველაფერს გაწმენდს. სხვანაირად მუდმივად ნაღმზე ვიქნებით. განსაკუთრებით რამდენიმე რეგიონს ეხება ეს.

**— კერძოდ?**

— ერთ ფაქტს გეტყვით: ძალიან დიდ პატივს ვცემ ზვიად ძიძიგურს, მაგრამ ფოთში, მაგალითად, მისი პარტიის ხელმძღვანელი გახდა ვიღაც წურწუმია, ყოფილი დეპუტატი „ნაციონალური მოძრაობიდან“. თავის მხრივ, მან ძირითადი ბირთვი შეავსო ასევე ყოფილი „ნაციონალებით“. იქ ვიღაც ასანიძეა კიდევ ერთი გაქანებული „მიშისტი“... აი, ესაა უკვე საფრთხე და ამას უნდა მიაქციონ ყურადღება პარტიის ლიდერებმა...

**— ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე რას ფიქრობთ?**

— არ მინდა, მკვეხარობაში ჩამომერთვას, მაგრამ ჯერ კიდევ 1 ოქტომბრამდე ვამბობდი, ეს არჩევნები, როგორც უნდა შეფასდეს, დემოკრატიული ვერ იქნება-მეთქი. ამ ყველაფერს ძალიან მარტივი ახსნა აქვს, — ის ჩატარდა ავტორიტარული რეჟიმის პირობებში. მაშინ ყველა ვთანხმდებოდით იმაზე, რომ უნდა მომხდარიყო გარდატეხა და შემდეგ ჩაგვეტარებინა ხელახალი, ობიექტური არჩევნები. მხოლოდ ასე მიიღწეოდა სამართლიანობა და მხოლოდ ასე შეიძლებოდა, ხალხს საკუთარი ნების გამოხატვის საშუალება მისცემოდა. მე დღესაც იგივე აზრი მაქვს და, იმის მიუხედავად, რომ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ვარ, ამას ხმამაღლა ვამბობ — **საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ უპრიანი იქნება, ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებიც. ამით გაიწმინდება კოალიცია და პოლიტიკური სივრცე გაჯანსაღდება.**

**«საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებიც უნდა ჩატარდეს. კოალიცია მხოლოდ ასე გაიწმინდება»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

საქართველო და მსოფლიო
ვერსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩემთან შეხვედრისას ხვედელიძემ დააანონსა, რომ დათო კირვალიძისა და სოფლის მეურნეობის სხვა მაღალჩინოსანთა საქმეებს უკვე სწავლობდნენ საგამოძიებო ორგანოები. მოკლედ, როგორც იტყვიან, უკვე კუდზე ესხდნენ კირვალიძეს. შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის ზედა ეშელონებში უკვე გახმაურებული იყო ეს ამბავი. მოკლედ, მე სამი კვირით ადრე მითხრა ხვედელიძემ, რომ კირვალიძეს დაჭერას უპირებდა."**

## ლაშა ამირეჯიბი:

# ბიძინა ივანიშვილს გარემოცვა არ უვარგა



**„სახალხო კრების" ერთ-ერთი ლიდერი, ლაშა ამირეჯიბი აცხადებს, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 8 თანამშრომლის დაკავება, რომელსაც მინისტრ დავით კირვალიძის გადადგომა მოჰყვა, ხელისუფლების ერთი ჯგუფის მიერ იყო ინსპირირებული და ეს ადამიანები უდანაშაულონი არიან. ამირეჯიბი ამ ოპერაციის დამგეგმვის შესახებაც ღიად აცხადებს, რომ ამის შესახებ სამი კვირით ადრე იცოდა. გარდა ამისა, საქართველო და მსოფლიოს" იგი „სახელისუფლო კულუარების არაერთ ექსკლუზიურ დეტალს უმხელს.**

**— ინტერვიუს დასაწყისში მითხარით, რომ წინასწარ იცოდით, თუ რას უმზადებდნენ ხელისუფლების მაღალჩინოსნები დავით კირვალიძესა და მის თანამშრომლებს. სად და როდის შეიტყვეთ ეს?**

— მე შინაგან საქმეთა მინისტრის აწ უკვე ყოფილ მოადგილეს — გელა ხვედელიძეს შევხვდი მისსავე კაბინეტში და მასთან გარკვეულ თემებზე მქონდა საუბარი. ჩვენი შეხვედრის შემდეგ იყო, ხვედელიძემ გიორგი ფარესიშვილს ის სკანდალური ვიდეო რომ გამოუქვეყნა და გააუბედურა ეგ ბიჭი, თუმცა თვითონაც გადაჰყვა მაგ საქმეს. ამაზე აღარ შევჩერდები. **ჩემთან შეხვედრისას ხვედელიძემ დააანონსა, რომ დათო კირვალიძისა და სოფლის მეურნეობის სხვა მაღალჩინოსანთა საქმეებს უკვე სწავლობდნენ საგამოძიებო ორგანოები. მოკლედ, როგორც იტყვიან, უკვე კუდზე ესხდნენ კირვალიძეს. შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის ზედა ეშელონებში უკვე გახმაურებული იყო ეს ამბავი. მოკლედ, მე სამი კვირით ადრე მითხრა ხვედელიძემ, რომ კირვალიძეს დაჭერას უპირებდა.** ვუთხარი, რას ერჩი, შესანიშნავი ადამიანია, მინისტრადაც ჩინებულია-მეთქი, მაგრამ მე ვინ რას მეკითხებოდა?!

**— რატომ გენდო? რა გარანტია ჰქონდა, რომ კირვალიძეს არ გააფრთხილებდი ან არ გაახმაურებდი ამ ამბავს?**

— მე არც არავის არ გავაფრთხილებდი და არც გავახმაურებდი ამ ამბავს, ეს ხვედელიძემ კარგად იცოდა. თუ რატომ, ამის შესახებ სხვა დროს გეტყვი. ჩვენ გარდა ამ შეხვედრას ჟურნალისტი გიორგი მამაცაშვილი და კიდევ ერთი პიროვნება ესწრებოდა. გიორგი მამაცაშვილი ვერ უარყოფს, რომ ხვედელიძემ პირდაპირ მითხრა, რომ დავით კირვალიძეს ცუდად ჰქონდა საქმე. მე მაშინვე მივხვდი, რომ მის წინააღმდეგ რაღაცებს ხლართავდა.

**— სოფლის მეურნეობის მაღალჩინოსნებსა და შპს „მექანიზატორის" ხელმძღვანელებს სახელმწიფო ქონების მითვისება-გაფლანგვას ედავებიან. ეს ძალიან სერიოზული ბრალდებაა. დავიჯერო, ეს ბრალდება შეთითხნა ხვედელიძემ?**

— ეს ბრალდება სამმა კაცმა შეთითხნა: გელა ხვედელიძემ, მთავარი პროკურორის მოადგილე, ლაშა ნაცვლიშვილმა და პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა გია ხუხაშვილმა. ეს სამეული ცდილობდა, გაეკონტროლებინა არა მარტო მთელი მსხვილი ქართული ბიზნესი, არამედ ყველა სახელისუფლო სტრუქტურა. **გია ხუხაშვილმა დავით კირვალიძეს უთხრა, „ჩემი კაცი" დანიშნე შენს სამინისტროში და ამ კაცისთვის მაღალი პოსტიც მოსთხოვა, რათა სოფლის მეურნეობის სამინისტრო გაეკონტროლებინა. გესმის? კაცს მთელი სამინისტროს გაკონტროლების პრეტენზია ჰქონდა და ამას მინისტრს პირდაპირ ეუბნებოდა.**

**— კირვალიძე როგორ მოიქცა?**

— როგორც უნდა მოქცეულიყო ღირსეული კაცი და ღირსეული მინისტრი? უხეშად მოიშორა ხუხაშვილი — ვიდრე მე ვარ მინისტრი, შენს ბინძურ თათებს ჩემს სამინისტროში ვერ აფათურებო. ცოტა უარესი სიტყვებიც აკადრა ხუხაშვილს, რომელთა გამეორებასაც მკითხველს ვერ შევკადრებ. ეს ბოლო წვეთი აღმოჩნდა ამ სამეულისთვის. მანამდე მათ დათო კირვალიძემ საქართველოში არ შემოატანინა იმპორტული, უხარისხო კვერცხი და საბაჟოზე ასი ათასობით დოლარის კვერცხი გაუფუჭდათ. ამ **კვერცხის შემოტანაზე უარი კირვალიძემ პირადად ლაშა ნაცვლიშვილს სტკიცა. სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამით ადგილობრივი მწარმოებლებისა და მოსახლეობის ინტერესები დაიცვა, რაც სამეულს სულ არ ადარდებდა. მოკლედ, გადაეკიდნენ კირვალიძეს და მართალია, ვერ დაიჭირეს, მაგრამ მისი თანამშრომლები დააპატიმრეს.**

ახლა ერთ საყურადღებო ამბავზე შევაჩერებ ყურადღებას. ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალჩინოსნები და შპს „მექანიზატორის" მესვეურები ტრაქტორების შეძენის საკითხს შეეწირნენ. ტრაქტორების შეძენას სამინისტროში კურირებდა ირაკლი ქარსელაძე, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი. ამ კაცის გარეშე, მაპატიეთ და, ტუალეტში ვერ დადიოდა ის ხალხი, რომელიც ტრაქტორების შეძენაზე მუშაობდა სამინისტროში. ქარსელაძის გარეშე არათუ კონტრაქტი არ ფორმდებოდა რომელიმე კომპანიასთან, ერთ დოკუმენტსაც კი არ აწერდა ხელს არც მინისტრი და არც მისი რომელიმე მოადგილე. **ქარსელაძე უშუალოდ ბიძინა ივანიშვილის წარმომადგენელი იყო სამინისტროში ტრაქტორების შეძენის კუთხით. მე მაინტერესებს, რატომაა გარეთ ქარსელაძე და რატომ არ დგება მისი პასუხისმგებლობის საკითხი? ყველაფერს სათავეში ქარსელაძე ედგა და როგორ აღმოჩნდა, რომ ტენდერი, რომელსაც ის თავიდან ბოლომდე აკონტროლებდა, კანონდარღვევით ჩატარდა და იქ ვიღაცებმა ხელის მოთბობა მოისურვეს?** წესით, ამით გამოძიება უნდა დაინტერესდეს, მაგრამ გამომძიებლებს ქარსელაძის პიროვნება სულ არ აინტერესებთ. ვიდრე პროკურატურაში ლაშა ნაცვლიშვილია, ამ საქმეს ობიექტურად არ გამოიძიებენ და არც ირაკლი ქარსელაძით დაინტერესდება ვინმე.

**— შენ არაერთხელ გითქვამს, რომ ხუხაშვილს, ნაცვლიშვილსა და ხვედელიძეს მთელი ქართული ბიზნესისა და სახელისუფლო ვერტიკალის გაკონტროლება სურდათ. დავუშვათ, ეს ვერსია მართალია. გელა ხვედელიძის დაჭერის შემდეგ მათ სერიოზული დასაყრდენი გამოეცალათ. გამოდის, საკუთარი გეგმის შესრულებას ხუხაშვილი და ნაცვლიშვილი ვეღარ შეძლებენ.**

— ჯერ ერთი, ეს ვერსია არ არის, მე ფაქტებით ვსაუბრობ და ამ სამეულს მართლა სურდა ქართული ბიზნესისა და სახელისუფლო ვერტიკალის სრულად გაკონტროლება. მეორეც, მართალი ხარ, **ხვედელიძე მათთვის უდიდესი დანაკარგია, აუნაზღაურებელიც, რადგან ის ქვეყნის უშიშროების უფროსი იყო, ფლობდა უზარმაზარ ინფორმაციასა და სახელისუფლო ბერკეტებს. თუმცა ამ სამეულში მთავარი ფიგურა გია ხუხაშვილი იყო და მას ხვედელიძის განეიტრალების შემდეგ ეს სურვილი არ გაქრობია.** ჩემი ინფორმაციით, ხუხაშვილი და ნაცვლიშვილი კვლავაც ცდილობენ იმავეს — ბიზნესისა და აღმასრულებელი სტრუქტურების დამორჩილებას. მე როგორც ვიცი, ეს ორეული მესამე კაცის შეამხანაგებას აპირებს ამ მიზნის მისაღწევად. მართალია, მას იმხელა რესურსი არ გააჩნია, რაც ხვედელიძეს ჰქონდა, მაგრამ საკმაოდ წონიანი ფიგურაა.

**— ბარემ მითხარით, ვინ არის.**

— პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის მრჩეველი ირაკლი მელაშვილი. ჩემი ინფორმაციით, მელაშვილი ხუხაშვილის კანდიდატურაა და ამ ვარიანტზე ნაცვლიშვილიც თანახმაა.

**— თუ შენი ინფორმაცია მართალია, პრემიერ-მინისტრის ორი მრჩეველი „რუხ კარდინალად" გვევლინება.**

— მე რასაც ვლაპარაკობდი საქვეყნოდ, რომ ხვედელიძე არ არის წესიერი ადამიანი-მეთქი, მაშინ პრემიერის გარემოცვა მისი „გათეთრებით" იყო გართული. იქნებ ახლა მაინც მომისმინონ და დამიჯერონ? **ბევრი მითქვამს გია ხუხაშვილის ავკაცობის შესახებ, მაგრამ არ შემიძლია, რომ არ ვთქვა: ამ კაცს პატარა ბავშვები აღარ ენდობიან, რადგან საქვეყნოდ ცნობილი მატყუარაა. გეფიცებით, მეცოდება ეგ კაცი... ხან ჩეჩნები დაათრევდნენ მანქანის საბარგულით აღმადაღმა, ხან ქართველები და ხანაც აზერბაიჯანელები.**

**— მანქანის საბარგულში რა უნდოდა?**

— რა მიამიტივით მეკითხები, თუ კაცი ხარ? არ იცი, საბარგულში რატომ ხვდებიან ადამიანები? იმიტომ, რომ **გია ხუხაშვილმა ჩეჩნები დიდ ფულში გადააგდო, 2 კვირა საბარგულით ატარეს შემდეგი რეისით: გროზნო-მოსკოვი-გროზნო და მერე გამოუშვეს. ფული გადაიხადა და იმიტომ გამოუშვეს თუ შეეცოდათ, ეს აღარ ვიცი, დანარჩენი ბიძინა ივანიშვილმა გაიკითხოს თავის მრჩეველზე. საამისო კავშირები, ვის-ვის და ივანიშვილს ნამდვილად აქვს.** მერე, გოგი ლიპარტელიანთან მუშაობდა ნავთობკომპანიაში, ეს კაციც „გადააგდო", საქმე სოლიდურ თანხებს ეხებოდა, მე რამდენადაც ვიცი, გოგი ლიპარტელიანს მთელი ვაგონი ნავთობპროდუქტი „მოუტეხა". ამის შემდეგ კიდევ მოუწია მანქანის საბარგულით „სეირნობა" ხუხაშვილს. მერე „სოკარში" მუშაობდა და არც იქიდან წამოსულა კარგი სახელით. „სოკარის" ხელმძღვანელები მოატყუა, თბილისში ბინა არ მაქვსო, კომპანიამ ბინა მისცა სოლოლაკში. ხუხაშვილმა კი, იცი, რა ქნა? „სოკარის" მიცემული ბინა გააქირავა და თბილისში, საკუთარ სახლში ცხოვრობდა. **კარგი, ჩეჩნები შორს არიან, მაგრამ „სოკარის" მესვეურნი და გოგი ლიპარტელიანი ხომ თბილისში არიან? ჰკითხოს მათ ივანიშვილმა, ერთმა ან მეორემ რატომ გამოაგდო ეს კაცი სამსახურიდან?** ხუხაშვილი რკინიგზაშიც მუშაობდა 2004-2006 წლებში, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და რკინიგზის კორპორატიული დირექტორი იყო. დღეს ფინანსური პოლიციაა შესული რკინიგზაში. მაინტერესებს ერთი, იმ პერიოდს შეისწავლის თუ არა ფინანსური პოლიცია, როცა იქ ხუხაშვილი მუშაობდა? არადა, მაქვს ინფორმაცია, რომ მას არაერთი კანონდარღვევა აქვს იქ მუშაობის დროს ჩადენილი და საქმე მის მიერ გაფლანგულ მილიონებს ეხება.

**— როგორ ფიქრობ, რატომ არ ინტერესდება გია ხუხაშვილის წარსულით ბიძინა ივანიშვილი, როცა ჯერ კიდევ არჩევნებამდე, შარშან დაიწყო ამ კაცის საეჭვო წარსულზე მედიით ლაპარაკი?**

— რა გითხრათ? ალბათ, ჰიპნოზს უკეთებს ხუხაშვილი... ისე, ამ კაცს შეუძლია, ტარაბუა დაახვიოს ნებისმიერ ადამიანს და დააჯეროს, რომ დიდი საქმეების გამკეთებელია, მაგის დიდოსტატი ნამდვილად არის. ეტყობა, ივანიშვილიც გააბრუა. ისე, მარტო ხუხაშვილში არ არის საქმე. საერთოდ, **ბიძინა ივანიშვილს არ უვარგა გარემოცვა. პრემიერის მთელი გარემოცვა რომ გადაადნო, ერთი ვიტალი ხაზარაძე ძლივს გამოვა. ვიდრე ეს ხალხი დაღუპავდეს, დროა, მოიცილოს. მარტო მრჩევლებზე არ არის ლაპარაკი. მინისტრებიდანაც, ყველას ნდობა არ შეიძლება.** ირაკლი ღარიბაშვილი, კახი კალაძე, ლევან ყიფიანი... ესენი ნამდვილად მისი ერთგული ხალხია და შეიძლება მათ დაეყრდნოს. იგივე შეიძლება ითქვას „ქართული ოცნების" საპარლამენტო დეპუტაციაზე. თითები არ მეყოფა იმ ხალხის ჩამოსათვლელად, რომლებიც ბატონ ბიძინას ბოლომდე უერთგულებს და პირველსავე გასაჭირში არ მიატოვებს. რესპუბლიკელები ავიღოთ. 1 ოქტომბრის არჩევნებამდე რესპუბლიკური პარტიის რეიტინგი 0,6% იყო. აი, ასეთი მომაკვდავი პარტია ჩაიბარა ივანიშვილმა 1 ოქტომბერს და დღეს ამ პარტიას პარლამენტში ხომ ჰყავს სოლიდური წარმომადგენლობა სპიკერის ჩათვლით, აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც უჭირავთ საკვანძო პოსტები.

გარდა ამისა, არაერთ რაიონს რესპუბლიკელები აკონტროლებენ. მოკლედ, ლამისაა, მთავარ სახელისუფლო პარტიად მოგვევლინონ რესპუბლიკელები. არადა, მათი და „ნაციონალების" იდეოლოგია არაფრით განსხვავდება ერთმანეთისგან. ხალხს ეგენი რომ სდომებოდა ხელისუფლებაში, 0,6% არ ექნებოდათ რეიტინგი. თანაც ქართველი ხალხი რა მოწყალეცაა არჩევნებისა და სოციოლოგიური კვლევების დროს, ხომ ცნობილია, არა? **რესპუბლიკელები, ქართველი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ, „ნაცმოძრაობის" ფაშისტური რეჟიმის ნარჩენების გადასარჩენად იბრძვიან. ვინ დაავალა მათ ეს საქმე? ხალხის დაკვეთა ამ რეჟიმის ნარჩენების მოცილებაა და არა „ნაცმოძრაობის" რეანიმაცია. რეგიონებში ხომ არნახულ კოაბიტაციაში არიან რესპუბლიკელები „ნაცმოძრაობასთან" და ეს უკვე საერთო საქმის ღალატია. ვისაც არ ეზარება, ნაციონალებიდან რესპუბლიკურ პარტიაში გადადის, მერე ამ ხალხს ან გამგებლად ნიშნავენ რესპუბლიკელები, ან მის მოადგილედ ან სოფლის რწმუნებულად. რაიონებში არაერთ საკრებულოში გარესპუბლიკელებული „ნაცები" არიან უმრავლესობაში, „ნაციონალ" გამგებლებს ხსნიან და მერე იმაზე უარესს ნიშნავენ, ცხადია, ისევ ყოფილ „ნაციონალს".** მოკლედ, ის ხალხი მოჰყავთ ისევ თანამდებობებზე, რომლებიც წლების მანძილზე ამ ხალხს ატერორებდნენ და სისხლს სწოვდნენ.

ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილს რესპუბლიკელები და მისი გარემოცვის სხვა წევრები ამას შეგნებულად უკეთებენ, რათა ხალხს დააშორონ, ხალხი აუმხედრონ, ნდობა დაუკარგონ. ამით ივანიშვილის „ქართული ოცნების" რეიტინგიც დაეცემა. დროა, გამოფხიზლდნენ.

**— ანუ ბიძინა ივანიშვილს საკუთარი გარემოცვის წევრები საბოტაჟს უწყობენ?**

— კი, ეგრე გამოდის. „ქართული ოცნების" რაიონული და რეგიონული შტაბები გელა ხვედელიძემ დააკომპლექტა, ის იყო „ქართული ოცნების" რეგიონული სამსახურის უფროსი. რატომ არავინ ინტერესდება მის მიერ დანიშნული ხალხით? ზოგი პოლიციის სამმართველოს უფროსია, ზოგი — ფინანსური პოლიციის სამმართველოს შეფი, ზოგი — გამგებელი და ზოგიც — საკრებულოს თავმჯდომარე, რაიონებში ამ ხალხს საკვანძო პოსტები უჭირავთ, ბიძინა ივანიშვილის სახელით ლაპარაკობენ და გადაწყვეტილებებს „ქართული ოცნების" სახელით იღებენ. ვინ არიან ეს ადამიანები, რა დამსახურებისთვის გახდა ისინი წარჩინებული გელა ხვედელიძემ?

ესაუბრა
**ლევან ჯავახიშვილი**

**„ქუჩაში ბორდიურები შეიცავს 0,06 მილიზივერტს, როცა ჩემს დასკვნაში წერია, რომ მანქანაში აღმოჩენილი ნივთიერება 0,0017 მილიზივერტს შეიცავდა. გარდა ამისა, წერია, რომ ცეზიუმ 137-ის გადასატანად საჭიროა სპეციალური კობალტის ჭურჭელი, რომელიც, თავის მხრივ, ტყვიის ჭურჭელში და ათ ტონა გამოხდილ წყალში უნდა მოათავსო. წარმოიდგინეთ, როგორ შეიძლება ასეთი ნივთიერება მანქანაში, უბრალო პარკში, ბოთლში გქონდეს? ეს ხომ წარმოუდგენელია?!“**

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვაჟა კაპანაძე: გადაწყვეტილება უნიკალური დანადგარის გასხვისების შესახებ კახა ბენდუქიძემ მიიღო

**საერთაშორისო ტერორიზმში ბრალდებული პოლიციის პოლკოვნიკი ვაჟა კაპანაძე საქართველოს ყოფილმა ხელისუფლებამ რადიაქტიური ნივთიერებების შენახვა-გადაზიდვისთვის დააპატიმრა და 5 წელი მიუსაჯა, მაგრამ ახალმა ხელისუფლებამ ის გაათავისუფლა. ვაჟა კაპანაძე თავის დაპატიმრებაში ყოფილ მაღალჩინოსნებს ადანაშაულებს და პატიმრობის მიზეზებზე „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბრობს.**



— ჩემი დაპატიმრების მიზეზი ჯერ კიდევ 2005 წლიდან იღებს სათავეს. როდესაც „ნაციონალები“ ხელისუფლებაში მოვიდნენ, მე შინაგან საქმეთა სამინისტროდან წამოვედი და არასამთავრობო ორგანიზაციაში „ადამიანის უფლებათა დაცვა და ანტიკორუფციული კავშირი“ ძალოვან სტრუქტურებთან მუშაობის კომისიის თავმჯდომარედ დავიწყე საქმიანობა. შევიტყვეთ, რომ **ქუთაისის საავიაციო ქარხნიდან აპირებდნენ უნიკალური დანადგარის ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაყიდვას და, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს, მთხოვეს, ჩავრეულიყავი და მისი ქვეყნიდან გატანის უფლება არ მიმეცა.**

სარჩელი სასამართლოში შევიტანეთ, რის შემდეგაც, ქუთაისის სასამართლომ დანადგარი ეკონომიკის სამინისტროს გადასცა, რომელსაც იმ დროს კახა ბენდუქიძე ხელმძღვანელობდა. პრაქტიკულად სარჩელი მოვიგეთ, თუმცა მისი ნებისმიერ ფასად ქვეყნიდან გატანა მაინც გადაწყვიტეს.

**— აღნიშნული დანადგარის გატანით ქვეყანას რა ზიანი მიადგებოდა?**

— ამ უნიკალური დანადგარის მეშვეობით, შვეულმფრენის რედუქტორი რემონტდებოდა, მისი ქვეყნიდან გატანა კი ჩვენი ჯარის თავდაცვისუნარიანობას ძალიან ასუსტებდა. აღსანიშნავია, რომ ასეთი დანადგარი ამიერკავკასიაში ერთადერთი იყო.

**— ხელისუფლება ვერ ხვდებოდა მის საჭიროებას, თუ რაიმე დაინტერესება ჰქონდა? იცოდა თუ არა ეს ყველაფერი მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც დღეს აცხადებს, რომ გარკვეულ საკითხებზე არაფერი იცოდა...**

— გამორიცხული არ არის, სააკაშვილს ამის შესახებ ყველაფერი სცოდნოდა. **ბატონი მიშა დღეს ყველაფერზე იძახის, არ ვიციო და მედლებით კი ყველას აჯილდოებდა. ვფიქრობ, ვილაცებს ხელისუფლებიდან მატერიალური დაინტერესება ჰქონდათ, ვინაიდან ვიცი, უნიკალური დანადგარის გაყიდვაში 10 მილიონი აშშ დოლარი აიღეს.**

**— კონკრეტულად ვინ აიღო ეს ფული და გარეულია თუ არა ამ საქმეში კახა ბენდუქიძე?**

— ხელისუფლების გარკვეულმა წევრებმა. ცხადია, ამ საქმეში კვალი ბენდუქიძემდეც მიდის, ვინაიდან **გადაწყვეტილება უნიკალური დანადგარის გასხვისების შესახებ უკვე კახა ბენდუქიძემ მიიღო. დანადგარი დაშალეს და ფოთში წაიღეს, უკვე მიჰქონდათ უკრაინაში, როცა ამის შესახებ შევიტყვეთ და ფაქტობრივად ფოთში გემიდან ჩამოვაღებინეთ დაშლილი და სარეალიზაციოდ გამზადებული დანადგარი.**

ამის შემდეგ უშიშროებიდან დამემუქრნენ, შენ ნუ აქტიურობ, თორემ ცხვირს წაგამტვრევინებთო. ეს საქმე ძალიან მაღალ დონეზეა უკვე გადაწყვეტილი და გაჩერდიო, მაგრამ მაინც ვერ გავჩერდი, რადგან ამით ჩვენი ქვეყნის ინტერესები ილახებოდა.

**მიუხედავად იმისა, რომ გვერდით დამიდგა საავიაციო ქარხნის ხელმძღვანელობა, ავიაციის სარდალი, გენერალი ამირან სალუქვაძე, გიორგი თავდგირიძე, რომელიც მაშინ სამხედრო აკადემიის რექტორი იყო, საბოლოოდ, დანადგარის ქვეყნიდან წაღება მაინც მოახერხეს და დღეს თითოეული შვეულმფრენის რედუქტორის რემონტი ქვეყანას მილიონ ლარამდე უჯდება.**

მეორედ ხელისუფლების ინტერესებს 2008 წლის არჩევნებში დავუპირისპირდი, როდესაც ლევან გაჩეჩილაძის საარჩევნო კამპანიაში ვმონაწილეობდი. ახალციხეში აწ გარდაცვლილ მამაჩემთან ერთად, რომელსაც დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, ვთხოვე მოსახლეობას, მხარი დაეჭირა გაჩეჩილაძისთვის. **ერთ ღამესაც მოგვადგა პოლიცია. მითხრეს, ამ რაიონში ვანო მერაბიშვილი აკონტროლებს ყველაფერს და აქედან წადი, თორემ ან ნარკოტიკს ჩაგიდებთ, ან იარაღს და დაგიჭერთო. მამაშენიც გააფრთხილე, ჩუმად იყოსო.**

რამდენიმეჯერ გადაიკვეთა ჩემი და ყოფილი ხელისუფლების ინტერესები, რაც არ მაპატიეს.

**— რას ითხოვდნენ თქვენგან?**

— ცალკე, როგორც ასეთი, საერთაშორისო ტერორიზმის მუხლი არ არსებობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, თუმცა არის რამდენიმე მუხლი, პრაქტიკულად ტერორიზმისთვის დამახასიათებელი ნიშნები: ტრეფიკინგი, უკანონოდ ადამიანისთვის თავისუფლების აღკვეთა, წამება და ა. შ., სპეციალურად გააერთიანეს. ამით სააკაშვილმა დასავლეთის წინაშე თავი მოიწონა, თითქოს საერთაშორისო ტერორიზმს ებრძოდა. სურდა, ეჩვენებინა, თითქოს ყოფილი უშიშროებისა და შსს-ს მაღალჩინოსნები კარგად ვიყენებდით ცხინვალისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობას, რუსულ სპეცსამსახურებთან გვქონდა კავშირი და რადიოაქტიური ნივთიერებები შემოგვქონდა.

208-ე მუხლის პირველი ნაწილით, რადიაქტიური ნივთიერებების შენახვა-გადაზიდვის ბრალდებით დამაპატიმრეს და 5 წელი მომისაჯეს. ჩემს მანქანაში ვითომდა იპოვეს ცეზიუმ 137, რომელიც დამიტოვა შავი პარკით ვინმე გოდერძი პეტრიაშვილმა. ეს პირი ახლობლის გასვენებაში გავიცანი, როგორც ჩანს, მას თავისი ინტერესები ჰქონდა.

ექსპერტიზის დასკვნაში ეწერა, რომ ამოღებული იქნა 698 გრამი ჟელესებრი ნივთიერება — ცეზიუმ 137, რომელსაც რადიაქტიური გამოსხივება გააჩნია და ადამიანის სიცოცხლისთვის საშიშია, თუმცა საქართველოს ენციკლოპედიაში გარკვევით წერია, რომ ცეზიუმ 137 ბუნებაში მოიპოვება და თითოეული ადამიანი მას წყლისა და სხვადასხვა პროდუქტის მეშვეობით იღებს. ცეზიუმ 137-ს ყველაზე დიდი რაოდენობით შეიცავს ბანანი, ასევე კაფელი, ბაზალტის ქვა. **ქუჩაში ბორდიურები შეიცავს 0,06 მილიზივერტს, როცა ჩემს დასკვნაში წერია, რომ მანქანაში აღმოჩენილი ნივთიერება 0,0017 მილიზივერტს შეიცავდა. გარდა ამისა, წერია, რომ ცეზიუმ 137-ის გადასატანად საჭიროა სპეციალური კობალტის ჭურჭელი, რომელიც, თავის მხრივ, ტყვიის ჭურჭელში და ათ ტონა გამოხდილ წყალში უნდა მოათავსო.**

**წარმოიდგინეთ, როგორ შეიძლება ასეთი ნივთიერება მანქანაში, უბრალო პარკში, ბოთლში გქონდეს? ეს ხომ წარმოუდგენელია?!**

## «ვილაცებს ხელისუფლებიდან მატერიალური დაინტერესება ჰქონდათ, მათ უნიკალური დანადგარის გაყიდვაში 10 მილიონი აშშ დოლარი აიღეს»

სინამდვილეში ეს ნივთიერება არა ცეზიუმ 137, არამედ ჩვეულებრივი კვარციტის ქვიშა იყო.

**— ბრალი აღიარეთ?**

— არა, ბრალი არ მიღიარებია. საპროცესო გარიგებას მთავაზობდნენ, რაც ბრალის აღიარებას ნიშნავდა, ამიტომ უარი ვთქვი.

ციხეში ფიზიკურად არავინ შემხებია, მაგრამ ჩემი წამების სხვა მეთოდები ჰქონდათ. მაგალითად, საღამოს გამომიცხადებდნენ, რომ სასამართლო პროცესზე უნდა წავეყვანე, დილას 6 საათზე ავდგებოდი, გავემზადებოდი და სასამართლოს პატარა კამერაში, ხშირად მთელი დღის განმავლობაში, სასამართლო პროცესს უშედეგოდ ველოდებოდი. **სპეციალურად მაყურებინებდნენ, ე.წ. ფუქსებში როგორ საშინლად ურტყამდნენ პატიმრებს. მოდიოდნენ ვილაცები და მემუქრებოდნენ, თუ ბრალს არ აღიარებ, შენს 2 წლის ვაჟიშვილს დავსჯით, შენი შვილის დედას ასე და ასე მოვექცევითო.**

ამას გარდა, ყველა პატიმარს აქვს ბარათი, რომელზეც თანხა ერიცხება და ყოველდღიური საჭირო ჰიგიენური ნივთების შესაძენად შეუძლია გამოიყენოს. მიუხედავად იმისა, რომ ახლობლები თანხას მირიცხავდნენ, ეს ფული სად ქრებოდა, არ ვიცი.

**— თქვენ გლდანის ციხეშიც იხდიდით სასჯელს, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა. როგორ ფიქრობთ, როგორ გადაურჩით წამებას?**

— ვფიქრობ, რამდენიმე მიზეზის გამო დამინდეს. ჯერ ერთი, ასაკით პატარა ბიჭი აღარ ვიყავი, მეორე, ქალაქის სამმართველოში სულ ხელმძღვანელ თანამდებობებზე ვმუშაობდი და ბევრი გლდანის ციხის თანამშრომელი ჩემი ყოფილი ხელქვეითი იყო. კადრებშიც ვმუშაობდი ერთი პერიოდი და ბევრი მათგანი ჩემი მიღებული იყო სამსახურში.

როდესაც ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლის შესახებ განაცხადა, პატიმრებს ყველაფრის იმედი უკვე გადაწურული გვქონდა და დიდი იმედი ჩაგვესახა. ვეცადეთ, მისთვის ხმა მიგვეწვდინა და ჩვენი მხარდაჭერა გამოგვეცხადებინა, რის გამოც, ციხის ადმინისტრაციის მხრიდან საყვედურიც დავიმსახურეთ. დამიბარეს და ორჯერ გამაფრთხილეს, შენ უკვე ვადამდე გათავისუფლება გეხება, მაგრამ, რადგან ციხის შიგნით ასეთ საქმიანობას ეწევი, თავისუფლებას ვერ ეღირსებიო. **ვისაც 5 წლამდე სასჯელი ჰქონდა, არჩევნებში მონაწილეობა შეეძლო, ამიტომ ციხეში პატიმრებს „ნაციონალებისთვის“ ხმის მიცემას აიძულებდნენ. განსაკუთრებით ერთი აქტიურობდა, ციხის თანამშრომელი ვინმე ჯინჯოლია, რომელიც პატიმრებს აგინებდა, ხმა „ნაციონალებს“ მიეცითო.**

**— რატომ ედო თქვენს საქმეს გრიფით საიდუმლო?**

— საქმეს გრიფით საიდუმლო იმიტომ დაადეს, რომ გამოძიების პროცესში ბევრი ლაფსუსი იყო და არ სურდათ, ეს გამჟღავნებულიყო. სხვათა შორის, ამან მე და ჩემს ადვოკატს ყველაფერში ხელი შეგვიშალა. საქმეში ადვოკატსაც არ ახედებდნენ. ვთხოვდი, თვალით მაინც დამანახეთ, ბრალს რაში მდებთ-მეთქი.

ესაუბრა **შორენა ციჰქარაშვილი**

---

მოკლედ

## «საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფელ მდგომარეობაში» ყოფნა 300 ლარით დაისჯება

**საზოგადოებრივ ადგილებში ალკოჰოლური სასმელის მიღება, ამავე ადგილას ადამიანის ღირსების და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფელ მდგომარეობაში ყოფნა 300 ლარით, განმეორებით შემთხვევაში კი — 500 ლარით დასჯადი ქმედება ხდება.** საქართველოს შს სამინისტრომ პარლამენტს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ ამ მიმართულებით გადახედვის წინადადებით მიმართა და კანონში კონკრეტული ფულადი ჯარიმების განსაზღვრის ინიციატივით გამოვიდა. კერძოდ, პარლამენტში ინიცირებული პროექტის თანახმად, „ალკოჰოლური სასმელების სმა ქუჩებში, სტადიონებზე, სკვერებში, პარკებში, ყველა სახის საზოგადოებრივ ტრანსპორტში და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, გარდა სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა, სადაც ალკოჰოლური სასმელების ჩამოსხმით გაყიდვა ნებადართულია, ასევე საზოგადოებრივ ადგილებში ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფელ მდგომარეობაში ყოფნა გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით. აღნიშნული ქმედების წლის განმავლობაში განმეორებით ჩადენა 500-ლარიანი ჯარიმის დაკისრებით დაისჯება, ხოლო მესამე შემთხვევაში გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 700 ლარის ოდენობით“. ამავე პროექტის თანახმად, თუ საქმის გარემოებათა მიხედვით და დამრღვევი პიროვნების გათვალისწინებით აღნიშნული ზომების მიღება არასაკმარისად ჩაითვლება, გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პატიმრობა 15 დღე-ღამემდე ვადით.

კულტურა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მოვითხოვ, გადადგეს გურამ ოდიშარია და ასევე დატოვოს თანამდებობა ნატაშა ლომოურმა. ისევ მივმართავ ბატონ პრემიერს: ბატონო ბიძინა, გთხოვთ, რამდენიმე წუთი დამითმოთ, რათა დეტალურად აგიხსნათ, თუ როგორ ატყუებენ სამინისტროს თანამშრომლები ქართულ საზოგადოებას, დაგარწმუნოთ, რომ ისინი არ ემსახურებიან ქართული კულტურის წინსვლის საქმეს თავიანთი ფინანსური მაქინაციებით."**



ვაჟა ოთარაშვილი:

# მნიშვნელობა არ აქვს, კულტურის მინისტრი ოდიშარია იქნება თუ რურუა. მთავარია, რომ არაფერი შეცვლილა

**ილია ჭავჭავაძის, გალაკტიონ ტაბიძისა და ლადო ასათიანის პრემიების ლაურეატმა, პოეტმა ვაჟა ოთარაშვილმა გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" (2013 წლის 5-11 ივნისის №20) ფურცლებიდან ქვეყნის პრემიერს მიმართა. იგი დეტალურად საუბრობდა, თუ როგორი დარღვევებითა და უფლებების გადამეტებით მიმდინარეობდა კულტურის სამინისტროში გამოცხადებული კონკურსი, რომლის თანახმადაც ერთი წლის გამოცდილების მქონე გამოცემები უნდა დაფინანსებულიყო.**
**რას ედავება კულტურის სამინისტროს პოეტი ვაჟა ოთარაშვილი, რა გამოხმაურება მოჰქვა ბიძინა ივანიშვილის ამ საქმით დაინტერესებას და გრძელდება თუ არა „ჩარეცხილების" თემა ახალი ხელისუფლების პირობებშიც — ამ და სხვა მნიშვნელოვან დეტალებზე „საქართველო და მსოფლიოს" ვაჟა ოთარაშვილი ესაუბრა.**

**— ბატონო ვაჟა, ვიცი, რომ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში" გასული თქვენი მასალის შემდეგ კულტურის სამინისტროდან არავინ გამოგეხმაურათ.**

— კულტურის სამინისტროს მხრიდან არ მოჰყოლია, თორემ ისე თქვენი გაზეთი მთელმა ქვეყანამ წაიკითხა, ინტერნეტის საშუალებით საზღვარგარეთაც წაიკითხეს. ყველამ გულთან ახლოს მიიტანა. **„ნაციონალური" ხროვის გეზი საქართველოში არ შეცვლილა და ეს კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პრობლემაა. საზოგადოებაში მხოლოდ შიში გაქრა, თორემ ქვეყნის განვითარების გეზი არ შეცვლილა.**

სანამ თქვენამდე მოვიდოდი, თითქმის ყველა პერიოდულ გამოცემაში ვწერდი წერილებს სათაურებით: **„ოდიშარია საბიუჯეტო თანხებს ტენდენციურად განკარგავს", „ბატონო ბიძინა, კულტურის სამინისტროში იმაზე მეტი დომხალი და კრიმინალია, ვიდრე სოფლის მეურნეობის სამინისტროში იყო",** გამოვედი მედიაკავშირ „ობიექტივის" არხზე და იქაც ხმამაღლა განვაცხადე, რომ კულტურის სამინისტროს ბიუჯეტი ანტიქართულ საქმეს ხმარდება, მაგრამ ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ ასე უგულისყუროდ მოიქცეოდნენ, ასეთი ცინიზმით მიუდგებოდნენ ამ საქმეს.

რაკი სხვა გზა აღარ დამრჩა, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" ეს ნომერი პრემიერს ბრიფინგზე გადავეცი, თან ვუთხარი, რომ გაძლევთ გაზეთს, რომელშიც ყველაფერი ნათლად არის აღწერილი. დიდ მადლობას ვეტყვი პრემიერის პრესსამსახურის თანამშრომელს — მანანა თოქმაჯიშვილს, რომელმაც შესაძლებლობა მომცა, რომ შეკითხვა დამესვა. აღმოვაჩინე, რომ ბატონი ბიძინა ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფება. **იმ ქარბორბალაში, რომელიც ბიძინა ივანიშვილის გარშემო არსებობს, არა მარტო „ნაციონალური" ხროვა, არამედ კოალიციაში შემავალი ძალებიც მონაწილეობენ, რომელთა ტუსაღიცაა, როგორც ჩანს, პრემიერი.**

მეჩვენება, რომ ბიძინა ივანიშვილი გადაწყვეტილებების მიღებაში თავისუფალი არ არის. ის პოლიტიკურ ბრძოლებში გამოუცდელია, მაგრამ საკმაოდ კარგი ბიზნესმენია, თუმცა ბიზნესმენობის დროს რუსეთში პოლიტიკასთანაც ახლოს იყო, მაგრამ ეს ჩემი საქმე არ არის, **ჩემთვის ერთი რამაა ცხადი, რომ საქართველოში პროქართული პოლიტიკა არ მიმდინარეობს, ქართული სახელმწიფოს დაქცევა გრძელდება.** ჩემთვის საქართველოს განვითარების გზა კონსტიტუციურ მონარქიაზე გადის. არ მაინტერესებს, ვინ იქნება ქვეყნის სათავეში, ჩემი დევიზია „როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა!" და მე ვხედავ იმას, რომ **ჩემს სამშობლოს ყოველდღე თითო აგური ეცლება და ინგრევა. ამ ნგრევაში წვლილი დღევანდელ ხელისუფლებასაც შეაქვს, ისინი არაფერს აკეთებენ ქართველი ხალხის პირობების გასაუმჯობესებლად.**

**— ბატონო ვაჟა, რა მოხდა მას შემდეგ, რაც თქვენ ბიძინა ივანიშვილს ბრიფინგზე ხმა მიაწვდინეთ და თქვენი სატკივარი უთხარით?**

— ბიძინა ივანიშვილის ბრიფინგი 3 ივლისს იყო, მას შემდეგ ცოტა დრო გავიდა, მაგრამ პრემიერი დამპირდა, რომ პირადად დაინტერესდებოდა პრობლემით, ამის შემდეგ, მეორე დღესვე, იმის მაგივრად, რომ კულტურის სამინისტრო დაინტერესებულიყო პრეტენზიებით, რომელიც მე, ვაჟა ოთარაშვილს — პოეტს, ილია ჭავჭავაძის, გალაკტიონ ტაბიძის, ლადო ასათიანის, ალმათის პოეზიის ფესტივალის, ბალტიისპირეთის ქვეყნების პოეტური ფესტივალის, ქრისტიანული პოეზიის ფესტივალისა და სხვადასხვა ლიტერატურული პრემიების ლაურეატს, ათი პოეტური კრებულის ავტორს, ავტორს ლექსებისა, რომელიც 15 ენაზეა თარგმნილი, ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების" გამომცემელსა და მთავარ რედაქტორს. ავტორს კულტურის სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციისას, ე.წ. კულტურის მინისტრის ვინმე მოადგილე მპასუხობს და მწერს ასეთ რამეს: კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ეხმაურება 3 ივლისს ბატონ ბიძინა ივანიშვილთან პრეკონფერენციაზე მოქალაქე ოთარაშვილის მიერ გამოთქმულ უსაფუძვლო პრეტენზიას. ამ ვინმე მოადგილის გვარია მარგიშვილი. ვინ არის მარგიშვილი? ადამიანი, რომელიც მუშაობდა „სახალხო ბანკში", „საქართველოს ფოსტაში" და ახლა კულტურის სფეროში აღმოჩნდა. მას მინდა ვუთხრა: **მარგიშვილო, შენი მარგი ქმედების კოეფიციენტი ნულია, შენ უნდა ითვალო შენი ფულის აისბერგები, პირველივე სიტყვებიდან ჩანს, როგორი ანტიქართული პოლიტიკაა, მოქალაქე მარგიშვილი არ იცნობს ოთარაშვილს, ასეთი მოადგილეები ჰყავს ოდიშარიას, რომელმაც თემურ-ლენგის აულად აქცია კულტურის სამინისტრო. აი, მესმის მიდგომა შემოქმედებით ინტელიგენციასთან, მათი „გულისხმიერი" დამოკიდებულება. მარგიშვილო და ოდიშარიავ, თქვენ როცა ფულის „აისბერგებს" ითვლიდით, მე რუსთაველზე, რიყეზე თუ იპოდრომზე ჩემს ივერიელებთან ვიდექი...**

**— თემურლენგი რა შუაშია?**

— მტარვალი თემურლენგის მახინჯი სული და სხეული ვერ იტანდა ქართულ კულტურას. მარგიშვილი მწერს, რომ თურმე 2012 წლის 25 ოქტომბრიდან დღემდე ლიტერატურის დაფინანსებისთვის არ გამოუცხადებიათ არც ერთი კონკურსი, ტენდერი და თავისთავად პასუხი მიღებულია. მოქალაქე მარგიშვილი ატყუებს ქართულ საზოგადოებას და ბიძინა ივანიშვილს. როდესაც კულტურის სამინისტრომ მწერლის სახლის ეგიდით კონკურსი გამოაცხადა, მეგობრებმა მირჩიეს, რომ კონკურსისთვის სურათი გადამეღო. ჩემთვის განკუთვნილ წერილში ისიც წერია, რომ კულტურის სამინისტროს არავითარი კავშირი არ აქვს მწერლის სახლთან, ამდენად, დაფინანსებასაც არ აპირებს. ვინმე მარგიშვილს ავიწყდება, რომ მწერლის სახლი არის კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში, მის დირექტორსაც კულტურის მინისტრი ნიშნავს და კონტროლსაც ახორციელებს მასზე. ასევე მწერს, რომ კონკურსი, მწერალთა სახლმა გამოაცხადა და კონკურსის ფარგლებში შემოსული განცხადებებიც განიხილა მწერალთა საბჭომ, მე კი მაქვს ფოტო, რომელზეც ნათლად ჩანს, რომ საბჭო, რომელიც განიხილავს განცხადებებს, არის მინისტრის მრჩეველთა საბჭო, ხოლო დარბაზს, რომელშიც კომისიის წევრები სხედან, დიდი ასოებით აწერია „კულტურის სამინისტრო". აი, კიდევ ერთი საბუთი, რომ ვინმე მარგიშვილი ცრუობს.

**არანაირი კონკურსი არ გამოგვიცხადებიაო და მარგიშვილი იქვე ლიტერატურის დაფინანსებისთვის გამოყოფილ თანხაზე საუბრობს, კერძოდ, 1 მილიონ 50 ათას 750 ლარზე, რომლიდანაც, როგორც თავადვე განმარტავს, გაიხარჯა 267 ათას 810 ლარი.**

ვეკითხები მოქალაქე მარგიშვილს: **თუ არანაირი კონკურსი არ გამოცხადებულა, რაში დაიხარჯა ეს თანხა? ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმეჯერ შევხვდი კულტურის მინისტრს, ასევე ნიკა რურუას დანიშნულ წიგნის სახლის დირექტორს — ნატაშა ლომოურს, რომლებმაც შესანიშნავად იციან, რომ ჩემი ჟურნალის სახელით სამინისტროში ნამდვილად შევიდა განაცხადი, ათ სხვა განაცხადთან ერთად. ახლა კი ამის აღიარება არ უნდათ.** და აი რატომ:

კონკურსში პროექტების მიღების ვადა 11 მარტიდან 10 აპრილის ჩათვლით იყო განსაზღვრული. სამინისტროს ვებგვერდზე გამოცხადებული კონკურსის პირობის თანახმად, მასში მონაწილე პირებს უნდა ჰქონოდათ მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება. მაგრამ 29 მარტს მწერალთა სახლის „ფეისბუქის" გვერდზე მათ კონკურსის სულ სხვა პირობები დადეს, თუმცა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე იგივე პირობები იდო. როდესაც ბიძინა ივანიშვილს ბრიფინგზე ამის თაობაზე ვუთხარი, აღმოჩნდა, რომ ამ ვაიკულტურის მუშაკებმა ოფიციალურ გვერდზეც შეცვალეს ეს ინფორმაცია, რითაც თვალებში ნაცარს აყრიან საზოგადოებასაც და ბიძინა ივანიშვილსაც.

ყველაფერი კი იმისთვის გაკეთდა, რომ გაემარჯვა მათ ფავორიტ ჟურნალ „ახალ საუნჯეს", მაგრამ ვაჟა ოთარაშვილის ძალისხმევის შედეგად, ფული ხელში გაუშეშდათ. **რატომ აფინანსებენ „ახალ საუნჯეს"? იმიტომ, რომ მინისტრის მრჩევლის — თეონა დოლენჯაშვილისაა. „ახალი საუნჯე" არის ჟურნალი, რომელშიც ვინმე კოდალაშვილი აგინებს ჩვენს წმინდანებს, „ლიტერატურული ფარისევლები" — ასე ეწოდება მის ამ ნაბოდვარს, რომელიც „ვეფხისტყაოსნის" გმირებს, „აბესალომ და ეთერს", „ოთარაანთ ქვრივს" საშინლად მოიხსენიებს.** ასეთი ყვავ-კოდალები დაფრინავენ ოდიშარიას სამინისტროში. არ გავჩერდები, მირჩევნია შევაკვდე ამ საქმეს, ოღონდ კულტურა გადავარჩინო. კულტურა არის ეროვნული ფენომენი, ის არის ჩვენი ტრადიციების დამცველი. არ მინდა, ჩემი მომავალი თაობა აღიზარდოს დეისაძის, კოდალაშვილის და მისთანების ნაბოდვარზე. მეშაირე ოდიშარიას კულტურის არაფერი გაეგება. მაშ, რაში იღებთ ამხელა ხელფასს, ბატონებო და ქალბატონებო, მაშინ, როდესაც ქართველ შემოქმედთა აბსოლუტური უმრავლესობა სიღარიბის ზღვარზეა?...

**დღეს კულტურის მინისტრი ისევე ატარებს კონკურსებს, როგორც ატარებდნენ გიგი უგულავა, ვანო მერაბიშვილი და ა. შ. ადამიანებისთვის თვალებში ნაცრის შესაყრელად.**

ზუსტად იგივე ქარიშხალი დატრიალდა ჩემი მეგობრის — ლევან ანჯაფარიძის გარშემო. ცნობილმა რეჟისორმა ორი კვირა იშიმშილა გამოცხადებული კონკურსის პირობებისა და შედეგების გასაჯაროებისთვის, მაგრამ კინოცენტრმა ქართული კინოს განვითარებისთვის გამოყოფილი თანხა ჟიურის წევრებს შორის გაანაწილა.

**მოქალაქე მარგიშვილო და მინისტრო ოდიშარია, „მამა აბრამის ბატკნებად რომ მოგაქვთ თავი", გაბედეთ და მთელი თქვენი გუნდით დამიჯექით პირდაპირ ეთერში, გაეცით პასუხი საზოგადოებას.** მე ყველა ჩანაწერი მაქვს კულტურის სამინისტროს აღნიშნულ კონკურსთან დაკავშირებით. **მოვითხოვ, გადადგეს გურამ ოდიშარია და ასევე დატოვოს თანამდებობა ნატაშა ლომოურმა. ისევ მივმართავ ბატონ პრემიერს: ბატონო ბიძინა, გთხოვთ, რამდენიმე წუთი დამითმოთ, რათა დეტალურად აგიხსნათ, თუ როგორ ატყუებენ სამინისტროს თანამშრომლები ქართულ საზოგადოებას, დაგარწმუნოთ, რომ ისინი არ ემსახურებიან ქართული კულტურის წინსვლის საქმეს თავიანთი ფინანსური მაქინაციებით.** ვფიქრობ, ამით უნდა დაინტერესდნენ შესაბამისი ორგანოები, რომლებთანაც სიამოვნებით ვითანამშრომლებ. უნდა გამოიკვლიონ მათი საეჭვო „ვოიაჟები" საზღვარგარეთ, რომელიც ქართული კულტურის აღორძინებას არ ემსახურება, რატომ იხარჯება მათ ვიზიტებზე ამდენი ფული? საქართველოში რაიონი არ არის დარჩენილი, რომელიც ცეკვა-თამაშითა და დოლგარმონით არ შემოევლოთ, არსებობს ამის საბუთებიც.

**— საakაშვილმა კულტურის სფეროს წარმომადგენლებს „ჩარეცხილები" უწოდა, დღესაც იგივე ტენდენცია შეიმჩნევა?**

— მართალი ხართ, თქვენ ზუსტად შენიშნეთ. თავის დროზე ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება" სააკაშვილმა „ჩარეცხა", იმავეს აგრძელებს ოდიშარიას, ოსმალური კულტურის ძეგლების გადარჩენაზე მზრუნველი კულტურის სამინისტრო, მარგიშვილების ხელით. **ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, გურამ ოდიშარია იქნება თუ ნიკა რურუა მინისტრი, სახელები და გვარები არაფერს ნიშნავს, მთავარია, რომ არაფერი შეცვლილა. ამაში საქართველოს კულტურის სფეროს უამრავი მუშაკი დამეთანხმება. ხალხი ელოდა, რომ „ოცნება" მოვიდოდა და ეროვნული ცნობიერება გაიღვიძებდა, წინ წამოიწევდა, ხალხზე ზრუნვა დაიწყებოდა, ამათ კი უარესი გააკეთეს, უარესი იმ თვალსაზრისით, რომ „ნაცების" ხროვა საშინელებებს პირდაპირ და დაუფარავად აკეთებდა, ესენი კი საზოგადოებას თვალს უხვევენ და ატყუებენ.** ყველამ ვიცოდით, რომ სააკაშვილის ფავორიტები იყვნენ ბულაძე, დეისაძე და მათნაირები, ანუ ქართული ცნობიერების მაგინებლები და ამას არც მალავდნენ. იმავეს აკეთებს გურამ ოდიშარია, ოღონდ, „ოცნების" ხილაბანდმოფარებული, თვალებში გიყურებს მიამიტი სახით.

ბატონო ბიძინა, ქართული კულტურა ქართველი კაცის ხერხემალთა ხერხემალი და ბალავართა ბალავარია და მას მოფრთხილება სჭირდება!

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**„სამინისტროს პრივილეგირებულ გამომცემლობებს, ბუნებრივია, საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდათ და არ გამოვრიცხავ, რომ ფინანსური დაინტერესებაც არსებობდა შაშკინის სამინისტროს პირობებში. ახლა კი შეაჩერეს საკითხის შესწავლისა და ძიების პროცესი. ვინ გააჩერა ეს პროცესი? ისევ თვითონ აჩერებენ. ყველა ძველი კადრი დღესაც იქ მუშაობს და შესანიშნავად გრძნობს თავს.“**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რატომ არ უნდა შაშკინის ჩადენილი დარღვევის გამოსწორება მარგველაშვილს და რატომ მართავს განათლების სამინისტროს შაშკინის მეთოდებით?

**თვეზე მეტია, რაც განათლების რამდენიმე საკითხზე ვმუშაობ. რა არ ვცადე, რა ხერხი და ღონე არ ვიხმარე, ვინ არ შევაწუხე, მაგრამ განათლების სამინისტროსთან ელემენტალური კომუნიკაციაც კი ვერ მოვახერხე. განათლების სამინისტროს პასუხისმგებელ პირებთან ტელეფონით დაკავშირებაც კი შეუძლებელია. როგორც წესი, არავის სცალია (მინისტრის ერთ მოადგილეს ტელეფონი „ქრონიკულად“ გათიშული აქვს) და, თუ მე, ჟურნალისტმა, ჩემი ჟურნალისტური ჩვევებისა და კონტაქტების მეშვეობით ვერ შევძელი სამინისტროს წინ ჩამოფარებული რკინის ფარდის მიღმა შეხედვა, როგორ შეძლებს ამას ჩვეულებრივი მოქალაქე?! საინტერესოა, რატომ ემალებიან მინისტრი და მისი მოადგილეები მასწავლებლებს და რატომ არ უნდათ, შეასრულონ წინასაარჩევნო დაპირება სამართლიანობის აღდგენის თაობაზე? — ამ თემაზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრა ფიზიკის სასკოლო სახელმძღვანელოს ავტორი, ქალბატონი ეთერ ბასიაშვილი.**



**— ქალბატონო ეთერ, წინა წლებში თქვენი სახელმძღვანელოებით სკოლებში ფიზიკა ისწავლებოდა და რა მოხდა, რატომ ამოიღო განათლების სამინისტრომ სახელმძღვანელოების ნუსხიდან თქვენი წიგნი?**

— 2012 წელს სამინისტრომ გამოაცხადა სახელმძღვანელოებისთვის გრიფის მინიჭების კონკურსი, ჩავაბარე ყველა — VII-XI კლასების ფიზიკის სახელმძღვანელოები (მე-7 კლასში იყო ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია გაერთიანებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ესეც უაზრობა იყო, რადგან საქართველოში 2000 მასწავლებელს სად მოძებნი, რომ სამივე საგანი კარგად იცოდეს). მე წლების მანძილზე ფიზიკის სახელმძღვანელოების ავტორი ვარ და ჩემი წიგნით სარგებლობს საქართველოში მრავალი სკოლა, კერძო თუ საჯარო. და, ალბათ, ეს იყო მიზეზი იმისა, რომ წლეულს გრიფი ვერ მივიღე. 2011 წლის 25 თებერვლის ბრძანება იყო, რომ სერიებად დაეყოთ ეს წიგნები, ანუ მე-8 და მე-9 ერთი სერიაა. **ბრძანებაში იყო ასეთი პუნქტი, თუ ერთ-ერთმა წიგნმა ვერ გადალახა ქულების საჭირო მინიმუმი, მაშინ მეორეც უნდა ჩაიძიროსო. მოხდა ისე, რომ ბარიერი ვერ გადალახა ჩემმა მე-8 კლასის სახელმძღვანელომ, რომელიც წინა კონკურსში იყო გამარჯვებული და ახლა უკვე შესწორებულსა და გადამუშავებულს 1,2 ქულა დააკლდა. მე-11 კლასის სახელმძღვანელოსაც, რომელიც წინა კონკურსში გამარჯვებული იყო, ერთი ქულა არ ეყო. ამიტომ დაიწუნეს მე-9 და მე-10 კლასების სახელმძღვანელოებიც, რომლებსაც მაღალი ქულები ჰქონდა.** თავისთავად საეჭვო იყო ეს. შაშკინს ორჯერ მივწერე წერილი, პასუხი მომივიდა, თქვენ ვერ გადალახეთ ქულების მინიმუმიო.

**— ქულების რაოდენობა რატომ დაგიმალეს?**

— არ ვიცი, ამ ბრძოლას დასჭირდა ორი თვე. ორი თვის მერე კი სასამართლოში საჩივრის შეტანის ვადაც გასული იყო, თუმცა მაინც არ შევიტანდი, რადგან აზრი არ ჰქონდა მაშინდელ სასამართლოში დავას.

ქულების მაქსიმალური რაოდენობა იყო 111, ანუ 37 კრიტერიუმის მიხედვით ხდებოდა შეფასება და ყველა მაღალი ქულის მიმღებს 111 ქულა უნდა მინიჭებოდა. ხოლო ქულების მინიმუმი, რომელიც სახელმძღვანელომ უნდა გადალახოს, დაახლოებით 100 ქულა გამოდის. გამოვიდა, რომ 100 ქულას გადააჭარბა მე-9 კლასის სახელმძღვანელომ, მე-10, მე-8 და მე-11 კლასებისას კი დააკლდა ერთ მთელზე ცოტა მეტი ქულა. თავისთავად უკვე ეჭვს იწვევს ეს ფაქტი. შემდეგ ექსპერტების ანალიტიკური შეფასებები მომცეს. ელემენტალური წერა-კითხვის მცოდნეც კი მიხვდება, რა სასაცილო შეცდომებია. ეს არ იყო ექსპერტის ნაწერი. **როგორ შეიძლება ექსპერტმა მეცნიერულ დონეში, ყველაფერში დაწეროს უმაღლესი შეფასება და დაშვებული კორექტურული შეცდომების გამო, ანუ „თ“-ს ნაცვლად, რომ „ტ“ არის, ამაში დაწეროს ნული ქულა. ეს ხომ წარმოუდგენელია?!** თანაც, როდესაც ექსპერტებიდან მოდის შედეგები, რაც უნდა მაღალი ქულები მიიღოს წიგნმა, შენიშვნები აუცილებლად არის; ამას ვითვალისწინებთ, ვასწორებთ და შემდეგ მიდის სტამბაში. 4 ექსპერტი წერს 3, 3, 3, ანუ უმაღლეს შეფასებას და ვიღაც ნულს, ერთს, ე.ი. აშკარად ეტყობოდა, რომ ეს იყო უკვე სამინისტროში გადასწორებული, მოვიდა მაღალი ქულები და იმათ გადააკეთეს.

**— გამოდის, კანონდარღვევით გადააკეთეს?**

— დიახ, შაშკინთან არაფერი გამოვიდა. მოვიდა ახალი მინისტრი, მითხრეს აუცილებლად მივხედავთ ამ საქმესო, იმიტომ, რომ ყველამ იცოდა ყველაფერი, იცოდნენ, რომ მაღალი ქულები მქონდა და იქ გადაკეთდა, მაგრამ არაფერი გამოასწორეს.

**— შემდეგ ვის მიმართეთ და რა მოიმოქმედეთ?**

— განათლების ყველა მინისტრს. მივმართე დეკანოიძის პირველმა მოადგილემ გვითხრა, ამას აუცილებლად მოვაგვარებთო. ჩემმა მეუღლემ უთხრა: სხვათა შორის, იმხელა კედელი დაგხვდებათ, ვერ მოაგვარებთო და ასეც მოხდა. ამ საკითხის მოგვარება უკვე დაგვიანებულიაო, გვითხრეს ბოლოს. შემდეგ მერაბიშვილსაც მივმართე (პრემიერი რომ გახდა), თუმცა არსაიდან პასუხი არ იყო. 29 ოქტომბერს განათლების ახალი მინისტრი რომ დაინიშნა, შევიტანეთ განცხადება. ჩაგვესახა იმედი და სხვათა შორის, გაამართლა კიდეც, ოღონდ შემდეგ მოხდა რაღაც... **დავწერე განცხადება, ყველაფერი მოვახსენე მარგველაშვილს, ვთხოვე, გაერკვია, რა მოხდა და შეხვედრაც ვითხოვე, მაგრამ დღემდე ეს შეხვედრა არ შედგა. რამდენიმეჯერ მივმართე წერილობით, ბოლოს ერთი წერილი დაიკარგა კიდეც(!), კვლავ ვთხოვე მარგველაშვილს, შემხვედროდა, ამ წერილს აუცილებლად მივიტანთ, მაგიდაზე ედება მინისტრს 5 წუთშიო, მიპასუხეს, მაგრამ შეხვედრა არ მოხერხდა.**

**— რატომ?**

— არ ვიცი, პასუხი არ არის, არც უარყოფითი, არც დადებითი. როგორც ეტყობა, 29 ოქტომბერს დაწერილი წერილი სამინისტრომ განიხილა და გადაუგზავნა პროკურატურას. ჩათვალეს, როგორც ჩანს, რომ მასში არის სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები. აღმოჩნდა, დაკარგული ყოფილა მთელი დოკუმენტაცია. **სამინისტროში გრიფირების სამმართველოს უფროსი იყო ვინმე ყიფიანი, რომელმაც დატოვა სამსახური და მასთან ერთად გაქრა დოკუმენტაციაც. ასე რომ, საბუთები აღარ არსებობს. სათვალთვალო კამერებიდანაც კი წაშლილია ინფორმაცია. ყველაფერი განადგურებულია, მაგრამ არიან ექსპერტები, რომლებიც ცოცხლები არიან და ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს.** შევხვდი გამომძიებელს, რომელმაც მითხრა, რომ ჯერ უნდა დაეზუსტებინა რაღაცები, მაგრამ გავიდა რამდენიმე თვე და დღემდე არაფერი დაძრულა ადგილიდან. გამომძიებელმა ისიც მითხრა, რომ ეს არის ადმინისტრაციული საკითხიო, მე 250 საქმე მაქვსო და ამისთვის როდის მოვიცლი, არ ვიციო. თუ დადგინდა, რომ ნამდვილად მაღალი ქულა ეკუთვნოდა ჩემს წიგნს, მაშინ, თუ სამინისტროს კეთილი ნება იქნა, მასვე შეუძლია გამოასწოროს ეს დანაშაული.

**— სხვა წიგნებიც ამავე მეთოდით დაიწუნეს? გაქვთ თუ არა კონტაქტი სხვა დაწუნებული წიგნების ავტორებთან?**

— ადვოკატი რომ ავიყვანე, მოითხოვა ექსპერტების ვინაობა და სამინისტრომაც მოგვაწოდა ეს ინფორმაცია. ექსპერტებმა თქვეს, რომ 100 ქულა არავის დაუწერია, ყველაზე დაბალი ქულა არის 104, მაგრამ საბოლოოდ 111-ია დაწერილი, დოკუმენტებიც მაქვს. ერთხელ გამომცემლების შეკრება იყო სამინისტროში, რომელსაც ჩემი მეუღლეც ესწრებოდა (ჩემი მეუღლეც გამომცემელია) და სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსმა ლევან ქებულიამ ასეთი რამ თქვა: ბასიაშვილს პრობლემა არ აქვსო (სხვები ჩიოდნენ 95 ქულა გვაქვსო). ეს ყველაფერი გაირკვა, პროკურატურამაც იცის, რომ მართალი ვარ და სამინისტრომაც. იმ ბატონმა ლევანმა გამოაცხადა, აი, ბასიაშვილის ნამდვილი ქულებიო და ეკრანზე დაიწერა ეს ქულები. ვისი გაყვანაც უნდოდათ, გაჰყავდათ. მე „ნაციონალების“ დროს ამასაც ვერ დავადგენდი. **ღვთის მადლით, ახლა გაირკვა ყველაფერი, მაგრამ გამოვიდა კიდევ უარესი; შეჩვეული მაინც ვიყავი მაშინ იმ ამბავს, ახლა კი ყველაფერი გავარკვიე, დოკუმენტებიც მაქვს, მაგრამ რა მერე? ჰოდა, როდის მიენიჭება გრიფიო, ჰკითხა ჩემმა მეუღლემ, აპრილის დასაწყისში გრიფის მინიჭებაზე ბრძანება უკვე იქნებაო, უპასუხა ბატონმა ლევანმა, მაგრამ... ვითომ გამოასწორა ახალმა მთავრობამ იმათი დანაშაული, მაგრამ მოხდა კიდევ უარესი — გაჩერდა ყველაფერი. ამის შემდეგ პასუხი არ არის, იმიტომ, რომ თურმე გამოძიება მიდის ამ საქმეზე.**

**— რის გამოა საქმე ჯერაც დაუმთავრებელი? ვის შეეძლო წიგნის ჩაგდება და შემდეგ საქმის გაჭიანურება?**

— გამოძიებამ უნდა დაადგინოს, რომ სისხლის სამართლის დანაშაული არის ჩადენილი და კანონიერად სასამართლომ უნდა ამინაზღაუროს ის დანაკლისი, რომელიც სამინისტროს მიზეზით მომადგა. ვის შეეძლო წიგნის ჩაგდება, ვინ იყო დაინტერესებული ამით? იცით, რომ **შაშკინმა პრივილეგირებული გახადა რამდენიმე გამომცემლობა და ამ გამომცემლობებისთვის, რომელთაც ჰქონდათ ფიზიკა, ცხადია, ბასიაშვილის მოშორება ცუდი არ იქნებოდა მათთვის. თანაც ეს იყო წელი, როცა ყველა წიგნი იცვლებოდა. თქვეს, მოდით, ახლა მოვაშოროთ ეს ბასიაშვილი და ჩაჯდება იმ გამომცემლობების ფიზიკის სახელმძღვანელოებიო.** გაიმარჯვეს ყველაფერში და უნდოდათ ფიზიკა მთლიანად მათი ყოფილიყო. სულ 3 ავტორია (ხელს არავის ვადებ). ლოგიკურად არ შეიძლება, რომ ამის გამკეთებელი ყოფილიყო ინგლისურის ან მათემატიკის სახელმძღვანელოს ავტორი. ეს არის იმ გამომცემლობის გაკეთებული, რომლის კონკურენტიც მე ვიყავი. როცა იმ შეკრებაზე ითქვა, ბასიაშვილმა გაიმარჯვა და გრიფი უნდა მივანიჭოთ ორ-სამ დღეშიო, ყველა გამომცემელი იქ იჯდა და, რა თქმა უნდა, ზომებიც მიიღეს. **სამინისტროს პრივილეგირებულ გამომცემლობებს, ბუნებრივია, საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდათ და არ გამოვრიცხავ, რომ ფინანსური დაინტერესებაც არსებობდა შაშკინის სამინისტროს პირობებში. ახლა კი შეაჩერეს საკითხის შესწავლისა და ძიების პროცესი. ვინ გააჩერა ეს პროცესი? ისევ თვითონ აჩერებენ. ყველა ძველი კადრი დღესაც იქ მუშაობს და შესანიშნავად გრძნობს თავს.**

**— კი მაგრამ, მარგველაშვილმა ეს ყველაფერი არ იცის?**

— მარგველაშვილს ჰქონდა ქარელის პედაგოგებთან შეხვედრა და იქ მიმართეს მასწავლებლებმა, — ბასიაშვილის წიგნი გაქრა, რა ხდებაო. ასეა თუ ისე, მინისტრი საქმის კურსშია. როგორ შეიძლება ამდენი წერილი დაიწეროს და საქმის კურში არ იყოს. უბრალოდ, ზედმეტად უჯერებს, ალბათ, ძველ კადრებს ან ძალები არ ჰყოფნის მათთან დასაპირისპირებლად.

**— რა ხდება, ესენიც „ნაციონალებივით“ იქცევიან?**

— ვფიქრობ, მოლაპარაკებული არიან, რომ როგორმე „გადაგორდეს“ ეს სექტემბერი, დაიწყოს სწავლა, სხვების წიგნები შევა სკოლებში და მერე აღარ ექნება მნიშვნელობა, მიენიჭება გრიფი ჩემს სახელმძღვანელოს თუ არა. აბა, რით უნდა აიხსნას ის, რომ დროის გაყვანაზე არიან გადასული?! სიტყვით ყველა მეუბნება, რომ მართალი ვარ, მაგრამ არც არავინ სწავლობს ამ საკითხს და არც საბუთს მაძლევენ, რომელშიც მითითებული იქნება, რომ ჩემი უფლებები იყო დარღვეული. როგორ ჩანს, **შარშანწინ ვიღაცას მეტი ფული მოუნდა, ვიდრე ეკუთვნოდა, სამინისტროშიც ნახა დამხმარე და ამას გადააყოლეს ჩემი და ბავშვების ინტერესები. სამინისტროს ექსპერტებმა უნდა გვითხრან, რამდენი ქულა მიიღეს სხვა წიგნებმა. გასაგებია, რომ ჩემი წიგნი დაიწუნეს, მაგრამ რა პარამეტრების მიხედვით და რამდენი ქულით მოიწონეს სხვა წიგნები? მაინტერესებს, იმ გამარჯვებულებმა დააგროვეს 100 ქულა? საინტერესოა ექსპერტების შეფასებები.** თუ ოდესმე პროკურატურამ დაიწყო ამ საქმის შესწავლა, ამ ექსპერტების დაკითხვასაც მოვითხოვ.

**ჩვენ კიდევ ერთხელ ვცადეთ დაკავშირება განათლების სამინისტროს პასუხისმგებელ პირებთან, მაგრამ ამაოდ. როგორც ჩანს, მარგველაშვილი განათლების სისტემას მარტო შაშკინის კადრებით კი არა, შაშკინისავე მეთოდებით მართავს.**

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ვახტანგ ყოლბაია როდესაც ხსენებულ პოსტზე დაინიშნა, იგი პარალელურ რეჟიმში რჩებოდა დეპუტატად და ფრაქციის ხელმძღვანელად. ეს არის სწორედ დიდი კანონდარღვევა.“**

# ვინ ჩადო ბომბი აფხაზეთის მთავრობაში?!



*მურმან კვარაცხელია:*

## თუ ასე გაგრძელდა, 150 ათასამდე აფხაზეთიდან დევნილი ქუჩაში გამოვა და ეს ვულკანის ამოხეთქვის ტოლფასი იქნება წინასაარჩევნოდ!

**უცნაურია, რომ მმართველი გუნდის ყურადღების მიღმა რჩება ის ცხელი წერტილი, რომლიდანაც დღეს თუ არა ხვალ ვულკანი ამოხეთქავს. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში ვნებათაღელვა პიკს უახლოვდება. ჟენევაში ჩაშლილი მოლაპარაკების დეტალები რატომღაც არ გახმაურებულა. „საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ ინტერვიუს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთან, ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარესთან — მურმან კვარაცხელიასთან.**

— როდესაც პოლიტიკურ ასპარეზზე ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა, მაშინვე ჩავდექი მის იდეოლოგიურ მხარდამჭერთა რიგებში. ამდენად, არავის გაჰკვირვებია ის ფაქტი, რომ არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვებისთანავე ფრაქციის შექმნის იდეით გამოვედი და 2013 წლის მაისში ჩამოვაყალიბე კიდეც ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“. ამის შემდეგ მეტად საინტერესოდ ვითარდება მოვლენები. ერთ-ერთმა დეპუტატმა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, განცხადებით დამიდასტურა ფრაქციის წევრობა, სამი დღის შემდეგ კი მივიღე პასუხი, რომ თურმე ის აღარ აპირებდა ფრაქციის წევრობას. როგორც გაირკვა, მას პრეზიდენტის დაცვის წევრი მიუგზავნეს და აიძულეს, უარი ეთქვა ფრაქციაში გაწევრიანებაზე. მის მაგივრად ფრაქციის წევრობაზე დათანხმდა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი აკაკი გასვიანი. ფრაქციაში ჩემსა და გასვიანის გარდა შედიან ადა მარშანია, ჯემალ საჯაია და როსტომ შამუგია.

**— იქნებ დაგვიკონკრეტოთ, აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში ვინ ებრძოდა „ქართული ოცნების“ ფრაქციის ჩამოყალიბებას?**

— აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია და მისი მომხრე დეპუტატები. 2013 წლის მაისიდან წავიდა განსაკუთრებით მძიმე ზეწოლა ჩვენს ფრაქციაზე. აკაკი გასვიანის ფრაქციაში გაწევრიანების შემდეგ, მას თავად ყოლბაიამ გამოუგზავნა წარმომადგენელი და ფრაქციიდან გამოსვლის სანაცვლოდ მოადგილეობა შესთავაზა. ეს იყო სრული ნონსენსი, ვინაიდან კონსტიტუციაში არ გვიწერია, რომ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეს (მითუმეტეს მოვალეობის შემსრულებელს) შეიძლება მოადგილე ჰყავდეს. ამისთვის ყოლბაიას ჯერ რეფორმა უნდა ჩაეტარებინა და კიდევ ერთი დეპუტატისთვის შეეჩერებინა უფლებამოსილება. ამ დროს ვახტანგ ყოლბაიამ მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად გასვლისთანავე შეიჩერა დეპუტატის უფლებამოსილება და დავრჩით 24 დეპუტატი. გასვიანი მოადგილედ რომ დაენიშნა, მისთვისაც უნდა შეგვეჩერებინა უფლებამოსილება და დავრჩებოდით 23. გამოდიოდა, რომ ვახტანგ ყოლბაია აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს შლიდა?! **აქ ყველაზე მთავარია ის, რომ აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში „ქართული ოცნება“ არის უმცირესობაში. ვერანაირად რომ ვერ მოერივნენ ჩვენს ახლადჩამოყალიბებულ ფრაქციას, მის საპირწონედ გააერთიანეს დარჩენილი სამი ფრაქცია და დაარქვეს „ქართული ოცნება — ერთიანი საქართველო“.** როგორც ჩემთვის ცნობილია, „ერთიანი საქართველო“ ბურჯანაძის პარტიის სახელწოდებაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს შიგნით შექმნეს კოალიცია. ეს მეორე ნონსენსია, იმიტომ, რომ ეს არც კონსტიტუციაში გვიწერია და არც რეგლამენტში. თავის დროზე წინასაარჩევნო კოალიციაში ნინო ბურჯანაძის პარტია არ შესულა. არჩევნების შემდეგ ეს კოალიაცია დაიშალა და ამ ეტაპზე, საპრეზიდენტო არჩევნების წინ ხომ ყოველგვარ კოალიციაზე ლაპარკიც ზედმეტია. აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში კი სწორედ ასეთ წარმონაქმნს უპყრია უმრავლესობა. არ ვიცი, წინასაარჩევნო ციებ-ცხელებისას როგორ წარმოუდგენია ასეთი კონგლომერატის არსებობა საქართველოს მმართველ პარტიას. თორემ მე გადასარევად ვაცნობიერებ, რომ ესაა შირმა, რათა „ქართული ოცნება“ გამოეყენებინათ თავიანთი მიზნებისთვის. როგორ შეიძლება ფრაქცია „ქართული ოცნების“ საპირწონედ შექმნა ფრაქციათა გაერთიანება „ქართული ოცნება — ერთიანი საქართველო (ბურჯანაძე)“, როდესაც ორივე ამ პარტიას კონკურენტი საპრეზიდენტო კანდიდატები ჰყავს წარმოდგენილი 2013 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში.

**— ბატონო მურმან, როგორც ვიცი, თავის დროზე სწორედ თქვენ დაუჭირეთ მხარი ვახტანგ ყოლბაიას ამ პოსტზე არჩევას?**

— დიახ და აგიხსნით რატომაც. აფხაზეთის წინა მთავრობის თავმჯდომარე გიორგი ბარამია, როდესაც შვებულებაში ანდა საზღვარგარეთ მივლინებაში იმყოფებოდა, მოვალეობის შემსრულებლად ტოვებდა ფინანსთა მინისტრს. ასე რომ, ბარამიას თანამდებობიდან წასვლის შემდეგ, სრულიად ლოგიკური იყო დროებითი მოვალეობის შემსრულებლად ფინანსთა მინისტრის — თამაზ კვარაცხელიას დარჩენა. მერე, ვისაც სურვილი ექნებოდა, რომ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე გამხდარიყო, იგი სათანადო კანონიერი პროცედურების გავლით დაიკავებდა ამ ადგილს. ამ შემთხვევაში მოხდა შემდეგი — როდესაც ეს საკითხი გავიდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესიაზე, ერთ-ერთი ფრაქციის თავმჯდომარე ადგა და გამოაცხადა, რომ რატომ უნდა გადავდოთ ეს საკითხი, აგერ ჩვენი დეპუტატი და ფრაქციის ხელმძღვანელი ბატონი ვახტანგ ყოლბაია, ის გავუშვათ დროებით მოვალეობის შემსრულებლადო. თუ რამდენად კანონიერი იყო ეს, ამას სჭირდებოდა კონსტიტუციაში და რეგლამენტში ჩახედვა. მაგრამ იმ მომენტში ამაში ჩახედული არავინ იყო და ყოლბაიას კანდიდატურის მხარდასაჭერად ყველამ ავწიეთ ხელი, მეც მათ შორის. მაშინ ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რა მოჰყვებოდა ამას. მერე, ჩავიხედეთ კანონში და მივხვდით, რომ ძალიან შევცდით — საქმე გვქონდა დიდ კანონმდებლობით დარღვევასთან.

**— რას გულისხმობთ?**

— პირველი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში არ არსებობს მუხლი თავმჯდომარის დროებითი მოვალეობის შემსრულებლის პოსტის და საერთოდ ამ ინსტიტუციის შესახებ. თუ ვინმე ასეთ თანამდებობას დაუშვებს, ეს უნდა იყოს დაფიქსირებული კონსტიტუციაში ან რეგლამენტში. **ვახტანგ ყოლბაია როდესაც ხსენებულ პოსტზე დაინიშნა, იგი პარალელურ რეჟიმში რჩებოდა დეპუტატად და ფრაქციის ხელმძღვანელად. ეს არის სწორედ დიდი კანონდარღვევა.** როდესაც ამაზე ხმა ამოვიღეთ, გვითხრეს, ჩვენ ამას გამოვასწორებთო და უმაღლესმა საბჭომ კონსტიტუციაში შეიტანა ცვლილება, ანუ რასაც აკეთებდა სააკაშვილი და მისი პარლამენტი (კონსტიტიციის გადაკეთება-გამოდმოკეთება, შეცვლა-მორგება სასურველ კანდიდატებზე), ის გააკეთეს ამჯერადაც.

ამის შემდეგ დაიწყო მეორე ეტაპი: **კონსტიტუციაში გვიწერია, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის არჩევა ხდება აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით.** ბუნებრივია, საქართველოს პრეზიდენტმა ამას ხელი არ მოაწერა და დაასაბუთა იმით, რომ იგი არ დაუშვებდა ბურჯანაძის პარტიის გენერალური მდივნის დანიშვნას აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარედ.

**— კი მაგრამ, ყოლბაიას მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის ფაქტი სასამართლოში რატომ არ გაასაჩივრეთ?**

— იმ მომენტისთვის მე არ მქონდა ფრაქცია ჩამოყალიბებული. ამასობაში გასაჩივრების ვადა გავიდა. პრეზიდენტის უარის შემდეგ ისევ ჰაერში ჩამოეკიდა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის პოსტის საკითხი. დღეს ვახტანგ ყოლბაია მოვალეობის შემსრულებად ისევ რჩება, მაგრამ არსად არ წერია ვადები, ანუ სანამდე შეუძლია მას ამ პოსტზე დარჩენა. ეს შეიძლება იყოს ორი თვე და შეიძლება იყოს ოცი წელი. მაგრამ, ეს ხომ გამორიცხულია! თუ ასე გაგრძელდა, 150 ათასამდე აფხაზეთიდან დევნილი ქუჩაში გამოვა და ეს ვულკანის ამოხეთქვის ტოლფასი იქნება წინასაარჩევნოდ! ამას გარდა, ისევ და ისევ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის თანახმად, „საქართველოს ორგანული კანონი თავისუფლების ქარტიის შესახებ“. ამ კანონის მიხედვით, არ შეიძლება მაღალ პარტიულ თანამდებობაზე დაწინაურდეს ის პირი, რომელიც მუშაობდა რაიკომის მდივნად. ვახტანგ ყოლბაია კი გალის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი გახლდათ. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულმა ყველა საკანონმდებლო აქტმა უნდა გაიაროს და მიიღოს აფხაზეთის იუსტიციის დეპარტამენტის თანხმობა. თუ ხსენებული დეპარტამენტი ამ თუ იმ საკანონმდებლო აქტს არ მისცემს დადებით შეფასებას (ამისთვის იგი უნდა იყოს შესაბამისობაში მოსული საქართველოს კანონმდებლობასთან, აფხაზეთის კონსტიტუციასთან და ა.შ.), იგი იბლოკება. ვახტანგ ყოლბაიას დანიშვნას ვეტო დაადო სწორედ აფხაზეთის იუსტიციის დეპარტამენტმა და შესაბამისად, **ყოლბაიას მიერ ხელმოწერილი ყველა დოკუმენტი კანონგარეშეა. ყოლბაიას ამ პოსტზე დარჩენისთვის რომ მიეცათ კანონიერი საფუძველი, უმაღლესმა საბჭომ საქართველოს პარლამენტში გააკეთა საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის ინსპირირება.** მათ გადაწყვიტეს, გვერდი აევლოთ იუსტიციის დეპარტამენტისთვის და ყველა ნორმატიული აქტი მიეღო უმაღლეს საბჭოს. მოამზადეს ცვლილება და შეიტანეს პარლამენტში დასამტკიცებლად. ეს კანონპროექტი პარლამენტის იურიდიული კომიტეტის სხდომაზე ჩავარდა. თუმცა მეორე დღეს იგი სასწრაფო წესით გაიტანეს პლენარულ სხდომაზე და ხმათა უმრავლესობით მიიღეს.

**— კი მაგრამ, უკანონობის დაკანონებას მისცა ხმა მმართველმა გუნდმა?**

— ვფიქრობ, რომ ისინი კარგად არ იყვნენ ჩახედული პრობლემის არსში. მათ არ იცოდნენ, კონკრეტულად რას აძლევდნენ ხმას ამ პლენარულ სხდომაზე, არ ჰქონდათ გაცნობიერებული მისი პოლიტიკური შედეგი. **სამწუხაროდ, სხდომის თავმჯდომარემ ვახტანგ ხმალაძემ გვთხოვა, მხოლოდ სამართლებრივ საკითხზე გვესაუბრა, თორემ მისთვის ეს მდგომარეობა რომ აგვეხსნა, დარწმუნებული ვარ, შედეგი სულ სხვა დადგებოდა. სავარაუდოდ, არც „ქართული ოცნების“ და არც სხვა პარტიების დეპუტატებს თავშიც არ მოსვლიათ ის აზრი, რომ ბურჯანაძის პარტიის გენერალური მდივანი „გაყავდათ“ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე, თანაც წინასაარჩევნოდ.**

ესაუბრა
**თამარ ნაზღაიძე**

**«აქ ყველაზე მთავარია ის, რომ აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში «ქართული ოცნება» არის უმცირესობაში. ვერანაირად რომ ვერ მოერივნენ ჩვენს ახლადჩამოყალიბებულ ფრაქციას, მის საპირწონედ გააერთიანეს დარჩენილი სამი ფრაქცია და დაარქვეს «ქართული ოცნება — ერთიანი საქართველო»**

**ბატონი მთავარი პროკურორი კვლავ ცდება, ან არ ახსოვს, რომ პროკურატურას კადრების დედნები და ტექნიკა მე და გიორგი ლომიამ საჯაროდ გადავეცით და არა ვლადიმერ ბედუკაძემ.**

პოზიცია
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ირმა ინაშვილი ბედუკაძის საქმესთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

**ირმა ინაშვილი ბედუკაძის საქმესთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს, რომელსაც "საქართველო და მსოფლიო" უცვლელად გთავაზობთ:**



**დღეს დილიდან იმდენი მედიასაშუალება დამიკავშირდა, რომ იძულებული გავხდი ჩემი კოლეგების შეკითხვები დამეჯგუფებინა და პასუხი ერთიანი განცხადებით სახით გამევრცელებინა.**

**1)** ბატონმა ვლადიმერ ბედუკაძემ კადრები ბატონ გიორგი ლომიას ნამდვილად გადასცა 2011 წლის სექტემბერში. მაგრამ, ხაზს ვუსვამ, გასაჯაროების უფლების გარეშე!

**2)** გასაჯაროება დაკავშირებული იყო ძალიან ბევრი პირობის შესრულებასთან, რაც დიდ ხარჯებს მოითხოვდა. ჩვენ ყველა პირობა პატიოსნად, ზნეობრივად, გადაჭარბებით შევასრულეთ.

**3)** ვიდრე დათა აკობიას კადრები არ გამოვაქვეყნეთ, ანუ კარანტინის დაშლის კადრები (რაც შალვა რამიშვილის გადაცემაში გავიდა), მანამდე ბედუკაძე ჯერ კიდევ არ გვაძლევდა უფლებას, მის მიერ გადაღებული (ე.წ. ცოცხების) კადრები გაგვესაჯაროებინა. ეს ბრიუსელში 2012 წლის სექტემბერში ხდებოდა.

**4)** ხაზგასმით ვამბობ: ბედუკაძის წვლილი ძალიან დიდია, მაგრამ სისტემური დანაშაული ამხილა დათა აკობიას მიერ გადაღებულმა კადრებმა, რაზეც რატომღაც ბატონი მთავარი პროკურორი დუმს და პროკურატურის განცხადებაში წერს, თითქოს კარანტინის დაშლის კადრები ბორის ფარულავამ გადაიღო.

**5)** ფარულავას წვლილიც ძალიან დიდია. მან ჩვენ მიერ გადაცემული კამერა ციხეში შეიტანა, მაგრამ კარანტინის დაშლის კადრები უშუალოდ დათა აკობიამ გადაიღო და არა ბორის ფარულავამ.

**6)** ბატონი მთავარი პროკურორი კვლავ ცდება, ან არ ახსოვს, რომ პროკურატურას კადრების დედნები და ტექნიკა მე და გიორგი ლომიამ საჯაროდ გადავეცით და არა ვლადიმერ ბედუკაძემ. რაც შეეხება არჩილ კბილაშვილის გადაწყვეტილებას, მე ამას ვერ შევაფასებ, რადგან არც პროკურორი ვარ, არც გამომძიებელი და არც მოსამართლე.

**7)** ბედუკაძემ მის მიერ გადაღებული კადრები გიორგი ლომიას მიაწოდა. „კარანტინის კადრების" მოპოვების, აგრეთვე, ბედუკაძისა და აკობიას კადრების გასაჯაროების საქმეში მონაწილეობდნენ: ვლადიმერ ბედუკაძე, ბორის ფარულავა, დათა აკობია, გიორგი ლომია, კოტე ინაშვილი, მე — ირმა ინაშვილი, სოსო მანჯავიძე, მერაბ ბლადაძე, გიორგი ფოფხაძე, ვახტანგ ბეგიაშვილი და დავით თარხან-მოურავი.

**8)** ამ საქმეში ყველა მონაწილემ თავისი, კონკრეტული წვლილი შეიტანა. ცხადია, ბედუკაძემ, ფარულავამ და აკობიამ საფრთხის ქვეშ დააყენეს საკუთარი და მათი ოჯახის წევრების სიცოცხლე. ამავდროულად, იგივე რისკი გაწიეთ ამ საქმის დანარჩენმა მონაწილეებმაც.

**9)** გამაოგნებელია, „ნაციონალური მოძრაობის" მოთხოვნა, რომელიც დღეს ირმა ნადირაშვილმა გააჟღერა, — გამოძიებულ იქნას, რატომ არ გასაჯაროვდა კადრები 2012 წლის სექტემბრამდე, ხომ არ ჰქონდა ადგილი დანაშაულის დაფარვასო? მინდა, „ნაცმოძრაობას" შევახსენო, რომ 2011 წლის იანვარში, თებერვალში, მარტში, აპრილში მე არაერთგზის ღია ეთერში, პრეს-კონფერენციებსა და მიტინგებზე ვასახელებდი ციხის ჯალათების გვარებს და ვასაჯაროებდი ფაქტებს ნაწამები პატიმრების შესახებ. გამოქვეყნებული მაქვს ციხის 29 ჯალათის სია. ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია ინტერნეტსივრცეში, მაგრამ „ნაციონალური მოძრაობა", რომელიც იმ პერიოდში მართავდა ქვეყანას, არავითარ ზომებს არ იღებდა და პირიქით, არბევდა ჩვენს მიტინგებს და ფიზიკურად უსწორდებოდა პატიმრების ოჯახის წევრებს. ასე რომ, სწორედ „ნაცმოძრაობა" უწევდა ორგანიზებას და ფარავდა წლების მანძილზე ამ დიდ დანაშაულს.

**10)** ამასთან ერთად, აღვნიშნავ, რომ მე, სხვებზე არანაკლებ და შესაძლოა, მეტადაც შეძრული ვარ იმ არაადეკვატური განაჩენებით, რომელიც სასამართლოს მწამებელთა მიმართ გამოაქვს. რაც შეეხება ბატონ ბედუკაძეს, ცხადია, მისი თანამონაწილეობა უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული, ხოლო რამდენად ადეკვატურად ან არაადეკვატურადაა გათვალისწინებული ბედუკაძის დამსახურება, ამისი შეფასება გამოძიების, პროკურატურისა და სასამართლოს პრეროგატივაა.



# ჯუმბერ პატიაშვილი პრეზიდენტობის საუკეთესო კანდიდატია!

**დიდი ყურადღებით და სიამოვნებით წავიკითხე თქვენს გაზეთში არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის" თავმჯდომარის — ტარიელ გაგნიძის წერილი „საქართველოს პრეზიდენტად ქვეყანას ვთავაზობთ ბატონი ჯუმბერ პატიაშვილის კანდიდატურას".**

მართლაც და, თავისი განვლილი გზით ბატონი ჯუმბერი გამოირჩევა ყველა დასახელებული კანდიდატისგან. აი, ისინიც: გიორგი მარგველაშვილი, შალვა ნათელაშვილი, ნესტან კირთაძე, ნინო ბურჯანაძე და სალომე ზურაბიშვილი.

დავიწყოთ ბატონ **მარგველაშვილით.** აქამდე მას სერიოზული არაფერი გაუკეთებია. რაღაც ულიმღამო პიროვნებაა. მისი გამონათქვამებით თუ ვიმსჯელებთ, იგი ძალიან დამოკიდებულია პრემიერ-მინისტრზე და გვევლინება ბიძინა ივანიშვილის ნებისმიერი ბრძანების შემსრულებლად. არადა, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტს საკმაოდ შეუკვეცეს ფუნქციები, იგი მაინც არის „საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი", „საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი" და ა. შ. მოკლედ, მარგველაშვილი არაა საპრეზიდენტო კაცი!

**შალვა ნათელაშვილმა** კი ბოლო ოცი წლის მანძილზე თავი დაგვანახა, როგორც პოლიტიკურმა დემაგოგმა, ლაზღანდარამ, რომელსაც არ ძალუძს სახელმწიფო საქმის კეთება.

**სალომე ზურაბიშვილი** კი იმით ამაყოფს, რომ მასონ ზბიგნევ ბჟეზინსკის მოწაფეა. მარტო ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს, რომ ქალბატონი ზურაბიშვილი არ გახლავთ ის პოლიტიკოსი, რომელიც ჩვენს ეროვნულ ინტერესებზე იზრუნებს.

**ნინო ბურჯანაძემ** თავი იმით „ისახელა", რომ სააკაშვილთან და ჟვანიასთან ერთად მოაწყო სახელმწიფო გადატრიალება, სახელწოდებით „ვარდების რევოლუცია"..... რა უბედურება მოუტანა ჩვენს სამშობლოს ამ რევოლუციამ, საქართველოს მოსახლეობამ საკუთარ ტყავზე იწვნია!... ქალბატონი ბურჯანაძე ძალზე ცინიკურ განცხადებებს აკეთებდა 2007 წლის 7 ნოემბრის საპროტესტო მიტინგის დარბევის თაობაზე და, ვფიქრობ, ასეთი „წვრილმანი" ხალხმა არ უნდა დაივიწყოს, რადგან ნებისმიერი „წვრილმანი" აუცილებლად „მსხვილმანში" გადადის! ვერაფრით გამოიჩინა თავი ქალბატონმა ნინომ 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკული მოვლენების დროსაც. იმის მაგივრად, მას ხალხი დაერაზმა ომის გამჩაღებლის, „კურდღელი მთავარსარდლის", დეზერტირ სააკაშვილის დასაპატიმრებლად და სამართალში მისაცემად, აქეთ მზად იყო, თავი გაეწირა მიშიკოსთვის! არ გეგონოთ, რომ მე ამას ვიგონებ. ეს, ჩემი აზრით, სამარცხვინო აღიარება, ქალბატონმა ნინომ გააკეთა ინტერვიუში, რომელიც დაიბაჭდა ერთ-ერთ გაზეთში.

ქალბატონმა ბურჯანაძემ არათუ თავის კანდიდატურა უნდა დააყენოს საპრეზიდენტო არჩევნებში, არამედ ვალდებულია, საჯაროდ მოინანიოს და ილოცოს იმ ადამიანის სულებზე, რომლებიც შეეწირნენ მის ყოვლადგაუგონარ ავანტიურას, რაც მან განახორციელა 2011 წლის 26 მაისს. ასეთი შეცდომების მოსანანიელებლად ადამიანები მონასტერს აკითხავდნენ და სიცოცხლის ბოლომდე ლოცვითა და უმკაცრესი მარხვით ინანიებდნენ მძიმე ცოდვებს!

**ნესტან კირთაძე** კარგი პიროვნებაა, მშვენიერი ისტორიკოსია და მებრძოლი ხასიათი აქვს, მაგრამ საქართველოს ისტორიის ამ ეტაპზე ქალბატონ ნესტანს დიდი საქმეების გაკეთების შესაძლებლობები არ გააჩნია. მაგალითად, ჩვენ აფხაზებთან და ოსებთან უნდა შევრიგდეთ, მაგრამ ოსი და, განსაკუთრებით, აფხაზი უხუცესები ქალებთან არანაირ საკითხს არ განიხილავენ; არადა, ჩვენს აფხაზ და ოს ძმებში უხუცესთა აზრს გადამწყვეტი გავლენა აქვს.

სწორედ ამაშია ბატონ ჯუმბერ პატიაშვილის ძალა, რომ იგი საქართველოს ყველა კუთხეში შინაურია. განსაკუთრებით მას ოსები და აფხაზები სცემენ პატივს, როგორც მათდამი ყოველთვის თბილად განწყობილ ხელმძღვანელს.

სწორად აღნიშნავს ტარიელ გაგნიძე, რომ: „მოსახლეობა გადაღლილია პირტიტველა გოგო-ბიჭების მმართველობით, რომლებიც უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობებზე გამწესებით იწყებდნენ ჩაბარებული დარგის შესწავლას და საერთოდ, შრომით საქმიანობას". დიახ, ვერც მართვის გამოცდილებით გაუწევენ მეტოქეობას ბატონ ჯუმბერს სხვა კანდიდატები!

**ყველამ ვიცით, რომ ჯუმბერ პატიაშვილი ბრწყინვალედ ერკვევა სოფლის მეურნეობაში და არა მხოლოდ თეორიულად. საყოველთაო გაპარტახების პერიოდში მან შეძლო სოფელ წეროვანში მოწინავე მეურნეობის შექმნა!** აუცილებელია, გავითვალისწინოთ, რომ საქართველო აგრარული ქვეყანაა და მისი მოსახლეობის უმრავლესობა სოფელში ცხოვრობს, ხოლო შემოსავლის ერთადერთ წყაროს სოფლის მეურნეობა წარმოადგენს. ამ საქმეში კი ბატონ ჯუმბერს ბადალი არ ჰყავს!

**ჯუმბერ პატიაშვილი გამოცდილი პოლიტიკოსია და მშვენივრად იცის, როგორ უნდა წარმართოს საარჩევნო კამპანია. მან 1995 წელს (და მე ეს დანამდვილებით ვიცი) საპრეზიდენტო არჩევნებზე დიდი უპირატესობით დაამარცხა ქვეყნის დამანგრეველი შევარდნაძე, მაგრამ საყოველთაო გაყალბებამ, რომელიც შევარდნაძის უშუალო მითითებით განახორციელა ჟვანიამ და ამ უკანასკნელის „ნიჭიერმა" მოწაფემ — გოგორიშვილმა, არ მისცა ბატონ ჯუმბერს საშუალება ქვეყნის სათავეში მოსვლისა, რამაც საქართველო სავალალო შედეგებამდე — სააკაშვილის გაბატონებამდე მიიყვანა...**

დარწმუნებული ვარ, რომ ჯუმბერ პატიაშვილი საუკეთესო კანდიდატია საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობაზე!

**იოსებ როსებაშვილი,**
**პენსიონერი**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბიძინა ივანიშვილმა ეკონომიკაში არსებული პრობლემები მისი ინერციული ხასიათით ახსნა, კერძოდ, მეურნეობის მართვის სააკაშვილისეულ „ხელოვნური“ ხერხების გამოყენებას დაუკავშირა და შენიშნა, საქართველოს ეკონომიკაში შევარდნაძის დროინდელი მართვის მეთოდების გამოყენება რომ გაგრძელებულიყო, გაცილებით უკეთესი შედეგების მიღება იქნებოდა შესაძლებელი.**



დავით იაკობიძე:

# ელიტარული კორუფცია სააკაშვილის ხელისუფლებამ კანონმდებლობაში ჩადო

## დისკუსია დაიწყო

**კოაბიტაციის (ორხელისუფლებიანობის) პერიოდის ორი მესამედი უკვე გავიარეთ და მის დამამთავრებელ ეტაპზე ვიმყოფებით, რომელსაც განსაკუთრებულ ხიბლს ანიჭებს საპრეზიდენტო არჩევნები საკუთარი, პოლემიკური ცხოველმყოფელობით. უკვე გამოვლინდნენ მთავარი მონაწილენი, დისკუსია, რიტორიკა უკომპრომისო ხდება და, ალბათ, თავის აპოგეას სექტემბერ-ოქტომბერში მიაღწევს.**

მიხეილ სააკაშვილმა ყვარლის მამულიდან განუცხადა საქართველოს მოსახლეობას, რომ მისი პრეზიდენტობის ვადა გრძელდება ახლადარჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციამდე და ახალი ხელისუფლება დაადანაშაულა ეკონომიკური პროცესების ცუდად მართვაში. კერძოდ, მიუთითა, რომ, „თუ ანაკლიის პორტისა და ახალქალაქ-ყარსის რკინიგზის მშენებლობას გააგრძელებენ, შეძლებენ, თავი დააღწიონ ეკონომიკური ზრდის ნულოვან ტემპს, რომელიც მიმდინარე წლის მაისში დაფიქსირდა“. სააკაშვილმა საპრეზიდენტო არჩევნების ფორმატში დისკუსია უკვე დაიწყო.

საპრეზიდენტო არჩევნები საერთაშორისო დაკვირვების საგანიც იქნება და ამიტომ მკაცრი რიტორიკის (სალანძღავი პუბლიცისტიკის) მეშვეობით, ლიბერალურ ფასეულებათა სისტემაზე დაყრდნობით, „ნაციონალები“ შეეცდებიან, იქ მიაყენონ მოწინააღმდეგეს დარტყმები, სადაც თავს კომპეტენტურად მიიჩნევენ. ესაა ძირითადად მოსახლეობის ცხოვრების პირობები და ეკონომიკური ზრდა.

სააკაშვილმა გააფრთხილა საზოგადოება, რომ ის „ტანგო“ (ლეხ ვალენსას ტერმინია), რომელსაც თვითონ და მისი გუნდი ეთამაშება ახალ პოლიტიკურ ძალას, არჩევნების შემდეგაც (ინაუგურაციამდე) გაგრძელდება, შესაბამისად, საკუთარ პერსონას კიდევ ერთხელ მიანიჭა განსაკუთრებული მნიშვნელობა. ასეა თუ ისე, მიმდინარე წლის მაისში დაფიქსირებული მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ნული პროცენტი აუცილებლად განსჯის საგანი უნდა გახდეს. აკი კიდეც ცდილობენ ეკონომიკურ ზრდაზე პასუხისმგებელი პირები, ახსნან ეს მოვლენა.

## დისკუსიის მესამე მონაწილე

კოაბიტაციის 8-თვიან პერიოდში საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში ორი მთავარი მოკამათე ჩანდა. მათ შორის გამართულ დისკუსიაში ნათელი ხდებოდა, ძველი დრომოჭმული ძალის — **„ნაციონალური მოძრაობის“** — ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილისგან დისტანცირების ზრდა, რომელიც ახალი ხელისუფლების „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა, ვიტყოდი, აშკარა პოლემიკური გამოუცდელობის მიუხედავად, წარმატებების ფონზე ვითარდებოდა, **ძალთა ასეთ თანაფარდობას კარგად გვიჩვენებს ამ ბოლო დროს თბილისის მერიის მაღალჩინოსანთა დაპატიმრების თაობაზე ატეხილი აჟიოტაჟი. ადამიანებს ბრალდება 49 მილიონი ლარის საბიუჯეტო გაფლანგვაში მონაწილეობა, მაგრამ საზოგადოებრივი განხილვის საგანი ეს შეუწყნარებელი დანაშაული კი არ არის, არამედ აქტიური მსჯელობა იმაზე, ეჭვმიტანილნი სწორად იქნენ დაკავებულები თუ არა.**

მართალია, პიროვნების სამართლებრივ დაკავებას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მოქმედი სისხლის სამართლის ნორმები ძალას იკრებს (საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ხდება) ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის შესაბამისად. ხალხს კი სწორედ ამ სიმართლის სჯერა და არა დემაგოგთა მწყობრი და უტიფარი იურიდიული არგუმენტების. ეს მაგალითი, როგორც ფაქტი, გვიჩვენებს, თუ როგორ ახერხებენ მნიშვნელოვან სამართალდარღვევათა შინაარსობრივ ტრანსფორმაციას და მისი მნიშვნელობის ლოკალიზაციას დისკუსიების დროს. მასზე ყურადღება იმიტომ გავამახვილე, რომ წარმოგვეჩინა, თუ რა ზიანის მოტანა შეუძლია სადავო საკითხის არასწორ ინტერპრეტაციას. ეს არსებით მნიშვნელობას იძენს კოაბიტაციის დამამთავრებელ ფაზაში საპრეზიდენტო არჩევნების წინ.

ასეთ დისკუსიაში, როგორც წესი, უდიდეს როლს თამაშობს **მასმედია, რომელიც დისკუსიის მესამე მონაწილეა** და, რაც მთავარია, სწორედ ის ანიჭებს მნიშვნელობას სადისკუსიო პრობლემებს. უნდა ითქვას, რომ **ჩვენი ტელევიზიები რამდენადმე მიკერძოებულია „ნაციონალური მოძრაობისადმი“, ცდილობენ, „დააბალანსონ“ საინფორმაციო სივრცე და**



**გაუგებრად დიდ დროს ანდომებენ წამსვლელი ძალის აზრების პოპულარიზაციას.**

თვალშისაცემია ბიძინა ივანიშვილისადმი ჟურნალისტთა მხრიდან არაეთიკური „შეტლიკინებები“ მაშინ, როდესაც ისინი ზედმეტად კორექტულები არიან მისი ოპონენტებისადმი. აქედან გამოსავალი, პირველ რიგში, „ქართულმა ოცნებამ“ უნდა ნახოს. პრესა შედარებით სუსტია ეკონომიკური საკითხების გაშუქებისას. მაგალითისთვის ისიც კმარა, რომ ტელევიზიის ერთ-ერთ არხზე ორ ზრდასრულ ადამიანს შორის ასეთი დიალოგი იმართება: პოლიტიკა არის სიტყვებით თამაში, — ამბობს ერთი, ეკონომიკა არის ციფრებით თამაში, — აგრძელებს მეორე.

ვისაც პოლიტიკა და ეკონომიკა თამაშად მიაჩნია მათგან პრობლემურ საკითხთა კომპეტენტურ გაშუქებას არ უნდა ველოდოთ.

## კამათის საგანი: ეკონომიკის ზრდა

ეკონომიკა თავისი მოულოდნელობებით დისკუსიისთვის მართლაც იძლევა კარგ მასალას. **სააკაშვილი, რომელიც მუდმივად გაურბოდა ამ საკითხებს და „ეკონომიკური თავისუფლების აქტიც კი მიიღო“, საქართველოს აშენებდა „ეკონომიკას პოლიტიკის გარეშე“. ახლა კი საარჩევნო პოლემიკას ეკონომიკური ფაქტების დეკლარირებით და ახალი ხელისუფლების პოლიტიკურ-ეკონომიკური ხედვების კრიტიკით იწყებს.**

მისი გამოსვლები უპასუხოდ არ დარჩენილა. რვათვიანი დუმილის შემდეგ ეკონომიკის მინისტრმა განგვიცხადა, რომ ქვეყანა ვერ შეძლებს მშპ-ს დაგეგმილ 6-პროცენტიან ზრდას და მოხდება ამ სავარაუდო ორიენტირის კორექტირება

4.5-5 პროცენტამდე გვაცნობა, რომ მალე ამოქმედდება 100 (ნაცვლად 60) ახალი საწარმოს დაფინანსების პროგრამა. ხოლო **ბიძინა ივანიშვილმა ეკონომიკაში არსებული პრობლემები მისი ინერციული ხასიათით ახსნა, კერძოდ, მეურნეობის მართვის სააკაშვილისეულ „ხელოვნური“ ხერხების გამოყენებას დაუკავშირა და შენიშნა, საქართველოს ეკონომიკაში შევარდნაძის დროინდელი მართვის მეთოდების გამოყენება რომ გაგრძელებულიყო, გაცილებით უკეთესი შედეგების მიღება იქნებოდა შესაძლებელი.**

სააკაშვილმა უარი თქვა ეკონომიკის მართვის ლიბერტარიანულ მეთოდზე და მოგვევლინა, როგორც ჯონ კეინსის მიმდევარი. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ სწორედ ამ სფეროში შენიშნა მან ოპონენტების სისუსტე, რაც გასაგებია, რადგან მსოფლიოში გრძელდება ეკონომიკური კრიზისი, რომელიც შეინიშნება რეალურ სექტორებში მიმდინარე ეკონომიკური რეცესიით. ჩინეთიც კი ველარ ახერხებს განახორციელოს 6-პროცენტიანი ზრდა და, როგორც ეკონომიკის ციკლური განვითარების თეორიის მიმდევრები ამტკიცებენ, ეს ვარდნა გაგრძელდება 2018 წლამდე.

საქართველოს ეკონომიკა არის მსოფლიო გლობალურ სივრცეში ინტეგრირებული მაკროეკონომიკური სტრუქტურა და, შესაბამისად, მიმდინარე დეპრესიის გავლენას რომ არ განიცდიდეს, შეუძლებელია. ამიტომ საჭიროა ზუსტი გათვლები, მკაფიო ორიენტირები და აქედან გამომდინარე ღონისძიებათა სისტემა. **ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე პასუხისმგებელი პირების შესახებ ისიც უნდა ითქვას, რომ თავიანთ გამოსვლებში საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების დროს გაურბიან მსოფლიო ტენდენციების ანალიზს და საქართველოს მაკროეკონომიკას ერთგვარ ავტონომიურ სივრცედ წარმოგვიდგენენ. რაც, ჩემი აზრით, არ მეტყველებს მათ გამჭრიახობას და შორსმხედველობაზე.**

კითხვა მეტად გამარტივებულად და ცხადად დგას: შევარდნაძის მეთოდებით რომ გაგრძელებულიყო, საქართველოში ეკონომიკის მართვა, დღეს უკეთესი შედეგები გვექნებოდა თუ არა? პასუხისთვის, ალბათ, უნდა მივმართოთ ექსტრაპოლაციის მეთოდს.

რადგან 1992-2003 წლების ციკლის განმავლობაში ეკონომიკა ნორმალურად ვერ ფუნქციონირებდა სამოქალაქო და სეპარატისტულ ძალებთან ომების გამო, უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ 1994-2003 წლებით. დავინახავთ, რომ ამ პერიოდში ნომინალურად მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზარდა 3-ჯერ (2.6 მილიარდი ლარიდან 1994 წელს, 9.8 მილიარდ ლარამდე 2003 წელს). რეალური მშპ-ს ზრდამ შეადგინა 48 პროცენტი, ანუ საშუალო წლიური ზრდის ტემპმა შეადგინა 5.4 პროცენტი. თუ იგივე მაჩვენებლებით განვიხილავთ 2004-2013 წლების ეკონომიკური ზრდას, დავინახავთ, რომ ამ პერიოდშიც სამჯერ (9.8 მილიარდი ლარიდან 2004 წელს 26.3 ლარამდე 2012 წელს) გაიზარდა ნომინალური მშპ. რაც რეალურად შეადგენდა 34 პროცენტი, ანუ წელიწადში 3,7 პროცენტი. გამოდის, რომ თუ შევარდნაძის პერიოდის მეთოდებით გავაგრძელებდით ეკონომიკის მართვას 16,8 პროცენტით მეტი იქნებოდა დღევანდელი ჩვენი რეალური მშპ.

პრემიერმა ივანიშვილმა იცოდა, რასაც ამბობდა. ეკონომიკის გაძღოლის მეთოდები შევარდნაძის დროს უფრო ეფექტიანი იყო, ვიდრე მის შემდგომ პერიოდში 2013 წლის ჩათვლით. შესაბამისად, ბოლო 9 წლის მანძილზეც ეკონომიკის მართვა შევარდნაძის დროის მეთოდებით რომ გაგრძელებულიყო, ეკონომიკის რეალური ზრდა გვექნებოდა არა 34 პროცენტი, არამედ 50,8 პროცენტი, არაფერი რომ არ ვთქვათ პოლიტიკური სტატუს სკვოს შენარჩუნებაზე, რომელიც აგვარიდებდა 2008 წლის კატასტროფას.

## ისევ კორუფციის შესახებ

„ნაციონალებს“ პრემიერ ივანიშვილის რეპლიკა უპასუხოდ არ დაუტოვებიათ და სასწრაფოდ უპასუხეს, რომ „შევარდნაძის დროს, ეკონომიკის მართვის არავითარი სისტემა არ არსებობდა, გარდა გლობალური კორუფციისა“. ამის ავტორს, შეიძლება გავუსწოროთ, რომ შევარდნაძის დროს მართლაც იყო კორუფცია, მაგრამ მას „გლობალური“ ხასიათი კი არ ჰქონდა, არამედ საზოგადოებრივი აქტივობის ყველა სფეროში ერთობ გავრცელებული და თითქმის ლეგალიზებული მოვლენა იყო. თუ მაინცა და მაინც რამე უცხო სიტყვით გვინდა გამოვხატოთ იმდრინდელი საზოგადოების ეს მანკი, შეიძლება ვთქვათ: **1992-2003 წლების საქართველოში კორუფციას ტოტალური ხასიათი ჰქონდა. რასაც ედუარდ შევარდნაძეც არ უარყოფდა.** მაგრამ იგი ფრთხილობდა, რომ კორუფციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა არ გამოსულიყო კონტროლიდან და არ გადაზრდილიყო ახლად აღმოცენებული მეწარმეობისა და დემოკრატიული ინსტიტუტების დარბევის სახელმწიფო მექანიზმად.

**2003 წლის დეკემბრიდან „ვარდების რევოლუციით“ მოსულმა ხელისუფლებამ დაიწყო მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჩხრეკა. განსაკუთრებით იმათი, ვისაც სახელმწიფო თანამდებობები ეკავა. ამის წინაპირობები უკვე არსებობდა: ტარდებოდა სოციოლოგიური გამოკვლევები, ვლინდებოდა კორუმპირებული ინსტიტუტები, არსებობდა კორუფციასთან**

**„ქართულმა ოცნებამ“ და მისმა ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა უნდა გააცნობიერონ, რომ ეკონომიკის მართვა იმავე მეთოდებით, რომლებიც სააკაშვილის პერიოდში დამკვიდრდა, შეუძლებელია. არ შეიძლება დემოკრატიულ საზოგადოებაში იურიდიული სისტემის მაინტეგრირებელ ელემენტს წარმოადგენდეს სისხლის სამართალი, რა გინდ მნიშვნელოვანი იყოს იგი საზოგადოებისთვის.**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **ბრძოლის სახელმწიფო უწყებაც. სააკაშვილის ხელისუფლებამ კი გაამკაცრა რამდენიმე კანონი და დაიწყო ამ საქმეში ეჭვმიტნილი პირების ტოტალური დარბევა.**

პროცესი წარიმართა „დამნაშავეთა სასარგებლოდ“, რადგან კორუმპირებულ ჩინოვნიკებს იჭერდნენ უფრო კორუმპირებული უწყების თანამშრომლები. კორუმპირებულ დაწესებულებათა ყველა რეიტინგში პირველობას არავის უთმობდა: **პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო.** პირველივე ოთხ თვეში კორუმპირებული ჩინოვნიკებისგან 25 მილიონი აშშ დოლარი „ამობერტყეს“. და ტელევიზიების თანხლებით გააგრძელეს საქმე. 2004 წლის მარტის ბოლოს მაშინდელმა პროკურორმა ადეიშვილმა დაასახელა ციფრები: **კორუმპირებულებისგან სულ ამოიღეს 85 მილიონი აშშ დოლარი და ჩამოართვეს 300 მილიონამდე აშშ დოლარის ღირებულების ქონება** (ქარხნები, სახლები, ავტომობილები).

ახლა კი გაიხსენეთ, მხოლოდ თბილისის მერიაში დატაცებული 49 მილიონი...

1992-1994 წლებში საზოგადოებრივ ურთიერთობათა ქსოვილი იმდენად დეფორმირებული იყო ომებისა და რევოლუციური გადატრიალებების გამო, რომ კორუფცია პრობლემას არ წარმოადგენდა, რადგან იყო ბევრად უფრო საშიში სოციალური გართულებები, რაც ადამიანებს შორის უნდობლობიდან და მტრული დამოკიდებულებიდან მომდინარეობდა. შემდეგ, როდესაც შეიქმნა ქვეყნის ბიუჯეტი, ასპარეზზე გამოვიდა ქართული ფული — ლარი, მოვაწესრიგეთ საზღვრები, ჩვენს ტერიტორიაზე ამოქმედდა ტრანსეროვნული პროექტები, ავლაგმეთ ბანდიტური დაჯგუფებები, მივიღეთ კონსტიტუცია, ჩვენმა ზრდის ტემპებმა 1995-1996 წლებში შეადგინა 11 პროცენტი (1995) და 14 პროცენტი (1996), როდესაც ამერიკელებმა დაიწყეს ლაპარაკი „ქართულ ეკონომიკურ სასწაულზე“, როდესაც ახლო და შორმა მეზობლებმა შურის თვალით დაგვიწყეს ცქერა.

**1997 წელს დაიწყო მასშტაბური კორუფციული პროცესი. იგი მიმდინარეობდა ე.წ. კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების ფონზე და წარმოადგენდა შინა, ფარულ დაპირისპირებას პრეზიდენტ შევარდნაძესთან ასოცირებულ პოლიტიკურ ჯგუფებს შორის. ამ დაჯგუფებებში იდეოლოგიური დასაბუთებულობის სიცხადით და მიზანდასახულობათა მოტივებით გამოირჩეოდა „მოქალაქეთა კავშირთან“ გაიგივებული, მისი მაინტეგრირებელი გუნდი ზურაბ ჟვანიას მეთაურობით.** ეს გუნდი იმდენად პირად კეთილდღეობაზე არ ზრუნავდა (თუმცა არც საკუთარი თავი ავიწყდებოდა), რამდენადაც მის ხელთ მოქცეული ბერკეტებით ცდილობდა შეექმნა მეწარმეთა ახალი დიდი ჯგუფი, რომელიც იქნებოდა მისი პოლიტიკური მხარდამჭერი და პოლიტიკური ამბიციების რეალიზაციის იარაღი. **ამ სფეროში გუნდმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწია, მაგრამ არა გადამწყვეტს, რისი მიზეზიც იყო მდორედ მიმდინარე პრივატიზაციის პროცესი და, რაც მთავარია, ეკონომიკურ საკითხებში გაუთვითცნობიერებლობდა. მართალია, გუნდის წევრები აკონტროლებდნენ ფინანსთა სამინისტროს, საგადასახადო და საბაჟო სამსახურებს, ტერიტორიულ ერთეულებსაც, მაგრამ მათი ქმედება უეფექტო იყო, რადგან ეფუძნებოდა კორუფციის არაჯანსაღ და ყველაზე მტაცებლურ ფორმას — მეწარმეობაზე ძალმომრეობასა და ბიუჯეტის ფულის მითვისებას.**

2003 წელს, როდესაც ეს პოლიტიკური ძალა ხელისუფლებაში მოვიდა, პირველი დარტყმა მიაყენა კორუფციულ გარემოში მის კონკურენტებს. შეეცადა, გაეთავისუფლებინა მთელი კორუფციული გარემო ვარდებით ხელში მოსული პოლიტიკური ძალისთვის, რაც წარმატებით შეასრულა.

## მონოპოლია კორუფციაზე

2004 წლიდან დამყარდა მონოპოლია კორუფციაზე. წვრილმანი მექრთამეობა ამოიშანთა, რაც შეძლეს საბიუჯეტო რესურსთან წვდომის მქონე არაკეთილსინდისიერი ჩინოვნიკების გამოვლენითა და მათზე სისხლის სამართლის უმკაცრესი ნორმების მიყენებით; რიგი დაწესებულებების (ავტოინსპექცია, სხვადასხვა ცნობის გამცემი სამოქალაქო დაწესებულებები, საწარმოო პროცესებზე საზედამხედველო და მაკონტროლებელი ორგანიზაციები) გაუქმებით; ანტიკორუფციული ღონისძიებების საჯაროობით (ტელეგაშუქებით). ასეთმა ენერგიულმა ნაბიჯებმა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ღონისძიება არ იყო რაციონალური და პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ქვეყნის სუვერენულ ინტერესებს (სანიტარული და ვეტერინარული კონტროლის, შრომის უსაფრთხოების, ანტიმონოპოლიური და სხვა სამსახურების გაუქმება) მოსახლეობაში მაინც ფართო მხარდაჭერა ჰპოვა. **ნულოვანი ტოლერანტობა დამნაშავეთა მიმართ საზოგადოებისთვის, თავიდანვე მისაღები არ იყო, მაგრამ „კანონიერ ქურდებთან“ და ხაზინის მპარავებთან უკომპრომისო ბრძოლას მხარს უჭერდა საზოგადოების დიდი ნაწილი, რომლის რიგებიდანაც ყალიბდებოდა სააკაშვილის ხელისუფლების დასაყრდენი საზოგადოებრივი ფენა.**

„მადა ჭამაში მოდისო“ და „ვარდების რევოლუციის“ შედეგად მოსულებმა დაიწყეს თავიანთი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დასაყრდენი მეწარმეების დევნა: **10 000 ადამიანზე მეტს ჩამოართვეს ქონება და შემდეგ შეასყიდეს მათთვის სანდო ადამიანებს. 2005 წლიდან 2012 წლამდე, 7 წლის განმავლობაში მარტო ჯარიმებით სახელმწიფო ბიუჯეტში, პროკურატურისა და შსს-ს ფონდებში მოახდინეს მილიარდზე მეტი დოლარის მობილიზება და რამდენიმე მილიარდზე მეტი ღირებულების ქონების რეპრივატიზება და სანდო ხალხისთვის გადაცემა.**

სააკაშვილის დროს მანუალები (გამომყენებლის ინსტრუქციები) და სხვა საკანონმდებლო აქტები ჩანაცვლა საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტებს და იქცა საქართველოში ქონების განაწილებისა და გადანაწილების რეალურ მექანიზმად. ეს შენიშნეს უცხოელმა დამკვირვებლებმა და თქვეს, რომ ქვეყანაში შენარჩუნებულია ამ მოვლენის სპეციფიკური ფორმა — ელიტარული კორუფცია. დაიწყეს ძებნა ამგვარი ფაქტების, მაღალი თანამდებობის მოხელის მიერ ქრთამის აღების შემთხვევების ძებნა. ვერ პოულობდნენ. სამწუხაროდ, აზრად არ მოსდიოდათ, რომ ჯერ ცნება „ელიტარული კორუპცია“ განეხილათ, მაშინ გაიგებდნენ, რომ **კორუფციის ეს ფორმა გულისხმობს მოსალოდნელი სამეურნეო დანაშაულისადმი კანონმდებლობის მორგებას და არა ქრთამის აღებას.** ამას გარდა ელიტარული კორუფციის საფუძველს ქმნის კანონები: თავისუფალი სამეურნეო ზონების შესახებ, ფასიანი ქაღალდებისა და სადაზღვევო კომპანიების შესახებ, ცვლილებები საბანკო კანონმდებლობაში, საბიუჯეტო და საგადასახადო კოდექსები და ა. შ.

## რა შეიძლება ვურჩიოთ ახალ ხელისუფლებას?

საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში „ნაციონალები“ შეეცდებიან, პედალირება მოახდინონ ახალი ხელისუფლების შეცდომებზე, რაც მათ საშუალებას მისცემს, აირიდონ მათ წინააღმდეგ ხალხში სამართლიანად დაგროვილი არგუმენტები. ამისთვის ფართოდ გამოყენებენ ეკონომიკაში შექმნილ არც თუ სახარბიელო სიტუაციას. ამიტომ „ქართული ოცნება“ უაღრესად სერიოზულად უნდა მოემზადოს მათთან პოლემიკისთვის. დისკუსიამ ამომრჩეველი უნდა დაარწმუნოს, რომ ახალი ხელისუფლება მზადაა ქვეყანაში სამართლიანობის აღსადგენად და საზოგადოებრივი თანაცხოვრების დემოკრატიული გარემოს შესაქმნელად. ამიტომ, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის დანაშაულებრივი სისტემის მხილებასთან ერთად, მხილებული უნდა იყოს მოსახლეობის ძარცვის არსებული მექანიზმი და მასზე დამყარებული კორუფციული სისტემა.

**„ქართულმა ოცნებამ“ და მისმა ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა უნდა გააცნობიერონ, რომ ეკონომიკის მართვა იმავე მეთოდებით, რომლებიც სააკაშვილის პერიოდში დამკვიდრდა, შეუძლებელია. არ შეიძლება დემოკრატიულ საზოგადოებაში იურიდიული სისტემის მაინტეგრირებელ ელემენტს წარმოადგენდეს სისხლის სამართალი, რა გინდ მნიშვნელოვანი იყოს იგი საზოგადოებისთვის.** დანაშაულებრივ მემკვიდრეობას, რომელიც სააკაშვილის რეჟიმისგან გვერგო, ვერ ჩამოვიშორებთ არსებული სამართლებრივი სისტემის ფარგლებში, რადგან იგი, პირველ რიგში, მსოფლმხედველურ უარყოფას მოითხოვს. თუ ვერ შევძლებთ მის დაძლევას, როგორც ჩვენი ერისთვის მიუღებელ, მტრულ იდეოლოგიას, მაშინ ვერ დამარცხდება ის „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც გულში აქვთ ჩამარხული მის მცირერიცხოვან, მაგრამ ენერგიულ მიმდევრებს, რომლებსაც ძალუძთ გულუბრყვილო და გაუთვითცნობიერებელი ხალხის გადაბირება.



# რას უნდა წარმოადგენდეს პრეზიდენტის ინსტიტუტი და ვინ შეიძლება გაწიოს ჭაპანი ერის მომავლის საკეთილდღეოდ?

**ჩვენი ქვეყნის ისტორია მრავალ მაგალითს გვაძლევს იმისას, რომ კრიტიკულ მომენტში გვაკლია სახელმწიფოს მონოლითურობა. პატარა ერი, რომ შეინარჩუნოს ეროვნული ნიშან-თვისება, რაღაც ქარიზმატულის გარშემო უნდა იყოს გაერთიანებული. საქართველოს სინამდვილეში ასეთი მომენტები არც თუ ისე ბევრი გვქონია — ბაგრატის, დავითის, თამარის ეპოქა... ჭკვიანი მონარქები ახერხებდნენ მტკიცედ საჭეთმპყრობელობას და ერის ქარიზმატული ლიდერობის შეთანაწყობას. სწორედ ქარიზმატიკაში უნდა ვეძიოთ ჩვენი სულიერი და ეროვნული ცნობიერების მთლიანობა. რა ინსტიტუტი უნდა შევქმნათ ამისათვის დღეს — 21-ე საუკუნეში, რომელიც უპასუხებს თანამედროვე რესპუბლიკის იდეას და ამავე დროს ჩვენს ქვეყანას შესძენს მონოლითურობას, რაც ესოდენ გვაკლია. სწორედ პრეზიდენტის ინსტიტუტი უნდა გახდეს ის ინსტრუმენტი, რომელიც თითოეულ მოქალაქეს დაუბრუნებს ნდობას, ერთგულებას და მომავლის რწმენას.**

დღევანდელი პოლიტიკური ელიტა მასქიმალურად ცდილობს, პრეზიდენტის ინსტიტუტი ფორმალური გახადოს, რაც საქართველოსთვის არც თუ ისე სასიკეთოა. ხომ არ აჯობებდა, ამ ინსტიტუტისთვის მიგვენიჭებინა ის სტატუსი და ფუნქცია, რომელიც ერის ლტოლვას ქარიზმატული ლიდერისადმი დააკმაყოფილებდა.

მოდი მივყვეთ ლოგიკურად: პარლამენტი — უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, პრემიერი — უმაღლესი აღმასრულებელი, დამოუკიდებელი სასამართლო — ადამიანის უფლებების გარანტი, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის ეროვნული ლიდერის, როგორც ქარიზმის, რანგში. ერთადერთი პატრიარქი, მისი უწმინდესობა გახლავთ ერის (მისი უდიდესი ნაწილის) სულიერი მამა, მაგრამ თანამედროვე ქართული სახელმწიფო მრავალკონფესიურია, გამომდინარე აქედან, პატრიარქი ვერ შეასრულებს მთელი ერის სულიერი და ქარიზმატული ლიდერის ფუნქციას.

**ჩვენ უნდა მივცეთ მომავალ პრეზიდენტს ის ფუნქციები, რომლებმაც უნდა განაპირობოს სამოქალაქო ერთიანობა.**

პირველი და უმთავრესი. პრეზიდენტი წარმოადგენს ქვეყნის ერთიანობის სიმბოლოს, დღეს არსებული რიგი სამინისტროებისა — რეინტეგრაციის, დიასპორასთან ურთიერთობის, ძეგლთა დაცვის — გადადის მის დაქვემდებარებაში, მასვე მიენიჭოს პატრონაჟი გარკვეულ სოციალურ ჯგუფებზე. პატრიარქის კურთხევით იღებს კონკორდატზე ზედამხედველობის უფლებას, წარმოადგენს პირველ პირს კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებაში. აქვს ვეტოს უფლება პარლამენტის მიერ მიღებულ საკანონმდებლო აქტებზე, შეუძლია რეფერენდუმის გამართვა აქტუალურ საკითხებზე, პრეზიდენტი დამოუკიდებელია თავის გადაწყვეტილებებში საკუთარი ფუნქციის ფარგლებში.

**იმისათვის, რომ პრეზიდენტის ახალმა ინსტიტუტმა თავიდანვე უპასუხოს დასახულ მიზან-ამოცანას, საჭიროა, შეირჩეს ღირსეული კანდიდატი, რომელსაც გააჩნია შეულახავი ღირსება უახლეს ისტორიაში, აქვს სწორი შეხედულება ქვეყნის მომავალზე, ჩამოყალიბებული კონცეფცია, თუ როგორ უნდა გავიდეთ კომფორტულ სახელმწიფოებრივ სივრცეზე; გაცნობიერებული აქვს კონფლიქტების დარეგულირების გზები და მეთოდები.**

ასეთი პოლიტიკოსებით განებივრებული ნამდვილად არ ვართ. ქართულ სინამდვილეში დღესდღეობით ვინც ყველა ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს, **დაბეჯითებით შემიძლია განვაცხადო, რომ ასეთი ბატონი ალექსანდრე ჭაჭია გახლავთ. პიროვნება, რომელიც თავისი ღირსებით, განათლებითა და ანალიტიკური უნარით ფრიად გამორჩეულია.** აგერ უკვე 20 წელია, ბატონი ალექსანდრე არ შემცდარა თავის პოლიტიკურ პროგნოზებში, ქვეყანა კი ისევ იქ დგას, სადაც 20 წლის წინ იყო, თუ არ ჩავთვლით სახელმწიფოებრივი ინსტიტუციონალიზმის ზოგიერთ ფორმალურ საკითხს.

მართლა ურწმუნო თომა უნდა იყო კაცი, რომ 20 წელი სიმართლეს გეუბნებოდნენ და მაინც არ დაიჯერო. იქნებ მავანნი დაინტერესდნენ და კარგად წაიკითხონ ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას ნაშრომები, გაეცნონ მის ხედვას ქვეყნის განვითარებისა და ერის სულიერ-კულტურულ ფასეულობებზე. თემატიკა, რასაც მოიცავს ბატონ ალექსანდრეს ნაშრომები, გამოირჩევა სიღრმისეული წვდომით საკითხისადმი, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, აქ დაინახავთ სიმართლეს და მხოლოდ და მხოლოდ სიმართლეს.

დროა, ერმა პრაგმატულად შეხედოს თავის მომავალს და ყური მიუგდოს სწორ ანალიტიკურ შეფასებებს. ქვეყანა ჩვენით არ იწყება და არც ჩვენით დამთავრდება, მომავლის სწორი განჭვრეტა გვმართებს დიდსა და პატარას, **გამოვიყენოთ ის ადამიანური რესურსი, რომელიც დღეს ჩვენს ხელთაა. ეს რესურსი კი ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას პიროვნებაშია. მას ნამდვილად ხელეწიფება, დაჯდეს მოლაპარაკების მაგიდასთან აფხაზებთან, ოსებთან და, რაც მთვარია, რუსებთან;** უნდა გამოვიდეთ მიჩვეული ფორმატიდან, როცა უამრავი ულიმღამო შეხვედრები იმართება, რაღაც ოქმები დგება ამაზე, ხოლო საბოლოოდ გვრჩება მაკულატურა, არავითარი წინსვლა და კონკრეტიკა. საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას უმორჩილესად ვთხოვ, მისცეს ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას წინადადება, აქედანვე ჩაერთოს მთავრობის სახელით კონფლიქტების მოგვარებაში. ეს ნაბიჯი ხელისუფლებას მისცემს ზუსტ შეფასებას ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას კომპეტენციაზე.

**ბააკა თოდუა,**
**ინჟინერ-ეკონომისტი,**
**არასამთავრობო ორგანიზაციის „დემოკრატიის განვითარების ცენტრ „მერმისის“ გამგეობის წევრი**

თეთრი ბაირაღები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვუსმენდი, ახალგაზრდა კაცის აზრიან ლაპარაკს და ვფიქრობდი „მისნაირებზე“, რომლებიც, სამწუხაროდ, ძალიან მომრავლდნენ საქართველოში. იმაში, რომ მათ ცხოვრებამ დასაწყისშივე უმკაცრესი გამოცდა მოუწყო, ჩემი თაობის ბრალსაც ვხედავდი. ჩვენ ვერ მოვახერხეთ ისეთი ხელისუფლების არჩევა, რომელიც მათში მტერსა და მეტოქეს კი არა, თანამოაზრეს დაინახავდა, რომელიც იზრუნებდა მათ განათლებაზე, დასაქმებაზე და საციხედ არ გაუხდიდა საქმეს...**

# ფარდობითობის თეორია, ანუ აკადემიკოსი გისოსებს მიღმა



**ნაპოლეონ ქარქაშაძეს ჩვენი მკითხველი იცნობს, როგორც წარმატებულ მეცნიერს, ნიჭიერ პუბლიცისტსა და მწერალს. წლების მანძილზე იყო საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ამჟამად ამავე აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. აი, ასეთი ადამიანი ყოფილმა ხელისუფლებამ გისოსებს მიღმა მოათავსა. პუბლიკაციების ეს ციკლი ამ უკულმართობაზეა.**



ასეთი ციხის საკნები საქართველოში არ არის

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №22-24 (209-211)

პატიმარ გენერალთან საუბარი გრძელდება. იგი მეუბნება: **— მეცნიერი ბრძანდებით, თქვენი ხედვა განსხვავებულია, ის, რაც ჩვენ ვერ გავარკვიეთ, შეიძლება თქვენ გაარკვიოთ... მეცნიერის აზროვნება მაინც სხვანაირია.**

არ შევკამათებივარ, მან ხომ დამნაშავე სამყაროსთან ბრძოლა უმდაბლესი ჩინით დაიწყო და გენერლობას მიაღწია, „ამ საქმის“ პროფესიონალია. მე კი, დილეტანტი, ვცდილობ, ვიპოვო პასუხი კითხვაზე — „რატომ არ შეიძლება „იმნაირი“ ადამიანების შემობრუნება ნორმალური ცხოვრებისკენ?

მორიგი შეხვედრისას, საუბრის ინიციატორი „ფოსტალიონი“ იყო.

**— ბატონო ნაპოლეონ, გუშინდელი „ლიტერატურული საქართველო“ მოგიტანეთ. საინტერესო რამეები წერია...**

**— მაინც რა?!**

**— აი, მაგალითად,** — თქვა და გაზეთი გადაშალა, — **წერია, რომ „ხელისუფლებას, რომელსაც ხალხის რისხვის შიში არ აქვს, დროთა განმავლობაში კრიმინალები ხდებიან“. კიდევ წერია: „ხელისუფლებაში შემთხვევით მოხვედრილი ადამიანები დაანგრევენ სახელმწიფოს“, კიდევ...** — და რამდენიმე ამონარიდი წაიკითხა თამაზ წივწივაძის წერილიდან.

**— კი ეგრეა, მერე რა?**

**— ის, რომ ჩვენთანაც ასეა, ხელისუფლებას ხალხის აღარ ეშინია, ამიტომ ჩადის ამდენ ბოროტებას, ხელისუფლებაში ბუნდოვანი წარსულის ხალხია, გამოდის, რომ კრიმინალები ჩვენ კი არა, ისინი უფრო არიან...**

**— არ გირჩევ ასეთ თემებზე ლაპარაკს, სახიფათოა,** — ვუთხარი მე.

**— ხომ ხედავთ, სანამ თქვენთან მოვიდოდი, სხვებმაც ასე მითხრეს. ყველანი ერთნაირად ფიქრობთ? არადა, განათლებულები ხართ...**

„ყველანი ერთნაირად არ ვფიქრობთ, მაგრამ ერთნაირად გვეშინია, აქაც კი — ციხეში“, — გავიფიქრე, „ფოსტალიონს“ კი ვუთხარი, რომ ყველა დროსა და ეპოქაში კრიმინალი ხელისუფლება ადრე თუ გვიან მარცხდება...

**— ეგ როდის იქნება?**

**— როდესაც ხალხის მოთმინების ფიალა აივსება. თუმცა ძნელი სათქმელია, მიძინებული ქართველები როდის გამოფხიზლდებიან,** — ჩავილაპარაკე.

„ფოსტალიონმა“ უკმაყოფილოდ მოიფხანა თავი, საუბარი აღარ გაგრძელებულა, სიგარეტი გავაბოლეთ და ერთმანეთს დავშორდით.

ერთხელ რატომღაც ხრუშჩოვზე დამიწყო საუბარი: წიგნის წაკითხვის დროს ძალიან ვიხალისეო, კიდევ რაღაცეები გაიხსენა, ბოლოს კი მკითხა:

**— საინტერესოა, სტალინმა მისი ორპირობა როგორ ვერ გაშიფრაო, მაგარი მოთამაშე ყოფილა, რომ თავს ამდენი წელი „ინახავდა“, სტალინის სიკვდილის შემდეგ კი რამხელა ბოღმა და სიძულვილი გადმოანთხია.**

გამახსენდა, 1964 წლის ოქტომბერში, ხრუშჩოვის გადაყენების მეორე დღეს, ასეთი კითხვა მეც დავუსვი კანდიდ ჩარკვიანს, რომელიც სტალინის დროს საქართველოს კომპარტიას ხელმძღვანელობდა და ნიკიტას იცნობდა.

**— კარგი შემსრულებელი იყო,** — მიპასუხა მაშინ ბატონმა კანდიდმა.

ხრუშჩოვთან დაკავშირებით პატარა გადახვევა მინდა გავაკეთო. 1968 წელს მოსკოვში ჩემი ასპირანტობის მეგობარს ვეწვიე აგარაკზე. მამამისი ცნობილი მეცნიერი იყო. მათი აგარაკის გვერდით ნიკიტა ხრუშჩოვი ცხოვრობდა. ის ხრუშჩოვი, რომელიც 10 წლის განმავლობაში მსოფლიოს აზანზარებდა, ახლა კი ყველასგან დავიწყებული პენსიონერი იყო. ნიკიტა მოწნულ სავარძელში იჯდა და ჟურნალ-გაზეთებს ათვალიერებდა. მისალმებაზე ხელის აწევით გვიპასუხა და, როდესაც გაიგო ჩემი ქართველობა, ღობისკენ წამოვიდა.

**— კარგა ხანია, ქართველი არ მინახავს,** — თქვა და ხელი ჩამომართვა.

**— საქართველოში დღემდე გახსენებენ, ნიკიტა სერგის ძევ,** — ვუთხარი მე.

**— უფრო მეტად, ალბათ, მლანძღავენ, 1956 წელი დიდი შეცდომა იყო, —** თქვა, ხელი ჩაიქნია და რაღაც წაიბუზღუნა.

**— კი, ესეც ახსოვთ,** — მივუგე მე.

**— როგორ მიდის საქმეები საქართველოში?** — შეცვალა თემა.

**— ვშრომობთ, როგორც ყოველთვის, საქმე ბევრია...**

**— ქართველები ნიჭიერები ხართ, მე დიდხანს ვიმუშავე სტალინთან.**

**— თქვენ ამბობთ, სტალინთან?!** — დაბნეულად ვკითხე მე.

**— დიახ, სტალინთან და ეს იყო დიდი სკოლა. ის მსოფლიო მნიშვნელობის ადამიანი იყო, ჩვენ კი კაცუნები აღმოვჩნდით. ეჰ... რაც იყო, იმას ვეღარ დააბრუნებ. აღარც კი მახსოვს, ბოლოს როდის ვიყავი საქართველოში.**

**— ეს იყო 1964 წლის ოქტომბერი, ბიჭვინთაში ისვენებდით....**

**— ნუთუ ესეც გახსოვთ?**

**— ქართველები მეხსიერებას არ ვუჩივით...**

**— მდა,** — თქვა და კეფა მოიფხანა, — **მინდა, ქართველებს მოკითხვა გადასცეთ. აბა, ჯანმრთელობას გისურვებთ...**

იმ საღამოს დაუჯერებელი ამბავი მომითხრო ჩემმა მეგობარმა: **თურმე ნიკიტას კაბინეტში ის პლაკატი აქვს გაკრული, რომელზეც სტალინი ქვეყნის რუკას დასცქერის, პლაკატის ქვევით კი წარწერაა: „ჩვენ გვალვასაც დავამარცხებთ“.** დაუჯერებელია, არა? მეც ასე ვფიქრობ.

ხრუშჩოვი „ფოსტალიონის“ კითხვაზე გამახსენდა.

**— ხრუშჩოვს აღიზიანებდა ის, რომ საქართველო ლამაზი ქვეყანაა, თქვენ ისეთი ნიჭიერები ხართ, ყარა-ყუმის უდაბნოსაც კი ბაღნარად გადააქცევთო,** — უთქვამს და საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელის — მჟავანაძის გამჭრიახობა და სიმამაცე რომ არა, შეიძლება ქართველები გადავესახლებინეთ **უდაბნოში,** — ვუთხარი ჩემს ციხის „მეგობარს“.

**— რა ცუდი და ბოროტი კაცი ყოფილა! რატომ ჰყავდა საქართველოს ყოველთვის მტრები?**

**— იმიტომ, რომ საცხოვრებლად კარგი და დოვლათიანი ქვეყანაა.**

**— მერე? ახლა რაღა დაგვემართა?**

**— გავზარმაცდით, სხვის ხარჯზე ცხოვრებას მივეჩვიეთ, მუქთახორობით კი ქვეყანას ვერ ააშენებ.**

**— მერე, ხმას რატომ არავინ იღებს?**

**— განა შენს მოტანილ გაზეთებში პროტესტს ვერ ხედავ? ხომ წაიკითხე წივწივაძის წერილი?!. ხმის ამომღებები ბევრი გვყავს, მაგრამ, სამწუხაროდ, მომსმენი და გამგები არავინაა...**

**— ჰო, ალბათ, ეგრეა.**

იმ დღეს საუბარი ამით დავამთავრეთ.

შემდეგ მოსვლაზე სპილოს ძვლისგან გაკეთებული ღვთისმშობლის მინიატურული ხატი მომიტანა: მათ გისაჩუქრესო, — მითხრა. ზოგად თემებზე ვისაუბრეთ, შევეხეთ მეორე მსოფლიო ომს, დავახასიათეთ ჩერჩილი, სტალინი... ვლანძღეთ ჰიტლერი!

**— რატომ არის, რომ ქართველები სხვების სამსახურში გამორჩეულები ვართ, შინ კი ვჯაბანდებით?** — იკითხა და თვითონვე მოიყვანა მაგალითები, ეგვიპტელი მამელუქების, ერაყის ქართველი მმართველის, პეტრე ბაგრატიონის, თანამედროვეებსაც შეეხო და შალიკაშვილიც ახსენა — ყველაზე დიდი ქვეყნის ჯარების სარდალი ქართველი იყოო?!

**ვუსმენდი, ახალგაზრდა კაცის აზრიან ლაპარაკს და ვფიქრობდი „მისნაირებზე“, რომლებიც, სამწუხაროდ, ძალიან მომრავლდნენ საქართველოში. იმაში, რომ მათ ცხოვრებამ დასაწყისშივე უმკაცრესი გამოცდა მოუწყო, ჩემი თაობის ბრალსაც ვხედავდი. ჩვენ ვერ მოვახერხეთ ისეთი ხელისუფლების არჩევა, რომელიც მათში მტერსა და მეტოქეს კი არა, თანამოაზრეს დაინახავდა, რომელიც იზრუნებდა მათ განათლებაზე, დასაქმებაზე და საციხედ არ გაუხდიდა საქმეს...**

— მართალია, რომ ილია და აკაკი ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენო? — მკითხა ერთხელ.

ყურმოკრულად მეც ვიცოდი, რომ სიბერეში შესულებს ერთმანეთში მართლაც ჰქონდათ უთანხმოება, მაგრამ მართალი იყო თუ არა, მეეჭვებოდა.

**— დიდ ადამიანებს ასეთი რამ ახასიათებთ... შენ თუ წაგიკითხავს აკაკი წერეთლის მიერ წარმოთქმული სიტყვა ილია ჭავჭავაძის დასაფლავებაზე?!**

**— დიახ, რასაკვირველია... „თუ საქართველოს“...** — და მან დაახლოებით გადმოსცა აკაკის სიტყვის შინაარსი.

**— მე, როგორც ვატყობ, შენ საკმაოდ გათვითცნობიერებული ხარ ლიტერატურაში!**

— ადამიანს კითხვა უნდა უყვარდეს, მე აქაც ბევრს ვკითხულობ, ციხის ბიბლიოთეკაში. რუსული წიგნებიცაა, მაგრამ მე რუსულში მოვიკოჭლებ.

— ქართული ლიტერატურიდან რომელი ნაწარმოები და ავტორები მოგწონს?

— „კაცია ადამიანი?!“, დავით კლდიაშვილის ნაწარმოებები, „დათა თუთაშხია“, რომელი ერთი ჩამოვთვალო... აი, ლექსებს კი გული ვერ დავუდე, თუმცა მომწონს, როცა კარგად კითხულობენ.

— „თუთაშხიამ“ რითი მოგხიბლა?

— ჯერ ერთი, ბატონი ჭაბუა ნაღდი კაცია. 15 წელიწადი ციხეში და ლაგერებში იყო და არ ჩაჭრილა, არც სახელმწიფო სამსახურში ჩადგა და ბოლომდე სუფთა კაცად დარჩა. დათაც მას ჰგავს, ასეთი კაცები, სხვისი მონები არასოდეს გახდებიან.

— კიდევ რომელი გმირები მოგწონს?

— რა ვიცი, ბევრია ასეთი. მომწონს დონ-კიხოტი, კვაჭი, დანტესი, კიდევ არიან, ალბათ, და არ მახსენდება...

— რატომ მაინცდამაინც ისინი?

— რა ვიცი, დონ-კიხოტი, ალბათ, იმიტომ, რომ გულუბრყილოა, მაგრამ კეთილშობილი. თავისი აზრით, ვითომ ბოროტებას ებრძვის. კვაჭი იმიტომ, რომ უბოროტო ავანტიურისტია, მიზანს ისე აღწევს, რომ ცდილობს, სხვები ნაკლებად დააზარალოს, დანტესი კი, სამაგიეროს რომ უხდის ბოროტ ადამიანებს, ალბათ, იმიტომ.

— შენ საინტერესო მოსაუბრე ხარ. წიგნმა ადამიანი უნდა დააფიქროს...

როდესაც წავიდა, მივხვდი, რომ მეც დაახლოებით მასავით ვფიქრობდი. დონ-კიხოტი ბავშვობიდანვე მომწონდა, ციხეში კი გავაცნობიერე, რომ მას ძალიან ვგავდი — ნეტავი, რატომ დამარქვეს ნაპოლეონი?!

„ფოსტალიონი“ კარგა ხანს აღარ გამოჩენილა. გამიხარდა, როდესაც ისევ მოვიდა. შეფერთხილი და ფერმკრთალი იყო. ნაღვლის ბუშტის ოპერაცია გავიკეთეო, — მითხრა.

**— რამდენიმე დღეში ზონაში გადამიყვანენ და დასამშვიდობებლად მოვედი,** — მითხრა გულდაწყვეტილმა.

**— მე მგონი, შენ აქ ცუდად არ იყავი. რატომ გადადიხარ?**

**— ზონა ციხეს ყოველთვის სჯობს, აქ კაცი დუნდება და ჯაბანდება, იქ უფრო მეტი თავისუფლებაა.**

**— ვადა როდის გიმთავრდება?**

**— თუ „უდო“ შემეხო, ერთ წელიწადში გავალ. რა ვიცი... აქედან კარგი დახასიათებები მიმაქვს, ალბათ, არც იქ შემეშლება რამე.** ▶

**ციხეში თავის გატანის ყველაზე კარგი საშუალება იუმორია, ზოგჯერ ბავშვური სიცელქეც. ჩვენი ხუმრობა იყო მოზომილი და რაფინირებული. გარედან მაყურებელი ადამიანი ძნელად თუ დაიჯერებდა, რომ ამას ვაკეთებდით ასაკოვანი, ცხოვრებაგამოვლილი, სერიოზული ბიოგრაფიების მქონე ადამიანები.**

თეთრი ბაირაღები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ — გარეთ რომ გახვალ, რას აპირებ?

— ძნელი სათქმელია. საზოგადოება ჩემნაირებს ყოველთვის ალმაცერად უყურებს. არც იმისი იმედი მაქვს, რომ სახელმწიფო იზრუნებს ჩემზე. სამწუხაროდ, დღევანდელ საქართველოში შიში, დაბეზღება, ღირსების შელახვა და კიდევ ბევრი რამ ცხოვრების ნორმად იქცა. ვინც ამათ დაკრულზე არ იცეკვა... ახლა გავიგე, რომ შევარდნაძის დროინდელი პოლიციის მინისტრიც აქ მოიყვანეს, გაუხსენეს „ვარდების რევოლუციის" დრო, სხვა მინისტრებივით რომ არ გაიყიდა... ბოდიშს გიხდით, ვიცი, რომ ამ თემაზე არ უნდა ვილაპარაკო იმიტომ, რომ თქვენთვის მტკივნეულია... ქვეყანამ იცის, რომ თქვენ უდანაშაულო ხართ, რომ ერთი კაცის პირადი პატიმარი ხართ, მაგრამ ვინმემ ამოიღო ხმა?! იმიტომ კი არა, რომ თქვენ პატივს არ გცემენ, არა... თავიანთ თავს გაუფრთხილდნენ, შარში არ გავეხვიოთო.

— ამაზე ხომ უკვე ვისაუბრეთ! — ვუთხარი მე.

— ამას იმიტომ ვამბობ, რომ ასეთ საქართველოში თავმოყვარე კაცი ვერ იცხოვრებს. მე ვინა ვარ, მაგრამ მეც არ მაცხოვრებენ აქ. თქვენი საზოგადოება კანონმორჩილია, მაგრამ რას იგებთ ამით?! ვერაფერს... კანონის წინააღმდეგ ვერ მიდიხართ, თუმცა იცით, რომ კანონები ხელისუფლებისა და მათ ირგვლივ მყოფი ადამიანების კეთილდღეობას ემსახურება...

კიდევ ბევრი რამ თქვა საგულისხმო. სამწუხარო ის იყო, რომ სიმართლეს ამბობდა, მწარე სიმართლეს.

— გამოდის, რომ ისევ შენს სამყაროში ბრუნდები? იქ რა, ანგელოზები არიან?

— არა, რასაკვირველია, მე, უბრალოდ, იმისი თქმა მინდა, რომ ჩემი სამყარო ბევრად უფრო სამართლიანია.

ცოტათი დამაბნია მისმა პასუხმა. იგი აღარ იყო ისეთი მორიდებული, როგორც უწინ.

— მაინც რით არის გამორჩეული შენი სამყარო? რომელ სამართლიანობაზე საუბრობ, როდესაც ადამიანებს ძარცვავთ და შეურაცხყოფას აყენებთ?! — უფრო მის გასაღიზიანებლად ვთქვი, მინდოდა, რომ ბოლომდე გახსნილიყო.

— მგონი, ზედმეტი ვთქვი, მე გამოსამშვიდობებლად მოვედი და ჩემი ბჟუტურით, მგონი, გაგაღიზიანეთ.

— პირიქით, ძალიან საინტერესოდ ლაპარაკობ. მაინტერესებს, რა ხიბლი აქვს ქურდბაცაცობას ისეთი, რომ ადამიანები, რომლებმაც ციხე გაიარეს და ზოგმა რამდენიმეჯერ, ისევ წარსულს უბრუნდებიან?

— აქედან ფრთიანი ანგელოზი რომ გავიდე, ესენი მაინც არ გამახარებენ. ადამიანს, რომელმაც სასჯელი მოიხადა, მას მუდმივად არ უნდა ახსენებდე წარსულს, არ უნდა აშანტაჟებდე, პოლიციის აგენტი არ უნდა გახადო. მაკმარე ის სასჯელი, რომელიც მოვიხადე, მომეცი უფლება ნორმალური ცხოვრების, იქნებ, მეც მინდა ახალი ცხოვრების დაწყება... არა, ვერ ისუნთქებ თუ ამათ არ შეეკარი, მე კი ამას ვერ ვიზამ, ბოზობას ვერ დავიწყებ. კაცისთვის ამაზე დიდი „გრეხი" არ არსებობს... ალბათ, წავალ საქართველოდან იქ, სადაც არავინ მიცნობს, თუ ცხოვრება ამეწყო, ჩემებსაც წავიყვან. ჯერ არ ვიცი, იქ „რომელ საზოგადოებაში" ვიქნები, მაგრამ, საქართველოში რომ აღარ დავრჩები, ეს უკვე გადაწყვეტილი მაქვს.

ეს იყო „ფოსტალიონთან" ჩემი ბოლო შეხვედრა. მოგვიანებით გავიგე, რომ ის დედასთან და დასთან ერთად საქართველოდან წასულა. ვინ იცის, სად ამოყრის ყლორტებს მისი გენები... ანდა ვიცით კი, რამდენი ასეთი საჯიშე გოგო-ბიჭია საქართველოდან იძულებით წასული?! ალბათ, არა...

— ირაკლიევიჩ, მე თქვენს შორიახლოს რომ დავდიოდი და ზოგჯერ საუბარშიც ვერეოდი, ხომ არ გწყინდათ? — მკითხა გენერალმა „ფოსტალიონის" წასვლის შემდეგ.

— არა, რატომ უნდა მწყენოდა!

— აქ ციხეა, ძნელია კაცის ნდობა, თავდაპირველად ის მოგზავნილი მეგონა, მერე გადავამოწმე და „სუფთა" აღმოჩნდა.

— გამოდის, რომ მე მიცავდი?!

— ჩემი დასაცავი რა გჭირთ, მაგრამ სიფრთხილე მაინც საჭიროა, მე მგონი, მან კარგი „გაკვეთილები" ჩაგიტარათ.

— პირიქით, გაკვეთილებს მე ვუტარებდი, ყოველ შემთხვევაში, ვცდილობდი. კარგი ბიჭია და მინდოდა, ჩვენკენ შემომებრუნებინა, მაგრამ, მგონი, ვერ შევძელი.

— აზრიანი ბიჭია, მაგნაირებისთვის მნიშვნელობა არა აქვს, რომელ მხარეს იქნებიან. თავს ყველგან გაიტანს, არ დაიკარგება, — მითხრა გენერალმა.

ციხემ დაახლოება იცის. გენერალთან კარგი ურთიერთობა მქონდა და დღემდე მაქვს. სხვათა შორის, ის ჩემი ნარდის მასწავლებელიც იყო:

— ირაკლიევიჩ, ნარდს ისე თამაშობ, რომ კაცს ეჭვიც კი შეეპარება თქვენს აკადემიკოსობაშიო, — მითხრა ერთხელ. მისი დამსახურებაა, რომ დღეს ნარდის ყველა სახეობას ვთამაშობ და არცთუ ურიგოდ!..

**ქვეყანა ის მიწა-წყალია, რომელსაც შენი სამშობლო ჰქვია და სადაც შენი ჯილაგი ცხოვრობს. იგი თითოეული ჩვენგანის საზრუნავია, ქვეყანაც უნდა, ზრუნავდეს თავის მოქალაქეებზე. სამწუხაროა, რომ სააკაშვილის საქართველოში ეს ურთიერთობა დარღვეულია.**

მკითხველო, აქ რაც წაიკითხე, ლიტერატურულ ჩარჩოებში მოქცეული სინამდვილეა, თუმცა შენც ხომ ამ სინამდვილეში ცხოვრობ?!

## ციხეში ხუმრობენ

**დეპრესია ცუდი დაავადებაა. ის ძირითადად უიმედო, სასოწარკვეთილ ადამიანებს ემართებათ. განსაკუთრებით თვალშისაცემია დეპრესია ციხეში. მეც მინახავს იქ შეშინებული, კარჩაკეტილი, ეჭვიანი ადამიანები, რომლებიც იოლად ემორჩილებიან ძალადობას. სწორედ ასეთ ადამიანებს იყენებენ ციხის თანამშრომლები ბუზღობისთვის, ჩაუდენელი დანაშაულის დაბრალებისთვის და ყველა იმ ბინძური საქმიანობისთვის, რომლითაც განთქმულია ციხეები.**

სივრცეში, რომელშიც მოვხვდი, ძირითადად ძლიერი ადამიანები იყვნენ, ისეთები, რომლებსაც ნებისმიერ სიტუაციაში შეუძლიათ ღირსების შენარჩუნება. სხვა პატიმრებთან შედარებით ჩვენ კომფორტულად ვგრძნობდით თავს. ამაში ხელს ისიც გვიწყობდა, რომ ცნობადი სახეები ვიყავით და ერთმანეთთან კონტაქტს იოლად ვამყარებდით. იმ სივრცეში შესვლის მეორე დღესვე მე თავს ვგრძნობდი, როგორც ახლო მეგობრების წრეში.

**ციხეში თავის გატანის ყველაზე კარგი საშუალება იუმორია, ზოგჯერ ბავშვური სიცელქეც. ჩვენი ხუმრობა იყო მოზომილი და რაფინირებული. გარედან მაყურებელი ადამიანი ძნელად თუ დაიჯერებდა, რომ ამას ვაკეთებდით ასაკოვანი, ცხოვრებაგამოვლილი, სერიოზული ბიოგრაფიების მქონე ადამიანები.**



**სივრცეში, რომელშიც მოვხვდი, ძირითადად ძლიერი ადამიანები იყვნენ, ისეთები, რომლებსაც ნებისმიერ სიტუაციაში შეუძლიათ ღირსების შენარჩუნება. სხვა პატიმრებთან შედარებით ჩვენ კომფორტულად ვგრძნობდით თავს**

ერთი შეხედვით, ჩვენი უწყინარი ხუმრობა და ლაღობა ის იარაღი იყო, რომლითაც ჩვენ ვუპირისპირდებოდით და დავცინოდით სააკაშვილის რეჟიმს, ვამხელდით მის უბადრუკ მცდელობას, დეპრესიაში ჩავეგდეთ და „დავეჩმორებინეთ". ჩვენ რეჟიმთან დაპირისპირების მხოლოდ ეს „იარაღი" გვქონდა და მას ეფექტიანად ვიყენებდით...

მაშ ასე, ციხის რამდენიმე ხუმრობა და ცელქობა.

### ამბავი პირველი

**ზაფხულის პაპანაქება სიცხე ჩვენს საკნებში აღწევდა. სივრცის „ავტორიტეტებმა" სადილისთვის შედარებით გრილი საკანი შევარჩიეთ. ტრაპეზი რომ დავამთავრეთ და დასვენების თადარიგს შევუდექით, საკნის ღია კარში დაბალი ტანის, მელოტი კაცი გამოჩნდა, რომელსაც ხელში ჩანთა ეჭირა, პირში კი... მუნდშტუკში გარჭობილი სიგარეტი. უცნობი, კარის ძგიდეს მიეყრდნო და ძველბიჭურად შეგვათვალიერა.**

საკანში სიჩუმე ჩამოვარდა. პატიმრებმა ერთმანეთს გადავხედეთ, რაც იმას ნიშნავდა, რომ შემოსული ან მართალა კერკეტი კაკალი იყო, ან კერკეტობას იბრალებდა.

— მახო, ვერ ხედავ? სტუმარი კარში გაიჭედა, მიდი გაარკვიე, ვინაა და რა უნდა? — დავალება მისცა წვერმოშვებულ გამხდარ პატიმარს კუთხეში მიდგმულ ლოგინზე ნებივრად წამოწოლილმა ასაკოვანმა პატიმარმა, რომელსაც კისერზე ხის დიდი ჯვარი ჰქონდა ჩამოკიდებული.

შემოსულმა მუნდშტუკი ნერვიულად აამოძრავა, მის გვერდით მდგარ მახოს ცერად გახედა და თქვა:

— აქანა ვარ მე გამწესებული, მარა ცარიელ ლოგინს ვერ ვხედავ! — პატიმრებმა ღიმილით გადავხედეთ ერთმანეთს, ცხადია, მივხვდით, რომ ჩვენ წინაშე სახალისო პატიმარი იდგა...

— ვა... იქნებ ლოგინიც ამოგარჩევიოთ? — დაცინვით თქვა ერთ-ერთმა.

შემოსულმა თავი აწია და ზევიდან გადმოგვხედა, მერე აულაგებელ მაგიდას თვალი მოავლო და თქვა.

— აქანე საფერფლე არაა, სიგარეტს სად აქრობთ? — თქვა და საკანი ისევ შეათვალიერა.

— აქ სიგარეტს არ ეწევიან, — უთხრა მახომ.

შემოსულმა სიგარეტი თითებით გასრისა და მუნდშტუკთან ერთად ჯიბეში ჩაიდო.

— მახო, გაარკვიე ვინაა და აქ რა უნდა? — გაიმეორა ლოგინზე წამოწოლილმა ასაკოვანმა პატიმარმა და წამოჯდა:

— მე მეკითხებით? — იკითხა შემოსულმა.

— შენ, მა ვის? — მკაცრად უთხრა მახომ.

შემოსულმა კეფა მოიფხანა, მერე ჩანთა ძირს დადო და თქვა:

— პატიმარი ვარ მე...

— აქ ანგელოზები არ შემოჰყავთ. გვითხარი, რა გქვია, გარეთ რას საქმიანობდი, — ჰკითხა ნამინისტრალმა, რომელიც მის სიახლოვეს ლოგინზე იყო ჩამომჯდარი.

— დაპატიმრებამდე იურისტი ვიყავი მე.

სახალისო ამბის მოლოდინში საკანი უცებ გამოცოცხლდა...

— ოო... გასაგებია, იურისტები გვაწყობს. რას აკეთებდი?

— ერთხანს რაიონებში ვმუშაობდი, — უღიმღამოდ თქვა მელოტმა, რომელსაც აშკარად არ მოსწონდა ჩვენ მიერ წამოწყებული „დაკითხვა".

— ამას ქრთამზე დაიჭერდნენ, — თქვა საკნის სიღრმიდან ვიღაცამ.

— ხო, მასეა, მაბრალებენ!

— ალბათ, არ აგიღია, ასეა ხომ? — დაუსვა შეკითხვა ცნობილმა არქიტექტორმა.

— ქრთამის აღება დიდი დანაშაულია. ქრთამს ხელს რაფერ მოვკიდებდი?! მერე რაფერ უნდა შემეხედა ბაღნებისთვის, — თქვა და ცხვირსახოცში მაგრად ჩააჩვიხვინა.

პატიმრებმა ღიმილით გადავხედეთ ერთმანეთს.

— ოო, რას უშვებიან პატიოსან ადამიანებს, რა ეტყობა ამას მექრთამის?!..

— ჩემი ადგილი უნდოდენ და ამაზე გამაფუჭენ!..

— ოო, რთული საქმეა, უნდა დავილაპარაკოთ, — თქვა ასაკოვანმა და პატიმრები თავისთან იხმო. ჩურჩულით თათბირობდნენ, მაგრამ ისე, რომ ზოგიერთი სიტყვა შემოსულს დაეჭირა: „გვაბოლებს", „არიფები ვგონივართ", „ტიპიური მექრთამეა", „მაგრად უნდა გავფცქვნათ" და ა. შ.

მელოტი ყურებდაცქვეტილი იჭერდა სიტყვებს და შეშინებული თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

— ციხეში რომ ჩამსვეს, მეორე დღეს სოფელში ვინცხამ სახლი მთლად გადამიბუგა, ბაღნები მშივრები დამიტოვეს, — წუწუნებდა ჩვენს გასაგონად მელოტი.

— მახო, გაიყვანე ეს ტიპი „კაზინოში" (სათამაშო ოთახი), დაუანგარიშე, რამდენი ქრთამი ექნება აღებული, უთხარი რამდენი აქვს მოსატანი, ვადაც დაუდგინე და მისამართიც მიეცი, სადაც ფულს მიატანინებ, — „გამოაქვეყნა განაჩენი" ასაკოვანმა და პატიმრები იაპონური ჯოკერის სათამაშოდ მიიწვია.

— რა ქრთამი, რის ქრთამი, აბაშიძის დროს მაგას ვინ გაბედავდა, ბავშვების საჭმელი ფულიც არ მქონდა, — გაიბრძოლა მელოტმა.

— მთლად დაქცეულა ეს კაცი. ფული ხომ არ შეგიგროვოთ, მეგობარო?! — თქვა ნამინისტრალმა და ხანშიშესულს წინადადება „მიაწოდა", — წუწურაქი კაცი ყოფილა, ამან არა მარტო ფული უნდა გადაიხადოს, არამედ ყოველდღიური „პერედაჩიც" უნდა მოიტანოს.

მელოტი წაბარბაცდა და კარის ჩარჩოს ხელებით ჩაეჭიდა.

— მგონი, მე სხვაგან მოვხვდი, წავალ, გავარკვევ, — ძლივს ამოღერღა.

— გასარკვევი არაფერია, იქ მოხვდი, სადაც უნდა იყო, — უპასუხა ვიღაცამ.

— მითხრეს, იმ საკანში აჭარელიცააო, ასეთს კი აქანა ვერ ვხედავ...

აჭარელი გენერალი მართლაც იყო ჩვენს საკანში, რომელსაც ამ დროს უდრტვინველად ეძინა საკნის სიღრმეში.

— გენერალო, ადექი, „ზემლიაკი" მოგივიდა, — შეაღვიძა ვიღაცამ.

წვერმოშვებული, წელს ზევით შიშველი გენერალი, თვალების ფშვნეტით ლოგინზე წამოჯდა და შემოსულს მიაჩერდა.

— ჯო... შენ ის არა ხარ? იქანა რომ მუშაობდი?

მელოტი გამოცოცხლდა:

— კი, ისა ვარ, დეიწვა ჩემი გაჩენის დღე...

— მერე ფეხზე რეიზა ხარ? დაჯექი სუფრასთან, წეიხემსე, მოშიებული იქნები! — მიიპატიჟა გენერალმა.

— ჭამა კი არა, თავი აღარ მინდა ცოცხალი, ესენი ფულს მაწერენ, — დაგვასმინა მელოტმა.

— ო... ესენი სამართლიანი ხალხია, გაარკვევენ საქმეს, თუ მოსატანი გექნება, ქე მოიტან... ასეთია აქაური წესი, — მხარი აგვიბა გენერალმა.

— შენც მაგას ამბობ, ჯო?! იქინა იმგენმა გამატყავეს, ახლა თქვენც მძარცვავთ?!

წარმოდგენის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა და საკანი ერთხმად ახარხარდა.

რამდენიმე დღე ვხალისობდით მელოტზე, რომელმაც თავადაც მოგვხიბლა შესანიშნავი იუმორით.

— იურისტი ვარ, ციხის ცხოვრებას ვიცნობ. ადმინისტრაციაში მითხრეს, რომ კარგ ხალხთან გიშვებთო, აკადემიკოსებთან და ყოფილ მინისტრებთანო, იმიტომ შემოვდგი კარში ფეხი... მარა რომ შეგხედეთ, არც ერთი არ ჰგავდით არც მინისტრს და არც აკადემიკოსს, ყველა სტაჟიან „ზაკონნიკებს" მიგამსგავსეთ, მართალი უნდა ვთქვა, ნამეტანი შემეშინდა, კინაღამ წავხდი ყაზახი...

ნათქვამი იმისი დასტური იყო, რომ ხუმრობა კარგად გამოგვივიდა... ეჰ, რა მსახიობები ეკარგება ქვეყანასო, თქვა ვიღაცამ.

მოგვიანებით, მელოტმა ოპერატიული კასეტა გვაჩვენა, რომელზეც მისთვის ქრთამის მიცემის პროცესი იყო დაფიქსირებული, ქრთამს კი ახალგაზრდა, ტანწერწეტა, ლამაზი ქალი აძლევდა.

— ასე როგორ შეცდი კაცი, ვერ მიხვდი, რომ მოგზავნილი იყო? — ვკითხეთ ჩვენ.

— რაფერ უნდა მივმხვდარიყავი. ოთხი დღე სასტუმროში ჩემთან ხვანხვალებდა, კოცნით მახრჩობდა, მიყვარხარო, მეუბნებოდა.

— მერე იმ ნომერში სარკე არ გქონდათ? — კითხა ვიღაცამ.

— სარკე რა შუაშია?

— იმ შუაშია, რომ უნდა ჩაგეხედა და შენი თავი კარგად შეგეთვალიერებინა. იმნაირი ქალი შენთან სიყვარულისთვის რომ არ იხვანხვალებდა, მიხვდებოდი.

— ხო, მაგიც მართალია... მარა, ეტყობა, იმ დროს გავაბდლდი.

სასამართლოზე მელოტს იმ ქალისთვის უთქვამს: რეიზა დამღუპეო... იმას კი ხელები გაუშლია და ახლაც მიყვარხარო, — უპასუხია.

— დამცინა, სასამართლოშიც დამცინა მაგ შობელძაღლმა, — ამოიხვნეშა მელოტმა.

— ისე, მაგნაირ ქალთან ოთხი ღამე კოტრიალი კი ღირდა ციხედ, — არ დაინდო მელოტი აჭარელმა გენერალმა.

**გაგრძელება იქნება**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პირველი და ყველაზე თვალსაჩინო სასჯელი ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება და მისი ცინიკური სიტყვიერი თუ საქმიანი ურთიერთობაა ხალხთან. მეორე სასჯელი ის არის, რომ ჩვენს მიწა-წყალს, რომელსაც ჩვენი წინაპრები სისხლითა და ოფლით იცავდნენ სამი ათასი წლის განმავლობაში, უცხოელები ეპატრონებიან და იმ დამცველთა შთამომავლებს თავიანთ მიწაზე გავლას უშლიან. მესამე და ყველაზე საშინელი სასჯელი კი ქართული ენის ფეხქვეშ გათელვა, დაცინვა და აბუჩად აგდებაა.**

# ვიდრე უმადურობას არ მოვინანიებთ, არაფერი გვეშველება!



**„საქართველო და მსოფლიოს“**
**მთავარ რედაქტორს, ბატონ ირაკლი თოდუას**

ბატონო ირაკლი,

გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ ერთ-ერთ (თუ არა ერთდერთ!) საიმედო და სანდო გამოცემად მიმაჩნია, ამიტომ ვარ მისი ერთგული მკითხველი. კარგახნის ფიქრის შემდეგ დავრწმუნდი, რომ თქვენი გაზეთისა და ჩემი იდეოლოგია ერთმანეთისგან არ განსხვავდება, ამიტომ გიგზავნით ამ სტატიას.

**არაფერი ისე არ ამშვენებს ადამიანს, როგორც მადლიერება, სხვათა ამაგის დაფასების უნარი... და არაფერი იწვევს ისეთ ზიზღს, როგორც უმადურობა. ანდაზაც კი შექმნეს ჩვენმა შორეულმა წინაპრებმა უმადურ კაცზე და ანდერძად დაგვიტოვეს საუკუნო სიძულვილი უმადურობისადმი: „ობოლო, ვის მოკლავო და — ვინც გამზარდა იმასო“ (რათა, შე ულმერთო, რათა!).**

**უმადურობა დიდ ცოდვადაც ითვლება ნებისმიერი აღმსარებლობის ხალხში. აბა, გაიხსენეთ, უფლისგან როგორ ისჯება უმადურობა ქართულ, სპარსულ, არაბულ თუ სხვა ქვეყნების ხალხთა ზღაპრებში. ამირანის მითის გახსენებაც კმარა საამისოდ. მითის მიხედვით, ქრისტე ღმერთი ამირანის ნათლია იყო და მან თავის ნათლულს საოცარი ძალა და ენერგია დაანათლა. ამირანმა ყველა დაამარცხა, დედამიწაზე მეტოქე აღარავინ ჰყავდა და ბოლოს ნათლია ღმერთს აუხირდა — გინდა თუ არა, უნდა მეჭიდავოო, ბოლოს და ბოლოს უნდა დადგინდეს, ვინ არის ჩვენ შორის უძლიერესიო. მაშინ უფალმა ამირანი კავკასიის ქედის ერთ სალ კლდეს მიაბა და საუკუნო სატანჯველში ჩააგდო.**

ხალხის ცნობიერებაში ასე დაისაჯა უმადურობა და მასზე დამყნობილი სიბრიყვე.

ერთმა უმადურმა და ბრიყვმა კაცმაც კი შეიძლება უსიამოვნება მოუტანოს საზოგადოებას და, თუ ბევრი გაბრიყვდა, მტრისას.

ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, ამნაირმა უმადურობამ და სიბრიყვემ დაგვრია ხელი ქართველობას და ვისჯებით განგებისგან, კარგა ხანია.

გუშინდელი დღეა და ბევრს უნდა ახსოვდეს: ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოთხოვნა აგორდა 80-იანი წლების საქართველოში და ხალხის მასები ისე აიყოლია და გაიტაცა, მოვარდნილი ნიაღვარი რომ გაიტაცებს ხოლმე ფოთლებსა თუ ჩალაბულას. ხალხის გაბრიყვებას ბევრი კი არაფერი უნდა: დაჰპირდი მუქთა სმა-ჭამას და იმწამსვე გადაეკეტება აზროვნების უნარი. აბა, სხვა რა იყო 80-იან წლებში ჩვენი ხალხის უკიდურესი აღტყინების მიზეზი?

**დამოუკიდებელი სახელმწიფო თუ გვექნება, ჩვენს ულეველ სიმდიდრეს ჩვენვე მოვიხმართ და ვიცხოვრებთ ბედნიერადო,** — ასე ეგონა ხალხის ნაწილს.

**ჩვენ მხოლოდ ბორჯომის წყალი გვაცხოვრებს, სხვა რომ არა იყოს რაო,** — მიმტკიცებდა ერთი ჩემი მეგობარი მწერალი კაცი და მას მხარს აქტიურად უბამდა მასზე უფრო ხნიერი და გამოცდილი, აგრეთვე, მწერალი.

**ბორჯომი ბორჯომად, მაგრამ ჩვენი ჩაი? მსოფლიოში საუკეთესო ჩვენი მარგანეცი? ჩვენნაირი ღვინო ხომ მსოფლიოში არ არის?! ახლა ციტრუსები, ახლა ელმავლები** (რომელთაც თურმე სულ მუქთად ვაძლევთ რუსებსა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს), **ქართული თუჯი და ფოლადი... რას ამბობთ, კაცო, სულ შეიხებივით ვიცხოვრებთ!** — ქადაგებდნენ სხვები.

**რუსეთს მიაქვს ჩვენი ეროვნული შემოსავლის უდიდესი ნაწილი,** — ეს იყო მთავარი მოტივი, რომელსაც ბრმად მიჰყვა მოსახლეობის უმრავლესობა.

**ქართველი, ბუნებით, ისეც სულსწრაფია** (აბა, დღევანდელი კვერცხი რომ ურჩევნია ხვალინდელ ქათამს, მე კი არ დამიბრალებია მისთვის!), **და ამისთანა „კეთილგონიერების პერსპექტივას“ რომ დაანახებ, არიქა, ჩქარა მოვიპოვოთ დამოუკიდებლობაო, იხუვლეს და „დამპყრობელი“ და „კოლონიზატორი“ რუსეთის ძირფესვიანად ამოთხრა მოინდომეს ქართველთა შეგნებიდან. ბევრს გადაუტრიალეს კიდეც ტვინი.**

ამას წინათ ერთ-ერთ პოპულარულ სატელევიზიო გადაცემაში ვინმე თინეიჯერმა კი არა, მწერალმა, მეცნიერების დოქტორმა და პროფესორმა გაწიწმატებულმა განაცხადა: თუ რამე ტერიტორია გვაქვს დაკარგული, ყველაფერი რუსეთის მიერაა წართმეული. აბა, ტაო-კლარჯეთი და სხვა ტერიტორიები, თურქეთის შემადგენლობაში რომ არის, ნებაყოფლობითაა გადაცემული? — მორიდებით ჰკითხა ერთმა სერიოზულმა ისტორიკოსმა. ის ტერიტორიები ბიზანტიას ეკუთვნოდა და თურქეთმა მემკვიდრეობით მიიღოო, — ისე გაწიწმატებულმა შეუტია იმ მწერალმა, თითქოს თვითონ იყო ისტორიკოსი, ის მორიდებული კაცი კი — მწერალი.

**მე იმის მომხრე და მოწადინე ვარ, ყველა მეზობელთან ვიმეგობროთ, წარსულის ცოდვები ერთმანეთს არ გავახსენოთ, მაგრამ ასეთი უმადურობა ღვთის საწყენი საქმეა და დავისჯებით უთუოდ. დღევანდელ თურქეთს ღმერთმა სიკეთე მისცეს, მაგრამ, რაც თურქეთმა საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს უბედურება დააწია, წერა-კითხვის მცოდნე კაცმა ანაგებად მაინც არ უნდა იცოდეს?**

არადა, ვინ არ იცის, ნეტავი, რომ **1801 წელს, როდესაც საქართველო რუსეთს შეუერთდა** („შეუერთდა“ და „არა დაიპყრო!“), **თურქეთის საზღვარი იქით ნატანებთან, აქეთ ბორჯომთან და წალკასთან იყო. ახალციხე და მისი მიმდებარე ტერიტორია 1821 წელს წაართვა თურქეთს რუსეთმა** (ქართველების მონაწილეობით!), **აჭარა კი 1878 წელს დაუბრუნეს საქართველოს.**

**იმის შეხსენებისგან თავს არავის შევაწყენ, თუ რამდენ ნაწილად იყო დაყოფილი საქართველო რუსეთთან შეერთებამდე და მათი გაერთიანების არანაირი პერსპექტივა აღარ არსებობდა. თვით აღმოსავლეთ საქართველოც არ იყო ერთიანი.** იმ „მწერალს“ მაინც უნდა სცოდნოდა, რომ ქართლელები ერეკლე მეორეს თავიანთი ლეგიტიმური ტახტის მემკვიდრედ არ მიიჩნევდნენ, თუმცა მისი დიდი პიროვნული ავტორიტეტისა და პოპულარობის გამო აღიარებდნენ მეფედ, მაგრამ, როდესაც მისი შვილი გიორგი XII გამეფებიდან ორი წლისთავზე აღესრულა, ქართლელებმა დავით XII ტახტზე არ დასვეს — კახეთში იმეფოს მაგანო. თვითონ ერეკლეს შვილებიც კახთა ბატონებად თვლიდნენ თავს. ამიტომ იყო, რომ კრწანისის ბრძოლაში შვილები არ ამოუდგნენ ერეკლეს მხარში (უფროსი შვილი და ტახტის მემკვიდრე სიღნაღში ქეიფობდა იმ დროს!).

ჰოდა, იმას ვამბობდი, ერეკლეს შთამომავალი დავითი ქართლელებმა ტახტზე არ დასვეს — ბაგრატიონ მუხრანელი უნდა იყოსო მეფე. ატყდა ჩხუბი, დახოცეს კინაღამ ერთმანეთი ქართლელმა და კახელმა თავადებმა. მერე ის იყო, **რუსეთის საექსპედიციო ჯარის უფროსმა, გენერალმა, თუ არ ვცდები, ლაზარევმა, ურჩია ქართველებს: რად ხოცავთ ერთმანეთს, სთხოვეთ ერთმორწმუნე რუსეთის მეფეს და იქნებ დაითანხმოთ საქართველოს მეფობაზეცო. ეს რა კარგი რამე გვირჩიეო, — გაუხარდათ ქართველებს და მყისვე აფრინეს თხოვნის წერილი პეტერბურგში. თხოვნას ერთსულოვნად აწერდნენ ხელს როგორც ქართლელები, ისე კახელები.**

ისიც ცნობილია, რომ რუსეთის მეფე მაშინვე როდი დაეთანხმა ამ თხოვნას (ყასიდად, ალბათ!): ჩვენ ისედაც ამხელა იმპერია გვყავს საპატრონო და სად შეგვიძლია კიდევ სხვა სახელმწიფოც შევიერთოთო, მაგრამ ქართველები არ მოეშვნენ — გვიშველეთ, შენი ჭირიმეო. „დაიყოლოეს“ ბოლოს: ჯანდაბას თქვენი თავიო, — უთქვამს რუსის ხელმწიფეს და შეერთების აქტზე ხელი მოუწერია.

აი, ასე „დაგვიპყრო“ რუსეთმა.

ახლა ის ვნახოთ, როგორი საქართველო ჩამოყალიბდა რუსეთის იმპერიის (შემდეგ კი საბჭოთა კავშირის) შემადგენლობაში.

XIX საუკუნეში დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურობა აუმბოხდა რუსეთის ხელისუფლებას იმ მოთხოვნით, რომ პრივილეგიების მიხედვით ჩვენც რუს თავადაზნაურობას გაგვატოლეთო. კარგიო, — უთხრეს, — შეადგინეთ პეტიცია და თავად-აზნაურებმა მოაწერონ მას ხელიო. შეადგინეს პეტიცია და ქართველ თავადაზნაურთა ათმა პროცენტმა (!) მოახერხა ხელმოწერა, ოთხმოცდაათმა (!) პროცენტმა ჯვრის დასმა შეძლო მხოლოდ.

**რუსეთთან შეერთებამდე საქართველოში არც ერთი საერო სკოლა არ არსებობდა. 1802 წელს გაიხსნა პირველი „სახალხო სასწავლებელი“ თბილისში, 1804 წელს — „თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი“, 1817-1820 წლებში სასულიერო სემინარიები გაიხსნა თბილისში, გორში, სიღნაღში, ქუთაისში, მარტვილში. 1830 წელს დაარსდა სამაზრო სასწავლებლები თბილისში, ქუთაისში, გორში, სიღნაღში, მარტვილში, დუშეთში, ახალციხეში. უკვე 1830 წელს საქართველოში იყო 90 სკოლა. შემდგომში სკოლების ქსელი ინტენსიურად ფართოვდებოდა. ამავე დროს იზრდებოდა კერძო სასწავლებელთა ქსელი. 1835 წელს მათი რაოდენობა 72-მდე გაიზარდა. იქმნებოდა პროფესიული სკოლები და გიმნაზიები. უკვე XIX საუკუნის ბოლოს საქართველოში 21 გიმნაზიის ტიპის საშუალო სკოლა ფუნქციონირებდა. დაწყებითი სკოლების ქსელზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს.**

**სახელმწიფო სკოლების პარალელურად „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ ათობით სკოლა გახსნა ოფიციალური ხელისუფლების ხელშეწყობით. უკვე XIX საუკუნის შუახანებში ოფიციალურ სახელისუფლო გაზეთებთან ერთად არსებობდა საზოგადოებრივი ჟურნალ-გაზეთები: ლიტერატურული, საზოგადოებრივ-პუბლიცისტური, საყმაწვილო გამოცემები. თბილისსა და ქვეყნის მნიშვნელოვან ცენტრებში გაიხსნა თეატრები და ა. შ.**

**სკოლისა და სწრაფად განვითარებადი ლიტერატურის მეოხებით ინტენსიურად ყალიბდებოდა ქართული ეროვნული ცნობიერება და თვითმყოფადობის შეგნება. ეროვნულ-საზოგადოებრივ ასპარეზზე წარმატებით მოღვაწეობდნენ რუსეთში განათლებამიღებული დიდი ქართველი მოღვაწენი, რომლებიც საფუძველს უყრიდნენ ერთიანი საქართველოს ახალ კულტურასა და განათლებას.** ▶

## საპროცესო შეთანხმებებთან დაკავშირებით პარლამენტში ახალი კანონპროექტი შევა

**საპროცესო შეთანხმებებთან დაკავშირებით, იუსტიციის სამინისტრო სექტემბერში პარლამენტში ახალი კანონპროექტით აპირებს შესვლას. ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა.** მისი თქმით, საპროცესო შეთანხმებების ინსტიტუტი, ისეთი, რომელიც დღეს არსებობს, კანონით არის უზრუნველყოფილი.

„ამიტომ ჩვენ ვმუშაობთ კანონის ცვლილებაზე იმისთვის, რომ პროკურორებმა შეძლონ ეს ინსტიტუტი ყველა საქმეზე და ყველა კატეგორიის დანაშაულზე კი არ გამოიყენონ, არამედ იქ, სადაც ეს იქნება საჭირო. კერძოდ, ეს ინსტიტუტი საჭიროა მაშინ, როდესაც მიზნად ვისახავთ, სასამართლო არ გადაიტვირთოს ნაკლებად მძიმე დანაშაულების საქმეებით და, თუკი ბრალდებული თანახმაა, რომ პროკურორთან წავიდეს მოლაპარაკებაზე მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე“, — განაცხადა წულუკიანმა.

მისივე თქმით, იუსტიციის სამინისტროს და პროკურატურის დელეგაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა, სადაც დაესწრო, თუ როგორ ხდება პროკურორსა და ბრალდებულს შორის მოლაპარაკებები.

**„ჩვენ სექტემბრიდან ვაპირებთ, რომ ახალი კანონპროექტით შევიდეთ პარლამენტში. ეს თავისთავად გამოიწვევს გაკეთილშობილებას იმ საპროკურორო პრაქტიკის, რომელიც დღეს არსებობს“,** — განაცხადა წულუკიანმა.

სკოლისა და სწრაფად განვითარებადი ლიტერატურის მეოხებით ინტენსიურად ყალიბდებოდა ქართული ეროვნული ცნობიერება და თვითმყოფადობის შეგნება. ეროვნულ-საზოგადოებრივ ასპარეზზე წარმატებით მოღვაწეობდნენ რუსეთში განათლებამიღებული დიდი ქართველი მოღვაწენი, რომლებიც საფუძველს უყრიდნენ ერთიანი საქართველოს ახალ კულტურასა და განათლებას.

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **საქართველომ დაისვენა ომებისგან და ფიზიკურად გადარჩა!**

საბჭოთა პერიოდში როგორ განვითარდა საქართველოს კულტურა და ეკონომიკა, მეცნიერება და სპორტი, ამაზე ლაპარაკიც კი უხერხულია წიგნიერ საზოგადოებაში, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: **ქართული საენათმეცნიერო, საისტორიო, მათემატიკური, ფსიქოლოგიური, ფიზიოლოგიური, ფილოსოფიური სკოლები, ქართული თეატრი, ქართული კინო, ქართული ფეხბურთი, მთელმა ცივილიზებულმა სამყარომ აღიარა და ანგარიშგასაწევ ფენომენად მიიჩნია.**

ახლა პატიოსანმა კაცმა გულზე ხელი დაიდოს და ღვთის წინაშე დაიფიცოს, რომ ეს ყველაფერი რუსეთის დახმარების გარეშე შესაძლებელი იქნებოდა.

რა თქმა უნდა, ოქტომბრის რევოლუციას ბევრი უბედურება მოჰყვა თან, როგორც, საერთოდ, მოსდევს ხოლმე რევოლუციებს, მაგრამ ეს უბედურებანი პირველ ყოვლისა, ყველაზე სასტიკად რუსეთს დაატყდა თავს (სადაც სამართალია, ისიც უნდა ითქვას, რომ ოქტომბრის რევოლუციის ლიდერთა შორის თითებზე ჩამოსათვლელი იყო რუსი!): არისტოკრატია, რომელიც ელიტური რუსული ინტელიგენციის უდიდეს ნაწილს წარმოადგენდა, გაჟლიტეს ან ემიგრაციაში გააქციეს. ბრწყინვალე რუსული ინტელიგენცია ჩაანაცვლეს წერა-კითხვის უცოდინარმა რუსმა პროლეტარებმა და წერა-კითხვის კარგად მცოდნე უცხოტომელმა ავანტიურისტებმა, რომლებიც მსოფლიო რევოლუციის ბოდვითი იდეებით ტვინს უბნელებდნენ „მშიერმუცელა მონებს".

**რომ არა სტალინის ფენომენი, სიონისტურ-მასონური ბანდა, ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ რუსეთის უზარმაზარი იმპერია რომ ჩაიგდო ხელში, მთელ მსოფლიოს თუ არა, ჩვენ კი უსათუოდ გადაგვიყოლებდა ისტორიის უფსკრულში.**

აქაც რუსეთმა და მისმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ მიიღო ძირითადი დარტყმა და თავისი სისხლითა და ხორცით ამოყორა ურჩხული. იმ რევოლუციურ ჯოჯოხეთში რუსი ხალხი ენდო და ბოლომდე გაჰყვა სტალინს, ენდო და გლობალისტ-მასონურ წარღვნას გადაურჩა თვითონ და გადაარჩინა რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხები, მათ შორის ჩვენც.

მერე იყო და მიხაკისფერი ურჩხული დაემუქრა კაცობრიობას გერმანული ფაშიზმის სახით. მან ლავასავით გადაუარა მთელ ევროპას და კავკასიონის მისადგომებთან მოიტეხა კისერი. კი, ქართველებსაც დიდი წვლილი მიუძღოდათ ამ საქმეში (ბოლოს და ბოლოს უმაღლესი მთავარსარდალი ხომ ქართველი იყო!), მაგრამ რუსი ხალხის გარეშე, ჩვენ ვიყავით ჰიტლერის ურდოების შემჩერებელი? ახლა უმადურები რომ გაიძახიან (ღმერთმა შეუნდოთ!), 700 ათასი ქართველი სხვის ომში იბრძოდაო, ერთი მინდა ვკითხო მათ: ჰიტლერი საქართველოში ფოჩიანი კანფეტების დასარიგებლად მოდიოდა?

**უმადურობამ საყოველთაო ქართული ცნობიერება მოიცვა ე. წ. ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში (80-90-იანი წლები), ხოლო აპოგეას ჩვენს დღეებში მიაღწია. ახლა ეს გასაკვირი არ არის, მაგრამ ვისაც ზნეობრივი სიფხიზლე არ დაუკარგავს, ისტორიული მეხსიერების წინააღმდეგ ამ უზნეო ბრძოლას წინ უნდა აღუდგეს. ასე თუ არ ვქენით, მოზარდი თაობები მახინჯი ეროვნული ცნობიერებით აღიზრდებიან და ისე აღმოვჩნდებით ნიანგის ხახაში, აზრზე მოსვლასაც ვერ მოვასწრებთ.**

დიდი დაკვირვება არ სჭირდება იმას, რომ დავინახოთ, როგორ ვისჯებით ჩვენი უმადურობის გამო. **პირველი და ყველაზე თვალსაჩინო სასჯელი ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება და მისი ცინიკური სიტყვიერი თუ საქმიანი ურთიერთობაა ხალხთან. მეორე სასჯელი ის არის, რომ ჩვენს მიწა-წყალს, რომელსაც ჩვენი წინაპრები სისხლითა და ოფლით იცავდნენ სამი ათასი წლის განმავლობაში, უცხოელები ეპატრონებიან და იმ დამცველთა შთამომავლებს თავიანთ მიწაზე გავლას უშლიან. მესამე და ყველაზე საშინელი სასჯელი კი ქართული ენის ფეხქვეშ გათელვა, დაცინვა და აბუჩად აგდებაა.**

ყველას გახსოვთ, როგორი აღშფოთებულები იყვნენ ჩვენიანები 80-90-იან წლებში: რატომ არის აბრებზე წარწერები რუსულად და ქართულად, მარტო ქართულად უნდა ეწეროსო. როგორც კი „გავთავისუფლდით", მაშინვე ვეტაკეთ და მეტროს ვაგონების კარებზე „Не прислоняться" ავაფხიკეთ.

ახლა სასტუმრო „ივერიას" ინგლისურად „Redisson" რომ დაარქვეს და არსად ქართული წარწერა არ ჭაჭანებს, ვითომც არაფერი! ასეთი ეროვნული გამოთაყვანება ღვთის სასჯელია, აბა, რა არის!

**ვიდრე ჩვენს უმადურობას არ მოვინანიებთ, ვიდრე ისტორიულად სიმართლეს გულწრფელად არ ვაღიარებთ, ღმერთი არ შეგვიწყალებს ქართველობას. უმადური კაცი და ერი არც ღმერთს სჭირდება და არც კაცობრიობას.**

**ზურაბ ცუცქირიძე,**
**პედაგოგიკის დოქტორი,**
**განათლების აკადემიის**
**აკადემიკოსი**

# ხომ არ გრძელდება კადრების შერჩევის მანკიერი პოლიტიკა?



**თქვენი გაზეთის რუბრიკის „პრემიერ-მინისტრის საყურადღებოდ" მუდმივი მკითხველი ვარ. ბევრ საყურადღებო წინადადებას და შეთავაზებას გავეცანი. ამ წერილს იმიტომ გიგზავნით, რომ ეგებ გახდეს თქვენი და ბატონ ბიძინა ივანიშვილის ყურადღების საგანი.**

პროფესიით ისტორიკოსი ვარ და, ბუნებრივია, რომ სწორედ ისტორიკოსის თვალით ვაფასებ იმ მოვლენებს, რისი მოწმენიც ვართ თუნდაც დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე წლებიდან.

**ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც ჩვენს ქვეყანას იმთავითვე დაჰყვა, კადრების შერჩევის პრობლემაა,** ვერც ზვიად გამსახურდიას დროს, ვერც ედუარდ შევარდნაძის, მით უფრო, მიხეილ სააკაშვილის ზეობის პერიოდში ვერა და ვერ შეირჩა ღირსეული გუნდი, სათანადო გამოცდილების მქონე მაღალპროფესიონალთა ნაკრები, რომელიც ქვეყანას ჩაუდგებოდა სათავეში და ჩვენს ხალხს ცხოვრების ისეთ პირობებს შეუქმნიდა, როგორიც დამსახურებულად ეკუთვნის.

არ მინდა წყალი ბოლომდე გადავწურო და ვიტყვი, რომ გამონაკლისი ყოველთვის იყო. დღევანდელ ხელისუფლებაშიც არის. მთავრობის შემადგენლობაზე არ ვლაპარაკობ, უპირველეს ყოვლისა, ბატონ ბიძინა ივანიშვილის გარემოცვა მყავს მხედველობაში, რომელშიც იშვიათობაა ისეთი ადამიანები, რომელთაც შეიძლება ჭკუა დაეკითხო და მათგან გასათვალისწინებელი რჩევაც მიიღო.

გაკვირვებას იწვევს თუნდაც ის გარემოება, რომ ჩვენი ქვეყნის ღირსეული შვილები ხშირად გარიყულები რჩებიან.

**თავს უფლებას მივცემ და მათგან რამდენიმეს დავასახელებ, თუმცა დარწმუნებული ვარ, ჩვენი ხალხი, ბიძინა ივანიშვილი მათ უჩემოდაც კარგად იცნობს. მე ვინ მეკითხება? რა ვიცი, დემოკრატია ხალხის მმართველობააო და მეც ხომ ამ ქვეყნის მოქალაქე ვარ.**

**პირობითად „შესანიშნავი სამეული" დავარქვათ.**

**არც ვინმეს საწყენად და არც ამბიციური განწყობით ვწერ... მკითხველმა განსაჯოს, მართალს ვამბობ თუ არა.**

**ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი** არამხოლოდ ჭადრაკის დედოფალია, არამედ საქართველოს სინდისნამუსი; ჭადრაკში დაუმარცხებელმა, საზოგადოებრივ და პოლიტიკური ცხოვრებაშიც შემართებით იღვაწა — დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი პრეზიდენტიც იყო, დღემდე შერჩა ბრძოლის ჟინი, ისეთი, სამშობლოს კეთილდღეობას რომ გამოადგება. უკან დახევა არ სჩვევია: ულალატო, უკომპრომისო, თავგანწირულია. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ასეთი მაგალითები არაერთია, მაგრამ დღეისთვის ქალბატონ ნონას — დედა ბატონს (ძველ საქართველოში ასე ეძახდნენ ღირსეულთ) სამართლიანობისა და ეროვნული ინტერესების დაცვაში ვერავინ შეედრება.

**ბატონი ირაკლი ბათიაშვილი,** „უშიში ვითარცა უხორცო", ეროვნული მოძრაობის ისტორიაში ერთ-ერთი პირველთაგანი, თავგანწირული ჭაბუკობიდან დღემდე... ყველა ეროვნული საქმის აქტიური მონაწილე, იქნებოდა ეს დისიდენტური მოძრაობა, დედაენის დაცვა, 9 აპრილის აქცია და ა. შ. აფხაზეთსა და სამაჩაბლოში იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისა და მთლიანობისთვის. მის გულსა და სულში გაიარა ქვეყნის ტრაგედიამ. არაერთგზის გადარჩენილა და სიკვდილისთვის თვალებში ჩაუხედავს. როგორ დაუფასეს? სააკაშვილის რეჟიმმა აბსურდული ბრალდებით ციხეში გამოამწყვდია... დღეს მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობას საზოგადოებრივ საქმიანობასთან ათავსებს.

**ჩვენს „სამეულს" აგვირგვინებს ქალბატონი ნინო ბურჯანაძე,** განათლებული, განსწავლული ინტელექტუალი, შეუდარებელი ქართული პოლიტიკის წარმატებულ მანდილოსანთა შორის (ვგონებ, საერთოდაც), **წარმოუდგენელი ბრძოლისა და შრომის უნარის მქონე, კომუნიკაბელური, მებრძოლი სულის ადამიანი, დამცველი თავისი ქვეყნისა და ოჯახის.**

ამ წერილის ავტორი არც ადრე და არც ახლა არც ერთი პარტიის წევრი არ ყოფილა და შემდეგშიც არ აპირებს რომელიმე მოძრაობის რიგებში შესვლას, ასე რომ, არავითარი მერკანტილიზმი არ მამოძრავებს.

ჩვენი დღევანდელი სამშობლოს მხსნელსა და გადამრჩენს, **ბატონ ბიძინა ივანიშვილს მოწიწებით შევახსენებ, რომ არსებობს ასეთი შესანიშნავი სამეული და ეს სამი მოღვაწე გამონაკლისი არ არის.**

ამით ვართ მდიდარი.

**ოთარ მიმინოშვილი,**
**ისტორიულ მეცნიერებათა**
**დოქტორი, პროფესორი**

## თომას ილვესი:
# საქართველოს ახალ მთავრობას სულელები ვგონივართ, მაგრამ სულელები არ ვართ

**ესტონეთის პრეზიდენტი თომას ილვესი საქართველოში ყოფილ მაღალჩინოსანთა დაკავებებს ეხმაურება და აცხადებს, რომ „საქართველოს ახალ მთავრობას სულელები ვგონივართ, მაგრამ სულელები არ ვართ".**

ამის შესახებ ილვესმა „კომერსანტთან" ინტერვიუში, აღმოსავლეთ პარტნიორობის ვილნიუსის სამიტის მოლოდინებზე საუბრისას განაცხადა.

მან ისაუბრა იმაზე, არის თუ არა ყოფილი პრემიერის — იულია ტიმოშენკოს საქმე შემაფერხებელი ფაქტორი უკრაინისთვის ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების საქმეში.

**„ტიმოშენკოს საქმე უკრაინაში არსებული სისტემის სიმბოლო გახდა. ეს უკრაინისთვის დიდი პოლიტიკური პრობლემაა. ევროკავშირში ბევრი ფიქრობს, რომ ტიმოშენკოს ბედი, ესაა ლაკმუსის ქაღალდი უკრაინის დემოკრატიულ სტანდარტებთან შესატყვისობისა. ასეთი პრობლემა არ დგას მხოლოდ უკრაინაში. მე ვიცი, რომ ბევრი ევროპული ქვეყანა თვალყურს ადევნებს იმას, რა ხდება დღეს საქართველოში და აქვს თუ არა ახალი ხელისუფლების მხრიდან ადგილი ოპონენტებზე შურისძიებას. ისინი ამბობენ, რომ საქმე წმინდა სამართლებრივ პროცესთან გვაქვს, მაგრამ ეს ყველაფერი ცოტა ცუდად გამოიყურება. თავის დროზე ხოდორკოვსკის საქმემ საბოლოოდ გაწყვიტა იმედი რუსეთში სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნასთან დაკავშირებით. აქამდე მიიყვანა ტიმოშენკოს საქმემ უკრაინა. ახლა საქართველოს ახალი ხელისუფლება აპატიმრებს ოპოზიციონერ საპრეზიდენტო კანდიდატს, ხოლო**



**ჩვენ გვეუბნებიან, რომ ის არანაირი კანდიდატი არ არის, რადგან დარეგისტრირება ვერ მოასწრო. როგორც ჩანს, ისინი სულელებად გვთვლიან, მაგრამ ჩვენ არ ვართ სულელები",** — განაცხადა ილვესმა

# დავით უსუფაშვილი: ქართული ენის გავრცელებასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემებია

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადებით, „ქვეყნის შიგნით ქართული ენის გავრცელებასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემებია". ამის შესახებ უსუფაშვილომა საქართველოს პარლამენტში გამართულ კონფერენციაზე — „ქართული ენა — 21-ე საუკუნის გამოწვევები" მიმდინარეობისას განაცხადა.**

პარლამენტის თავმჯდომარემ ქვეყნის გარეთ მცხოვრები ქართველების ქართულ ენასთან დაკავშირებულ პრობლემებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებზე მზრუნველობა და სათანადო ყურადღების დათმობა სახელმწიფო პრიორიტეტი უნდა იყოს.

„ყველას გვაწუხებს საკითხი, რომელიც ქართულ ენას და უცხოეთში მყოფ ქართველებს შეეხება. ეს არის ძალიან სერიოზული თემა, რომელსაც სახელმწიფოებრივი ყურადღება სჭირდება, იმიტომ, რომ რთულია, ვიფიქროთ იმაზე, რომ ის ხალხი, ვინც უცხოეთშია, როგორ შეძლებს სრულფასოვნად განავითაროს თავისი ეროვნული იდენტობა თავის სამშობლოსთან, თუ ქართული ენა მშობლიური ენა არ იქნება მათთვის. სერიოზული პრობლემები გვაქვს ქვეყნის შიგნით ქართული ენის გავრცელებასთან დაკავშირებითაც. პარლამენტისთვის ეს საკითხები მნიშვნელოვანი და სერიოზულია და ამიტომაც გვჭირდება სწორი გადაწყვეტილების მიღება. გვინდა, ყურადღებით მოგისმინოთ და შემდეგ ჩამოვყალიბდეთ კონკრეტულ ღონისძიებებზე", — აღნიშნა უსუფაშვილმა.

რეპორტაჟი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამ ალპურ ზოლში თოვლს მხოლოდ მაისის მეორე ნახევარში აიღებს, მანამდე სამუშაოთა წარმოება ყოვლად წარმოუდგენელია. მუშაობა კი არა, თავის დროზე, როცა ჯერ კიდევ ფეთქავდა მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზა, ყველა სახის მოძრაობა თვეობით იკეტებოდა. ეს გვირაბიც თოვლის ნამქერისგან ლიანდაგების დასაცავად კეთდება, და არა მარტო გზის ამ მონაკვეთზე.**

## არეული რეპორტაჟი მატარებლის მოლოდინში

# ავსული დედაბერი მიხეილ სააკაშვილი

**გასული კვირის სამშაბათს შპს „ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის“ ხელმძღვანელობას საინსპექციო შემოწმებაში ახალქალაქისკენ გავყევით — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე რუსლან რუსია და ამ სტრიქონების მოკრძალებული ავტორი. პირველი მასალა ამ მშენებლობის შესახებ „საქართველო და მსოფლიომ“ ჯერ კიდევ გაზეთის მე-20 ნომერში, 5 ივნისს გამოაქვეყნა („ბომბეიმდე გვირაბი — არა, მაგრამ მარმარილოს ზღვის ქვეშ გაჭრილი გვირაბით მობრძანდით ევროპაში“), მეორე, — 3 ივლისს, 24-ე ნომერში, სასწრაფოდ, ჩამოსვლისთანავე, ანონსით, რომ რეპორტაჟს ერთი კვირის თავზე შევთავაზებდით ჩვენს მკითხველს. დღეს ვასრულებ დანაპირებს და აქვე დავძენ, რომ ეს მივლინება საინსპექციო შემოწმებასთან ერთად მშენებლობაზე არსებული პრობლემების ოპერატიულ გადაწყვეტას ისახავდა მიზნად. ასე იყო განწყობილი მომავლის რკინიგზის მშენებელი ფირმის ახალგაზრდა დირექტორი ირაკლი წულაია. და ვენდოთ.**



### მარტივი არითმეტიკა

არ დაგიმალავთ, შეკითხვა მაშინ დამებადა, როცა გვირაბში, გოფრირებული ლითონის უზარმაზარ ცილინდრში, შევედით და ბაქო-თბილისი-ყარსის მშენებლობის ახალი ხელმძღვანელობის მარგი ქმედების კოეფიციენტის განსაზღვრა შესრულებული სამუშაოს მოცულობათა შედარებით მოვინდომე — უწინ და ამჟამად — თუნდაც ამ გვირაბის მაგალითზე.

— **რა სიგრძისაა ეს გვირაბი?** — ვკითხულობ.

— **დამთავრების პირზეა მისული, რაღაც ხუთიოდ მეტრი აკლია,** — მიპასუხებს **ტექნიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი თენგიზ თოდუა, — 1167 მეტრია. წლევანდლამდე 900 მეტრზე ცოტა მეტი იყო დამონტაჟებული.**

მარტივი არითმეტიკული მოქმედებით იოლია იმის დადგენა, რომ მატება 200 მეტრზე ცოტა მეტია. არ ჩანს, რომ ზესწრაფი ტემპით მიმდინარეობს სამუშაოები, როგორც უწინ იტყოდნენ, დამკვრელურ მშენებლობაზე.

კიდევ კარგი, ამ დილეტანტური დასკვნის დაჯერება ვერ მოვასწარი, რადგან ბატონმა თენგიზმა ამიხსნა, რომ **ამ ალპურ ზოლში თოვლს მხოლოდ მაისის მეორე ნახევარში აიღებს, მანამდე სამუშაოთა წარმოება ყოვლად წარმოუდგენელია. მუშაობა კი არა, თავის დროზე, როცა ჯერ კიდევ ფეთქავდა მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზა, ყველა სახის მოძრაობა თვეობით იკეტებოდა. ეს გვირაბიც თოვლის ნამქერისგან ლიანდაგების დასაცავად კეთდება, და არა მარტო გზის ამ მონაკვეთზე.**

უმკაცრესი ყინვები იცის „საქართველოს ამ ციმბირში“, როგორც, ჰე როდის, დამიხასიათა აქაურობა ერთმა დაკვირვებულმა კაცმა, ეროვნებით სომეხმა.

ყინვა და ნისლი — ისეთი სქელი, რომელსაც ვერც საძროხე ქვაბიდან ამოსულ ოხშივარს შეადარებ (გიორგი ლეონიძე), ვერც მთების ფიქრს (ვაჟა ფშაველა), უძრავი და გაუმჭვირვალე კონსისტენციაა. „რძისფერი ნისლიო“, — ამბობს დიდი ქალბატონი ანა კალანდაძე:

**ლურჯ მწვერვალებს**
**ქარი რძისფერ**
**ნისლში ხვევდა...**
**და როდესაც ბარში**
**ვარდნი ყვაოდნენ,**
**თოვლი იდო ჯავახეთის**
**მთათა ზედა,**
**და ტყეებში ქარიშხლები**
**ბღაოდნენ...**

ახლაც, ზაფხულის მეორე თვის მეორე დღეს, „თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა“, როგორც პლანეტარული კონტრაპუნქტის პოლიფონიურობის ნიშანი, და მზიანი დილის ცივმა ქარმა ჩვენი ჯგუფის წევრებს ქურთუკები ჩააცვა.

არც ისეთი ამინდი იდგა, „როცა დღის ნათელს ადუხჭირებს მზის სიცოტავე“ *(შექსპირი, აჯიაშვილისეული თარგმანი)*, არც ისეთი, როცა ჩრდილის ძებნას გაიძულებს მხურვალება სხივთა. აქ, უკიდურესი კონტრასტების ამ საუფლოში ყველაფერი ცვალებადია და ამოუხსნელი. და გაბატონებულია უკაცრიელობა — არც სოფელი, არც ჩქამი ადამიანის.

**მონიტორინგის ჯგუფის წევრები კატეგორიულად არ ეთანხმებიან და კონტრაქტორი ფირმის აზერბაიჯანელი წარმომადგენლისგან პრინციპულად მოითხოვენ დადგენილი ტექნოლოგიის, სამუშაოთა თანმიმდევრობის წესის უპირობო დაცვას**

აქ გადიოდა საქართველოს ისტორიული გზა, რომელიც კვეთდა თრიალეთსა და ჯავახეთს.

ამ გზას მიჰყვება ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობა, სადაც სამუშაოთა სრული ფრონტით გაშლა წელიწადში მხოლოდ რამდენიმე თვის განმავლობაშია შესაძლებელი.

აქ საკუთარი წესებით ვერ მოხვალ.

მაგრამ მოვედით და ვაშენებთ. **მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობა გასულ საუკუნეში დაიწყო — 1982 წელს და ოთხიოდ წელიწადში დამთავრდა. ერთი პერიოდი იმუშავა კიდეც. ახლა იმ რკინიგზის ხის შპალები აყრილია და დაზვინულია ტრასის გასწვრივ, როგორც ფრონტის ხაზზე ტანკსაწინააღმდეგო წინაღობები: ახალ, მოდერნიზებულ, ევროპულ პარამეტრებზე გადასულ რკინიგზას ვერ მოერგო ძველი ლიანდაგი.**

აქ „ნაშთი ძველი დიდებისა“ ჩავლილი მატარებლის იმედგაცრუებასავითაა — აღარ შემობრუნდება: მიტოვებული, რკინიგზის ინფრასტრუქტურის გაძარცული შენობები, მომსახურე პერსონალის 4-5-სართულიანი საცხოვრებელი სახლები სახურავზე ამოსული ბალახითა და ჩაშავებული ფანჯრებით, რომელთაც „შავ ხელისგულზე“ არავინ ჩამოურიგებს „ანთებულ ყვითელ კარტებს“, — არ აინთებაო სინათლე. ასე წერდა ვლადიმერ მაიაკოვსკი *(„ღამე“)*.

წალკის სარკინიგზო სადგური ამის თვალსაჩინო მაგალითია: ცენტრში სადგურის შენობა, მისი ჩაყოლებით, კარგა დიდ მანძილზე — ახალი ლიანდაგის დასაგებად გამზადებული მიწაყრილი.

კარგი საქმე გაუკეთებიათ თითქოს. მაგრამ **მონიტორინგის ჯგუფის წევრები კატეგორიულად არ ეთანხმებიან და კონტრაქტორი ფირმის აზერბაიჯანელი წარმომადგენლისგან პრინციპულად მოითხოვენ დადგენილი ტექნოლოგიის, სამუშაოთა თანმიმდევრობის წესის უპირობო დაცვას.**

**თავისი მუცლის გვრემა აქვს სამუშაოთა მწარმოებელს: ელოდება მინისტრის ჩამოსვლას და სურს, დაახვედროს დაგებული, ჰორიზონტამდე გატყორცნილი ლიანდაგი, როგორც „ჩერქეზის დაკარგული ისარი“.**

კომუნიკაციები?

კომუნიკაციებს შემდეგ მიუბრუნდება. ან არ მიუბრუნდება. ორივე შემთხვევა ჩვენების თავის ტკივილია — დარჩენილი „კუდები“ ჩვენი გამოსასწორებელი იქნება: ლიანდაგი — ასაყრელი, კომუნიკაციები — გასაყვანი და დასამონტაჟებელი. ეს კი, ჯერ ერთი, დამატებით ხარჯებთან იქნება დაკავშირებული, მეორეც, ამ უქმის სვლის მიზეზით დაიკარგება დრო.

**შპს „ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის“ გენერალური დირექტორი ირაკლი წულაია** „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბარში ამასთან დაკავშირებით იტყვის, რომ ეს იყო პირველი პრობლემა, რომელიც იმ დღეს გახდა დასაძლევი.

— **ჩვენს პარტნიორებს სამუშაოთა წარმოების მცდარი მეთოდი ჰქონდათ არჩეული, უნდოდათ, რაც შეიძლება სწრაფად დაეგოთ ლიანდაგი და შემდეგ ეტაპზე გადასულიყვნენ. დარჩენილი „კუდები“ კი ჩვენი გამოსასწორებელი იქნებოდა, რაც ძალიან ძვირი დაგვიჯდებოდა. ვიკამათეთ, ავუხსენით, დავარწმუნეთ.**

აქვე ვთქვათ, თბილისში დაბრუნებისას კვლავ შევივლით ამ ობიექტზე და ვნახავთ, რომ კონტრაქტორები იმ გზაზე იყვნენ დამდგარი, რომელიც მშენებლობის ხელმძღვანელობამ მიუთითა.

ტვირთის მოხსნასავით იყო, ამოსუნთქვასავით. მაგრამ ამ პირველმა პრობლემამ, ცოტა არ იყოს, უარყოფითად იმოქმედა წარმატებული მშენებლობის მოლოდინით გულანთებულთა გუნება-განწყობაზე: გეგმის გადაჭარბებით შესრულების რელიქტური მისწრაფება და სადგურის შენობა, დაწყებული და მიტოვებული რემონტით, ჩამოყრილი მოსაპირკეთებელი ფილებით, არც აქეთ იყო, არც იქით და მეტალოკერამიკის ახლადჩასმული კარ-ფანჯრები „პაკაზუხობის“ კარგად ნაცნობ თვალსაჩინოებასავით იყო წარმოდგენილი.

ერთი მუშა მაინც ყოფილიყო საქმით დაკავებული.

**ერთადერთი ექსკავატორი, რომელიც დიდი მონდომებით თხრიდა მიწას, სააკაშვილის დროინდელ „საჩვენებელი შრომის ენთუზიაზმს“ ავად თუ კარგად ასრულებდა. ცდილობდა, შეესრულებინა.**

ახლა ის ექსკავატორი ნამდვილი საქმით იყო დაკავებული: დატკეპნილ მიწაყრილს მიდგომოდა, საკომუნიკაციო საშუალებებისთვის ტრანშეას ჭრიდა...

### ავსული ბებერი

„ძნელია, დღეს იყო თავფარავნელი ჭაბუკი, ძალიან ძნელი“, — თქვა ერთ-ერთ ინტერვიუში გურამ დოჩანაშვილმა, როცა სიყვარულისთვის თავის გაწირვაზე ლაპარაკობდა.

თავფარავნელი ჭაბუკი გაგახსენდება, აბა, სხვა ვინ, თავფარავნის ტბას რომ მიუახლოვდები, და ის ლეგენდა დაგიპყრობს, აბა, სხვა რომელი, როცა აგორებულ ტალღებს დაინახავ ნაპირზე მდგარი:

**თავფარავნელი ჭაბუკი**
**ასპანას ქალსა ჰყვარობდა,**
**ზღვა ჰქონდა წინად სავალი,**
**გასვლას შიგ არა ზარობდა.**

მიზნისკენ სწრაფვას შეწირული სიცოცხლე! იცით, იცნობთ, წაგიკითხავთ, არ გაგიმეორებთ, რადგან ამჯერად სიყვარულის ამბავს კი არა, ბოროტებას მივაქცევ თქვენს ყურადღებას, რადგან ეს თემა უმეტესად უყურადღებოდ რჩებათ ხოლმე ხალხური პოეზიის მოყვარულთ: ბოროტება ავსული ბებრის.

**ერთი ავსული ბებერი**
**ვაჟისთვის ავსა ლამობდა,**
**სარკმელზე ანთებულ**
**სანთელს**
**აქრობდა, აბეზარობდა.**

მე რამ გამაბოროტა? არაფერმა, გარდა იმისა, რაც თქვენც იცით, რაც სწორედ აქედან, ახალქალაქის მისადგომებიდან გადმოანთხია ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცმა, ჯერ კიდევ პრეზიდენტმა სააკაშვილმა, როცა არ დაიზარა, ამ სიმაღლეზე ამოვიდა მხოლოდ იმისთვის, რათა ექილიკა — ჩემს დროს მუშაობა დუღდა და გადმოდიოდაო. ახლა კი შეწყდა და გაიყინა ყველა მნიშვნელოვანი იდეა და პროექტიო, — შეუტია ახალ ხელისუფლებას.

წმინდა ნინოს ნაკვალევზე იდგა და იბილწებოდა კაცი, რომელმაც „წინ წაიმძღვარა თვალთმაქცობა, როგორც დესპანი“ *(შექსპირი, „ლუკრეცია“)*.

ნინოწმინდაში კი პოლიციის ერთსართულია- ▶

რეპორტაჟი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ირაკლი წულაია: თუ განვაგრძობდით იმ გზით სვლას, რომელიც დაგვხვდა, დაახლოებით 2020 წლამდე, გაჭიანურდებოდა მშენებლობა. არანაირად არ ვაკნინებ წინა მენეჯმენტის მიერ გაწეულ შრომას, მაგრამ შესრულების 28 პროცენტი, რომელიც დაგვხვდა, გვაიძულებდა რადიკალური ცვლილებების განხორციელებას, რათა მომდევნო ორი წლის განმავლობაში, როგორც პრემიერ-მინისტრმა დაგვისახა, დაგვესრულებინა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობა.



**საააკაშვილის ზეობის პერიოდში, 4 წლის განმავლობაში ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზაზე სამშენებლო სამუშაოები გათვალისწინებელი მოცულობის მხოლოდ 28 პროცენტით შესრულდა**



◀ ნი შუშის შენობის ფრონტონიდან ჩამოცვენილი ბაზალტის ფილები ძალიან ჰგავდა „ნაცმოძრაობის" ფასადიდან მერაბიშვილის დაკავებით გაჩენილ სიცარიელეს.

სიცარიელე სიცარიელისა.

## ქვეყნის მარილი – მუშათა კლასი

ბოროტებას არც ასაკი, არც სქესი არ აქვს და ავსულობის სილაჩრე ამ ვულკანური სივრცის სიგლუვეში ერთნაირი საწამლავია, გინდ იმ დედაბრის აბეზარობიდან მომდინარეობდეს, გინდ მიხეილ სააკაშვილის პროვოკატორობიდან.

**მოჰკიოდა,**
**ქარი ღრუბელს მოჰკიოდა**
**და ფარავანს ტბასა ზედა**
**ძრწოდა ქარი...**
(ანა)

ქარს მიაქვს ავად მოსაგონარი. წაილებს. გზაც იქით ჰქონია. მაგრამ რჩება მოვლენის ნარჩენები და **ერთ-ერთ ასეთ ნარჩენს სწორედ აქ, თავფარავნის ნაპირზე, გვირაბის გოფრირებული თაღის დეტალების შემკვრელ „საამქროში, ღია ცის ქვეშ" წავაწყდით, პატარა ქედის კალთების გასწვრივ, სადაც უკვე გაჭრილია მომავალი გზის მონაკვეთი, რომელიც ამ რკინის თაღქვეშ გაივლის.**

უნიფორმებში გამოწყობილ მუშებს, რომლებიც აქ შეჯგუფებულიყვნენ, შორიდანვე ეტყობოდათ, რომ რაღაც აწუხებდათ. თუ დააკვირდებით, ნებისმიერ საპროტესტო აქციას ისეთი აურა დაჰყვება, რომ პლაკატებისა და ხმოვანი გაფორმების გარეშეც გადმოგეცემათ შეკრებილი ხალხის აფორიაქება.

**რა აწუხებდა ფარავნის ტბასთან შეკრებილ მუშათა კლასს?**

**ყური მოვკარი, როგორ უთხრა ერთ-ერთმა ახალგაზრდამ ირაკლი წულაიას: იმათ ჩვენ თვითონ გავუსწორდითო.**

**— რას ნიშნავდა ეს ფრაზა, ბატონო ირაკლი?**

— დაახლოებით ერთი კვირის წინათ, სანამ გავფრინდებოდი თურქეთში სამმხრივ საკოორდინაციო საბჭოს სხდომაში მონაწილეობის მისაღებად, ვიყავი ამ ობიექტზე. ვესაუბრე მუშებს. მაშინ მოვუწოდე, რომ დამკვეთისგან მოეთხოვათ დადებული ხელშეკრულებების ასლები, ავუხსენი როგორ უნდა დაეცვათ თავიანთი უფლებები, არ ჩამოსულიყვნენ შრომის ანაზღაურების დადგენილ ხაზს დაბლა, რაც მინიმალურ გამოხატულებაში 700-დან 800 ლარამდეა, ხოლო პროფესიონალებისთვის, რომლებიც სპეციალობით მუშაობენ, — 1000 ლარი.

**— კვალიფიციურ მუშებზეა ლაპარაკი?**

— რა თქმა უნდა. შევთანხმდით, რომ სწორედ ამ საფუძველზე გაფორმდებოდა ხელშეკრულებები, რაც დავავალე კიდეც მათ ხელმძღვანელებს. თურქეთში ჩემი ყოფნის დროს მუშებმა მოაწყვეს მიტინგი, რომელიც გარკვეული ძალების მიერ იყო ინსპირირებული, რაც ყოვლად მიუღებელია ჩემთვის, რადგან მიმაჩნია, რომ ჩვენთან დღეს მათ აქვთ საქმიანობის ისეთი პირობები, როგორიც არასოდეს ჰქონიათ. თუ წინა წლებში 500-550 ლარით იყო განსაზღვრული მათი ხელფასი, დღეს, როგორც ვთქვი, 800 ლარიდან იწყება, მათი გადაადგილება ჩვენ მიერ უფასოდ ხორციელდება, კვება, უნიფორმები...

**— ესეც უფასოდ?**

— რა თქმა უნდა. მოკლედ ყველა პირობაა შექმნილი, რომ იმუშაონ ნაყოფიერად და მომგებიანად. **ჩვენ ვავალდებულებთ კონტრაქტორებს, 70 პროცენტამდე მუშახელი შეავსონ საქართველოს მოქალაქეებით, თუმცა, შემოწმებული ინფორმაციით, ეს მაჩვენებელი 80-90 პროცენტამდე ადის. ამიტომ ისეთი მიტინგის მოწყობა, რომელიც აქ გამართეს, ელემენტარულად საფუძველსაა მოკლებული.**

მართალი გითხრათ, დღევანდელი საინსპექციო შემოწმება ამ საკითხით იყო ნაკარნახევი.

**— რა გაირკვა?**

— გაირკვა, რომ რამდენიმე მუშა, რომლებიც, არ ვიცით, ვის მიერ იყო შემოგზავნილი, მხოლოდ ლოთობითა და უსაქმურობით იყო „დაკავებული". სწორედ მათ მოინდომეს აწყობილი საქმის არევა. ეს რამდენიმე კაცი ჩვენმა პატიოსანმა მუშებმა გააძევეს ობიექტიდან.

**— ჩვენ თვითონ გავუწიეთ წინააღმდეგობა და ჩვენ თვითონ გავაგდეთო, მეც მოვისმინე, ასე რომ თქვეს,** — ვუდასტურებ.

— ასე იყო. მაგალითს დაგისახელებთ: მიკროავტობუსის მძღოლს, რომელიც მუშებს ემსახურება, 800 ლარი აქვს ხელფასი; თბილისში, ადმინისტრაციაში მომუშავე მათ კოლეგებს — დაახლოებით 750 ლარი. მარტივი არითმეტიკაა.

**ასეთი მტვერი და ბალასტი მოჰყვება ქარს, რომელიც, როგორც ვატყობ, აქ მუდმივად ქრის და, როცა ასახვეტი აღარაფერი რჩება, მიწას გაყრის თვალებში, რათა არ დაინახო ის, რაც სინამდვილეა. რა ეს ქარი და რა სააკაშვილის გაფრენები: ერთი უბედურებაა!**

წინააღმდეგობათა ამ სიმრავლეში გზის გაკაფვა ძნელია, მართალს ამბობს დოჩანაშვილი: „ძნელია, დღეს იყო თავფარავნელი ჭაბუკი, ძალიან ძნელი".

მაგრამ აუცილებელია. და **გამოვა მამამზე მიხეილი „დაბალანსებული ტელეარხების" ეკრანზე 7 ივლისს და შეუტევს ახალ ხელისუფლებას ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობის შეჩერებით აღშფოთებული.**

გასაგებია, რომ ბოდვითი იდეები ავადმყოფებს მუდმივად აწუხებს, განსაკუთრებით, როცა არ მკურნალობენ. გაითვალისწინეთ ეს, ვეუბნები მათ, ვინც გულისმოსაფხან ინფორმაციას აწვდის პრეზიდენტის სავარძელში დაყოვნებულ დემაგოგს: კიდევ გადარევა სჭირდება ერის ამ მოჭირნახულეს?!

## შუა ევროპა შუა ჯავახეთში

**მსოფლიოს საუკეთესო პროექტების ასეულს შორის ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზასაც მოიხსენიებენ.**

ვიმეორებ: **სააკაშვილის ზეობის პერიოდში, 4 წლის განმავლობაში ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზაზე სამშენებლო სამუშაოები გათვალისწინებელი მოცულობის მხოლოდ 28 პროცენტით შესრულდა, და ეს, ნახევარწიწილას მესამედის „შემოქმედი", ახალ ხელისუფლებას მოძღვრავს, ყველაფერი გააკეთეთ იმისთვის, რომ 2014 წელს დაამთავროთო მშენებლობა.**

**თენგიზ თოდუას ეღიმება:**

— იმ ტემპებით რომ ვაშენოთ, როგორითაც მის დროს მუშაობდნენ, რკინიგზის გაყვანა 2020 წლამდე გაჭიანურდებაო.

ახალქალაქის რკინიგზის სადგური და ვაგზალი, შეიძლება ითქვას, მშენებლობის გვირგვინია.

ობიექტზე ხალხი არც ბევრია, არც ცოტა, ზუსტად იმდენია, რაც აქ გაშლილი სამუშაო ფრონტისთვისაა საჭირო. რაციონალური გათვლის შედეგია ეს და არ ჰგავს სააკაშვილის სტუმრობისას ყველა სართულზე სუროსავით აყოლებული ვაზის მტევნებივით დახუნძლულ პოდიუმს.

„სადაც შეხვალ, იმ ქვეყნის ქუდი დაიხურეო" აქ პირდაპირ მნიშვნელობას იძენს: მოვირგეთ პლასტმასის მუზარადები და აფეთქდა კიდეც არც თუ ისე შორს მიწა და ქვა — ახალქალაქის სადგურის 100-ჰექტრიანი ტერიტორიის დასავლეთ კიდეზე.

ამ ოღროჩოღრო, ჰორიზონტამდე გაშლილ სივრცეში მზადდება სამშენებლო მოედანი, რომელზეც უნდა განხორციელდეს 170 პროექტი, სულ მალე, იანვრიდან, როცა დამთავრდება სადგურის ინფრასტრუქტურის დაპროექტება.

დღეის ამოცანა კი ვაგზლის შენობაა: ნაწილი — ჩაბეტონებული, ნაწილი — ხარაჩოებით შეკრული.

**ვაგზალი თანამედროვე ევროპული კლასის ნაგებობა იქნება, რომელიც დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს, მგზავრებს სრული პაკეტით მოემსახურებიან. აქ განთავსდება ტერმინალები, ვაგონების ურიკების შემცვლელი დანადგარები — პოსტსაბჭოთა ლიანდაგიდან ევროპულ ლიანდაგზე შეუჩერებლად გადასასვლელად.**

ვაგზლის შენობა გერმანელი არქიტექტორის — იურგენ მაიერის მიერ არის დაპროექტებული. მთელს ამ პროექტებში კი მონაწილეობა აქვთ მიღებული ქართველ და უკრაინელ ინჟინრებს.

— ვაგზლის შენობას აგვისტოში უკვე გადავხურავთ, წლის ბოლოსთვის დასრულებული სახე მიეცემა, — **გვიხსნის ირაკლი წულაია,** — 2014 წლის ბოლოსთვის სამუშაოების 70 პროცენტი დასრულდება.

**— შეძლებთ კი იმ ჩამორჩენის დაძლევას, რომელიც აქ დაგხვდათ?**

— დარწმუნებით გეტყვით, შევძლებთ. ვინმეს შეიძლება მოეჩვენოს, რომ წლეულს აღებული ტემპი საკმარისი არ არის, მაგრამ ეს გამოწვეული იყო იმით, რომ 2013 წლის პირველი თვეები სისტემური ცვლილებების განსახორციელებლად დაგვჭირდა. **თუ განვაგრძობდით იმ გზით სვლას, რომელიც დაგვხვდა, დაახლოებით 2020 წლამდე, გაჭიანურდებოდა მშენებლობა. არანაირად არ ვაკნინებ წინა მენეჯმენტის მიერ გაწეულ შრომას, მაგრამ შესრულების 28 პროცენტი, რომელიც დაგვხვდა, გვაიძულებდა რადიკალური ცვლილებების განხორციელებას, რათა მომდევნო ორი წლის განმავლობაში, როგორც პრემიერ-მინისტრმა დაგვისახა, დაგვესრულებინა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობა.**

**— ასეთი ჩამორჩენის დასაძლევად დიდი რაოდენობით ტექნიკა დაგჭირდებათ, უთუოდ.**

— 2014 წელს, მოგეხსენებათ, ავღანეთში დასრულდება აისაფის პროგრამა და ამერიკელების იქ გამოყენებული ტექნიკა აზერბაიჯანსა და საქართველოს გადმოგვეცემა.

ეს აღჭურვილობა და ჩვენი მაქსიმალური მონდომება, საქმის მაღალპროფესიულად შესრულება, დარწმუნებული ვარ, საშუალებას მოგვცემს პროექტი 2015 წლის ნაცვლად 2014 წელს დავამთავროთ.

**— გათვალისწინებული გაქვთ ლენტის პროფესიონალი გამჭრელის მოწვევა, ბატონო ირაკლი?**

— *(ეღიმება)* ჩვენ ლენტის გაჭრაზე არ ვართ ორიენტირებული. ხოლო ლიანდაგები აგვისტოს ბოლოსთვის საზღვრამდე გვექნება დაგებული.

## ზულეიკა ხანუმ!

თავფარავნელი ჭაბუკის ლეგენდა ბერძნული მითოლოგიიდან იღებს სათავეს. ან, იქნებ, პირიქით?

არ ვიცი.

მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ მითოლოგიური თქმულებით გატაცებულმა ბაირონმა ლეანდრეს კვალზე ორჯერ გადაცურა დარდანელის სრუტე, რაც უკვდავყო პოემაში „აბიდოსელი საცოლე", სადაც ლეანდრე შეცვალა სელიმმა, ჰერო კი — თურქეთის ფაშის ასულმა ზულეიკამ.

ზულეიკას ქვეყანაში გადავალთ სულ მალე, რკინიგზით — ყარსში, რომელიც ბოლო სადგურია თურქეთის მიწაზე.

რკინიგზის ამ მონაკვეთზე უკვე აგებენ ლიანდაგს: ჯერ იუველირის სიზუსტით მილიმეტრამდე ერთმანეთს უპირაპირებენ ბეტონის შპალებს, დაამაგრებენ, და ოქროს სარტყელად გადაატარებენ ლიანდაგებს.

აგერ, ახლახან დამთავრებულ, პოსტსაბჭოთა სივრცეში უდიდეს და უნიკალურ, 154-მეტრიან რკინა-ბეტონის(!) ხიდს გადავალთ (გახსნაზე მიპატიჟებულები ვართ) და — გამარჯობა, ზულეიკა ხანუმ! თავფარავნელი ჭაბუკის სამშობლოდან გახლავართ!

**არმაზ სანებლიძე**

**P.S.** საქართველოს პრემიერ-მინისტრის 3 ივლისის ბრიფინგზე აზერბაიჯანულენოვანი მედიის წარმომადგენელმა ბატონ ბიძინა ივანიშვილს ჰკითხა, რატომ შეჩერდა ისეთი მნიშვნელოვანი რეგიონული პროექტის განხორციელება, როგორიც ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობა არისო.

ეტყობა, სააკაშვილისეული დეზინფორმაციის გავლენის ქვეშ იყო.

პრემიერმა უპასუხა, რომ მას სრულიად საწინააღმდეგო ინფორმაცია აქვს, რომ მშენებლობის ტემპიც მაღალია და შედეგებიც კარგი.

„საქართველო და მსოფლიოს" იმ შეხვედრისთვის თავისი შეკითხვა ჰქონდა მომზადებული, რომელსაც ვიწყებდით შთაბეჭდილებით, ჩვენმა ჯგუფმა ჯავახეთიდან რომ ჩამოიტანა. პრემიერის პოზიცია, ცხადია, ამით გამაგრდებოდა და სააკაშვილის „ინიციატივას" იმთავითვე საფუძველი გამოეცლებოდა.

მაგრამ შეკითხვის დასმის უფლება არ მოგვცეს: რატომღაც არ წყალობენ გაზეთებს.

რას იზამ: „საქართველო არის ესე!"

**P.P.S.** ამ პუბლიკაციას მიშას ნუ წააკითხებთ, მაინც ვერ გაიგებს.

საქართველო და მსოფლიო
მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„იქ შიშველი ადამიანები იყვნენ. სერჟანტს ვკითხე, რატომ იყო ყველა შიშველი. მიპასუხეს, რომ იქ სამხედრო დაზვერვა მუშაობდა და ეს მათი საქმეა. როდესაც ვკითხე, რატომ ეცვათ ბიჭებს ქალის ტრუსები, ამიხსნა, რომ ეს მათ გასატეხად კეთდებოდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ პატიმრებს გახადეს, შემდეგ ქალის საცვლები ჩააცვეს და ხელბორკილებით ისე მიაბეს, რომ რაც შეიძლება უხერხულ პოზაში მდგარიყვნენ.“

**რეჟისორ ეროლ მორისის ფილმში იკვლევენ ცემის, წამებისა და ადამიანის უფლებათა სხვა დარღვევების შემთხვევებს ბაღდადის მახლობლად მდებარე აბუ-გრეიბის ციხეში, სადაც ტერორიზმში ეჭვმიტანილი დაკავებულები მიჰყავდათ, ზედამხედველები კი ამერიკელი სამხედროები არიან. ექსტრემალურ სიტუაციაში მყოფ ადამიანს ყოველთვის არ შეუძლია რეალობის გააზრება და აღქმა. მრავალი ადამიანი უშვებს შეცდომას, რომლისთვისაც შემდეგ მთელი დარჩენილი ცხოვრების მანძილზე იხდის საზღაურს. ზოგიერთები ომის შემდეგ კიდევ მრავალი წლის მანძილზე ვერ ახერხებენ შიშებთან გამკლავებას. შეიძლება კი იმის წინასწარ განსაზღვრა, თუ როგორ მოიქცევა ადამიანი ომის დროს? აცდება თუ არა სწორ გზას, წავა თუ არა ზნეობრიობისა და მორალის წინააღმდეგ საკუთარი შიშების ზეწოლის შედეგად? ფილმში გადაღებული არიან აბუ-გრეიბის ციხის ის თანამშრომლები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ პატიმრების წამებასა და გაუპატიურებაში. ფილმმა მთავარი პრიზი მოიპოვა ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე.**

# სტანდარტული პროცედურა

## სიმართლე აბუ-გრეიბზე



**ტიმ დუკანი, გამომძიებელი:**

— ეს სრული ჩავარდნა იყო. სწორედ ასეა. მე ასეთი რამ არასდროს მინახავს. არ მეგონა, რომ ამერიკელი ჯარისკაცები ასე დაიბნეოდნენ და დაითრგუნებოდნენ. ისეთი შეგრძნება იყო, რომ ეს დასასრულია და აქედან ცოცხლად თავის დაღწევას მხოლოდ იღბლიანი თუ მოახერხებდა. მაგრამ რაკი აქ მოხვდი და მზად ხარ, ნებისმიერ წუთს მოკვდე, მაინც მოგიწევს მთელი ამ სისაძაგლის კეთება. საეჭვოა, ვინმეს ერაყში წასვლა ვურჩიო.



**ჯენის კარპინსკი, აშშ-ის სამხედრო პოლიციის ბრიგადის გენერალი:**

— როდესაც ჰუსეინის ვაჟების — უდეისა და კუსაის განადგურება მოხერხდა, გაჩნდა ძალიან ბევრი ინფორმაცია. ჩვენ წინაშე დადგა ახალი ამოცანა. უდეისა და კუსაისთვის არავის ეცალა, რადგან თავად სადამ ჰუსეინის შესახებ ვეძებდით ცნობებს.

ამ მოვლენების შემდეგ ვიზიტით თავდაცვის მინისტრი გვეწვია. მან ციხის დათვალიერება მოინდომა, რათა შეემოწმებინა, როგორ მიდიოდა საქმე. **და, რა თქმა უნდა, ყველა, ვინც იქ მოდიოდა, აუცილებლად მიჰყავდათ საწამებელ კამერაში, სადაც სახრჩობელებს აჩვენებდნენ.** ჩვენ ვიზიტის პროგრამაც კი შევადგინეთ — თავდაპირველად სახრჩობელისკენ გავემართეთ. მზად ვიყავით, მარშრუტი გაგვეგრძელებინა, მაგრამ მინისტრმა თქვა: „არა, მეტი აღარაფერია საჭირო. სთხოვეთ მოსვლა რამდენიმე ჯარისკაცს, სურათებს გადავიღებთ. ამ ციხეში მეტი არაფერია“. და მორჩა. გაემგზავრა.

ამის შემდეგ გვეწვია **გენერალი მიულერი**, ჩვენი გურუ, ეჭვმიტანილებისგან ყველაზე ღირებული ინფორმაციის მოპოვების პროფესიონალი. იგი რამსფელდის ვიზიტის მეორე დღეს ჩამოვიდა. **მის წინაშე დააყენეს ამოცანა, ესწავლებინა ჩვენთვის დაკითხვის წარმოების პროცედურა, რომელსაც გუანტანამოში იყენებდნენ.** დაქირავებული გამომძიებლები, რომელთაც პროცედურა უნდა შეესწავლათ, იყვნენ ავღანეთში ნაომარი და გუანტანამოში ნამუშევარი სამხედროები.

გუანტანამოს თანამშრომლები მიულერის მოსასმენად შეიკრიბნენ. **მან მოკლედ და აბსოლუტურად გარკვევით თქვა, რომ პატიმრებს ცხოველებივით უნდა მოექცე, უნდა იცოდნენ, ვინ არის აქ უფროსი.**

ციხის კორპუსი 1A გადაეცა სამხედრო დაზვერვის ბრიგადის მეთაურს, პოლკოვნიკ პაპუსს, ციხის კორპუსი 1B მალე ასევე ჩამომართვეს და მასვე გადასცეს. ისინი აპირებდნენ, ეს კამერები მხოლოდ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დაკავებულებისთვის გამოეყენებინათ.

**აბუ-გრეიბი ნელ-ნელა გარდაიქმნებოდა იმად, რაც გენერალ მილერს სურდა — სამხედრო ტყვეების დაკითხვის ცენტრად ერაყში.**



**2003 წლის ოქტომბერი. სამხედრო-საველე ფოსტა.** 2003 წლის 1 ოქტომბერი. პირველი დღე ციხეში. საღამოს ცხრა საათია. ისმის სროლის ხმა. საღამოობით სინათლის ანთება აკრძალულია. საღამოს შენობიდან გასვლა არ შეიძლება. ვიმედოვნებ, ეს დიდხანს არ გაგრძელდება. როდესაც ჩვენ მოვედით ადგილზე, მიწაზე ორი ვერტმფრენი დაეშვა. მათგან პატიმრები გადმოიყვანეს. მეშინია ვერტმფრენების. ერთხელ მესიზმრა, რომ ვერტმფრენი აქეთ-იქით ქანაობდა, მერე ცეცხლი მოედო და აფეთქდა.

აქ ყოფნა საკმაოდ არასასიამოვნოა. ციხეს აბუ-გრეიბი ჰქვია. აქ დაახლოებით 30 000 ადამიანი მოკვდა. აქ არის სახრჩობელებიანი კამერა. მოჩვენებები ჯერ არ გვინახავს, მაგრამ უამისოდაც შემზარავია. ვიმედოვნებ, საშობადო სახლში ვიქნები, იქნებ უფრო ადრეც. მიყვარხარ.

**საბრინა**



**ჯეივალ დევისი, სამხედრო პოლიციის სერჟანტი:**

— მთაზე ასვლის შემდეგ დავინახეთ უზარმაზარი ნაგებობა, რომელიც ექვსი საფეხბურთო მოედნის ფართს მოიცავდა. შემდეგ შევნიშნეთ წარწერა „ფალუჯა“ — ასე ერქვა ამ ქალაქს. ნანგრევები, მიწასთან გასწორებული სახლები, აფეთქებებისგან დარჩენილი ორმოები შემოგვეგება. ყველგან ძაღლები დარბოდნენ, ყველაფერი ბოლავდა... ყველაფერი წარმოუდგენლად ყარდა — სიდამპლისა და განავლის სუნი ერთმანეთს ერეოდა. ეს ამაზრზენი იყო, ვერაფერს მიეკარებოდი. გვიბრძანეს, ციხეში შევსულიყავით.

და წავედით ციხისკენ, მაგრამ უცებ სროლის ხმა გაისმა, შემდეგ აფეთქება, ყვირილი, ისევ სროლა... გავიქეცით, სროლა არ წყდებოდა... აქ ნებისმიერი შეირყევა ჭკუაზე... ეს ყველაფერი ისევ და ისევ მეორდებოდა, დაუსრულებლად. გარკვეული დროის შემდეგ აღარ გვეშინოდა და ვხუმრობდით კიდეც, ჩვენც ხომ არ გვესროლაო. ერთმა ჭურვმა სახურავი გაარღვია და პირდაპირ ციხის იატაკზე დაეცა, მაგრამ არ აფეთქდა...

როდესაც მთავარი კორპუსიდან გადადიხარ, ხვდები 1A და 1B ბლოკებში. იქ უკვე იმყოფებოდნენ კონტრდაზვერვის სამსახურის პატიმრები. **იქ შიშველი ადამიანები იყვნენ. სერჟანტს ვკითხე, რატომ იყო ყველა შიშველი. მიპასუხეს, რომ იქ სამხედრო დაზვერვა მუშაობდა და ეს მათი საქმეა. როდესაც ვკითხე, რატომ ეცვათ ბიჭებს ქალის ტრუსები, ამიხსნა, რომ ეს მათ გასატეხად კეთდებოდა.**

**მოკლედ რომ ვთქვათ, ამ პატიმრებს გახადეს, შემდეგ ქალის საცვლები ჩააცვეს და ხელბორკილებით ისე მიაბეს, რომ რაც შეიძლება უხერხულ პოზაში მდგარიყვნენ.** წარმოიდგინეთ ციხის კამერა, რომელშიც არც ფანჯრებია, არც სინათლე ინთება... თუ ვინმე აანთებს სინათლეს, მაშინვე იტყვის, „ღმერთო ჩემო“... და კვლავ ჩააქრობს... აი, რა ხდებოდა იქ, აი, როგორ მუშაობდა ჩვენი დაზვერვა. მათ საქმეში, უმჯობესია, არ ჩაერიო, მაგრამ ახლა მესმის, რომ ეს ყველაფერი არასწორი იყო.

**ლინდი ინგლანდი, სამხედრო პოლიცია, პირველი კლასის რიგითი:**

— მე იქ საქმეთა მწარმოებელი ვიყავი. ხანდახან სამსახურიდან საღამოს 10 საათზე მივდიოდით, გააჩნია, რამდენი პატიმარი იყო. მაგალითად, თუ საღამოს 200 ადამიანი მოჰყავდათ, დილის 6 საათამდე ვისხედით, შემდეგ 6-ზე ჩემი მორიგეობა იწყებოდა, მერე გადავაბარებდი ცვლას, ორიოდე საათს დავიძინებდი და კვლავ სამსახური.



სამსახურის შემდეგ, როგორც წესი, მთავარ შენობაში მივდიოდი. იქ ნოუთბუქით ფილმებს ვუყურებდით. **როგორც წესი, მივდივარ იქ და ვიღაც ხელბორკილებითაა მიჯაჭვული, ყუთებზე დგას ან უბრალოდ ასრულებს ბრძანებებს — დარბის წინ და უკან ან სხვა რაიმეს აკეთებს.** თავდაპირველად ეს უჩვეულოდ, უცნაურად და ველურად გამოიყურებოდა, მაგრამ ეს ჩვენ არ მოგვიგონია, იქ ჩვენამდეც ასე აკეთებდნენ, პირველები ჩვენ არ ვიყავით. **ეს იქ ჩვეულებრივი მოვლენა იყო.**



**საბრინა ჰარმანი:**

— **თავიდან შევნიშნე ერთი ბიჭი, რომელსაც თავზე ქვედა საცვალი ჰქონდა ჩამოცმული. იგი ხელბორკილებით იყო მიჯაჭვული ფანჯრის გისოსებზე.** სულ კითხვებს უსვამდნენ. მაშინ პირველად გადავიღე სუ-







# „ისინი ღამღამობით მოდიოდნენ, აპატიმრებდნენ ყველა მამაკაცს, რომელსაც ხელში იარაღის დაჭერა შეეძლო. ბევრი ყვებოდა შემთხვევებს, როდესაც აპატიმრებდნენ მათ მამებს, შვილებს, ძმებს... იყვნენ ბავშვებიც. თუ ვერ ახერხებდნენ ბოევიკების ლიდერის პოვნას, მიჰყავდათ მისი შვილი და შემდეგ შეუთვლიდნენ, ჩაგვბარდი და გავუშვებთ შენს შვილსო. მე თუ მკითხავთ, ეს გატაცება იყო.“

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



რათები. იმ დღეს წერილი მივწერე კელის — ჩემს ცოლს.

**2003 წლის 20 ოქტომბერი. სამხედრო-საველე ფოსტა.** მუდმივად ვფიქრობ ამაზე. ქვემოთ ჩავედი და დავინახე ხელბორკილებით მიბმული ტაქსისტი. მას ტანსაცმელი არ ეცვა, მხოლოდ თავზე ჩამოცმული ტრუსი უფარავდა სახეს. იესო ქრისტეს მივამსგავსე. თავიდან გავიცინე, შემდეგ კამერა მოვიტანე და სურათი გადავუღე. ერთ-ერთმა ზედამხედველმა ხელკეტი აიღო და სასქესო ორგანოზე ურტყამდა. გავიფიქრე, კი, სახალისოა... და უცებ მივხვდი, ეს ხომ ძალადობაა...

კიდევ რამდენიმე ფოტო გადავიღე, რომ მომხდარი დამეფიქსირებინა. ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ აქ ასეთი რამ ხდება. სწორედ იმის გამო ჩამოვედი აქ, რომ დამემტკიცებინა, აშშ სულაც არ არის ის, რადაც ყველა მიიჩნევს. პირადად მე ასეთი რამ არ მესმის. ხომ შეიძლებოდა, თავად აღმოვჩენილიყავი მათ ადგილას? ვფიქრობდი, რომ მე ყველაფრის ძალა შემწევდა, ვცდებოდი. თუ ჩამოვალ და იმის მოყოლას დავიწყებ, რაც აქ ხდება, ალბათ, არ დამიჯერებ. მაგრამ, თუ ჩამოვალ, მოგიყვები და ფოტოებსაც გიჩვენებ, ეს უკვე სულ სხვა საქმეა.

**საბრინა**



„2003 წლის 24 ოქტომბერი. პატიმარი №151128 კამერაში იატაკზე დაეცა. მას ყელზე თოკი ჰქონდა გამობმული. პატიმარს გასი ერქვა. ჩვენ ვთვლიდით, რომ ის ერაყის არმიაში მსახურობდა, რადგან მუდმივად ირწმუნებოდა, რომ სადამი დაბრუნდებოდა და ჩვენ ყველას დაგვხოცავდა. მეზიზღებითო, გვეუბნებოდა, გაბოროტებული იყო. ჩვენ მნიშვნელოვან პიროვნებად მიგვაჩნდა, შემდეგ კი გავიგეთ, თუ როდის და რატომ დააპატიმრეს — იგი დათვრა და ვიღაცას სცემა. ჩვეულებრივი დამნაშავე იყო. ასეთები ნებისმიერ ციხეში არიან აშშ-შიც კი. როდესაც მთავარ კორპუსში გადაიყვანეს, შიმშილობა დაიწყო. მოგვიწია, დღეში 5-8 ინექცია გვეკეთებინა, რომ უბრალოდ შიმშილით არ მომკვდარიყო“.



**მეგან ემბალ გრეინარი, სამხედრო პოლიციის თანამშრომელი:**

— გასს სიტყვიერად ემუქრებოდნენ, მაგრამ ეს არ შველოდა. **გრეინერმა ყელზე თოკი მოაბა და პატიმარი თავად გამოხოხდა თავისი კამერიდან. შემდეგ გრეინერმა თოკი ლინდის გადასცა და ფოტოების გადაღება დაიწყო.** ამის შემდეგ გასი თავად ადგა ფეხზე, არადა, ყველა ამბობდა, რომ ლინდი ათრევდა მას, მაგრამ მე იქ ვიყავი და ვიცი, რომ ამგვარი რამ არ მომხდარა. შესაძლოა, ეს განაწესის დარღვევა იყო, მაგრამ პატიმარი კამერიდან თავად გამოვიდა, არავის შეხებია და არც მას შეხებია ვინმე.

**ლინდი ენგლანდი:**

**— გრეინარს ჯიბეში ფოტოაპარატი ჰქონდა. მან მე და ემბელს გვთხოვა, ქვემოთ ჩავსულიყავით მასთან ერთად. როდესაც კარი გააღო, გასი უკვე იქ იყო, შიშველი.** მას ადგომა არ სურდა, ამიტომ მოგვიწია გრძელი თოკის მოტანა. გრეინარმა გასს თოკი ყელზე მოაბა, როგორც ჩანს, იმისთვის, რომ კამერიდან გაეთრია. გასი სულ ოდნავ გახოხდა.

ამის შემდეგ გრეინარმა მიბრძანა, თოკის მეორე ბოლო დამეჭირა და მეც მეჭირა. ფოტოებზე ჩანს, რომ თოკი დაჭიმული არ არის. ყველა ამბობდა, რომ თოკს ვქაჩავდი, მაგრამ ეს ასე არ არის. გრეინერმა ერთიმეორის მიყოლებით სამი ფოტო გადაიღო. ფოტოებზე ჩანს მეგანი, რომელიც გვერდზე დგას. რომ არა ფოტოაპარატი, ის არაფრის გულისთვის არ მთხოვდა, იქ დავმდგარიყავი. მე პატარა ტანის გოგო ვარ იმ ჩაფსკვნილ თოკგამობმულ ბიჭთან შედარებით. გამოდის, რომ იგი მემორჩილება. გრეინერს, ალბათ, ეს სურდა, შესაძლოა, მას უბრალოდ დასჭირდა ეს ვიღაცის ან საკუთარი სიამოვნებისთვის, წარმოდგენა არ მაქვს, საიდან უნდა ვიცოდე, რა უტრიალებდა მას თავში. მაგრამ სურათი გადაღებული იქნა“.



„მე სტაჟიანი პოლიციელი ვარ და საქმეთა ნახევარს იმის წყალობით ვხსნით, რომ დამნაშავეები რაღაც სისულელეებს სჩადიან. საკუთარი დანაშაულის ფოტოგრაფირება








სწორედ ამგვარი შემთხვევაა. **მომცეს 12 დისკი და მითხრეს, რომ იქ, აბუ-გრეიბში გადაღებული ასობით ფოტო იყო.** უნდა მეპოვა ყველაფერი, რაც დაამტკიცებდა პატიმრებთან სასტიკი მოპყრობის ფაქტებს. **საჭირო იყო დადგენა, ზუსტად რა დროს იქნა გადაღებული თითოეული ფოტო.** სურათი ათასობით სიტყვას უდრის, მაგრამ ვიდრე ფოტოს გადაღების თარიღსა და დროს არ დავადგენდით, ვერაფერს ვიტყოდით. ამიტომ დავიწყეთ ფოტოების, როგორც მტკიცებულებების შესწავლა. **დავალაგე ისინი გადაღების დროის მიხედვით, რომ სასამართლოს გაეგო, კონკრეტულად როდის დაიწყო ეს ყველაფერი და როდის დასრულდა, რამდენი დრო გავიდა დაწყებიდან დასრულებამდე, კონკრეტულად რა უქნეს პატიმრებს, ვინ იმყოფებოდა შენობაში და ასე შემდეგ.**

**როგორ მოხდა, რომ არავინ მიაქცია ამას ყურადღება?**

როდესაც ცდილობ, ამ ყველაფერს მთლიანობაში შეხედო, უეცრად ფოკუსი იკარგება. ეს ფოტოები ნამდვილად ადასტურებს რამდენიმე შემთხვევაში შესაძლო სასტიკ მოპყრობას, დადგენილი სტანდარტული პროცედურის შესაძლო შესრულებას. საჭიროა, ვიხელმძღვანელოთ ჩვენს ხელთ არსებული ნამდვილი ფაქტებით, სასამართლოში ემოციებს ან პოლიტიკურ გარჩევებს არ უნდა მივეცეთ.

**ლინდი ენგლანდი:**

— როდესაც ციხეში ვმუშაობდი, ყველა ქალი იქ მამაკაცების გამო იყო ჩამოსული. მიზეზი სხვადასხვა იყო, მაგრამ ყველა მამაკაცებს უკავშირდებოდა. საერთოდ, რასაც არ უნდა ამბობდნენ, ჯარი მამაკაცის საქმეა — ან აიძულებ მათ, ანგარიში გაგიწიონ, ან უბრალოდ გაგსრესენ. თუ გსურს, რომ მათთან თანასწორი იყო, ძლიერი უნდა გახდე. ისინი მუდამ ცდილობენ მბრძანებლობას, იძულებული ხარ, რაღაც გააკეთო, რომ დაიცვა თავი. მე არ ვამბობ, რომ ეს სახიფათოა, მაგრამ არავის მივცემ ზეწოლის უფლებას მხოლოდ იმის გამო, რომ მე ქალი ვარ და ის მამაკაცი, ასე ვერ გამოვა. თუნდაც ეს ჯარი იყოს. ბოლოს და ბოლოს ჯარში ყველას აქვს მთავარი არგუმენტი — იარაღი. რომ მცოდნოდა, რა იქნებოდა შემდეგ...

მაგრამ მე შეყვარებული ვიყავი. გრეინერი ძალიან მომხიბვლელი იყო. თუნდაც პირველად გენახათ იგი, პირველივე შემოხედვით მოგნუსხავდათ. თუ ოთახში უამრავი ადამიანი იყო, მხოლოდ მისი ყურება გინდებოდა, მან იცოდა, როგორ მიეპყრო ყურადღება და თუნდაც ვინმეს თავიდან ვერ შეემჩნია, თავისას მიაღწევდა ნებისმიერ ფასად. ეს იცოდა. შეიძლება თავი მოგეჩვენებინა, რომ არ არის შენთვის საინტერესო, მაგრამ მაშინ დაიწყებდა შენზე რაიმეს ლაპარაკს და სიტყვასიტყვით მოარგებდა გასაღებს ნებისმიერს. მე 20 წლის ვიყავი, როდესაც იგი გავიცანი, ის — 34-ის. ის 14 წლით უფრო გამოცდილი იყო ჩემზე, მუდამ იცოდა, რა ეთქვა და რა გაეკეთებინა, მე კი მონუსხულივით შევყურებდი და არავის ვუსმენდი, არადა, ყველა მეუბნებოდა, რომ ის ძალზე ასაკოვანი იყო ჩემთვის და ცუდი კაცი იყო.

არავის ვუჯერებდი, მხოლოდ მისი მჯეროდა რატომღაც... დღემდე არ მესმის...

**ჯენის კარპინსკი, აშშ-ის სამხედრო პოლიციის ბრიგადის გენერალი:**

— პატიმართა რაოდენობა მუდმივად იზრდებოდა, მაგრამ არავინ ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ უნდა გაეთავისუფლებინათ ტერორიზმში



ეჭვმიტანილები და როგორ მოქცეოდნენ ტერორისტების ხელშემწყობებს. გენერალმა ვიატკოვსკიმ პატიმართა პირველი პარტიის მოყვანის შემდეგ მითხრა, რომ მათ მუდმივად მოიყვანდნენ რამდენიმე კვირის განმავლობაში. სულ საუბარი იყო ტერორიზმში და ნაციონალური უსაფრთხოების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში ეჭვმიტანილ დაახლოებით 1500 დაკავებულზე. ვკითხე, არ თვლით, რომ ამის შესახებ საქმის კურსში უნდა ჩაგეყენებინეთ? **აბუ-გრეიბში 200-ზე მეტი პატიმრის ადგილი არ არის, თქვენ კი 1500-ის მოყვანას აპირებთ, როგორი იქნება განთავისუფლების განრიგი?** მან მიპასუხა: **„ციხიდან არავის გავუშვებთ. თუ ერთ-ერთი მათგანი მაინც აღმოჩნდება გაშვებული ან თუნდაც შემდეგ ქუჩამდე მიაღწევს, თქვენ დაგაპატიმრებთ!“**

**ჯეივალ დევისი:**

— ისინი ღამღამობით მოდიოდნენ, აპატიმრებდნენ ყველა მამაკაცს, რომელსაც ხელში იარაღის დაჭერა შეეძლო. ბევრი ყვებოდა შემთხვევებს, როდესაც აპატიმრებდნენ მათ მამებს, შვილებს, ძმებს... წარმოიდგინეთ, რომ თქვენს ქალაქში მოვლენ და დააპატიმრებენ ყველა მამაკაცს. ადამიანებს ეუბნებოდნენ შენ, შენ და შენ გამოდით ქუჩაში. მათ სატვირთო მანქანებში ყრიდნენ, მხოლოდ კარის დახურვის ხმა გაისმოდა და სულ რამდენიმე წუთში პატიმრებით სავსე მანქანა მზად იყო. ყველანი ციხეში მიჰყავდათ. ისინი ეკითხებოდნენ, რა ხდება, რა დავაშავე, მე ტერორისტი არ ვაროო, მაგრამ... იქ იყვნენ შემდულებლები, მცხობელები, უბრალო ადამიანები...

**იყვნენ ბავშვებიც. თუ ვერ ახერხებდნენ ბოევიკების ლიდერის პოვნას, მიჰყავდათ მისი შვილი და შემდეგ შეუთვლიდნენ, ჩაგვბარდი და გავუშვებთ შენს შვილსო. მე თუ მკითხავთ, ეს გატაცება იყო.**

**საბრინა ჰარმანი:**

**— ხალხი სულ უფრო და უფრო მატულობდა და უკვე აღარ შეგვეძლო, ბავშვები ცალკე გვყოლოდა. გვიწევდა მათი საერთო კამერებში გაგზავნა. ეს საშინელება იყო, რომ ბავშვები დაპატიმრებულნი იყვნენ არაფრის გამო, მხოლოდ იმიტომ, რომ თავიანთი მამების შვილები იყვნენ. ჩვენ შეგვეძლო, მხოლოდ ოდნავ შეგველამაზებინა მათი იქ ყოფნა, ვაძლევდით მათ ჩვენ წილ კანფეტებს, მაგრამ ეს, ცხადია, არაფერია იმასთან შედარებით, რისი გადატანაც მათ მოუხდათ.**

გაგრძელება შემდეგ ნომერში



**«ციხიდან არავის გავუშვებთ. თუ ერთ-ერთი მათგანი მაინც აღმოჩნდება გაშვებული ან თუნდაც შემდეგ ქუჩამდე მიაღწევს, თქვენ დაგაპატიმრებთ!»**

მართალი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სწორედ იმ ათწლეულში, მოსალოდნელი მსოფლიო ომის დაწყებამდე ცდილობდა საბჭოთა კავშირი, განეხორციელებინა მკვეთრი გარღვევა, რათა დაწეოდა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს. ამ გარღვევაზე იყო დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის ხალხების არსებობა-არარსებობის საკითხი.**




იგორ პიხალოვი

# ყველაზე ბილწი მითები სტალინზე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №17-24 (204-211)

## დაპატიმრება დაგვიანებისთვის – მითი თუ რეალობა?

**სტალინის ეპოქაში შიშის საყოველთაო ატმოსფეროს შექმნის მიზეზად მიიჩნევენ ყბადაღებულ „10 წელიწადს 15 წუთისთვის“: სამუშაოზე 15 წუთით დაგვიანების შემთხვევაში 10 წლით ბანაკებში ასახლებდნენო.**

აი, რას წერს ამის თაობაზე ცნობილი დისიდენტი, ისტორიკოსი როი მედვედევი:

„1940 წლიდან ქვეყანაში შემოიღეს რამდენიმე უმკაცრესი კანონი, რომელთა საფუძელზე სამუშაოზე სამჯერ 20 წუთით დაგვიანების ან ერთი სამუშაო დღის გაცდენისთვის მუშებსა და მოსამსახურეებს ასამართლებდნენ, მათთვის 3-5 წლით ბანაკებში გადასახლებაც კი შეიძლება მიესაჯათ“.

უფრო მეტიც, უკვე გამოჩნდნენ კონკრეტული „მსხვერპლნი“, რომელთა მოწამებრივ ცხოვრებაზე მათი შთამომავლები გვიყვებიან. მაგალითად, ხასავიურტის გმირის — ალექსანდრე ლებედის ბიოგრაფიაში შეიძლება ასეთი ჩანაწერის აღმოჩენა:

„ლებედის მამას — ივან ალექსანდრეს ძეს, მუშას, 1937 წელს ორი ხუთწუთიანი დაგვიანებისთვის 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა“.

რა ხდებოდა სინამდვილეში?

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა გაცდენებისთვის და სამუშაოს თვითნებური მიტოვებისთვის 1940 წლის 26 ივნისს დაწესდა სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით **„რვასაათიან სამუშაო დღესა და შვიდდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლისა და მუშებისა და მოსამსახურეების მიერ საწარმოებისა და დაწესებულებების თვითნებურად მიტოვების შესახებ“:**

„საკავშირო პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭოს წარდგინების თანახმად, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. ყველა სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი საწარმოებისა და დაწესებულების მუშებისა და მოსამსახურეებისთვის გაიზარდოს სამუშაო დღის ხანგრძლივობა შვიდიდან რვა საათამდე — შვიდსაათიანი სამუშაო დღის მქონე საწარმოებში;

ექვსიდან შვიდ საათამდე — ექვსდღიანი სამუშაო დღის მქონე საწარმოებში, იმ პროფესიების გამოკლებით, რომლებისთვისაც ჯანმრთელობისთვის მავნე პირობებია და რომელთა სია დამტკიცებულია სსრკ სახკომსაბჭოს მიერ;

ექვსიდან რვა საათამდე — დაწესებულებების მოსამსახურეთათვის;

ექვსიდან რვა საათამდე — პირებისთვის, რომლებმაც 16 წლის ასაკს მიაღწიეს.

2. ყველა სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი საწარმო-დაწესებულება ექვსდღიანიდან გადაყვანილ იქნას შვიდდღიან კვირაზე, კვირის მეშვიდე დღე — კვირა — ჩაითვალოს დასვენების დღედ.

3. აიკრძალოს მუშათა და მოსამსახურეთა თვითნებური წასვლა სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან, აგრეთვე, თვითნებური გადასვლა ერთი საწარმოდან მეორეში ან ერთი დაწესებულებიდან მეორეში.

საწარმოდან და დაწესებულებიდან წასვლა ან ერთი საწარმოდან მეორეში და ერთი დაწესებულებიდან მეორეში გადასვლა შეიძლება ნებადართულ იქნას მხოლოდ საწარმოს დირექტორის ან დაწესებულების უფროსის მიერ.

4. დადგინდეს, რომ საწარმოს დირექტორს და დაწესებულების უფროსს აქვს უფლება და ვალდებულია, მუშასა და მოსამსახურეს ნება დართოს საწარმოდან ან დაწესებულებიდან წასვლისა შემდეგ შემთხვევებში *(დაწვრილებით ჩამოთვლილია ასეთი შემთხვევები და ცალკე პუნქტად ჩაწერილია, რომ ამ შემთხვევათა შორისა მუშის ან მოსამსახურის უმაღლეს ან საშუალო სპეციალურ სასწავლო დაწესებულებაში ჩარიცხვა, ქალებისთვის დეკრეტული შვებულების მიცემა ძალაში რჩება მოქმედი კანონმდებლობის ჩარჩოებში).*

**5. დადგინდეს, რომ მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც თვითნებურად მიატოვებენ სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ საწარმოებს ან დაწესებულებებს, გადაეცემიან სასამართლოს და სახალხო სასამართლოს განაჩენით თავისუფლების აღკვეთით 2 თვიდან 4 თვემდე ვადით.**

დადგინდეს, რომ საპატიო მიზეზის გარეშე სამუშაოს გაცდენისთვის სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი საწარმოებისა და დაწესებულებების მუშები და მოსამსახურეები გადაეცემიან სასამართლოს და სახალხო სასამართლოს განაჩენით **ისჯებიან შრომა-გამასწორებელი სამუშაოებით სამუშაო ადგილზე 6 თვემდე ვადით, ხელფასიდან 25 პროცენტის დაკავებით.**

აქედან გამომდინარე, გაუქმდეს აუცილებელი დათხოვნა სამუშაოს გაცდენისთვის საპატიო მიზეზის გარეშე.

წინადადება მიეცეს სახალხო სასამართლოებს, რათა ყველა საქმე, რომლებიც აღნიშნულ მუხლშია მითითებული, განიხილონ არაუმეტეს 5 დღის ვადაში და განაჩენი ამ საქმეებზე დაუყოვნებლივ აღასრულონ.

6. დადგინდეს, რომ საწარმოთა დირექტორები და დაწესებულებათა უფროსები, რომლებიც თავს აარიდებენ სასამართლოსთვის საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან თვითნებურად წასული ან საპატიო მიზეზის გარეშე თვითნებური გაცდენისთვის დამნაშავე პირების სასამართლოსთვის გადაცემას, მიეცემიან სასამართლო პასუხისგებაში.

დადგინდეს, აგრეთვე, რომ საწარმოთა დირექტორები და დაწესებულებათა უფროსები, რომლებიც სამუშაოდ მიიღებენ სასამართლოს თავს ამრიდებელ პირებს, რომლებიც თვითნებურად არიან წასული საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან, მიეცემიან სასამართლო პასუხისგებაში. აღნიშნული ბრძანებულება ძალაში შედის 1940 წლის 27 ივნისიდან.

**სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი**

**სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი**

**მოსკოვი, კრემლი. 1940 წლის 26 ივნისი“.**

სამი კვირის შემდეგ, 17 ივლისს მიიღეს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება **„მექანიზატორებისა და კომბაინერებისთვის სამუშაოდან წასვლის აკრძალვის შესახებ, რომლებიც მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში მუშაობენ“.** ამ დოკუმენტმა 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულების მოქმედება მშრომელთა აღნიშნულ კატეგორიაზეც განავრცო.

1940 წლის 7 აგვისტოს ეს ორივე დოკუმენტი დაამტკიცა სსრკ უმაღლესი საბჭოს პირველი მოწვევის მეშვიდე სესიამ.

დაბოლოს, 1940 წლის 10 აგვისტოს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება **„სახალხო სასამართლოების მიერ საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან თვითნებურად წასულთა გამცდენთა და საქმეების სახალხო მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე განხილვის შესახებ“.** ამ აქტით ეს საქმეები სახალხო სასამართლოებში ერთპიროვნულად უნდა განეხილათ.

ერთი შეხედვით, ეს ღონისძიებები სერიოზულად ზღუდავდა საბჭოთა მშრომელების უფლებებსა და თავისუფლებას. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით პიტერ სოლომონი, რომელიც ზემოთ რამდენიმეჯერ იყო ციტირებული:

„სამუშაო დისციპლინის დარღვევისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შემოღება სინამდვილეში არ იყო მეხის გავარდნასავით მოწმენდილ ცაზე. უფრო მეტად ეს იყო საბჭოთა რეჟიმსა და სამრეწველო მუშათა კლასს შორის ათწლეულის განმავლობაში მიმდინარე ბრძოლის კულმინაცია“.

ეს დასავლეთელი ლიბერალების ტიპიური შეხედულებაა. პიროვნების თავისუფლების საზოგადოებრივ ინტერესებზე უპირატესობის კონცეფციიდან გამომდინარე, კანადელი ისტორიკოსი ამ მოვლენას აფასებს, როგორც კონფლიქტს ცალკეულ მოქალაქეთა და მათი თავისუფლების დამთრგუნავ სახელმწიფო მანქანას შორის. საერთო სურათის დანახვა მას არ სურს.

მაგრამ სწორედ იმ ათწლეულში, მოსალოდნელი მსოფლიო ომის დაწყებამდე ცდილობდა საბჭოთა კავშირი, განეხორციელებინა მკვეთრი გარღვევა, რათა დაწეოდა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს. ამ გარღვევაზე იყო დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის ხალხების არსებობა-არარსებობის საკითხი.

საბჭოთა მრეწველობის არნახული წარმატებების შედეგად მოისპო უმუშევრობა, სამუშაო ძალაზე მო- ▶



## «თეთრების» პოზიცია

**პარტია „თეთრების“ პრეზიდენტობის კანდიდატს პოლიტიკური საბჭო 11 ივნისს შეარჩევს.** პროფესორ მერაბ ჯიბლაძის განცხადებით, „თუ ისეთი გვინდა ვიყოთ, როგორიც დღეს ვართ, ასეთ ქვეყანას არც პრეზიდენტი სჭირდება, არც პარლამენტი. ვიმართებით გარედან და პირდაპირ ვთქვათ: ეს არის 21-ე საუკუნის ტიპიური კოლონიური ქვეყანა“.

პოლიტიკური საბჭოს წევრებმა ხაზი გაუსვეს, რომ ქვეყნის პრეზიდენტი უნდა იყოს გამოცდილი პოლიტიკოსი; უარყოფითი შეფასება მისცეს დახურული შეხვედრების პრაქტიკას. მათი აზრით, ამ რამდენიმე დღის წინ პრემიერ-მინისტრ ივანიშვილის, პარლამენტის თავმჯდომარის — დავით უსუფაშვილისა და უმცირესობის ლიდერ დავით ბაქრაძის შეხვედრა არის მიხეილ სააკაშვილის მართვის სტილის გაგრძელება და ცალკეული პოლიტიკური ძალების გავლენის გაძლიერებას უფრო მეტად ემსახურება, ვიდრე საქვეყნო საქმეების გადაწყვეტას.

პარტიის თავმჯდომარემ, თემურ შაშიაშვილმა, აღნიშნა: „მინდა ვიფიქრო, რომ ხალხის ეს მძაფრი განწყობა ესმის ბატონ ბიძინა ივანიშვილს და მის პოლიტიკურ კოალიციას, თუმცა ვეჭვობ,რადგან მოქმედებებში ეს არ ჩანს. მხოლოდ ქვეყნის მოჭირისუფლე გაუბედავს დღეს ბატონ ბიძინას იმ სიმართლის თქმას, რომელიც რეალურად ხდება.

ჩვენ ვფიქრობთ პრეზიდენტობის ისეთ კანდიდატზე, რომელიც არც მორჩილი იქნება ბატონი ბიძინა ივანიშვილის და არც მასთან დაპირისპირებული.



მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## დღეს მოქმედი სასამართლოებისგან განსხვავებით, სტალინის პერიოდის სასამართლოებს საკმაოდ ხშირად გამოჰქონდათ გამამართლებელი განაჩენები. გამონაკლისი არც 26 ივნისის ბრძანებულება იყო: 1941 წლისთვის გამამართლებელი განაჩენების წილი საშუალოდ 25 პროცენტს შეადგენდა.




**სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით შემოღებული იქნა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, დაწესდა მედლები შრომაში წარჩინებულთათვის. მომდევნო დღეს საკავშირო ორგანოებმა მიიღეს ერთობლივი დადგენილება შრომითი დისციპლინის განმტკიცების, სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის პრაქტიკის გაუმჯობესებისა და ამ საქმეში არსებული დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ**

◀ თხოვნილება კოლოსალურად გაიზარდა. შედეგად ბევრ მუშას გამოუმუშავდა აგდებული დამოკიდებულება დასაქმებულის პრივილეგიისადმი, შრომითი დისციპლინისადმი — საბჭოთა ქვეყანას არასოდეს დაკლებია უქმადმჭამელთა ფენა. ერთ-ერთმა ასეთმა „შეგნებულმა“ პროლეტარმა 1929 წელს განაცხადა: „შრომითი დისციპლინა ძალადობაა მუშათა კლასზე. პროტესტს ვაცხადებ შრომითი დისციპლინის წინააღმდეგ... ყური არ უგდოთ ამ ფანატიკოსებს... მათ ჩვენი ამოწყვეტა სურთ. წყეულიმც იყოს ის, ვინც სახელმწიფო სამსახურში ოფლსა ღვრის“.

საბჭოთა სახელმწიფოებრიობის საფუძველში ჩადებული სამართლიანობის პრინციპები სრულიადაც არ ნიშნავდა, რომ ყველა მოქალაქეს ერთნაირად უნდა მიდგომოდნენ. პირიქით, სამართლიანობა არა მარტო პატიოსანი მშრომელების წახალისებას ითვალისწინებს, არამედ უსაქმურთა დასჯას.

საბჭოთა ხელმძღვანელობა განაგრძობს დისციპლინის განმტკიცების მიზნით „ქანჩების მოჭერის“ პოლიტიკას. 1932 წლის 15 ნოემბერს ქვეყნდება სსრკ ცკ-ის და სახკომსაბჭოს დადგენილება **„საპატიო მიზეზის გარეშე სამუშაოს გაცდენისთვის დათხოვნის შესახებ“.** თუ მანამდე უგერგილო მშრომელის დათხოვნა შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ერთი თვის განმავლობაში 3 დღეს გააცდენდა, ახლა საწარმოსა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს ერთი დღის გაცდენისთვის ამ სანქციის გამოყენების ნება დართეს.

შრომითი დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებათა მომდევნო კომპლექსი 1938 წლის დეკემბრის ბოლოს განხორციელდა. ეს ღონისძიებები ითვალისწინებდა როგორც კეთილსინდისიერთა წახალისებას, ასევე, ზარმაცების წინააღმდეგ სანქციების გამკაცრებას.

20 დეკემბერს სსრკ სახკომსაბჭო იღებს დადგენილებას **„შრომითი წიგნაკების შემოღების შესახებ“**, რაც მოქალაქეთა შრომითი კარიერისთვის თვალის მიდევნების საშუალებას იძლეოდა, პატიოსანი მშრომელების წახალისებას და საწარმოდან საწარმოში „გადაფრენის“ მსურველთათვის ფრთების შეჭრას ითვალისწინებდა.

27 დეკემბერს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით შემოღებული იქნა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, დაწესდა მედლები შრომაში წარჩინებულთათვის. მომდევნო დღეს საკავშირო ორგანოებმა მიიღეს ერთობლივი დადგენილება შრომითი დისციპლინის განმტკიცების, სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის პრაქტიკის გაუმჯობესებისა და ამ საქმეში არსებული დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ. ეს დოკუმენტი მიზნად ისახავდა, გამოესწორებინა აშკარად არანორმალური სიტუაცია, როცა არაფრისმაქნისნი იმავე სოციალური უზრუნველყოფით სარგებლობდნენ, რაც შრომისმოყვარულთათვის იყო გათვალისწინებული.

მომდევნო შვებულებაში წასვლის უფლება ეძლეოდა მუშას და მოსამსახურეს მოცემულ საწარმოსა და დაწესებულებაში 11 თვის განმავლობაში უწყვეტი მუშაობის შემდეგ.

ორსულებს შეეძლოთ ესარგებლათ შვებულების 35 კალენდარული დღით მშობიარობამდე და 28 დღით მშობიარობის შემდეგ. მათ ხელფასი უნარჩუნდებოდათ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ საწარმოში ნამუშევარი ჰქონდათ მინიმუმ 7 თვე.

გამკაცრდა სადამსჯელო სანქციები დაგვიანებისთვის არასაპატიო მიზეზით ან დროზე ადრე შესვენებაზე წასვლის გამო, უსაქმურობისთვის. **ეს სასჯელები ადმინისტრაციული ხასიათისა იყო: მითითება ან საყვედური, ან საყვედური გაფრთხილებით, სხვა სამუშაოზე გადაყვანა, ნაკლები ხელფასით სამი თვის ვადით, ან დაბალ თანამდებობაზე „ჩამოლაზორანტება“.**

შრომის დისციპლინის სისტემურ დამრღვევებს სამსახურიდან დაითხოვდნენ კანონთან შესაბამისობის სრული დაცვით.

საკუთარი განცხადებით სამსახურიდან წასვლის მსურველი ვალდებული იყო, ამის შესახებ ადმინისტრაციისთვის ერთი თვით ადრე ეცნობებინა.

დაწესდა ზღვარი — 20 წუთი, რომლის გადამცილებელი მუშაკი თვითნებურ გამცდენად შეიძლება ჩათვლილიყო.

მალე დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. საბჭოთა ხელმძღვანელობა სტალინის მეთაურობით ყოველმხრივ ცდილობდა, განემტკიცებინა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა. წითელი არმიის მებრძოლთა რაოდენობის გაზრდისთვის მუშების ნაწილი ჯარში გაიწვიეს. საწარმოებში მუშათა დამაგრება პირველი რიგის საკითხად ჩამოყალიბდა, რადგან საწარმოდან საწარმოში გადამფრენთა რაოდენობა გაიზარდა. ამ ნეგატიური მოვლენის აღმოსაფხვრელად გამოქვეყნდა 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულება, რომლის ძალითაც 20 წუთით სამუშაო დისციპლინის დამრღვევთა მიმართ (ჩამოთვლილი იყო, რა შემთხვევებში) მიღებული უნდა ყოფილიყო კანონით გათვალისწინებული ღონისძიებანი სასამართლო პასუხისმგებლობის ჩათვლით.

**გაცდენისთვის და მასთან გათანაბრებულ 20 წუთზე მეტი დაგვიანებისთვის გათვალისწინებული იყო სასჯელი სამუშაო ადგილზე 6-თვიანი ვადით შრომა-გამასწორებელი სამუშაოები ხელფასის 25 პროცენტის დაკავებით. ასეთი მუშაკები ციხეებსა და ბანაკებში კი არ იგზავნებოდნენ, არამედ ისჯებოდნენ მანეთით და შრომას თავიანთ სამუშაო ადგილებზე განაგრძობდნენ.**

**დისციპლინის დარღვევის გამეორების ან ადმინისტრაციული სასჯელის ბოლომდე მოუხდელობისთვის გამორიცხული არ იყო ციხეში მოხვედრა, მაგრამ თავისუფლების აღკვეთის ვადა 6 თვეს არ აჭარბებდა.**

მკითხველმა შეაფასოს, რომ თითქოს გენერალ ლებედის მამამ სამუშაოს ორჯერ გაცდენის გამო, ისიც 1937 წელს (1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულების მიღებამდე 3 წლით ადრე) 5 წელიწადი ციხეში გაატარა, მამალი ტყუილია თუ არა!

მაშ, რისთვის იჯდა უფროსი ლებედი? როგორც ჩანს, ბანალური სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის გამო.

**დიდი სამამულო ომის დაწყებამდე 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულებით გასამართლდა 3 მილიონზე მეტი ადამიანი, მათგან 16 პროცენტი სამუშაო ადგილის თვითნებურად შეცვლის გამო.**

ვინ იყვნენ ეს ადამიანები — „უცოდველი მსხვერპლნი“ თუ თავგასული უსაქმურები?

**1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულებით, პასუხისმგებლობა შემოღებული იყო არა მხოლოდ სამუშაოს გაცდენისთვის, არამედ „საპატიო მიზეზის გარეშე გაცდენისთვის“.** სსრკ უზენაესი სასამართლოს განმარტების მიხედვით, „მოსამართლეებს არავითარი უფლება არ ჰქონდათ, ეჭვი შეეტანათ სამედიცინო ცნობების (ბიულეტენების) ნამდვილობაში და დაესაჯათ ადამიანები, რომლებიც ავადმყოფობის გამო იძულებული იყვნენ, გაეცდინათ სამსახური პოლიკლინიკაში ექიმთან მისასვლელად. მოსამართლეები შეცდნენ, როცა მარტოხელა, ხანდაზმული კაცი გაასამართლეს იმის გამო, რომ ექიმთან წასვლა ვერ შეძლო, იმდენად ავად იყო. ასეთი შემთხვევები საკმარისზე მეტი იყო და უმეტესობა სასამართლო ხელისუფლების რეაგირების გარეშე არ დარჩენილა.

სამაგალითოა ერთი შემთხვევა, როცა ქალი, რომელიც პროფესიით ელექტრიკოსი იყო, ქარხანაში არ მივიდა და შინ დარჩა იმის გამო, რომ შვილს კბილები სტკიოდა. სასამართლომ განიხილა ეს საქმე და დაადგინა: დანაშაულის ფაქტი არ დადასტურდა (*პ. სოლომონი, საბჭოთა იუსტიცია სტალინის დროს, მ. 1998, გვ. 309*).

ჟურნალ „სოციალისტური სამართლის“ 1940 წლის მე-12 ნომერში გამოქვეყნდა ზინაიდა ვიშინსკაიას (ა. ვიშინსკის შვილის) და ვლადიმირ მუშაგინის სტატია „არასაპატიო მიზეზით სამუშაოს გაცდენისა და თვითნებური მიტოვების გამო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“. წერილში გაანალიზებული იყო მთავრობის და სასამართლოს განმარტებანი 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულებასთან დაკავშირებით. მითითებული იყო დაგვიანების საპატიო მიზეზები, აგრეთვე, შემთხვევები, რომლებიც გამორიცხავდა სასამართლო პასუხისმგებლობას (ჯანმრთელობის მდგომარეობა, საგზაო-სამგზავრო შემთხვევები, ხანძარი, ოჯახის ავადმყოფი წევრისთვის დახმარების აღმოჩენა, უბედური შემთხვევის მსხვერპლის დახმარება). კაცი, რომელმაც სამსახურში მისვლა იმიტომ დააგვიანა, რომ მეზობელმა საათის ისრები გადაუწია, უდანაშაულოდ ითვლებოდა. დაბოლოს, განხილული იყო საკითხი კანონის გამოყენების დიაპაზონის შესახებ (მისი გამოყენება დაუშვებელი იყო მოსწავლეთა, წითელი არმიის მებრძოლთა და კოლმეურნეთა მიმართ (*პ. სოლომონი, საბჭოთა იუსტიცია სტალინის დროს, მ. 1998, გვ. 310*).

**დღეს მოქმედი სასამართლოებისგან განსხვავებით, სტალინის პერიოდის სასამართლოებს საკმაოდ ხშირად გამოჰქონდათ გამამართლებელი განაჩენები. გამონაკლისი არც 26 ივნისის ბრძანებულება იყო: 1941 წლისთვის გამამართლებელი განაჩენების წილი საშუალოდ 25 პროცენტს შეადგენდა.**

**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება
**არმაზ სანებლიძე**

## კადიროვი დოკუ უმაროვის სოჭის ოლიმპიადამდე ლიკვიდაციას აანონსებს

**ჩეჩნეთის ლიდერი რამზან კადიროვი დარწმუნებულია, რომ ჩრდილოკავკასიელი მებრძოლების ლიდერი დოკუ უმაროვი სოჭის ოლიმპიადამდე იქნება ლიკვიდირებული.**

**„ის შაითანია, დარწმუნებული ვარ, ჩვენ მას ოლიმპიადამდე გავანადგურებთ. ჩვენ მას ყოველდღიურად ვეძებთ, არსად ჩნდება. მან სადღაც ჩაწერა ვიდეო და ახლა ისევ მიიმალება, შეძვრება ხვრელში და იქ დაიმალება“**, — განაცხადა კადიროვმა.

მისივე თქმით, უმაროვი ცდილობს, მოსახლეობა დაძაბულობაში ამყოფოს.

**„რომელიღაც დასავლელმა კოლეგამ უთხრა, რომ მას ასეთი განცხადება უნდა გაეკეთებინა, რათა შემდგომ თავისი თამაშით ეთამაშა. მათთვის მნიშვნელოვანია ეს ოლიმპიადა, ვინაიდან ჩვენ გავიმარჯვეთ და განვაცხადეთ, რომ მზად ვართ ამ თამაშების უმაღლეს დონეზე ჩატარებისთვის. ეს არ მოსწონს ჩვენს მტრებს, დასავლელები და ევროპელები იყენებენ ისეთ ინსტრუმენტს, როგორიც უმაროვია“**, — განაცხადა კადიროვმა.

წინათ, უმაროვის ვიდეომიმართვაზე კომენტირებისას, რუსეთის ანტიტერორისტულმა კომიტეტმა განაცხადა, რომ ქვეყნის სპეცსამსახურები და სამართალდამცავი ორგანოები ატარებენ კომპლექსურ ღონისძიებებს, რათა მოსახლეობის უსაფრთხოება იყოს უზრუნველყოფილი, მათ შორის ოლიმპიადის დროს.

შეგახსენებთ, რომ დოკუ უმაროვმა გავრცელებულ ვიდეომიმართვაში, რომელშიც ის თავის თანამებრძოლებს მოუწოდებს, არ დაუშვან სოჭის ზამთრის ოლიმპიადის ჩატარება. უმაროვის განცხადების თანახმად, მათთვის ის რუსეთის ტერიტორიაზე ოპერაციების მორატორიუმს აუქმებს.



## შვედი მეცნიერი: მეტროს ჰაერი საშიშია ჯანმრთელობისთვის

**შვედმა მეცნიერმა აღმოაჩინა, რომ პატარა ნაწილაკებს, რომელთაც მეტროში არსებული ჰაერი შეიცავს, დნმ-ის დაშლა შეუძლია.**

დოქტორმა ჰანა კარლსონმა (სტოკჰოლმი, შვედეთი, კაროლინის უნივერსიტეტი) კვლევა ჩაატარა, რომლის შედეგების მიხედვით ირწმუნება, რომ მეტროში არსებული ჰაერი ფოლადის პატარა ნაწილაკებს შეიცავს. ეს ნაწილაკები რელსებზე ბორბლების ხახუნის შედეგად წარმოიქმნება.

მას შემდეგ, რაც ეს „მეტროპოლიტენური ნაწილაკები“ ფილტვებში ხვდება, უჯრედებში წარმოიქმება ე.წ. „თავისუფალი რადიკალები“, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს ადამიანს დნმ-ზე და ონკოლოგიური დაავადებების განვითარების პროვოცირებას ახდენს.

ასეთ დასკვნამდე დოქტორი კარლსონი ხელოვნურად შექმნილ ნაწილაკებზე დაკვირვების შედეგად მივიდა. ასევე სახიფათოა სხვა საავტომობილო მოძრაობის შედეგად წარმოქმნილი ნაწილაკები, რომლებიც საბურავის ასფალტზე ხახუნის შედეგად წარმოიქმნება. ეს მიკროსკოპული სხეულები ადამიანის ორგანიზმში ანთებით პროცესებს იწვევს.

**მავნე ნივთიერებების შესუნთქვის შედეგად, მხოლოდ შვედეთში ყოველწლიურად 5000 ადამიანი იღუპება.**

**მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ მეტროში არსებული ჰაერი უნდა გაიწმინდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა მგზავრი განიხილება, როგორც ონკოლოგიური დაავადების განვითარების მაღალი რისკის მქონე ჯგუფის წევრი.**

ჰაჰ, დროონი...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იყვნენ ისეთი სულთნებიც, რომლებიც ქალთა სქესს საერთოდ ვერ იტანდნენ. ქალთმოძულე იყო ოსმან III (1757-1757), რომელიც იმპოტენციით იტანჯებოდა. ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე მან ბრძანა, ჰარამხანიდან გაესახლებინათ ყველა მოცეკვავე და მომღერალი ქალი.**

# ჰარამხანების იდუმალი ცხოვრება

**„საქართველო და მსოფლიო“ განაგრძობს ოლგა დმიტრიევას წიგნის „ჰარამხანების იდუმალი ცხოვრება“ ადაპტირებული თარგმანის პუბლიკაციას. წიგნში მოთხრობილია პოლიგამიის შესახებ სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ხალხს შორის და ისტორიის სხვადასხვა პერიოდებში: ველურ ტომებში, ამერიკელ მორმონებში, იმპერატორის დროინდელ ჩინეთში, ინდოელ რაინდ-რაჯპუთა შორის და, რა თქმა უნდა, სულთნის დიად სერალში. პოლიგამია ქრისტიან ადამიანებს შორის, უწინარეს ყოვლისა, ასოცირდება ჰარამხანებთან, რომლებშიც სულთნები, აღმოსავლეთის ქვეყნების მმართველები თავს უყრიდნენ ულამაზეს ქალებს მსოფლიოს ყველა კუთხიდან.**



გაგრძელება. დასაწყისი იხ. №17-24 (204-211)

სულთნის ცოლების შემონახული წერილები მოწმობს მათი ავტორების განათლებულობას, ჭკუას და გემოვნებას.

მას შემდეგ, რაც ჰარამხანის მკვიდრთა მეფური ცხოვრებისა და უზრუნველი ყოფის მაგალითები გავაცანით ჩვენს მკითხველებს, შეიძლება შეგვექმნას შთაბეჭდილება, რომ ჰარამხანა მიწიერი სამოთხე იყო, მაგრამ სინამდვილეში ვითარება გაცილებით რთული იყო. სულთნის ბევრი ცოლი ახალგაზრდულ ასაკშივე იღუპებოდა და, რაც უფრო საშინელია, უკლავდნენ შვილებს.

**სულთანს შეეძლო თავისი სანათესაოს ყველა მამაკაცის ამოხოცვა საკუთარი ტახტის შესანარჩუნებლად და ამის უფლებას მას აძლევდა მაჰმედ დამპყრობლის მიერ ჩამოყალიბებული წესები, რომლებითაც საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდა ოსმანთა იმპერია.**

ხდებოდა ისეც, რომ ძალაუფლების დაკარგვის შიშით სულთნები საკუთარ შვილებსა და შვილიშვილებს ახოცინებდნენ. რას განიცდიდნენ ასეთ გარემოში მათი ცოლები და მეფისწულების დედები, ძნელი წარმოსადგენია.

ასე გრძელდებოდა XVII საუკუნემდე, როცა უმკაცრესი კანონები შერბილდა, შეწყდა მეფისწულების მკვლელობა და მათ უფლება მიეცათ, ეცხოვრათ **ყაფესში** (ოქროს გალიაში), შენობაში, რომელიც ჰარამხანას ეკვროდა, მაგრამ საიმედოდ იყო მისგან გამოყოფილი.

**სულთნის ცოლებს შორის მიმდინარეობდა გაუწყვეტელი ბრძოლა პატრონის საწოლსა და გულში ადგილის მოსაპოვებლად. და მიუხედავად იმისა, რომ სარეცელზე ასვლის რიგს მკაცრად იცავდნენ, იმის დაშვება, რომ ყველა ქალისადმი სულთანს თანაბარი გრძნობა ჰქონოდა, ვინმე განსაკუთრებით არ გამოეყო, ცოლებს ვერც კი წარმოედგინათ და არც დაუშვებდნენ. ამის მიუხედავად, ჰარამხანაში შესანიშნავად იცოდნენ, სულთანი ვის აღმერთებდა, ვის ზედაც არ უყურებდა.** რომელიმე ცოლის „აღზევება“ ცხარე კამათსა და დაპირისპირებას იწვევდა „სიხარულის სახლის“ მშვენიერ ბინადართა შორის. თუ უგულებელყოფა ყოფილ ფავორიტს შეეხებოდა, ეს ვითარებას ისე ძაბავდა, რომ საჭირო ხდებოდა საჭურისების ჩარევა ვნებათაღელვის ჩასაცხრობად. მკაცრი დისციპლინის, რომელიც ჰარამხანაში იყო შემოღებული, დაცვის აუცილებლობა განპირობებული იყო აქაური ქალების ფიცხი ხასიათით, რაც შეშლილობის დონეზე ვლინდებოდა.

XVII საუკუნის არქივებში შემონახულია ცნობები სულთნის ცოლის — გულნუშისა და ერთ-ერთი ხარჭის, სახელად გიულბეაზის, პაექრობის შესახებ. ეჭვიანი გულნუში საკუთარი ხელით გაუსწორდა სულთნის ყურადღებით გაბედნიერებულ მეტოქეს. ერთხელ, როცა ეს ლამაზმანი კლდის პირას იჯდა და ზღვის ხედით ტკბებოდა, გულნუში შეუმჩნევლად მიუახლოვდა, ხელი ჰკრა და აბობოქრებულ ტალღებში გადააგდო. გულბეაზმა კი ცურვა არ იცოდა.

**სულთნის ცოლები კბილებით იცავდნენ თავიანთ პრივილეგიებს. შემონახულია წერილი, რომელიც 1839 წელს მისწერა სულთნის ცოლმა ბახიჩემ ჰარამხანის სახლმმართველს:** „უძვირფასესო ყალფა! ვიღაცამ მითხრა, რომ იგი ჩასახლდება სავანეში, რომელიც მე უნდა მეკუთვნოდეს. ეს არ მოხდება! რამდენ ხანსაც იარსებებს ეს ქვეყანა, იმდენად ხანს მსურს, რომ ეს საცხოვრებელი ჩემი იყოს! ვერ დავუშვებ, რომ ასეთმა ახალგაზრდა ქალმა დაიკავოს ასეთი შესანიშნავი სადგომი, და, თუ თხოვნით მივმართავ ჩვენს მბრძანებელს, იგი უარს არ მეტყვის. გთხოვთ, გადასცე ეს სულთნის დედას ჩემს უღრმეს პატივისცემასთან ერთად. რატომ უნდა ჩასახლდეს იგი იქ და მე ცარიელზე რატომ უნდა დავრჩე? მოვითხოვ ამას უფროს-უმცროსობის უფლებით. თუ ისე არ იქნება, როგორც მსურს, ვფიცავ, ფეხს არ შევადგამ სერალში. თუ იგი უარს იტყვის, მაშინ ყველაფერი შებრუნდება. მოვკვდები და უფლებას არ მივცემ, დაიკავოს ეს სავანე“.

თავიანთი ცოლების ქიშპის სულთნებსაც კი ეშინოდათ. მაგალითად, მუსტაფა III-მ, რომელიც ტახტზე 1757-დან 1774 წლამდე იჯდა, შეიყვარა ულამაზესი რიფატი. ჰარამხანის სხვა ქალებზე გული აიცრუა. სულთანი ფრთხილობდა, უსაყვარლესს სასახლის ფარგლებს მიღმა ფარულად ხვდებოდა. ეს უხერხული იყო და, ბოლოს და ბოლოს, გასცა ბრძანება რიფატის სასახლეში გადაყვანის შესახებ. ვეზირს, რომელსაც ამ დავალების შესრულება დაეკისრა, გაუგზავნა წერილი, რომელშიც მითითებული იყო: „ჩემო ვეზირო! გააფრთხილეთ თქვენი ცოლი და შვილები, რომ თავიანთ ბაგეებს კლიტე დაადონ, როცა ჩემს რიფატზე შეეკითხებიან, სასახლეში მისი ყოფნა სრულ საიდუმლოებად უნდა დარჩეს. ისარგებლეთ კარით პარკის მხრიდან და იქიდან შეიყვანეთ იგი, არასოდეს არ წაიყვანოთ მთავარი კარისკენ, სადაც ჰარამხანის უამრავი მცველი დგას. უფრთხილდით თვალთვალს და დამუნჯდით“.

რამ აიძულა ყოვლისშემძლე მპყრობელი, ასე მორიდებოდა თავის ცოლებს, გაუგებარი რჩება. შეიძლება, მას არ სურდა თავისი სახლის სიმშვიდის დარღვევა? სავსებით დასაშვებია. დიდხანს ხვდებოდა მალულად მუსტაფა III რაფიტს და ბოლოს, როგორც იქნა, გაბედა მისი მესამე ცოლად გამოცხადება.

**ზოგიერთი ოდალისტი ქალი უკვალოდ ქრებოდა, მათი ბედი გაურკვეველი რჩებოდა, სამაგიეროდ ისტორიამ შემოგვინახა უამრავი ამბავი მკვლელობისა და მოწამვლის.**

შიდა ქიშპი საშიში იყო, შარბათის ნებისმიერი სასმისი შეიძლება უკანასკნელი გამხდარიყო. მაგრამ არა მხოლოდ შიდა ბრძოლები აშინებდა ჰარამხანის მკვიდრ ქალებს. მათი სიცოცხლე სულთნის ნებაზე იყო სრულად მინდობილი. ეს ნება კი, არც თუ იშვიათად, დაუნდობელი სიმკაცრით იჩენდა თავს. ისლამის მიღებაზე უარის თქმა სიცოცხლეღ დაუჯდა ბერძენ ირინეს, მახმუდ დამპყრობლის ცოლს, რომელსაც სიგიჟემდე უყვარდა იგი და, მიუხედავად ამისა, იატაგანით თვითონ მოჰკვეთა თავი დაუმორჩილებელ ქრისტიან ასულს. გიჟმა სულთანმა იბრაჰიმ-I-მა (1640-1648) ერთ-ერთი ნადიმის შემდეგ გასცა ბრძანება, რომ იმ ღამით ყველა მისი ცოლი ტომრებში გამოეკრათ და დაეხრჩოთ ბოსფორში. ერთი ამ უბედურთაგან ფრანგმა მეზღვაურებმა გადაარჩინეს, რომლისგანაც შეიტყვეს გაუგონარი სიმხეცის ისტორია. გაურკვეველი დარჩა ბოსფორში დასახრჩობად გამეტებულთა რაოდენობა სერალის არსებობის საუკუნეების განმავლობაში.

სამაგიეროდ, თაობიდან თაობას გადაეცა ფაქტი, რომელიც ერთმა მყვინთავმა თავისი თვალით იხილა.

ამ კაცს გემის ჩაძირვის კვალზე დაავალეს, ჩაეყვინთა სერალის კონცხის სიახლოვეს. ნაპირზე გამოსულმა მყვინთავმა, რომელსაც ადამიანის ფერი არ ედო, განაცხადა, რომ ზღვის ფსკერზე ნახა უამრავი თავმოუკვრელი ტომარა, რომლებშიც მკვდარი ქალების ცხედრებს დინება ფრთხილად ანანავებდა.

**ჩვეულებრივ, სერალის ქალებს სიკვდილით შავი საჭურისების უფროსი სჯიდა. სულთნის მრისხანების ან ინტრიგების მსხვერპლი მას მთავარ მებაღესთან მიჰყავდა. ქალს ტომარაში ათავსებდნენ, რომლებშიც ქვები ეყარა, ერთ ნავზე დებდნენ. მეორე ნავში ჯდებოდა მებაღე, საშინელ ტვირთიან ნავს თოკით თავისას გამოაბამდა, შედიოდა ზღვაში და სერალის კონცხთან ძირავდა ნავს განწირულ ქალთან ერთად.**

იყვნენ ისეთი სულთნებიც, რომლებიც ქალთა სქესს საერთოდ ვერ იტანდნენ. ქალთმოძულე იყო ოსმან III (1757-1757), რომელიც იმპოტენციით იტანჯებოდა. ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე მან ბრძანა, ჰარამხანიდან გაესახლებინათ ყველა მოცეკვავე და მომღერალი ქალი. სხვა ქალებს შემთხვევით რომ არ გადაჰყროდა, იცვამდე ვერცხლისა და ოქროს ლურსმნებით დაჭედებულ ფეხსაცმლებს. მისი ნაბიჯების გაგონებაზე ქალები სასწრაფოდ იფანტებოდნენ, რათა მბრძანებლის მზერის არეალში შემთხვევით არ აღმოჩენილიყვნენ. იმ დღეებში, როცა სულთანი ქალაქში გადიოდა, მოქალაქე ქალებს ქუჩაში გამოსვლა ეკრძალებოდათ. საბედნიეროდ, მან მხოლოდ სამი წელიწადი იმეფა.

ზოგიერთი სულთანი მამაკაცებს აძლევდა უპირატესობას და აყალიბებდა ე.წ. ალტერნატიულ ჰარამხანებს. მაგრამ უდიდეს უმრავლესობას უყვარდა ქალები და მათგან შვილების ყოლაც სულითა და გულით სწადდა. უნაყოფო ქალებს კი მბრძანებელი თავის ახლობელთაგან ვინმეს მიათხოვებდა.

სულთნის, მისი ცოლებისა და შვილების ურთიერთობა მკაცრი ეტიკეტით იყო რეგულირებული. ასაკის მიუხედავად, მეფისწულები ხელზე უნდა მთხვეოდნენ **ყადი-ეფენდის**. ჰარამხანის ქალები პატივისცემის დასადასტურებლად კაბის კალთას უკოცნიდნენ სულთნის ცოლებს.

სულთნის ცოლები ერთმანეთთან ურთიერთობისას გარკვეულ ფორმალობებს იცავდნენ. თუ ერთ-ერთი მათგანი მეორესთან საუბარს მოისურვებდა, ჰარამხანის მდივანს მასთან აგზავნიდა ნებართვის მისაღებად.

სულთნის ცოლების გარდა, ჰარამხანაში მნიშვნელოვანი გავლენით სარგებლობდნენ **იკბალერები (ბედნიერები)**, ფავორიტები. ზოგიერთი მათგანი სულთნებს ცოლებზე მეტად უყვარდათ.

იკბალერების შემდეგ მოდიოდნენ **გედიკლი კადინლარები** — 12 ყველაზე ლამაზი, გამოცდილი და ნიჭიერი ახალგაზრდა ქალი. მათ ევალებოდათ სულთნის ყველაზე ინტიმურ საჭიროებათა განხორციელება — მექისეობა, დაბანა, საწოლის მომზადება, სადილისა და ყავის მირთმევა და ა. შ.

შემდეგი საფეხური ეკავათ **ოდალისკებს** — ახალგაზრდა მონა ქალებს, რომლებთანაც სულთანი ღამეებს ატარებდა.

მათ მოჰყვებოდნენ **გიუზდეხები** (შეთვალთვალებულნი) — ულამაზესი ნორჩი მონა გოგონები, რომლებსაც თვალი დაადგა სულთანმა. საკმარისი იყო, სულთანს ინტერესით შეეხედა რომელიმესთვის ან მოწონების სიტყვა წამოსცდენოდა, რომ იმ ბედნიერს დაუყოვნებლივ „აიყვანდნენ აღრიცხვაზე“. ასეთ გოგონებს სხვათაგან გამოაცალკევებდნენ, გამოუყოფდნენ საკუთარ ოთახებს და დაუნიშნავდნენ მსახურებს.

მსახურ ქალებს ჰარამხანაში **კარიელერბად** მოიხსენიებდნენ. თუ ისინი საკმარისად გონიერები აღმოჩნდებოდნენ და ბედიც გაუღიმებდათ, შეიძლება, **გეზდეს** დონემდე დაეწინაურებინათ.

სამუშაო, რომელსაც გოგონებს დააკისრებდნენ, წარმოაჩენდა, რა დონეების მიღწევა შეძლეს. ჭკვიანებსა და საზრიანებს, რომლებიც, ამასთან ერთად, სანიმუშო ჯანმრთელობითა და ორგანიზატორული უნარით გამოირჩეოდნენ, საშუალება ეძლეოდათ, ჰარამხანაში მაღალი მდგომარეობისთვის მიეღწიათ, გამხდარიყვნენ თანამშრომლები და ადმინისტრატორები. სწავლება იწყებოდა იმით, რომ მათ მიამაგრებდნენ მაღალი რანგის ქალებს, რომლებიც სათავეში ედგნენ ჰარამხანის ამა თუ იმ სამსახურს.

ე.წ. მინისტრთა კაბინეტში შედიოდნენ გარდერობის დიასახლისი, აბანოების მეთვალყურე, ძვირფასეულობათა მცველი, ყურანის წამკითხველი, საწყობების გამგე, შარბათის დიასახლისი, სუფრის სამსახურის უფროსი და ასე შემდეგ. „კაბინეტს“ სათავეში ედგა ჰარამხანის განმკარგულებელი **ქეთხუდა ან კიაია**; პრაქტიკულად მის დონეზე იდგა **ხაზინადარი (ხაზინედარი-უსტა)**, რომელიც აღნუსხავდა ჰარამხანის დიდსა და არცთუ იშვიათად არეულ-დარეულ ხარჯებს, პენსიებს უხდიდა მათ, ვინც ძველ სასახლეში გადასახლდა.

**ჰარამხანაში მცხოვრებთა მოვალეობები ზუსტად იყო რანჟირებული: ერთი სინჯავდა საჭმელს, ამოწმებდა, მოწამლული რომ არ ყოფილიყო, მეორე პასუხისმგებელი იყო სარეცხზე, მესამე ეხმარებოდა სულთანს განბანაში.**

სპეციალურად დანიშნული ქალები თვალყურს ადევნებდნენ, რათა არ დარღვეულიყო დისციპლინა, დაცულიყო ეტიკეტი, დროზე და შედეგიანად გამოეკვლიათ ავად გამხდარი მონა ქალები. ათი ქალისგან შემდგარი რაზმი დღე და ღამ მორიგეობდა და იცავდა „ბედნიერების სახლის“ სიმშვიდეს.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ისინი, ვინც ემსახურებოდნენ სულთანს მთელი დღის განმავლობაში და ასრულებდნენ მის პირად და „განსაკუთრებულ“ დავალებებს. სულთანი მათ განსაკუთრებით ენდობოდა, თავადვე შეარჩევდა. ეს ქალები სამსახურის დამთავრების შემდეგ ან ძველ სასახლეში ბრუნდებოდნენ, ან შესაბამისი დოკუმენტებით თავისუფალი მოქალაქეები ხდებოდნენ.

განსაკუთრებული ადგილი ჰარამხანაში **საჭურისებს** ეკავათ. ისინი პასუხისმგებლები იყვნენ ჰარამხანის ურთიერთობაზე გარე სამყაროსთან და იცავდნენ სულთნის ქალებს. მათი რაოდენობა ზოგჯერ 800-ს აღწევდა. ამ არმიის მეთაური **ყიზლიარაგასი** აკონტროლებდა ჰარამხანის იერარქიულ კიბეზე ქალების მოძრაობას და ზოგჯერ ყველაზე უფრო გავლენიანი ადამიანიც კი ხდებოდა მთელ სახელმწიფოში.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



## სახლის ზღურბლი 763 000 დოლარად გაიყიდა

**ინგლისში, სასექსის საგრაფოში მცხოვრები წყვილი 763 000 აშშ დოლარით გამდიდრდა, თუმცა მათი სახლი ზღურბლის გარეშე დარჩა. ქვა, რომელიც გასული საუკუნის 50-იან წლებიდან მოყოლებული მათი სახლის ზღურბლის ფუნქციას ითავსებდა, ძველი ბუდისტური არტეფაქტი აღმოჩნდა.** ჰიკმოტებმა ის აუქციონზე გაყიდეს. როგორც ქალბატონი ჰიკმოტი იხსენებს, თავდაპირველად ლოტი ორი აუქციონის წარმომადგენელს შესთავაზა, თუმცა მათ ეს სასაცილოდაც არ ეყოთ. მოგვიანებით გაირკვა, რომ ქვა სასექსში ჩინელმა მოვაჭრემ ჩამოიტანა. სინამდვილეში ის კუნძულ ცეილონზე ბუდისტური სალოცავის კიბის საფეხურია, რომელზეც უცნობმა სკულპტორმა 1300 წლის წინ ჩუქურთმები ამოკვეთა. ასეთი საფეხური-ქვებიდან დღემდე მხოლოდ 8 შემორჩა.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კოსტიუმი, რომელიც ტყუილის თქმისას გამჭვირვალე ხდება

**Studio Roosegaarde-ის დანიელი დიზაინერების ჯგუფი ბანკირებისა და მაღალჩინოსნებისთვის საქმიანი კოსტიუმის შექმნაზე მუშაობენ. თუ ადამიანი, რომელსაც ეს კოსტიუმი ეცმევა, მოიტყუება, ტანსაცმელი გამჭვირვალე გახდება.**

„ტექნიკა ჩვენი მეორე კანი, მეორე ენა, ურთიერთობის ხერხი გახდა. მთელ დღეს აიფონის ეკრანის ყურებაში ვატარებთ. შესაძლებელია, რომ იგი გახდეს უფრო ტექსტილური, უფრო ინტუიტიური? ამ მსჯელობამ გვიბიძგა ტანსაცმელი — მეორე კანი შეგვექმნა, რომელიც ადამიანის მღელვარებასთან ერთად გამჭვირვალე გახდება", — აცხადებს პროექტის დირექტორი დანა რუზაგარდი.

ქსოვილის სენსორები პულსის გახშირებაზე რეაგირებენ და მას უფრო გამჭვირვალეს ხდიან. ტანსაცმელი მასალა „ჭკვიანი ფოლგით" იკერება.



# ბაბუამ შვილიშვილი გაიტაცა და Facebook-ით გაყიდა

**ინდოეთის პოლიციამ დააკავა 47 წლის მამაკაცი, რომელმაც ახალშობილი შვილიშვილი ბიზნესმენს Facebook-ით მიჰყიდა.**

პენჯაბის შტატის, ქალაქ ლუდჰიანას მცხოვრები 47 წლის ფეროზ ხანი სასამართლოს წინაშე წარსდგა.

იმ შემთხვევაში, თუ მამაკაცის ბრალი შვილიშვილის გატაცებასა და გაყიდვაში დამტკიცდება, იგი, შესაძლოა, ციხეში 7 წლით ჩაჯდეს. ხანის გარდა, დააკავეს მისი ორი თანამზრახველიც, რომლებიც მამაკაცს ბავშვის გაყიდვის ორგანიზებაში დაეხმარნენ. მათ ასევე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

გამოძიების მსვლელობისას გაირკვა, რომ ხანის ქალიშვილმა, ნური ხანმა, აპრილის დასაწყისში ბავშვი გააჩინა. საავადმყოფოში, სადაც ქალმა იმშობიარა, ხანი ექიმის მედდასა და ასისტენტს შეუთანხმდა, რომ მათ ბავშვი მოეპარათ და მისთვის გადაეცათ. შვილიშვილი ინდოეთის მცხოვრებმა 45 000 რუპიად (დაახლოებით 830 დოლარი) გაყიდა. სამართალდამცავი ორგანოები არკვევენ, ხანის თანამზრახველები სხვა ბავშვებით ვაჭრობის შემთხვევებშიც ფიგურირებენ თუ არა. 2011 წლის მონაცემებით, ინდოეთში 800-ზე მეტი დაჯგუფება მოქმედებდა, რომლებიც ბავშვების გატაცებით იყვნენ დაკავებულნი.



# აშშ-ში ყველაზე ცუდ პროფესიად გაზეთის რეპორტიორობა დასახელდა

**სააგენტო Career Cast-მა, წლიური ანგარიშის მიხედვით, აშშ-ში ყველაზე პრესტიჟული და ყველაზე ცუდი პროფესიები გამოავლინა. კვლევა სპეციალობების ემოციური დაძაბულობისა და ანაზღაურების დონის შედარებით მოხდა.**

2013 წლის რეიტინგში ყველაზე პრესტიჟულ პროფესიად სადაზღვევო სპეციალისტი აღიარეს, რომელიც სადაზღვევო ტარიფების გამოთვლითაა დაკავებული. რეიტინგის მეორე ადგილზე ბიოსამედიცინო ინჟინერი აღმოჩნდა. ყველაზე პრესტიჟული პროფესიის სამეულს ოტოლარინგოლოგი ასრულებს.

ყველაზე საუკეთესო სპეციალისტების რიცხვში ასევე შედის ფინანსური ანალიტიკოსი, ინჟინერ-პროგრამისტი, დანტისტი, ოპტიკოსი, ფიზიოთერაპევტი და ლოგოპედი; ტოპოცეულში კი დიეტოლოგი, ფარმაცევტი, მათემატიკოსი, სოციოლოგი, სტატისტიკის სპეციალისტები მოხვდნენ.

აშშ-ში ყველაზე ცუდ პროფესიად სტრესისა და არასაკმარისი ხელფასის გამო გაზეთის რეპორტიორობა დასახელდა.

რეპორტიორები წელიწადში საშუალოდ 36 000 დოლარს იღებენ. ამასთან, ისინი მრავალრიცხოვან პრობლემებს აწყდებიან — მათ შორის რედაქციებში შტატებისა და ხელფასის შემცირებას და ინტერნეტმედიაში კონკურენციას. დღეს მკითხველს ტექნიკური მიღწევების წყალობით ინფორმაციის მიღება მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან სწრაფად შეუძლია, რაც ტრადიციული მედიის არსებობას საფრთხეს უქმნის.

ცუდ სპეციალობებს შორის მოხვდა მსახიობი, ფოსტალიონი, სახურავის ოსტატი და ბორტგამცილებელი.



# სან-ფრანცისკოს ყურის სასწაულები

**სან-ფრანცისკოს სანაპიროზე უამრავი ფერადი გუბეა, რომელთა შეფერილობა შინდისფრიდან ღია მწვანემდე იცვლება.**

ამ მოვლენის მთელი მასშტაბისა და სილამაზის შეფასება მხოლოდ თვითმფრინავის ფანჯრიდანაა შესაძლებელი: ასეთი სიმაღლიდან გუბეები გიგანტურ მოზაიკას მოგვაგონებენ.

ყველა ეს მრავალრიცხოვანი ფერადი წყალსატევი კვების მრეწველობის დარგში ერთ-ერთ მსოფლიო ლიდერს, კომპანია Cargill, Inc-ს ეკუთვნის. კომპანია ზღვისა და ოკეანის წყლებიდან მარილს მოიპოვებს.

ხელოვნურად შექმნილ წყალსატევებში წყალი ორთქლდება და მხოლოდ ზღვის მცენარეებითა და მიკროორგანიზმებით შეფერილი კრისტალიზებული მარილი რჩება, რომლის ფერი წყლის მარილიანობაზეა დამოკიდებული.

გუბეები, რომლებსაც დაბალი ან საშუალო მარილიანობა აქვთ, მწვანე ან ვარდისფერი შეფერილობისაა, რაც უფრო იზრდება სიმლაშე, მით უფრო მოწითალოა პიგმენტი.

წყალსატევის ფერზე ამინდიც მოქმედებს. ძლიერი წვიმის დროს გუბეების პალიტრა იცვლება.




# კატისებრთა ოჯახის ყველაზე დიდი წარმომადგენელი

**ლიგრი მამალი ლომისა და მდედრი ვეფხვის შთამომავალია. მისი სახელიც სწორედ ამ ორი ცხოველის ინგლისური სახელების გაერთიანებისგან წარმოიშვა. ლიგრის დაბადება მხოლოდ ხელოვნურ გარემოშია შესაძლებელი, რადგანაც ბუნებაში ლომები და ვეფხვები ერთმანეთს საერთოდ არ ხვდებიან: ლომები — აფრიკაში, ხოლო ვეფხვები აზიაში ცხოვრობენ. ზოოპარკის ვოლიერებში კი ხანდახან ამ ცხოველებს ერთად ათავსებენ.**

ამ ორი ცხოველის შეჯვარების შედეგად, შესაძლოა, მათი ნაშიერებიც კი გაჩნდნენ, თუმცა ამის შანსი ძალიან დაბალია. შთამომავლობას წყვილების მხოლოდ 1-2% იძლევა. დღესდღეობით მსოფლიოში ლიგრების რაოდენობა დაახლოებით ორ ათეულს არ უნდა აჭარბებდეს.




გარეგნულად ლიგრი ძალიან ჰგავს გადაშენებულ გამოქვაბულის ლომს. ის საგრძნობლად მძიმეა და უფრო დიდია, ვიდრე ლომი. ლიგრების ერთ-ერთი ყველაზე დიდი წარმომადგენელი არის ჰერკულესი მაიამიდან. ის 400კგ-ზე მეტს იწონის, ოღონდ სიმსუქნე ნამდვილად არ შეენიშნება (მოზრდილი ლომების წონა 250 კგ-ს აღწევს). როდესაც უკანა თათებზე დგას, მისი სიმაღლე 3,7 მეტრს შეადგენს.

ლიგრების გიგანტური ზომები განპირობებულია გენური იმპრინტინგით. ლომისა და დედალი ვეფხვის შეჯვარების შემდეგ, ნაყოფის განვითარების პროცესში მამრის გენები, ზრდას უწყობს ხელს, სჯაბნიას მდედრის გენებს, რომელნიც პირიქით, ხელს უშლის ზრდას. ზუსტად საპირისპირო ხდება ვეფხვისა და ძუ ლომის შეჯვარების დროს. აღსანიშნავია, რომ მათი ნაშიერებიც გვხვდებიან ბუნებაში, მათ ვეფხვლომებს ან ტიგონებს უწოდებენ. ზრდასრული ტიგონები სულ რაღაც 150 კგ-ს იწონიან.

მამალი ლიგრები სტერილურები არიან, მდედრები კი ხანდახან შთამომავლობას იძლევიან.

# თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი




# ქართველი ხელოვანები ესტონეთში გასტროლს გამართავენ

**21—28 ივლისს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ესტონეთში, ფესტივალში „საარემაას ოპერის დღეები“ მონაწილეობას მიიღებს საქართველოს სამივე საოპერო თეატრი: თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი, ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი და ბათუმის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი.**

„საარემაას ოპერის დღეები“ ბალტიისპირეთის რეგიონის უმთავრესი საოპერო ფესტივალია. მას წამყვანი ადგილი უკავია არა მხოლოდ კუნძულის, არამედ მთელი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებასა და ტურისტულ ბიზნესში, რასაც საარემაასთვის 2011 წელს ყველაზე მეტად განვითარებადი ტურისტული ობიექტის ტიტულის მინიჭებაც ადასტურებს.

საქართველოს საოპერო კოლექტივები მაყურებელთა წინაშე წარსდგებიან შემდეგი ოპერებით: ქუთაისის თეატრი რევაზ ჯავახიშვილის დირიჟორობით შეასრულებს პუჩინის „მადამ ბატერფლაის“, ბათუმის თეატრი დავით მუქერიას დირიჟორობით — დონიცეტის ოპერას „ლუჩია ლამერმურიდან“, თბილისის თეატრი ჯანლუკა მარჩიანოს ხელმძღვანელობით ააჟღერებს ვერდის „რიგოლეტოს“ და „ატილას“. ამ ოთხივე ოპერის დამდგმელი რეჟისორია დავით საყვარელიძე. ყველა სპექტაკლში დაუკრავს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი, რომელიც ასევე მსმენელთა წინაშე ფესტივალის დასკვნით გალა კონცერტზეც გამოვა ჯანლუკა მარჩიანოს ხელმძღვანელობით. ერთი საღამო კი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასს დაეთმობა, რომელიც წარმოადგენს ერთაქტიან ბალეტებს: „საგალობელი“, „მოცარტიანა“ და „უფრთოდ ფრენა წყვდიადში“.

მსმენელები გაიცნობენ თბილისის ოპერის თეატრის ფოლკლორულ ანსამბლ „სულიკოს“ შემოქმედებასაც. ფესტივალის სტუმრების წინაშე წარსდგებიან: პაატა ბურჭულაძე, თეონა დვალი, ირაკლი კახიძე, გივი ჭიჭინაძე, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტები: ირინე ალექსიძე, გია ასათიანი, სულხან გველესიანი, ბონდო გოგია, გოჩა დათუსანი-ჯილაური, არმაზ დარაშვილი, თეა დემურიშვილი, ირინე თაბორიძე, კახაბერ თეთვაძე, როსტომ იაშვილი, ლევი იმედაშვილი, ნიკოლოზ ლაგვილავა, მარიკა მაჩიტიძე, გიორგი მახარაძე, ირაკლი მურჯიკნელი, ირინე რატიანი, ტარიელ ჭიჭინაძე, ანზორ ხიდაშელი, მომღერლები — იური ასლანიშვილი, იამზე გურჩიანი, ეკა ჯეჯელავა, ქუთაისის თეატრის სოლისტები: ბადრი ადამია, თამთა გაბუნია, გივი თევდორაძე, აკაკი იოსელიანი, ინგა ფუტკარაძე, ნათია ჩაკვეტაძე, ემილ ჩარგაზია, სალომე ჯმუხაძე, ბათუმის თეატრის სოლისტები: მამუკა ლომიძე, სულხან ჯაიანი, ინგა ჯახუტაშვილი.

**2008 წლიდან ფესტივალის ორგანიზატორი გახდა უდიდესი საკონცერტო ორგანიზაცია Eesti Konsert (დირექტორი — იური ლეიტენი), რომლის მეოხებითაც ფესტივალი იქცა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებად ღია ცის ქვეშ გამართულ საერთაშორისო ფესტივალებს შორის („საარემაას ოპერის დღეების“ წინამორბედია ფესტივალი „კურესსაარეს საოპერო დღეები“, რომელიც 1999 წლიდან იღებს სათავეს). ყოველ ზაფხულს ციხესიმაგრის ეზოში ეწყობა 2000 მაყურებელზე გათვლილი საოპერო კარავი უმაღლესი დონის გახმოვანებისა და განათების სისტემებით. „საარემაას ოპერის დღეების“ სამხატვრო ხელმძღვანელია არნე მიკი. შარშან ფესტივალ „საარემაას ოპერის დღეებს“ 12 000 მაყურებელი ესტუმრა.**

ფესტივალი თანამშრომლობს ესტონეთის ორივე დიდ საოპერო თეატრთან: ეროვნულ ოპერასთან „ესტონეთი“ და ვანემუინის თეატრთან. სხვადასხვა დროს „საარემაას ოპერის დღეებში“ მონაწილეობდნენ: შავი ამერიკული ოპერა/ბროდვეი, ლატვიის ეროვნული ოპერის თეატრი, მოსკოვის სტანისლავსკისა და ნემიროვ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალური თეატრი, მოსკოვის ოპერის თეატრი „ჰელიკონი“, ანკარის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი, ფესტივალის შემოქმედებითი სტუმრები იყვნენ ცნობილი მომღერლები და დირიჟორები: ხოსე კურა, ნეემე იარვი, ერი კლასი, ანა აგლატოვა, ხიბლა გერზმავა, კარიტა მატილა, მატი სალმინენი, იააკო რიუჰანენი, აინ ანგერი, ანელი პეებო, კრისტინე გაილიტე, ნადია კრასტევა, მარიო ძეფირი, კარლოს მორენო, ეგილს სილინში, ჯონი ვან ჰალი, ტატიანა ონისიმოვა.

**მათი შესრულებით ფესტივალზე აჟღერდა მოცარტის „ფიგაროს ქორწინება“, დონიცეტის „მარია სტიუარტი“, როსინის „სევილიელი დალაქი“, ვერდის „ტრავიატა“, „ბალ-მასკარადი“, ვაგნერის „მფრინავი ჰოლანდიელი“, მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი“, პუჩინის „ტურანდოტი“ „ბოჰემა“, „მადამ ბატერფლაი“, ოფენბახის „ჰოფმანის ზღაპრები“, გერშვინის „პორგი და ბესი“, ჯეი რაიზის „რასპუტინი“ და სხვ.**

ამჯერად კი „საარემაას ოპერის დღეების“ სტუმრებს ძირითად შემოქმედებით მასპინძლობას ქართველი ხელოვანები გაუწევენ.

# ვინ ავირჩიოთ?

**გამოვიარეთ რევოლუციის ეტაპები, მაგრამ ვერ ჩამოვყალიბდით, ვერ ავედით იმ სიმაღლემდე, რომ საბოლოოდ დავაზუსტოთ და დავამკვიდროთ ძირითადი და უმთავრესი — არჩევნებს ვისთვის და რისთვის ვატარებთ, ვის და რატომ ვირჩევთ, რა კრიტერიუმებით და რა თვალსაზრისით?**

კითხვებზე პასუხების ზერელედ გაცემამ ამომრჩეველი ჩიხში შეიყვანა. არჩეული კი აღზევდა, თბილ სავარძელში მოკალათდა და ლაღი, ბედნიერი ცხოვრება გაინაღდა.

ამომრჩეველი ვილას ახსენდება?!

ჩვენი უნიათობის, მაამებლობის, არწყენინების, არაპირდაპირობის და არასამართლიანობის, გონების დაუძაბავად მიმხრობის მწარე გაკვეთილები როდი გვინელდება.

როგორც იქნა, სწორ გზაზე გავედით, რაშიც 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებმა დაგვარწმუნა, იმედი და რწმენა განგვიმტკიცდა. ახლა მოახლოებულია საპრეზიდენტო არჩევნები. ერს და ბერს გვმართებს შორსმჭვრეტელობა, გაანალიზება, სწორი დასკვნების გამოტანა, რომ კვლავაც არ დავუშვათ შეცდომა, არ ავყვეთ დამაბრმავებელ, მომსყიდველ, ამბიციურ პროპაგანდას და არ გამოვიჩინოთ გულუბრყვილობა, ლიბერალიზმი, ჩვენდა საუბედუროდ, ქვეყნის საზიანოდ.

გადავხედოთ წარსულს, დღევანდელობას, გავაცნობიეროთ მომავალი, ის ამოცანები, რომლებიც უნდა დავისახოთ ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ, წინსვლის, აღორძინების, აღმშენებლობის ქვაკუთხედად, ქვეყნის გამთლიანების საწინდრად.

**როგორც ყოველთვის, პრეზიდენტობის კანდიდატი მრავლადაა, ყველა თავისი გამოცდილებით, უნარით, ხედვით. მინდა ბატონ ალექსანდრე ჭაჭიაზე მოგახსენოთ, რომელიც ჯერჯერობით არ გახლავთ პრეზიდენტობის კანდიდატი.**

ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას კარგად იცნობს საქართველო, ქართველი ერი, როგორც ჩვენი დროის ერთ-ერთ ბრწყინვალე პიროვნებას, ძლიერ ერუდირებულს, პოლიტიკურად საღად მოაზროვნეს. ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიამ, როგორც სახალხო მოძრაობა **„სამეგრელოს“** დამფუძნებელმა და ხელმძღვანელმა, ბევრი რამ სასიკეთო გააკეთა საქართველოსა და ქართველი ხალხისთვის. მისი პუბლიკაციები სამშობლოსადმი უანგარო მსახურების პათოსითაა გაჟღენთილი. მათში მოცემულია ის პროგრამები, რომლებიც ესოდენ სჭირდება დღეს ჩვენს ქვეყანას.

**ბატონი ალექსანდრე აფხაზეთში დაბადებული და გაზრდილია. იგი საფუძვლიანად იცნობს აფხაზთა ისტორიულ ფესვებს, კულტურას, ქართველთა და აფხაზთა სისხლისმიერ ურთიერთობებს და მისი პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში ყველაფერს გააკეთებს ქვეყნის გამთლიანებისთვის!**

ბატონი ალექსანდრე გახლავთ მისაბაძი, თავშეკავებული, მაღალი ინტელექტით დაჯილდოებული, კოლხური ზრდილობით დამშვენებული ღირსეული ადამიანი!

ეს მისი გარეგნობიდანაც ნათლად ჩანს!

ამიტომ ვთხოვთ ბატონ ალექსანდრეს, რომ კენჭი იყაროს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში!

პატივისცემით,

**ნუგზარ ზარქუა,**
წალენჯიხა

# სამართალდამცავებისადმი დაუმორჩილებლობაზე ჯარიმა ხუთმაგდება

**სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების განკარგულების ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობაზე ადმინისტრაციული სანქცია ხუთმაგდება და 400-დან 2000 ლარამდე იზრდება. პირს მათი სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევაში 2000-ლარიანი ჯარიმა ან 15-დღემდე ადმინისტრაციული პატიმრობა ელოდება.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებები შედის, რომელიც პარლამენტში ინიცირებულია.

კერძოდ, კანონპროექტის თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის ან აღსრულების პოლიციელის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი ბოროტად დაუმორჩილებლობა, ასევე მათი სიტყვიერი შეურაცხყოფა ან მათ მიმართ შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით.

## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისაგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

პროგრამა შედგენილია ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;
218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**

## ძვლის პრობლემები

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრული ართრიტის, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე ზედმეტი წონის კორექცია თვეში 5-დან 15 კგ-მდე ჯანმრთელობისთვის უვნებლად, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება, მადის რეგულირება, ცხიმების აქტიური წვა, მიღებული შედეგის სტაბილური შენარჩუნებით — მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით.

**ტელ. 218-46-08 (ოფისი)
555-62-09-01 ექიმი ქალბატონი მეგი**

## სიმაღლეში მომატება!

**გაქვთ კომპლექსი სიდაბლის გამო?**

დარეკეთ ახლავე!



574 47 39 04
0790 30 94 35

საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894